

ა ი ჯ ხ ა

№4-5 (19-20) ნოემბერი, 2020 წელი



თავისუფალი სქელურის და ხედის კულტურულ
და დასავლეთეპრინტულ კულტურის სინიერე

გოჯხება

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 4-5 (19-20), 2020


დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:
თავისუფალ შემოქმედთა გაერ-
თიანება და შპს „გამომცემლობა
„მიჯნა“, რეგისტრაციის
№ B12127840

რედაქტორი
ჯემალ შონია

გამოცემელი
საიუბილეო კომისია
(თავმჯდომარე
მანგული ხუბუა)

მისამართი:
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი
2-38-03-11

ISSN
მიჯნა 2449-237X



სარჩევი

მურმან ზაქარაია – 75

ავტობიოგრაფია	3
კანონიერი ხელისუფლების უშიშარი ქობაგი	5
აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.....	6
რევაზ ყუშავავა	
დიდი პოემის ლირსი!	6
მასწავლებელთა ღვანილის დაფასებისა და მათვეს მადლობის გადახდის მიზნით!.....	7

თაგილონი

იმაზე, რაც ვერ მოხვდება ავტობიოგრაფიაში... იურა მონია	8
---	---

სახელოვნად განვლილი 75 წელი.....	10
----------------------------------	----

იაშთხვა

მედეა სალია

ცოტა რამ იაშთხვის ქართული საშუალო სკოლის გახსნის ისტორიიდან	11
იმაზე, რაც ვერ მოხვდება ავტობიოგრაფიაში (გაგრძელება)	12

წერილები

მურმან ზაქარაია

„ტაშკენტის 25“ – თავისუფლებისა და ორსებისათვის ბრძოლის სიმბოლო	15
---	----

ლაპა გვასალია

რაინდული სულით.....	29
---------------------	----

ჯევალ ჟონია

მებრძოლი შემოქმედი	31
--------------------------	----

მაგდული ხებაუ

შრომასა და ბრძოლაში გავლილი 75 წელი.....	39
--	----

ნაწყვეტები გამოქვეყნებული შრომებიდან

მურმან ზაქარაია

პასუხი არჯანთა და ბალანგართ	41
-----------------------------------	----

შესავალი	46
----------------	----

თებერვლის მოვლენათა მიზეზების, ფორმისა	
--	--

და არსის შესახებ	49
------------------------	----

ლირსებას ვერ მოკლავ	53
---------------------------	----

„РУССКИЙ ДУХ“, ანუ ნინ – ჩინგისხანისკენ!..	58
--	----

ნიგნიდან „სიმბოლო ქართული იდეისა“	61
---	----

ნიგნიდან „სახელმწიფოსა და დემოკრატიის	
---------------------------------------	--

საკითხისადმი დისპარატულ მიდგომაზე“	65
--	----

ჭეშმარიტი კულტურა და ეროვნული იდეა.....	70
---	----

ლაპა გვასალია

სამურზაყანო... (ლექსი).....	77
-----------------------------	----

წერილები

ირაკლი კალაძეია, კახა ქაცხაია

სამშობლოს უანგარო მსახური, ლირსეული	
-------------------------------------	--

მამულიმშვილი	78
--------------------	----

გონელი გრახამია

მურმან ზაქარაიას!.....	80
------------------------	----

გულიკო ურუბაძე

დიდბუნებოვანი ადამიანი	82
------------------------------	----

მერაბ ჩუხუა

ბატონი მურმანი – ერთგული მეციხოვნე	83
--	----

უჩა თაროვირიძე

ეროვნული მოძრაობის მფეთქავი გული.....	86
---------------------------------------	----

ირინე ტალიაშვილი

გზა კაცურკაცობისა	88
-------------------------	----

სარჩევი

სევდია უგრეხელიძე

უანგარო პატრიოტი	89
------------------------	----

ლეილა ცოხაია

დაუშრეტელი ენერგიის მოღვაწე და მოამაგე... ..	90
--	----

ტიტე ემისია

ქართული იდეით განმისჭვალული	91
-----------------------------------	----

გუცული კობახიძე

გაგვეხაროს ერთიანი საქართველოს ხილვით!...	92
---	----

მურმან ეურცილივა

გზა ჭეშმარიტი	93
---------------------	----

პოეტური სტრიქონებით

ზურ მოლაშხია

ზღვასთან ვიჩივლე	94
------------------------	----

შვილიმშვილი, ანუ მოთა	94
-----------------------------	----

გიორგი სიშინევა

მურმან ზაქარაიას	94
------------------------	----

ლაშა გვასალია

ალსარება ენგურის ხიდთან	94
-------------------------------	----

ჯევალ ჟონია

მურმან ზაქარაიას	94
------------------------	----

წერილები

თაგიბირ კუგლავვილი

მრავალებამიერ, ბატონო მურმან!	95
-------------------------------------	----

ედემ კვირტია

დამცხრალიყოს თქვენი სულისტკივილი	95
--	----

სიმონ ზაქარაია

მურმან ზაქარაიას ფენომენი	96
---------------------------------	----

ეთერ აგაროვნევა

ვულოცავთ	97
----------------	----

გიორგი სიშინე

გამორჩეული მოღვაწე	98
--------------------------	----

ვალერიან ვეკუა

„ერის წყლული მაჩიდეს წყლულად“	99
-------------------------------------	----

გადონა გაეაცარია

ჩემი უფროსო მეგობარო!	100
-----------------------------	-----

ნათია გაეთია

ბატონო მურმან!	101
----------------------	-----

სოსო ლაგვილივა

ძმადნაფიცობის ერთგული	101
-----------------------------	-----

თაგიბურ მუგადაპილი

გილოცავ კახური გულითადობით!	102
-----------------------------------	-----

თორინევა ქავგაბა

75 წლის მურმან ზაქარაიას	102
--------------------------------	-----

ელგუაზა მასხია

დლესაც – ბრძოლის ავანგარდში	103
-----------------------------------	-----

მურთა ჯალალიძე

მადლობა თანადგომისთვის!	103
-------------------------------	-----

ნაწყვეტები ახალი შრომებიდან

„ფიქრის კაცთა“ ცონბიერი სამყარო რომანში	105
---	-----

„უტუ მიქა“ (გაგრძელება)	105
-------------------------------	-----

ეროვნული იდენტობის საკითხი ორი

ანტიპოდური შეხედულების ფონზე	120
------------------------------------	-----

სსოვნა_ნათელი

დაუვიწყარი თანამებრძოლები	134
---------------------------------	-----

გურმან ზაქარაია

პოლიტიკოსი და ისტორიკოსი



მე, მურმან შალვას ძე ზაქარაია, დავიბადე 1945 წლის 6 ნოემბერს გალის რაიონის სოფელ თაგილონში.

1961 წელს დავამთავრე თაგილონის საშუალო სკოლა.

1970 წელს ჩავირიცხე სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1975 წელს.

1968 წლიდან 1990 წლამდე ვმუშაობდი მთავარმმარაგების კომიტეტის აფხაზმომარაგების სტრუქტურებში.

ძირითადი სამუშაოსა და სწავლის პარალელურად 1972 წლიდან აფხაზეთის დაცემამდე – 1993 წლამდე ვენეოდი პედაგოგიურ საქმიანობას, ვმუშაობდი სოხუმის რაიონის სოფელ იაშთხვის საშუალო სკოლაში ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის და სამართალმცოდნეობის მასწავლებლად. ვკითხულობდი ლექციებს საზოგადოება „ცოდნაში“.

1989-1990 წლებში ვმონანილეობდი სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების, აფხაზეთში მოქმედი სხვა ეროვნული და საზოგადოებრივი მოძრაობების შექმნაში. იმავდროულად მონანილეობას ვლებულობდი სოხუმში გამართულ ყველა მასობრივ გამოსვლასა და აქციაში.

კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ აქტიურად ჩავერთე ხუნტის წინააღმდეგ დაწყებულ საყოველთაო მოძრაობაში. 1992 წლის 7 იანვარს, ქრისტეშობის დღეს, პირველად გაიმართა მსვლელობა და მიტინგი სოხუმში, აქედან მოყოლებული მთელი ჩემი საქმიანობა დაკავშირებული იყო კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის ბრძოლასთან.

1992 წლის თებერვლიდან თანამოაზრე-ებთან ერთად დავიწყე ზრუნვა დამხობილი ხელისუფლების მხარდამჭერი გაზეთის დასა-არსებლად. იქმნება გაზეთის დამფუძნებელი საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც ამირჩიეს. იმ პერიოდში აფხაზეთში ქართული გაზეთის გამოცემა თითქმის წარმოუდგენელი იყო. მიუ-ხედავად ამისა, 1992 წლის 26 აპრილს, აღდგომა დღეს, გამოვიდა თავისუფალ უურნალისტთა გაზეთი „აღდგომა“. გაზეთის გამოცემაში აქტიურად მონანილეობდნენ ანზორ გვარამია, ზურაბ კვარაცხელია, რამაზ კუპრავა, სერგი საჯაია, გიორგი სიჭინავა, ნონა და ნანა ქობალიები, ვა-ლერი ქობალია, გოგი ხაფთანი, რენე კალანდია, გაიოზ მეტრეველი და სხვ.

ამავე პერიოდში მარტიდან მაისამდე წინააღმდეგობის მოძრაობის შტაბი იმყოფებოდა ჩემს ოჯახში, სოხუმის რაიონის სოფ. იაშთხვაში.

აფხაზეთის ომის დაწყების წინ აქტიურად ვმონანილეობდი ომის საწინააღმდეგო ლონისძიებებში. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ამ ომის თავიდან აცილება, რომლის შედეგიც წინასწარ იყო განსაზღვრული.

სოხუმის ალყის დროს მთელი ოჯახით ვიმყოფებოდი იაშთხვაში. აფხაზეთი დავტოვე 22 სექტემბერს, გემით გადაგვიყვანეს ბათუმში.

ზუგდიდში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბრუნების შემდეგ, ქობულეთიდან, სადაც ვცხოვრობდი ოჯახთან ერთად, გადმოვედი გალში და ჩავერთე გაზეთის საქმიანობაში.

გალის დაცემის შემდეგ ვცხოვრობდი ხობში, სადაც ვხელმძღვანელობდი დევნილთა კომიტეტს.

კანონიერი ხელისუფლების მეორედ დამხობის შემდეგ ვრჩები სამშობლოში და ვცდილობ

გაფანტულ თანამებრძოლებთან კავშირის დამყარებას. ამ პერიოდში გამოვეცი ხელნაბეჭდი უურნალები „აღდგომა“ და „ჭყონდიდი“.

1993-1994 წლებში ძალ-ლონის დაუშურვებლად ვახდენდი სამეგრელოში „მრგვალი მაგიდის“ პარტიების აღდგენას და რაიონული „მრგვალი მაგიდების“ შექმნას, რაც მოხერხდა კიდეც. ამავდროულად შესაძლებელი გახდა კავშირის დამყარება აღდგენის პროცესში მყოფ ცენტრალურ „მრგვალ მაგიდასთან“.

1994 წლიდან ვიწყებ ბრძოლას გაზეთ „აღდგომის“ აღსადგენად თბილისში. როგორც ადრე, ამჯერადაც პირველი ნომრების გამოცემა მიხდება ნახევრად არალეგალურ პირობებში. შემდეგ კი ხელისუფლება იძულებული გახდა, გაზეთი ხელახლა გაეტარებინა რეგისტრაციაში.

ამ პერიოდიდან ვარ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი. ამავე პერიოდში ამირჩიეს საქართველოს „მრგვალი მაგიდის“ დამოუკიდებელ წევრად.

დაფუძნებიდან ბოლომდე ვიყავი მოძრაო-

ნილთა საკოორდინაციო ცენტრს. ამ მოძრაობის დიდი დამსახურებაცაა საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების მიღება...

2000-2001 წლებში გურამ აბსანძესთან ერთად ვიწყებ ზრუნვას ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის, „ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის“ შექმნისთვის, რაც დასრულდა ზუგდიდში 25000-იანი ლია კრების მოწვევითა და მისი დაფუძნებით. ვარ ამ ორგანიზაციის იდეის ავტორი და დამფუძნებელი, მისი პოლიტიკური საბჭოს წევრი.

2004 წლიდან 2005 წლის ნოემბრამდე ვმუშაობდი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე, საიდანაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე დაგვითხოვეს იქ ყოფილი მხედრიონები მინისტრის დანიშვნის შემდეგ. საქმე სასამართლომაც განიხილა ჩვეულ სტილში.

სხვადასხვა დროს გამოცემული მაქვს




ბა „ჭყონდიდელის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი. ამავე პერიოდში ვმონაწილეობდი დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს შექმნაში. ვიყავი მისი დამფუძნებელი და მმართველი საბჭოს წევრი.

1998 წლიდან აქტიურად ვმონაწილეობდი ეროვნული თანხმობის დარბაზის შექმნასა და საქმიანობაში. ვიყავი მისი დამფუძნებელი წევრი.

1999-2001 წლებში ვაორგანიზებ პოლიტიკური მართა განთავისუფლებისთვის ბრძოლას. მოშიმშილე პოლიტპატიმრებთან ერთად ციხეში მყოფი გურამ აბსანძის თავმჯდომარეობით ვაფუძნებთ პოლიტპატიმართა და პოლიტდევ-

მეცნიერულ-მონოგრაფიული თუ პუბლიცისტური წიგნები: „მხილება სიცრუისა“, „ტერაქტი თუ რეაქცია ტირანიაზე“, „დათრგუნული ღირსება“, „ნარკვევი რუსულ იდეაზე“, „სიმბოლო ქართული იდეისა“, „სახელმწიფოსა და დემოკრატიის საკითხისადმი დისპარატულ მიდგომაზე“. ვარ ათეულობით ნარკვევის, 150-ზე მეტი წევრისა და სტატიის ავტორი პოლიტიკაზე, ისტორიაზე, ფილოსოფიასა თუ ლიტერატურაზე.

მყავს მეუღლე, ქალ-ვაჟი და ორი შვილიშვილი.



პანონიერი ხელისუფლების უშიშარი ქომაგი

მურმან ზაქარაიას დამსახურება და ლვანლი კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში მეტად მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე ბატონი მურმანი ეროვნული მოძრაობის ავანგარდში დგას და ჩვეული ენერგიით იღვნის სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის, ეროვნული იდეების პროპაგანდისათვის.

მურმან ზაქარაია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გზის ერთგული მიმდევარი, კანონიერი ხელისუფლების უშიშარი ქომაგია. იგი კვლავაც თავდადებული მებრძოლია ქვეყნის გამოლიანებისათვის, ქართველ ერში თანხმობის დამკვიდრებისა და ქართველ ადამიანში დათრგუნული ღირსების აღდგენისა და დაცვისათვის.

მურმან ზაქარაიამ გაზეთ „აღდგომის“ მეშვეობით განუზომელი წვლილი შეიტანა

ეროვნული, მართალი უურნალისტიკის გა-დარჩენაში ტერორისა და რეაქციის პირობებში; მისი შემდგომი პუბლიცისტური საქმიანობა გამოირჩევა ახლებური მიდგომით, პრობლემათა ეროვნული პოზიციებიდან ანალიზით და გადაწყვეტის გზის ძიებით.

ჩვენ, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრები, ვულოცავთ ქვეყნის სამაგალითო პატრიოტს ბატონ მურმან ზაქარაიას დაბადების 75 წლის იუბილეს და ვუსურვებთ მრავალი წლის კვლავაც ნაყოფიერ შრომას სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში! დაე, მრავალი დაბადების დღე გადაგვეხადოს მის მშობლიურ კუთხეში, აფხაზეთში, და გვეხაროს ყველას ერთად ერთიანი, გაბრწყინებული საქართველოთი!

გურამ აბსარე, ნეომ გურჯულაძე, ზურაბ გუჩუა, თენერი კუპლაშვილი, გია მამურია, როგორტ პატრიაშვილი, ავთანდილ რცხილაძე, ანზორ სიჭინავა, ირინე ტალიაშვილი, ჯემალ შონია, ზურაბ ცელაია

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკატიო სიგელი



А҃҃СНЫТЭИ АВТОНОМТЭ
РЕСПУБЛИКА ИРЕИХАЗОУ
АСОВЕТ



აზერბაიჯანის ამტონოვის
რესაუნდისის
განვითარების სამსახური

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ও বাংলা বই

କାନ୍ଦର୍ମଳିଗ୍ରୀ, ନାୟକପୁରୀର ଶେଷଦୂଷଣଶ୍ରୀ, ପ୍ରୁଣିତିକୁଳଶ୍ରୀ ଓ ସାହରର ମେଲାପୁର୍ଣ୍ଣବିନ୍ଦୁରେ, ଅକ୍ଷେତ୍ରମର୍ମି ଶ୍ରୀରାମକୁଳ ମହାରାଜାରୀ ଏକଶ୍ରୀ ମହାରାଜାଙ୍ଗଳିରେ, ଠିଲୁଳିଯିବ ଗାଢାଫଳିଲ୍ଲୁହାର ମହାଲକ୍ଷ୍ମୀରୀ ଉଚ୍ଛ୍ଵାସିବିଲେ ଦ୍ୱାରା ସ୍ଵରଗିନୀ ଦୁଃଖଶାଶ୍ଵରୀରୀଙ୍କୁଳେ, ଦ୍ରବ୍ୟମହିଳା ଶର୍ମିକାଙ୍କୁ ମେଲାପୁର୍ଣ୍ଣବିନ୍ଦୁରେ ଶ୍ରୀରାମକୁଳ ମହାରାଜାଙ୍ଗଳିରେ ଅକ୍ଷେତ୍ରମର୍ମି ରହିଲାକୁ ଉଚ୍ଛ୍ଵାସିବିଲେ କଥା ହେବାରେ ନାହିଁ।

အန္တရာနိုင်ငြပ်၊ အန္တရာနိုင်ငြပ်ရုံး၊ ရန်ကုန်မြို့၊ ရန်ကုန်မြိုး၊ ၁၉၈၅

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ

జ.అంగార్కి
23.09.2020
No. 65 - 3

ମେସାହ ପରିବହନ କାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ର

ჩემო სულით ნათესავო მურმან! შენ ხარ პედაგოგად დაბადებული საქვეყნო ადამიანი. ყოველდღე დღესასწაული და მოსალოცი ამბავი გქონდეს! სიცოცხლე რომ გიხაროდეს, ისე ყოფილიყავი კიდევ მრავალ წელს!

ყველა თაობის ნანატრ საქართველოს მოვსწრებოდეთ!

შენ სრულად იცი, რა არის
ადამიანის მისია,
შენი კაცობის ამბავი
დიდი პოემის ლირსია!

რევაზ ოყუჯავა,

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელი

მასწავლებლთა ღვაწლის დაფასებისა და მათთვის პატივის მიგების მიზნით!



მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მასწავლებელთა ღვაწლის დაფასებისა და მათთვის პატივის მიგების მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილები მარინა შენგელია და ირმა კეკელიძე, სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი ნინო ლობჟანიძე აფხაზეთის დამსახურებულ მასწავლებელს, ქ. გაგრის №1 საშუალო სკოლის პედაგოგს ალექსანდრა (საშუალო) შენგელაიასა და ქ. სოხუმის სოფელ იაშთხვის საშუალო სკოლის პედაგოგს, ეროვნული მოძრაობის აქტიურ წევრს მურმან ზაქარაიას ენვივნენ.

მარინა შენგელიამ და ირმა კეკელიძემ მადლობა გადაუხადეს მათ საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და მომავალ თაობებზე ზრუნვისათვის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელი და საჩუქრები გადასცეს.

ალექსანდრა (საშუალო) შენგელაია - მშობლიური კუთხის აფხაზეთისა და საერთოდ, მთელი საქართველოს დიდი პატრიოტის თამაზ ნადარეიშვილის დედა - არაერთი ქართველი, აფხაზი და სხვა ეროვნების ახალგაზრდის აღმზრდელი და დამკვალიანებელია. მან აფხაზეთში ცხოვრებისა და მუშაობის წლები სიყვარულითა და ნოსტალგიით გაიხსენა და იქ დაბრუნების დიდი იმედი გამოთქვა. აფხაზეთში დაბრუნების იმედით იყო გამსჭვალული მურმან ზაქარაიას სიტყვებიც. ადამიანისა, რომელმაც დევნილობამდე თუ დევნილობის შემდეგ თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ეროვნული იდეალების ერთგულებასა და აფხაზეთში დაბრუნებისათვის ბრძოლას შეალია. მან ხაზგასმით თქვა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსგან მიღებულ საპატიო სიგელს ქ. სოხუმის სოფელ იაშთხვის საშუალო სკოლისთვის გადაცემულ სიგელად აღიქვამს და მას უძღვნის.

თაგილონი

იმაზე, რაც ვერ მოხვდება ავტობიოგრაფიაში

ადამიანი საკმაოდ აქტიური ენერგიის მატარებელი არსებაა, რომელსაც მუდამ სჭირდება გარეშე მასტიმულირებელი ძალა, რათა სრული სისავსით შეიგრძნოს შინაგანი თავისუფლება და საკუთარი „მე“-ს ძახილი, ქმედებათა ჩვენთვის უხილავი შინაგანი პრინციპები, რომელნიც აყალიბებენ ჩვენს სულიერ სამყაროს, ბუნებრივად ბოძებულ უნარ-ჩვევებს. ჩემში ასეთი ენერგიის მაფორმირებელი სუბსტანციაა პატარა ბიჭის გონებაში გადასული და ჩაბეჭდილი მშობლიური თაგილონის სანახების სული.

სული...

სვანეთის მთიანეთიდან მოვარდნილი, კაშხალამდელი, ბობოქარი ენგურის შხუილს მიყურადებული პატარა ბიჭის მეხსიერებაში დავანებული...

ენგურისავე თვალნარმტაცი რიყის ალაგებით: „ნაპარონი“ და „ნაგოლოფუ“; „ოტუნგე“ თუ ადამიებისა და ზაქარაიების „დიდი ეზოები“ (იქვე, წინაპართა საფლავი), ჩვენი „დინამო“ და „ემფილდი“, „მარაკანა“ თუ „ნოუ კამპ“ რომ იყო.

მუდამ ნელთბილი „ხაია“ და „მალე“ – „ვარადის მიკოხილთან“ ზედ გორაკზე აღმართული შუასაუკუნოვანი „ნიფურიას“ ეკლესიისა და საგანმანათლებლო კერის ნანგრევებით; ენგურის დუდუნს შებერებული „ჩე ოხვამე“ და ეწერისპირის დარაჯად ქცეული „წამხარი“, მისი ფატალური ლეგენდით. ამ ქრისტიანულ ძეგლთა სამუჟთხედს მიღმა რკინიგზის ხაზთან აღმოჩენილი 2500 წლის წინანდელი „თაგილონის განძი“ მისი საოცარი და ტრაგიკული ბედით, რუსებმა რომ დაატეხეს თავს, ჩემი სულიერების, გენოკულტურული შემეცნების, ზნეობის ფილოსოფიის, გონმისაწვდომი სამყაროს მაფორმირებელი ნამდვილობაა.

ამიტომაც არის, რომ მეტაფიზიკოსებისაგან განსხვავებით არ შემიწუხებია თავი კითხვით: რანაირად და როგორ აზროვნებს ჩემი გონება, სწორედ ასე და არა სხვაგვარად.

ამ ნამდვილობის ფონზე ჩემი წერა-კითხვის უცოდინარი დედის წირვა-ლოცვის მეშვეობით შევიგრძენი არსებობა ყოვლისგანმკარგავი, უხილავი ძალისა. მისმა დარდიანმა ამოკენესამ კი, „ჩემი ცოდვა მათ, ვინაც მე სწავლის ნება



არ მომცაო“, ჩემში აამოქმედა ის შემოქმედებითი პოტენციალი, რომელსაც უნდა მივეყვანესაკუთარი თავის შემეცნებამდე.

ამ გზაზე ცოდნის კარის შემღები, ჩემთვის მარად დაუვიწყარი ნუცა ლაკირბაია-გეგიძისა იყო... ასე განხორციელდა თაგილონის პირველ დაწყებით სკოლაში 5 წელს ოდნავ გადაცილებული ყრმის ცხოვრებასთან ხელშეკრულების

დადება... მაგრამ ჯერაც უდარდელნი ვართ... ბუნებას შეზრდილი ლალი შვილები... ჯერაც არ გვადარდებს შიში შიშისა... ოღონდაც ღამე არ იყოს წყვარამი... ჯერ შორი გზაა გასავლელი იქამდე, ვიდრე გავიგებდე, რომ „შიშის მონობა შიშის ყველაზე საშიში ფორმაა“ (ბ.შოუ).

ასეთია ჩემი „სიყრმის სანეტარო ნირვანის განცდა“ (აკ.განერელია).

გ ზ რ ბ ლ ე ბ ი



ენგურისპირა სოფელი თაგილონი – უძველესი კოლხური წიფურია, დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი... წიფურის ეკლესია მე-17 საუკუნეში დადიანმა ევროპელ კათოლიკე მისიონერებს გადასცა. იქ მოღვაწე ფრანგმა და იტალიელმა მისიონერებმა მეტად საყურადღებო ცნობები დაგვიტოვეს საქართველოს შესახებ. ბუნებრივია, თაგილონში აქტიურად ხდებოდა კოლხური და დასავლეთევროპული კულ-



ტურის სინთეზი, რაც არა მარტო სულიერ სფეროში, არამედ სამეურნეო საქმიანობაშიც აისახებოდა და საუკუნეობით თან მოჰყვებოდა თაგილონელთა ოჯახურ ტრადიციებს.

ასეთი კულტურით ნაკვებ წინაპართა შთამომავალია მურმან ზაქარაია. მისი მშობლები სოფელში პატივცემული ადამიანები იყვნენ პატიოსნებით, სიკეთითა და შრომისმოყვარეობით.

დედა – დუნა შენგელია, სათნო, მორწმუნე, დღენიადაგ მოფუსფუსე კოლხი ქალი, ოჯახის ნამდვილი დედაბობი იყო. გარდა ამისა, ქ-ნი დუნა ცნობილი გახლდათ, როგორც ხალხური მედიცინის ჩინებული მცოდნე, კოლხი მედეას მიწის მცენარეულობათა მადლის მესაიდუმლე და მკურნალი.

მამა – შალვა ზაქარაია წელში გამართული, ძლიერი და სტუმართმოყვარე ოჯახის ამაყი პატრონი, მამაპაპური ადათ-წესების ერთგული მცველი და აღმსრულებელი იყო, რომელმაც კოლექტივიზაციის სუსხიან წლებშიც კი შეძლო შეენარჩუნებინა წინაპართა ნაოფლარი მამულიც და პიროვნული ღირსებსაც.



სახელოვნად განვლილი 75 წელი

მგზნებარე სამურზაყანოელს, ნაღდ საბედიანოელს, ჭეშმარიტ ისტორიკოსსა და საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ჩემს თანასკოლელს, მურმან ზაქარაიას 75 წელი უსრულდება 6 ნოემბერს, რომელსაც ვერაფრით დავიჯერებდი, ჩემი უკან მოტოვებული ორი შვიდიანი წლების რაოდენობა რომ არ გამსხვენებოდა.

გამახსენდა და სრულად დავბრუნდი, გარდავისახე და გადავბარგდი ჩვენი სკოლის მოწაფეობის ეპოქაში. ჩვენი ულამაზესი, კოხტა და თვალწარმტაცი სოფელი თაგილონი... შესანიშნავი საშუალო სკოლა თავისი თვალსაჩინო პედაგოგ-მასწავლებლებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა პრეზინვალე სკოლის დირექტორი, ბატონი შალვა ჯოლოგუა... დიდი სიყვარულის გრძნობით მახსენდება თითოეული ჩვენი პედაგოგი, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით გვიღვივებდნენ ცოდნისადმი სიყვარულსა და შრომისმოყვარეობას.



თაგილონში საბაზისო სკოლა დახურეს.

მიუხედავად იმისა, რომ მურმანი ერთი კლასით ჩემს შემდეგ იყო, ჩვენ ბავშვობიდანვე ვმეგობრობდით. მაშინაც მოუსვენარი, უშრეტი და ამოუწურავი ენერგიის პატრონი იყო; გაკვეთილებს შორის შესვენებისას ერთი წამითაც ვერ ნახავდი ერთ ადგილს გაჩერებულს. ჩემო მურმან, მინდა წამით დაგაბრუნო იმ პერიოდში და გაგასენო, როგორ დაგსდევდნენ უკან ცელქ და მოუსვენარ ბიჭს უმცროსი და უფროსკლასელებიც, შენი მეორე სახუმარო სახელის „შუტუს“ ძახილით (წეტავი იმ დროს).

ჩვენი ურთიერთობები უფრო განახლდა

სოხუმში, როდესაც ჩვენი შვილები დაგვყავდა ერთ საჭადრაკო სკოლაში. სანამ ბავშვები ჭადრაკის გაკვეთილით იყვნენ დაკავებული, ჩვენ ძირითადად ეროვნულ საჭირბოროტო საკითხებზე ვსაუბრობდით. ერთხელ შემეკითხე ჩემს ბიჭზე, რომელიც შენს გოგონასთან ერთად ჭადრაკს თამაშობდა, ზვიადი რატომ დაარქვიო. მე გიპასუხე, კონსტანტინე გამსახურდიას იდეებზე გაზრდილმა, 1978 წელს დაბადებულ ჩემს პირველ ბიჭს დაგვარქვი ფართო საზოგადოებისათვის იმ პერიოდში ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი დისიდენტის სახელი-მეთქი.

იმ დროიდან მოყოლებული, შენ დაუღალავად იბრძოდი საქართველოს უკეთესი მომავლისა და კეთილდღეობისათვის, რასაც დღემდე აგრძელებ შენი დაუშრეტელი ენერგიითა და ცოდნა-გამცდილებით.

ეთნოკულტურული ტრადიციებისადმი შენი ერთგულება და ჭირისუფლობა სრულყოფილად გამოაპირნიებს ყოველივეს, რაც სამურზაყანოს, საბედიანოს კულტურულ შინაარსს შეადგენს, და ყოფით პრაქტიკაში წარმოაჩენს, თუ როგორ არის სამურზაყანოელი პატრიოტი ქართველი ამ ტრადიციებით დამშვენებული.

გილოცავ, ჩემო მურმან, ამ შესანიშნავ თარიღს! ასე მხნედ და ჯანმრთელად ყოფილიყავი მრავალი წლის განმავლობაში! თუ მომავალ რიგით დაბადების დღეს ვერ მოხერხდება, მრგვალი საიუბილეო თარიღი – 80 წლის იუბილე აღგენიშნოს მშობლიურ თაგილონსა და ტრაპეციის ქუჩაზე სოხუმში!

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით,

იურა გონია,

თაგილონის საშუალო სკოლის 1960 წ. კურსდამთავრებული

ი ა შ თ ხ ე ლ ი



ცოტა რამ იაშთხევის ჩართული საშუალო სკოლის გახსნის ისტორიიდან

1960-იანი წლების დასასრულისთვის გრიგოლ (გრიშა) სალიას ინიციატივითა და ორგანიზაციონით ხორცი შეესხა მრავალწლიან ოცნებას – სოფელ ქვემო იაშთხევაში აშენებულიყო ქართული საშუალო სკოლა (არსებობდა დაწყებითი ქართული სკოლა, გადასახლებული ბერძნის ნასახლარში – რვანწლიანი ქართული სკოლა). სოფელში იყო რვანწლიანი სომხური სკოლაც).

იმუშამად საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ქალბატონი თამარ ლაშექარაშვილი იმთავითვე გაგებით მოეკიდა ქართული მოსახლეობის სურვილს, დაინახა ქართული საშუალო სკოლის არსებობის აუცილებლობა და თავისი უშუალო გულმოდგინებითა და ქართული სულით შეძლო, დადებითად გადაეწყვიტა იაშთხევაში ქართული საშუალო სკოლის მშენებლობის საკითხი. მან კახეთის ერთ-ერთი სკოლის მშენებლობა ჩაანაცვლა ათხაზეთში, სოფელ იაშთხევაში, ქართული საშუალო სკოლის იმ ეტაპზე აშენების პრიორიტეტით, ბოლომდე თვალს ადევნებდა მშენებლობას, თავადვე მისცა რეკომენდაცია უახლესი, თანამედროვე სტანდარტის სკოლისა, რომლის პროექტირება სომხეთში უნდა განხორციელებულიყო (ეს უახლესი მოდელი ეკუთვნოდა სომხეთს. სომხეთში გაემგზარა გ. სალია. მიღწეულ იქნა შეთანხმება დაპროექტებისა, რომელიც საჩუქრად გადმოგვეცა (სამწუხაროდ,

გარკვეულ მიზეზთა გამო ადგილზე პროექტი შეიცვალა).

და აი, სკოლის საძირკველიც ჩაიყარა – სოფლის მცველობა ნუგზარ ნარსიამ, ქვემო იაშთხევის რვანწლიანი სკოლის VIII-კლასელმა, ცოდნის ტაძრის აღსამართავ მიწაზე სიმბოლურად საზეიმოდ „დასვა პალო“ და საწინდარი დაედო მნიშვნელოვან ქართულ საქმეს – ქართული საშუალო სკოლით ეროვნული სულის აღზრდას. ეს იყო ერთადერთი ქართული სკოლა, უშუალოდ და სახელდახელოდ აგებული საქართველოს ბიუჯეტით (ჩვენთვის ცნობილია საბჭოეთის ცენტრალიზებული საბიუჯეტო სისტემა – საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ოლქი). ისინი განკარგავდნენ მოცემულ ბიუჯეტს შეხედულებისამებრ, ჩვენი ჯერი კი არ დგებოდა).

1970-1971 სასწავლო წლის 1 სექტემბერს ცოდნისკენ მომწოდებელმა ზარმა ჩამოკრა – ქვემო იაშთხევის №1 საშუალო სკოლის ზარმა, აურიამულებული სიცოცხლე აჩქეფდა და აღზრდის კერა ნარმატებული სკოლის სტატუსით ენეოდა სწავლა-აღზრდის ღვთიურ მისიას სომუმის დაცემამდე.

მედეა სალია,

იაშთხევის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

იმაზე, რაც ვერ მოხვდება ავტობიოგრაფიაში (გაგრძელება)

მე ვცხოვრობ, მაშასადამე, სხვებიც ცხოვ-
რობენ... არსებობს რაღაც მარადიული, რომე-
ლიც განაგებს ყოველივე ამას. ჩვენმა არცთუ
ყურადღებიანმა გონებამ ამ მარადიული ძალის
გამოვლინებასაა, ბედისწერა რომ უნოდა. არც
მე მაქვს რაიმე სანინააღმდეგო, ვინაიდან ეს
კომპოზიტი იმდენად ყოვლისტევადია, რომ მის
შექმნაში ჩვენი „უყურადღებო ჭკუის გარდა“
რაღაც სხვა უფრო დიდებული და მარადიული
ენერგიაც მონაწილეობდა.

მაშასადამე, ხუთი წლის ასაკიდან ცხოვრე-
ბასთან ნაძლევდადებული პატარა ბიჭის არსებას
ეს ბედისწერა მიმაქანებდა, რათა ჩემი შეილ-
ებისთვის ახალი „სადგომი“ შემექმნა, უძველესი
კოლხეთის ენგურისპირზე არანაკლებ დიდებულ-
სა და მშვენიერ სანახებში, იქ, სადაც აშელური
ქვის ხანის ადამიანს შეუმზადებია ნიადაგი კოლ-
ხური გენოკულტურისათვის.

ჩემი ცხოვრების ამ გზამ სამუდამოდ დამარ-
წმუნა, რომ ზედმინევნით სწორია მოსაზრება,
რომ „არ იფიქრო, შენი მოქმედება შედეგია ოდენ
შენი ფიქრის“, არამედ ასევე არსებობს წინასწარ-
დაგეგმილი ჰარმონია ჩვენი სულის მონადასა და
მთელი ჩვენი სხეულის მონადას შორის, რომე-
ლიც წარმართავს ჩვენი გონით საწვდომ მთელ
სამყაროს.

ამ ჰარმონიულობით აღჭურვილი, ხელში ყვე-
ლა დადებითი ნიმნით აჭრელებული ატესტატითა
და ჯიბეში 1961 წელს დაწყებული ენგურპესის
მშენებლობის „პუტიოვკით“ და ასევე, ბრუნვაში
ახლად შემოსული სამი მანეთიანით გავუდექი
გზას, რათა ცხოვრებასთან დადებული ხელ-
შეკრულების კეთილსინდისიერად შესრულება
გამეგრძელებინა...

... სხვადასხვა ინსტიტუტებთან უფლო
ახალგაზრდის ათწლიანი ჭიდილი ფორტუნამ
ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტა. მაშინ როცა მო-
რიგ ჯერზე მივადექი საგამოცდო კომისიის კარს

საბუთების გასატანად, მირჩიეს, არ გამეტანა,
რადგან რაღაც ახალ დადგენილებას მოელოდ-
ნენ... იმანაც მოაწია სოსუმამდე... ვისაც სამ-
ხედრო სამი წლის აქეთ ჰერონდა დამთავრებული
და მუშაობდა, უკონკურსოდ უნდა ჩაერიცხათ
საღამო-დასწრებულ ფაკულტეტში. ... აი, ამას
ჰქვია ბედი... მეორე დღესვე მივადექი ინსტი-
ტუტის გარე პერიმეტრზე გამოკრულ სიებს,
მოვიძეო ჩემი ფაკულტეტი და ჩავუყევი სიაში „ზ“
ასოს ძიებას (ხომ საინტერესოა, ვინ ისწავლის
შენთან?)! აი ისიცა... მაგრამ ვაი უბედურებას! იქ
ზაქარაია კი არა, ზარქუა წერია მხოლოდ, ისიც
გურამი და არა მურმანი. რეტი დამესხა... ისევ
ჩავუყევი სიას, იგივე გამეორდა... მოვპრუნდი
გულდანყვეტილი, მაგრამ იმავე წუთას რაღაც
შეუცხობელმა ძალამ ისევ მიმაბრუნა სიისკენ...
ისევ ჩავუყევი თავიდან (სულ 16 კაცი იყო), და აი,
ეს „ზ“-ც, საოცრებავ... ზედ შავით თეთრზე წე-
რია: ზარქუა გურამი, ზაქარაია მურმან და მერე?!

* * *

პოლიტბიუროსა და ცკ-ას „მოულოდნელმა“
დადგენილებებმა კიდევ ერთხელ წარმართა ჩემი
ცხოვრების გზა ჩემი ფიქრებისგან დამოუკიდებ-
ლად... რომელიც ყრილობამ გადაწყვიტა, გან-
საკუთრებული ყურადღება მიქცეოდა სოფლის
სკოლების განვითარებას. ამ „გადაწყვეტილების
შუქზე“, დიდებული პიროვნების გიორგი (ჟორა)
კაციას რეკომენდაციით და ასევე განათლების
სამინისტროს მოულოდნელი გადაწყვეტილებით –
„საშუალო სკოლებში „სამართალმცოდნების
სწავლების შემოღების თაობაზე“, „აღჭურვილი“
აღმოვჩნდი იაშთხვის №1 საშუალო სკოლაში მას-
წავლებლად... აქედანვე დაიწყო ჩემ წინააღმდეგ
ბრძოლა სომხური დიასპორის წარმომადგენელთა
და აფხაზეთის განათლების სამინისტროს ქარ-
თველ მაღალჩინოსანთა მხრიდან... მაგრამ სკო-
ლის ბრწყინვალე პედაგოლოგიკური იაშთხვისა და ქართული
მოსახლეობის არნაცული
მხარდაჭერით, ეს „ბრძო-
ლა“ დასრულდა აფხაზე-
თის საოლქო კომიტეტში,
სადაც აფხაზმა გუპაზმა
წერტილი დაუსვა შას და
მომჩინენი სულ კინწის-
კვრით გაყარა... აი, ასე
გულში ჩახუტებით მიმი-
ლო ჩემთვის მშობლიუ-
რად ქცეულმა იაშთხვამ.
მისმა აშელური ხანის გა-
მოქვაბულმა სამუდამოდ
დაგვაკავშირა თითქოსდა
მის დარაჯად მოვლენილ,
ჩემთვის მარადსახსოვარ



ბორია ზარქუას ოჯახთან და ოყუჯავების დიდებულ „ანსამბლთან“ ასევე კეთილსახსოვარი სარა ოყუჯავას ლოტბარობით...

* * *

იაშთხვის სკოლამ, როგორც ქართული სულიერების დარაჯმა, არა მარტო გამიხსნა კარები, არამედ დაწყებითი კლასის დიდებულმა პედაგოგმა ლუბა კაკულიამ, როგორც საკუთარი სისხლ-ხორცი, ისე მიგვიღო და თითქმის ერთ ოჯახად ვიქეცით, რომელიც გაგრძელდა ჩემ მიერ საკუთარი ოჯახის გამართვის შემდეგაც... ეს სულიერი კავშირი დღემდე გრძელდება ქალბატონი ლუბას ერთადერთი ვაჟიშვილის გურამ კაკულიას მეშვეობით.

ჩვენი ოჯახის სულიერი განცდის ნაწილს წარმოადგენენ ჩემი ახალი მეზობლები – პირტახიები, ფარულავები, კაკულიები, ქირიები, ნარსიები, ბაკურაძეები, ზარქუები, კანკიები, გერგედავები, ქაჯაიები, სარჩმელიები; წმინდა მირონმა შეგვერა სალიების დიდებულ ოჯახთან...

განსაკუთრებული სიყვარულითა და გულწრფელი კავშირებით გვასულდგმულებდა ურთიერთობები ბენდელიანებთან, ტორჩინავებთან, კიკელიებთან, კოპალიანებთან, ჯოჯუებთან, ჭკადუებთან... მომიტევონ კიდევ მრავალთა, რომელთა აღნიშვნაც ადგილის შეზღუდულობის გამო ვერ ხერხდება, მაგრამ არ შემიძლია განსაკუთრებული პატივისცემით არ მოვიხსენიო ჩემი უდროოდ „დაინზარქტებული“ გულის დაუშურებელი მეურნალი მირიან მიშველაძე!..

მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებული ფენომენია სულის ნაწილად ქცეული ამ სკოლის პატარა პედაგოგეტივი... ჩემთვის ყოველი მათგანი ცოცხალია და ასევე იქნება, სანამ მე ამ ქვეყნიერებას შევრჩენივარ და ვუმზერ.

სკოლის თავკაცი, დიდებული პიროვნება პაჭული კვარაცხელია, სასწავლო პროცესის წარმმართავი და მისი ნამდვილი გონი – ელიკო კირთაძე და მისი ქალიშვილი, ჩვენი ოჯახის ნათელ-მირონი, ენისა და ლიტერატურის დიდებული მასწავლებელი მედეა სალია.

პედაგიურების ბრნიშინვალე წარმომადგენელი ბატონი ჯემალ ჯინჯიხაძე და მისი მეუღლე ლალი აფხაზავა; სკოლის ორგანიზაციული საქმიანობის წინამდლობი და ჩვენი შეუცვლელი თამადა ბორია ზარქუა, რომელთანაც ასევე ნათელმირონბით შევიკარით.

სამამულო ომის ვეტერანები: დიდებული ლიტერატორი შოთა თადუმაძე, მისი მეუღლე ლოლა ქაჯაია და გერმანული ტყვეობაგამოვლილი, ვერცხლისწყალივით მოძრავი და დაუდგრომელი კოლია კუპრავა, რომელიც საკუთარი ბინის ეზოში წყლის ასაღებად გამოსული დახვრიტეს სეპარატისტებმა. რუსული ენის მასწავლებელი, დედაშვილი შოლა ტორჩინავა და რუსიკო ფილიპოვა, ჩემი შვილებისთვის ცოდნის კარის შემდები: მარინა მალიშავა და თამარ მიქავა; დიდებული სპეციალისტები და ბრნიშინვალე აღმზრდელები: ნათელა კაკამვილი, ბაბუცა ჭანტურია, ბობოქარი ნინა კიკალეიშვილი, ნათელა ქებურია, მაყვალა ხურცილავა, მზია თოფურიძე, ჩვენი კარის მეზობელი მთვარისა ბენდელიანი; ჩვენი ყოფილი მოსწავლე, მშობლიურ სკოლას მასწავლებლად მიბრუნებული დარეჯან ნიქაბაძე; ფიზკულტურის მასწავლებელი და სკოლის მეურნეობაში ყოველგვარი დეფექტის გამსწორებელი ვლადიმერ (ბურდუშა) ცანავა; მაგრამ სულ სხვა იყო ჩვენი სკოლის სულიერი და კულტურული საქმიანობის ორგანიზაციონი, დღემდე, მთელ სამყაროში მიმოფანტული ამ კოლექტივის ცოცხლად დარჩენილი ნევრების ერთურთთან დამაკავშირებელი და მიცვალებულთა სულის მეოხი, დაუღალავი, ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი გულნარა კეკელია... მომიტევონ იმათ, ვინც უნებლივით თუ გარემოებათა გამო გამოგვრჩა, განსაკუთრებით პირველი პლეადა მასწავლებლთა...

მაგრამ ჩვენთვის – მასწავლებლთათვის ყველაზე ტრაგიული მაინც მოღალატეთა მიერ რუსული ტირანიის გავლენით გაჩაღებულ ომს შენირული ჩვენივე მოსწავლეებია... მე, ყოველ შესაფერ შემთხვევაში, ყველას ვთხოვდი და ახლაც ვთხოვ, ვისაც ძალუძს, მოგვაწოდონ მასალები ამ პატარა ბიჭების ბრძოლისა და დალუბვის თაობაზე, რათა შთამომავლობას შემორჩეს მეხსიერება მათი სამშობლოსათვის გულწრფელ ბრძოლასა და თავგანწირვაზე.





* * *

რამდენადაც ჩვენი ეს მცირე მოგონებანი ავაგეთ დიდ „პრეტენზიულ“ მოთხოვნაზე – სულის ფორმირებისა და ბედისწერის განგებულების იდეაზე – მიყვეთ ამ გეზს.

რამდენად შეიძლება ბედისწერას მიეწეროს ის, რომ აქ ნარმოდგენილ სურათზე, სადაც ოდენ ტყედქცეულ შემოსაზღვრულ სივრცეს ვხედავთ ერთ დროს აყვავებული წალკოტის ნაცვლად – „დიდი და პატარა“ სახლით, რომლის ნაკვალევიც არსად ჩანს. არ ვიცი, მაგრამ ის კი მართლაც ბედისწერას უნდა მიეწეროს, რომ დღეს მიწისპირიდან აღგვილ ამ სახლ-კარში ხდებოდა, კომუნისტურ-კრიმინალური პუტჩის შედეგად 200-წლიანი მონობიდან ქვეყნის განმათავისუფლებელი კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, მისი აღდგენისთვის მთელ ქვეყანაში ფართოდ გაშლილი ბრძოლის ორგანიზება. ეს ფაქტია!

როგორც აქვე გმოქვეყნებული წერილიდან: „ტაშკენტის 25“ – თავისუფლებისა და ლირსების-თვის ბრძოლის სიმბოლო“-ს ნახავს მკითხველი, ხუნტის საწინააღმდეგო სახალხო გამოსვლების, „კანონიერი“ გვარდისა და დადგენის, სააგიტაციო-პროპაგანდისტული საქმიანობის გაშლის, რაც

მთავარია, გროზნოში მოქმედი კანონიერ ხელი-სუფლებასთან რეგულარული კავშირის დამყარება და აქვე მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზების საქმის სტრუქტურულად ორგანიზება საშური საქმე იყო, მით უფრო, რომ აფხაზეთში მოეყარა თავი დევნილი უზენაესი საბჭოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების საკმაოდ დიდ კონტიგენტს. ასე რომ, დღეს გავერანებული ეს ეზო-კარი არის მოწმე დიდი ვწებათალელვებისა. სწორედ მას შეენირა ის.

ხუნტის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ცეცხლის აგიზგიზების ამ ერთ-ერთ კერას, მართლაც ხელშესახები სიმდიდრის გატანის შემდეგ, თვითონ მას შეუნთეს ცეცხლი. შემდეგ კი ფუნდამენტიანად ამოძირკვეს...

ასე იქცა დიდი ბოროტება რეალობად... უბედურებითა და დანაშაულით გარემოცული ეს ცხოვრება ყელში გვიჭრს და გვახრჩობს... იმედგაცრუებას იმედგაცრუება მოსდევს. დღეს ჩვენში მოცემული დაუნგრეველი მონადას ღვთიური ცეცხლის ნაპერნკლიდან ჩვენს სულში დანთებულ ფარულ ალს შეერთებია ჩემი სახლ-კარის გამანადგურებელი ცეცხლის ენერგიაც და სამართალს ითხოვს...

ცერილები

„ტაშკენტის 25“ – თავისუფლებისა და დირსებისათვის ბრძოლის სიმბოლო

ჩვეულებრივ, ჩვენი უურნალის ყოველი ახალი ნომერი იხსნება რუბრიკით „კლასიკა“. ეს ტრადიცია მემკვიდრეობით მივიღეთ უურნალ „მიჯნას“ აღდგენამდე, ჩვენივე გამომცემლობაში, ლაშა გვასალიას რედაქტორობით გამომავალ უურნალ „მწერლობა-XXI“-დან. დღევანდელ სპეციალისტი ვარღვევთ ამ ტრადიციას და ნომერს ვიწყებთ სარედაქციო წერილით, რათა მკითხველს, კანონიერებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლაში უდიდესი ტანჯვა-წამება გამოვლილ საზოგადოებას, ზოგად შტრიხებში ნარმოვუფლივოთ დათორგუნული ღირსების აღდგენისთვის ბრძოლის საზრისი – გააზრებული „ტაშკენტის 25-ის“ იდეაში, რომლის ფორმირების სათავეებთან გვეგულვის ჩვენი იუბილარი – ლუარა (დოდო) გამყრელიძე.

ამდენად, ამჯერად „კლასიკას“ შევაწუხებთ ოდენ გადატანითი მნიშვნელობით, ადამიანური ვნებებისა და განსაცდელთა უზომო ტანჯვა-წამების ატანის უნარის შეფასების თვალსაზრისიდან.

„აღდგომის“ ოდისეა

ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაზოგადოებრივი პუტჩისტური ალიანსის მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების გზით დამხობილი და ქვეყნიდან განდევნილი პრეზიდენტისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის გაშლილი სახალხო ბრძოლის პირველივე ეტაპზე, ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანში – აფხაზეთში დაბადებული ამ გაზეთის მძიმე განსაცდელებით აღსავსე გზის შედარება ოდისევსის საზღვაო ხეტიალთან – ტროადან ითაკაში დასაბრუნებლად, ალბათ მრავალ-რიცხოვან განსაცდელთა თვალსაზრისით თუა შესაძლებელი, რომელიც თავს გადახდათ ამ გაზეთის მესვეურთ, მათ გვერდით მდგომ, კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის მებრძოლთ, პროსაბჭოური (პრორუსული), მოღალატე კოლაბორაციონებითან უთანასწორო, მაგრამ ღირსებით აღსავსე ბრძოლაში. ამიტომ „აღდგომის“ დევნისა და მისი „ხეტიალის“ რეალური ისტორია აღალად შეიძლება მივუსადავოთ განსაცდელთა დაძლევის სიმბოლოდ მიღებულ ამ პოეტურ შედევრს.

თუ ოდისევსს წინ ეღლობებოდა მისი ცოლობის მოსურნე ნიმფა კალიფსო და ღმერთაგან ერთადერთი პოსეიდონი, მაშინ როცა ყოვლის შემძლე ზევსი და ოლიმპოს ღმერთთა მრავალ-რიცხოვანი ლაშქარი მფარველობდა, ის მაინც ვერ ასცდა განსაცდელებს.¹

„აღდგომის“ მტერთა და მდევნელთა რიცხვი შეუძარებლად დიდი და მრავალფეროვანი იყო. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ოდისევსის მოწინააღმდეგენი, მოირას მორჩილნი, განსაზღვრულ წესსა და რიგს ვერ გადაუხვევდნენ, მაშინ როცა „აღდგომის“ მტრებისთვის არც ღმერთი და არც ხატი არ არსებობდა, მით უმეტეს, ზნეობრიობა, არაფერი რომ არ ვთქვათ კანონსა და ღირსებაზე (მართლმსაჯულებაზე), რომელიც დაყრუებული და დაბრმავებული დასავლური დემოკრატიის თვალწინ ფეხვეშ გათელეს.²

ამდენად, „აღდგომის“ გზა, მოღალატეთა მიერ ომის ქარცეცხლში გახვეული აფხაზეთიდან (იაშთხვიდან) ტაშკენტის 25-მდე, არის რეალური და დაუნდობელი ბრძოლის სამწლიანი გზა. ამ გზაზე ცალთვალა ციკლოპების ნაცვლად ჩასაფრებული იყვნენ სუკური გამოცდი-

¹ ნიმფა კალიფსომ დიდი ხნით გამოკეტა გამოქვაბულში, ხოლო იქიდან თავდაღწეულს, კოლხმა კირკემ, აიეტის დამ, მისი ნაქები მხედრობა სულადაც ღორებად უქცია, არაფერი რომ არ ვთქვათ პოსეიდონისგან მიყენებულ დარტყმებზე.

² დემოკრატიის ეს მამები, დიდად ჩვენი ძალისხმევითაც სასიკვდილოდ დაჭრილი საბჭოთა იმპერიის ამ უგრძნობელ ცხედარს მისეოდნენ და მისი გაფუქვნით იყვნენ დაკავებული და ხმა-კრინტის ამოღების უფლებას არ აძლევდნენ სსრკ-ის წინააღმდეგ, ვინიცობაა, არ გაეღვიძა ამ მომაკვდავ მასას და არ მოესპომათთვის მაროდიორობის შესაძლებლობა.

ლებით „დამძიმებული“ შევარდნაძის ემისრები: კომუნისტურ-ნომენკლატურული კოლაბორაციონალისტები; რუსული იარაღით ალტურვილი და ინსპექტირებული, სსრკ გენშტაბის მარიონეტი კიტოვანის „ხალხი“; ჯაბასეული „მხედრონი“, მისი მიმყოლი ქურდულ-კრიმინალური სამყარო; მაგრამ ყველაზე უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენდა დაუნდობელი, ბუნებით ორპირი, მხოლოდ საჟუთარ კეთილდღეობაზე მოფიქრალი „ნითელი ინტელიგენცია“, რუსულ-კომუნისტური იდეოლოგიით ტვინნალრძობი და გონმოშხამული მასა. განსაკუთრებით მძიმე იყო და არის ამ უკანასკნელთა უზნეობასთან და „ანგლობასთან“ ბრძოლა, მაგრამ გაზეთმა ეს ბრძოლაც ღირსეულად გადაიტანა და როცა დადგა უამი, ის ფენიქსივით აღდგა ტაშკენტის 25-ში ჩვენი იუბილარის თანადგომით.

ამ სამწლიანი განსაკუდელის გამოვლით მიადგა „აღდგომა“ ტაშკენტის 25-ს, სადაც მას პირველი ნომრის გამოსვლის დღიდან ყოველი კვირის ბოლოს მოელოდნენ. ის მათვის თავისუფლებისთვის უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვების იმედს ასხივებდა კანონიერების აღდგენისთვის მებრძოლი აფხაზეთიდან და სოხუმიდან.

ამჟამად, 1995 წლის თებერვალში „აღდგომა“ ტაშკენტის 25-ს ეწვია არა მუშტადის პარკში ნაშოვნი ერთი ეგზემპლარით, არამედ თითქმის ორწლიანი ბრძოლის შემდეგ განახლებული გაზეთის მთელი ტირაჟით დატვირთული ფურგონით და „მთელი რედაქციით“, რომელიც „შედგებოდა“ ერთადერთი პასუხისმგებელი პირისგან – წინამდებარე წერილის ავტორისგან.

* * *

ძვირფასო მკითხველო, ეს მთელი ისტორიაა, რომელსაც ეძღვნება ეს წერილი და მთლიანად ნომერიც, ვინაიდან ამ დღიდან იწყება ტაშკენტის 25-ის, როგორც პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას გარეშე კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის თავგანწირული, პერმანენტული ბრძოლის ერთ-ერთი სრულყოფილი კერის ორგანიზაციულად ფორმირება.

ეს იყო ჯოჯოხეთური ბრძოლა ეშმაკის მოციქულთა წინააღმდეგ – ვინც სულიერად გაუძლო ამ ბრძოლას და საბოლოოდ არ ჩაიკარგა პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებული ფსევდოსოციუმის ლაბირინთებში, მისთვის ეს კერა არასდროს ჩაქრება. თუ პრაქტიკული

საქმიანობა (პოლიტიკური) ბევრ მიზეზთა შედეგად შენელდა, უნდა გჯეროდეთ, რომ აქ მიმდინარე მრავალწლიანი ბრძოლის მაგალითზე სულიერ საზრდოს მუდამ იპოვიან თანამედროვე თუ მომავალი თაობები; რომელთათვის:

– ძვირფასია იმპერიის მსახვრალი ხელიდან გამოგლევილი დამოუკიდებელი სახელმწიფო-ებრიობა და თავისუფლების იდეა;

– ძვირფასია ზვიად გამსახურდიას გენიალური იდეები, სამშობლოს ერთგულებაზე – პატრიოტობაზე, თავისუფლებაზე, „...სადაც თავისუფლება იქნება შეხედულების, რწმენის, აღმსარებლობის, რელიგიის; იდეალი-სრული თავისუფლება, სრული შემწყნარებლობა“ (ზ.გ.) ... მიზანი, ისეთი სახელმწიფოსა და საზოგადოების ფორმირება, სადაც „პირველი (უნდა) ვიყოთ დემოკრატიაში, ადამიანის უფლების პატივისცემასა და ლოცვაში“ (ზ.გ.). ამ დიდი მიზნის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა ორიენტირად გვყავდეს დასავლეთი. „ჩვენი ერთადერთი იმედი დასავლეთია – მხოლოდ დემოკრატიას ძალუძს ჩვენი დაცვა“ (ზ.გ.).

– გაიგებენ იმას, რომ იმ მოღალატური გადატრიალებით აგვაცდინეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ამ გეზს. სოციალისტური საზოგადოებისთვის სრულიად უცხო ახალი პოლიტიკური კულტურის ათვისების ნაცვლად აღმოვჩნდით პოსტსაბჭოური რუსული ანტიკულტურის ზონაში და ვიხრჩობით ფსევდოდემოკრატიის ჭაობში, ამიტომ აუცილებელია ზვიად გამსახურდიას ამ პროგრამულ მითითებათა ამოქმედება.

ამ სულიერ საზრდოს პირდება ტაშკენტის 25-ის იდეა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია ეს გარდაუვალი ღირებულებები, ვისთვისაც სიცოცხლის საზრისია თავისუფლება, მრავალგზის დათრგუნვილი პიროვნული და ეროვნული (სახელმწიფოებრივი) ღირსების აღდგენა. ახლა კი ისევ მივუბრუნდებით „აღდგომის“ ოდისეის საკითხს და რამდენიმე შტრიხით, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით შევთავაზებთ მკითხველს იმ ისტორიულ წინაპირობას, რომლის ნიადაგზეც იშვა ეს ღირსების იდეა.

* * *

1992 წლის შობის დღესასწაულზე სოხუმში, „ჩერნომორეცის“ მოედანზე დიდი მიტინგით დაყყებული სახალხო მოძრაობა დევნილი

პრეზიდენტის და კანონიერი ხელისუფლების მხარდასაჭერად სულ უფრო იკრებდა ძალას და მოითხოვდა ორგანიზებას. კოორდინირება უნდა მომხდარიყო დასავლეთ საქართველოში თანდათანობით გაშლილი წინააღმდეგობის მოძრაობებთან, განსაკუთრებით სამეცნიელოში ფორმირებადი ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტთან.

აფხაზეთში ხუნტის საწინააღმდეგო სახალხო გამოსვლების ორგანიზაციულად მოწყობა მით უფრო საშური იყო, რომ აქ მოეყარა თავი უზენაესი საბჭოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების საკმაოდ დიდ კონტიგენტს, რომლებიც აფხაზეთის ხელისუფლების ორმაგი თამაშის პირობებში ნახევრად არალეგალურ პირობებში ცხოვრობდნენ და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ უწყვეტად მიმდინარე მიტინგებსა თუ სხვა იატაკებებსა საქმიანობებში ჩართვას, რომელთაც, თავისი სპეციული გამომდინარე, ძირითადად ადგილობრივი პატრიოტები წარმართავდნენ.

საკმაოდ დეტალური შემზადების შემდეგ, რომლის აქტიური მონანილე იყო ანზორ გვარამია, სოხუმის ცენტრიდან (ქალაქის საბჭო) სამ კილომეტრში, მიმინოშვილის ქუჩის ბოლოს, სამი გზის გასაყარზე მდებარე სახლში, რომლისგანაც დღეს ქვა ქვაზე არაა დატოვებული, გაიმართა ფართომასშტაბიანი საორგანიზაციონი სხდომა, რომელშიც აფხაზეთში მოქმედ აქტივისტებთან და კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ სამეცნიელოს თითქმის ყველა რაიონის და იქ თავშეფარებული დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

სხდომის მოწვევის წინა პერიოდში მწვავედ დადგა საკითხი გაზეთის გამოცემისა, ვინაიდან მაშინდელ პირობებში ხალხის ხმის წარმოჩენა მხოლოდ დამოუკიდებელი არაკონტროლირებადი გაზეთის მეშვეობით თუ იყო შესაძლებელი. მართალია, „აფხაზეთის ხმის“ რედაქცია, პირველ ხანებში მაინც, თამამად ბეჭდავდა უკანონო ხელისუფლების საწინააღმდეგო წერილებს, მაგრამ ყველამ ვუწყოდით, რომ არც თბილისური უკანონო და არც ადგილობრივი, ჯერაც მოთამაშე, ხელისუფლება არ დაუშვებდა სახელმწიფო გაზეთის თავნებობას. იყო მოსაზრება, რომ უნდა გამოგვეცა ერთჯერადი გაზეთი თუ გაზეთები, რაც კანონით ნება-დართული იყო, ვინაიდან ქართული გაზეთის

გამოცემას არც ადგილობრივი ხელისუფლება, მისი აფსუური ფრთა, რომელთა ხელში იყო გამოცემათა რეგისტრირების ყველა ბერკეტი და, მით უმეტეს, ხუნტისტური სახელმწიფო საბჭო არ დაუშვებდა. მაგრამ მაინც ბრძოლის გზით სიარული ვამჯობინეთ და სხდომის წინა დღებში თითქმის ფორმირებული იყო საინიციატივო ჯგუფი. ამიტომ პირველივე სხდომის ბოლოს გაუდერებულ იქნა ეს საკითხი. მიუხედავად მეტ-ნაკლები სკეპტიციზმისა, შემდგომი სხდომისთვის საკითხის მომზადება დაგვევალა საინიციატივო ჯგუფს.

მეორე სხდომაზე დეტალურად განხილულ იქნა ეს საკითხი და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება დაევალა იმავე ჯგუფს: ანზორ გვარამიას, მურმან ზაქარაიას, სერგო (სერგი) საჯაიას, გიორგი (გვანჯი) სიჭინავას.

საკმაოდ ემოციურად წარიმართა გაზეთის სახელდების საკითხის განხილვა. მიუხედავად ხანგრძლივი კამათისა, იმ საღამოს ეს საკითხი ვერ გადაწყდა. მეორე დღეს საგაფიცვო შტაბთან გ. სიჭინავამ შემომთავაზა წინა ღამით განხილულ სახელდებებთან სრულიად განსხვავებული სახელწოდება მომავალი გაზეთისა – „ალდგომა“. მან იქვე ორი სიტყვით ამიხსნა, რომ ამ სახელდების უმთავრესი არსი, მიუხედავად მისი რელიგიური უდერადობისა, იყო პუტჩისტური გადატრიალების შედეგად დევნილი ხელისუფლების, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხალხის მიერ მონიჭებულ სრულ უფლებებში აღდგენა. ეს ხაზგასმა პრეზიდენტზე იმ პერიოდში აუცილებელი იყო, ვინაიდან მოღალატე-კოლაბორაციონალისტთა ხროვას დიდი ხანი იყო გადმოეგდო ლოზუნგი „ყველა პრეზიდენტ გამსახურდიას გარდა“. რა თქმა უნდა, ალბათ რაღაც მეტაფიზიკური ძალის მომძლავრებით, მე ეს სახელწოდება გაშლერებისთანავე, ახსნის გარეშედაც ავიტაცე („ალდგომის“ ფილოსოფიაზე ჩვენ თავის ადგილას კიდევ შევჩერდებით).

იმავე ღამეს სხდომაზე წარმოვადგინეთ სახელდების ეს ვარიანტი, რომელიც საბოლოოდ მიღებულ იქნა. იქვე მიღებულ იქნა მომავალი რედკოლეგიის წარმომადგენელთა მიერ შემოთავაზებული წინადადება, რომ ის უნდა ყოფილიყო „თავისუფალ უურნალისტთა გაზეთი“. გაზეთის რედაქტორად იქვე არჩეულ იქნა გ. სიჭინავა. ამდენად, შეიძლება ითქვას, შუქი აენთო გაზეთის გამოცემას.

აფხაზეთის ხელისუფლების ორპირობის მიუხედავად, იმ ეტაპზე ის იყო დამოუკიდებელი საქართველოს გარდამავალი (შესწორებული) კონსტიტუციისა და საერთაშორისო ნორმების საფუძველზე სახალხო არჩევნებით არჩეული ხელისუფლება. ამიტომ, ავტონომიური რესპუბლიკის (ასევე შესწორებული და საქართველოს გარდამავალი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანილი) კანონების დაცვა ჩვენი აუცილებელი მოვალეობა იყო (ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, თუ როგორ თელავდა ფეხქვეშ ამ აუცილებელ ნორმას შევარდნაძის ხელისუფლება). ამიტომ გაზეთის რედაკტორების ფორმირების კვალდაკვალ მიმდინარეობდა მუშაობა მისი რეგისტრაციისთვის.

არავის არ ჰქონდა იმის ილუზია, რომ აფხაზეთის ხელისუფლება უპრობლემოდ დასთანხმებოდა, თუნდაც თბილისისადმი ოპოზიციური, ქართული გაზეთის გამოცემას, მაშინ როცა „აფხაზეთის ხმაც“ ყურს ძლიერ სჭრიდათ. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მის გამოცემას აფხაზეთის ხელისუფლებაში თუ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და ე.წ. შემოქმედებით კავშირებში მოკალათებული შევარდნაძის ქართველი ემისრები ენინაალ-მდეგებოდნენ, ალბათ უფრო აქტიურადაც, ვიდრე ეროვნულად აფხაზი ნანილი.

ჩვენი დელეგაცია ა. გვარამიას, მ. ზაქარაიას, რ. კუპრავას, ს. საჯაიას, გ. საჭინავას შემადგენლობით ვენვიეთ აფხაზეთის იუსტიციის მინისტრს ლაკობას. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ვიზიტს რაიმე ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია. მართალია, საბუთები ჩაიპარეს, მაგრამ მინისტრთან საუბარი ჩვეულებრივ სტუმარ-მასპინძლურ ეტიკეტს არ გასცდენია. აშკარა იყო, მინისტრი იმთავითვე დროის გაჭიმვის ტაქტიკას დაადგა, მით უმეტეს, კარგად უწყოდა, რომ თბილისიდან რეაქცია არ დააყოვნებდა, რაც მათ ხელ-ფეხს გაუხსნიდა, კანონის დარღვევით არ გაეტარებინათ რეგისტრაციაში გაზეთი. ამიტომ რედაქციაში დაბრუნებისთანავე გადავწყვიტეთ, რეგისტრაციის გარეშე გვეცადა გაზეთის გამოცემა. უდავოა, ეს ძალიან დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული, ვინაიდან სოსუმში ყველა საგამომცემლო სტრუქტურას და ყველა სტამბას აფხაზი ეროვნების პირი ხელმძღვანელობდა, რომლებიც ამ არეულობის

უამს ორმხრივად კონტროლდებოდნენ. მართალია, ეს ტექნიკური პრობლემა იყო, მაგრამ უმთავრესი. რამდენადაც გაზეთის გამოცემის საკითხის მოგვარება მე დამევალა, ამიტომ ამ კანონსაწინააღმდეგო საქმის მოგვარებაც მე უნდა მეკისრა.

უფრო წარმატებით მიმდინარეობდა სარედაქციო საქმიანობა, სადაც ძირითადად თავი მოიყარეს „აფხაზეთის ხმის“ ჭეშმარიტად პროფესიონალია, პატრიოტი და კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის თავგადადებულმა მებრძოლებმა. გაზეთის პასუხისმგებელი მდივნობა ითავა „აფხაზეთის ხმის“ პასუხისმგებელმა მდივანმა, უპატიოსნესმა პიროვნებამ ბატონმა გოგი ხაფთანმა, მაგრამ გაზეთის წარმოადგენდნენ დები: ნონა და ნანა ქობალიები, სასიქადულო პიროვნების, პოეტის და მეცნიერის (ლექსიკოგრაფის) ალიო ქობალიას ქალიშვილები, გაზეთ „აფხაზეთის ხმის“ თანამშრომლები; მაშინდელ საგამომცემლო შესძლებლობათა გათვალისწინებით (ხელის საბეჭდი მანქანა) დიდ დახმარებას გვინევდა ნუნუ თოდუა. სარედაქციო-შემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული „აფხაზეთის ხმის“ სხვა მოღვაწენიც, პოეტები რამაზ კუპრავა, რენე კალანდია, პოლიტიკური მოღვაწე ზურაბ კვარაცხელია და სხვ. რა თქმა უნდა, სარედაქციო-შემოქმედებითი საქმიანობის გარეშე არც საინიციატივო ჯგუფის წევრები იყვნენ.

გამოცემა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად თითქმის გადაულახავი ბარიერებისა, მაინც შევძელით საერთო ენის გამონახვა სტამბასთან, რა თქმა უნდა, ასეთი რისკისთვის შესაბამისი საზღაურით. გაზეთი დაიბეჭდა იმ სტამბაში, სადაც იბეჭდებოდა ოფიციალური რესპუბლიკური გაზეთები აფხაზურ, რუსულ და ქართულ ენებზე. ამიტომ „აღდგომის“ პირველი ნომრები (მთელ აფხაზეთურ პერიოდში) გამოდიოდა, უკვე იმ უამისთვის ძველმოდურად ქცეული, დიდი – A1 ფორმატით.

გაზეთის პირველი ნომრის გამოცემასთან დაკავშირებით ისევ მივუბრუნდებით მის სახელდების საკითხს.

„აღდგომას“, როგორც აღვნიშნეთ, არავითარი კავშირი არ ჰქონდა ბრწყინვალე დღე-

საქართველო

სასწაულთან – მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტეს ჯვარცმასთან და მკვდრეთით ალდგომასთან. ავტორისავე განმარტებით და შემდეგში საყოველთაოდ მიღებული გააზრებით, მასში იგულისხმება ბოროტების იმპერიისგან მისივე მძლავრობის პირობებში თავდახსნა და დამოუკიდებელი სახელმწიფობრიობის ფენიქსი-ვით ალდგომა 1990 წლის 28 ოქტომბრის საყოველთაო არჩევნების გზით ფორმირებული უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ალდგენის დეკლარირება. ეს იყო გაზეთის სახელდების ისტორიული ფაბულა.

პრაქტიკულ ღონისძიებათა თვალსაზრისით, ის წარმოადგენდა ნომენკლატურულ-კრიმინალურ რევანშისტთა მიერ სამხედრო გადატრიალების გზით დამხობილი პრეზი-დენტისა და ხელისუფლების ალდგომის აუ-ცილებლობისკენ მოწოდებას. ამდენად, ეს სახელდება ასახავდა არა მარტო გაზეთის იდეურ არსს, არამედ, თავისთავად, წარმო-ადგენდა ლოზუნგს, მოწოდებას – კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა და თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს გადარჩენის-თვის საერთო-სახალხო ბრძოლისკენ. მისი ეს მისია შემდგომში მთლიანად შეითვისა და შეი-სისხლხორცა ტაშკენტის 25-ის იდეამ.

„ალდგომის“ ასეთი წმინდა რაციონალური დატვირთულობის მიუხედავად, მას არასდროს უთქვია უარი ამ სიტყვის რელიგიური ცნებაზე, ვინაიდან, როგორც ზვიად გამსახურდიას პროგრამული დებულებით იყო გაცხადებული, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფობრივი ლირებულებები დემოკრატიასთან ერთად, როგორც ზემოთაც ითქვა, უნდა დაჰვარდნებოდა ადამიანის უფლებათა დაცვას და ლოცვას. ასე რომ, გაზეთის სახელ-დების საზრისში მუდამ ვითვალისწინებდით მის ამ რელიგიურ (სარწმუნოებრივ) საზრისს, რაც კიდევ უფრო ზრდიდა გაზეთის ისედაც საკმაოდ გამოკვეთილ ზნეობრივი სიწმინდის ასპექტს. ამიტომ, მიუხედავად დიდი წინააღ-მდეგობებისა, გადავწყვიტეთ, რომ გაზეთის

პირველი ნომრის გამოსვლა დაგვემთხვია მო-ახლოებული ალდგომის ბრწყინვალე დღესას-ნაულისთვის, რაც გარდა ამ სარწმუნოებრივი დატვირთვისა, პრაქტიკული თვალსაზრისი-თაც ძალზე მომგებიანი უნდა ყოფილიყო იმ მძიმე პერიოდში.

ღვთის წყალობით, ყველა ბარიერი გადა-ილახა და 1992 წლის 26 აპრილს, ალდგომის დადგომამდე ცოტახნით ადრე გაზეთის მთე-ლი ტირაჟით მივადექით სოხუმის საკათედ-რო ტაძარს, სადაც მიმდინარეობდა შევარ-დნაძის არაკანონიერი სახელმწიფო საბჭოს წინააღმდეგ გამართული საშიმშილო აქცია. აյ თავმოყრილი იყვნენ, როგორც კანონიერი ხელისუფლების მომხრეები, ასევე შევარდნა-ძისტულ-სუკისტური ამქარი. ვნებათაღელვა პიკს აღწევდა.

იმ ღამეს კანონიერების აღდგენისათვის მებრძოლი საზოგადოება დღესასწაულობდა ალდგომის წმინდა დღესასწაულს და სამშობ-ლოს გადარჩენისთვის მებრძოლი გაზეთის – „ალდგომის“ დაბადებას. ეს იყო ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესთა გამყიდველი კომუ-ნისტ-რევანშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში (რომელიც დღემდე გრძელდება) ერთ-ერთი პატარა, მაგრამ მაინც გამარჯვება აფხაზეთში.

ოფიციალური აღიარება

ყველას კარგად გვესმოდა, რომ გაზეთის წინააღმდეგ შემოტევა ედ. შევარდნაძის საყ-მოდან კიდევ უფრო გამძაფრდებოდა, რითაც ისარგებლებდა ხელისუფლების აფსუური დაჯგუფება და გაზეთის რეგისტრაციისთვის ყველა კუთხე-კუნჭულს დაგმანავდა. ამიტომ ყველაფერს ვღონობდით იმისათვის, რომ გა-ზეთის არალეგალურად გამოცემა არ შეწყვე-ტილიყო. ასეც მოხდა, გაზეთი რეგულარულად კვირაში ერთხელ გამოდიოდა. პუტინისტური ალიანსის ხელისუფლება ცოფებს ყრიდა, მაგ-რამ არც ჩვენ ვიხევდით უკან. ბოლოს ამ საქ-მეში პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჩაერ-მდეგობებისა, გადავწყვიტეთ, რომ გაზეთის

თო. გროზნოსთან გაზეთის კავშირს კურირებდა ბატონი ანზორ გვარამია და რამდენადაც ვიცი, ამ საკითხის მოგვარებაში ჩართული იყო ჯოპარ დუდაევიც.

მოკლედ, აფხაზეთის იუსტიციის სამინისტრო (იგულისხმე – მთელი ხელისუფლება) იძულებული გახდეს, კანონიერება დაეცვათ და გაზეთი რეგისტრაციაში გაეტარებინათ. ყველაფერი კეთილად დასრულდა იუსტიციის მინისტრის მოადგილის ბატონი ოთარ ბენიძის კაბინეტში.

გაზეთი რეგისტრაციაში გაატარეს აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით, თავისუფალ ჟურნალისტთა გაზეთი „აღდგომა“ რეგისტრირებულია 1992 წლის 15 მაისს. რეგისტრაციის №6.



შპს-თა წესდების თანახმად, დამფუძნებელთა კრების პირველი ოქმით დადგინდა დამფუძნებელთა საბჭო ოთხი კაცის შემადგენლობით: მწერალი გიორგი სიჭინავა, მწერალი ანზორ გვარამია, პედაგოგი და ჟურნალისტი სერგო (სერგი) საჯაია, პედაგოგი და პუბლიცისტი მურმან ზაქარაია. საწესდებო ფონდი განსაზღვრული იყო ორი ათასი მანეთით, იმავე ოქმით დამფუძნებელთა საბჭოს

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მურმან ზაქარაია (წარადგინა ანზორ გვარამიამ).

გაზეთის ეს ლეგალიზაცია არა მარტო ფინანსური და პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით იყო შვება, არამედ პოლიტიკურადაც მომგებიანი. აფხაზეთის ხელისუფლება ამ აქტით აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და დევნილი პრეზიდენტისა და კანონიერი ხელისუფლების კანონიერ უფლებებს.

* * *

ეს კომუნისტურ-მაფიოზური რევანშისტები „აფხაზების“ წამოგდებას და ვითარების გამწვავებას ახდენდნენ. ოლონდაც კანონიერი ხელისუფლება არ დაბრუნებულიყო და ყველაფერზე წამსვლელნი იყვნენ, არც თბილის და არც ადგილობრივ რევანშისტებს ანყობდათ აქ კანონიერი ხელისუფლების არსებობა. ორივე მხარე: რუსულ-აფსური და ქართულ-რევანშისტული აახლოებდა კატასტროფას.

გაზეთმა „აღდგომამ“ მთელი თავისი ძალისმევა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის ბრძოლისა აფხაზეთში ამ კატასტროფის თავიდან აცილების მიმართულებით წარმართა. კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მიერ სხვადასხვა მიტინგებსა და ღონისძიებებში მრავალგზის იყო გაცხადებული, რომ თუკი სამეცნიერო სუთგზის დალაშქვრისა და ანიოკების მსგავსი ღონისძიების ენგურს გაღმა გადატანას შეეცდება უკანონო სახელმწიფო საბჭო, ყველაფერი დიდი ტრაგედიით დასრულდება.

ამდენად, გაზეთის ლოზუნგად იქცა გაფრთხილება: „თუ აფხაზეთში უკანონო ხელისუფლების მხრიდან თუნდაც ერთი ტყვია გავარდება, აფხაზეთი დაიკარგება“. მაგრამ რუსეთსა და მარიონეტ სეპარატისტებს, ქართველ კოლაბორაციონალ-რევანშისტებს სწორედ რომ კანონიერი ხელისუფლების მოშლა სურდათ, რათა საქართველოში საყოველთაო არჩევნებით არჩეული და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული სახელმწიფო ბრიობის კვალიც არ დარჩენილიყო (რუსეთი აჭარას ფაქტობრივად ოკუპირებულად განიხილავდა). ამიტომ ყველაფერი წარიმართა რუსული დაკვეთით და გენტაბის გეგმით. აფხაზეთში გააჩალეს ომი, რომლის კატასტროფულ დასასრულზედაც არცერთ გონიერ ადამიანს



იმთავიდანვე არ ეპარებოდა ეჭვი. შევარდნაძე კი ამ ყველაფრის საფასურად მიიღებდა ლეგიტიმაციას „იმედის არჩევნების“ გზით.

ომი და გაზეთი

რევანშისტები და მათი იდეოლოგები ანადგურებდნენ დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების ჭეშმარიტად სახალხო იდეას. საშინელება ის იყო, რომ ეს პუტჩისტური ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ალიანსი მოქმედება დემოკრატიის სახელით, ჯაბასეული ლოზუნგით: „დემოკრატია ლობიობა ხომ არ გვინათო“. ისინი თავიანთი საქმიანობის ყველა საფეხურზე, ყველა ეტაპზე ახდენდნენ „დიდი იდეების დეფორმაციას“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად გამოსაყოფია რუსეთის ხელისუფლების დაკვეთითა და გენტრაბის გეგმით აფხაზეთში გაჩაღებული ე.ნ. ომი. ეს იყო სისხლიანი თამაში, მიმართული

ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, რომელიც ხორციელდებოდა მარიონეტი შევარდნაძისა და არძინბას ხელით.

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში გავარდნილ პირველი ტყვიას მოჰყვა ჯაჭვური რეაქცია და, როგორც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ვაფრთხილებდით არაკანონიერ ხელისუფლებას, გაჩაღდა ძმათამკვლელი ომი. ხარობდა კრემლი, ხოლო პუტჩისტური ალიანსი ემზადებოდა „იმედის არჩევნებისათვის“.

ეს ზედსახელი, რომელიც შემოაჩინეს მასებს, როგორც იმედი მომავლისა, სინამდვილეში გულისხმობდა პუტჩისტური ალიანსისა და მის ბაზაზე ფორმირებულ კოლაბორაციონალისტთა იმედს, მიეღოთ ლეგიტიმაცია. ეს იყო სუფთად რუსული ვარიანტი ზვიად გამსახურდიას ლიდერობით ქართველი ხალხის მიერ ბოროტების იმპერიაზე მოპოვებულ დიდ გამარჯვებაზე რევანშისა ქართველ მოღალატეთა ხელით.¹

¹ რუსეთმა უფრო გვიან ეს „იმედის“ თამაში ისევ გააჩაღა საქართველოში. ახლა უკვე პოლიტიკური ორგანიზაცია „იმედის“ და მისი საინფორმაციო საშუალების ტელევიზია „იმედის“ სახით, რომელმაც ისევე, როგორც აფხაზეთის ომმა და „იმედის არჩევნებმა“ თავის დროზე, დიდი ზიანი მიაყენა ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესს. ხელახლა იწყეს რევოლუციის შედეგად წელში გატეხილმა



„ომის“ სოხუმში გადმოტანით, ხელისუფლებამ პირველ რიგში დარტყმა მიაყენა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის მებრძოლ ძალებს. შეწყდა 116-დღიანი უწყვეტი მიტინგი. ნახევრად არალეგალურ პირობებში მყოფი კანონიერი ხელისუფლების დიდი ნაწილი ტოვებს ქალაქს. იწყება ემიგრაციის ახალი ტალღა. ქალაქს სამხედრო კომენდანტად ევლინება გ. გულუა. დაბნეულობა პიკს აღწევს. ძალიან ძნელი ხდება სწორი პოზიციის დაკავება. მიუხედავად ამისა, „აღდგომის“ მორიგი ნომერი დროულად გამოიცა, მაშინ როცა „აფხაზეთის ხმის“ გამოცემა შეფერხდა უქალალდობის გამო. ამიტომ, სტამბის დირექტორის ჭოლარიას თხოვნით, ჩვენი რეზერვიდან მივეცი ქალალდი და დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოვიდა „აფხაზეთის ხმა“.

ამასობაში კარს მოგვადგა მორიგი ნომრის გამოცემის დროც, არეულობის გამო ახლა უკვე

რუსულ-კოლაბორაციონალისტურმა ძალებმა მომძლავრება იმდენად, რომ მათ არჩევნებში დამარცხების შემდეგ შეტევაზე გადმოსვლა დაიწყეს, რაზედაც ხელისუფლების ხისტმა გაუაზრებელმა რეაქციამ, რაც რევოლუციური იდეების მოჩილუნგების შედეგი იყო, ჩვენს ფსევდოსაზოგადოებაში არასწორი რეაქცია გამოიწვია. გზა გაეხსნა უკვე დიდი ხნით ადრე დაწყებული პროექტის მოქმედებაში მოყვანას, ისევ ორაზროვანი და აშკარად დამცინავი სახელწოდებით – „ოცნება“. იოცნებე, რამდენიც გინდა – დასავლურ კულტურაზე, დემოკრატიაზე, ევროკავშირზე თუ ნატოზე, რეალურად „შენ იქნები რუსული გავლენის სფეროში პერსპექტივით, გახდე მისი ალიანსის წევრი“.

სარედაქციო საქმიანობის წარმართვაც ჭირდა. ამიტომ, მახსოვს, კვირა დღეს იაშთხვიდან ფეხით ჩამოვედი ქალაქში და მივედი სტამბაში, სადაც დამხვდა დირექტორი, რომელმაც წარმომიდგინა კომენდანტ გულუას განკარგულება: „აიკრძალოს გაზეთების „აიდგილარასა“ და „აღდგომის“ ბეჭდვა“. ეს იყო ვერაგული დარტყმა.

ჩვენ ზემოთ საკმაოდ ვიმსჯელეთ ამ ქართული გაზეთის გამოცემის სიძნელეებსა და იმაზე, რომ მისი რეგისტრაცია, მით უმეტეს, კანონიერი ხელისუფლების კანონიერი მოთხოვნით, წარმოადგენდა ფაქტს არძინბას ხელისუფლების მიერ ქართული სახელმწიფო რიობის აღიარებისა, რასაც ეს განკარგულება აბათილებდა (უკანონო ხელისუფლება ასეთ მოღალატურ ქმედებას აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგაც ჩაიდენს). მაგრამ ამ ირიბი პოლიტიკური მომენტის გარდა, აშკარა ხდებოდა, რომ

აფხაზეთში რუსების მიერ შევარდნაძე-კიტოვანისთვის შეჩეჩებული დამპალი ტანკებითა და ბეტეერებით შეიარაღებული სამხედრო შენაერთების შემოყვანა მიზნად ისახავდა არა იმდენად რკინიგზის დაცვას, რამდენადაც აქ, მათი თქმით, „ზევიადისტური მოძრაობის“ განადგურებას. კიდევ უფრო ღრმად დაფარული მიზანი კი იყო აქ ჯერაც არსებული კანონიერი მმართველობის განადგურება.

ამ განკარგულების შემდეგ მორიგი ნომრის სოხუმში გამოცემის შანსი არ არსებობდა, მაგრამ ჩემს თავს მივეცი სიტყვა, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, დროზე გამოგვეცა მორიგი ნომერი, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის რედაქციის „პოლიტიკური ფრთა“ არალეგალურ მდგომარეობაში იყო გადასული. სხვები კიდევ ომის ცეცხლს გარიდებოდნენ.

ამიტომ სტამბილან გამოსულმა გადავწყვიტე მივსულიყავი გაზეთის რედაქტორთან ბატონ გ. სიჭინავასთან, რომელიც სოხუმში მეგულებოდა და გვესინჯა, სადმე რაიონში გვეპოვა სტამბა, რომელიც იკისრებდა თუნდაც ერთი ნომრის დაბეჭდვას, სანამ ვიშოვიდით ახალ ნავსაყუდელს. ასე დაიწყო „აღდგომის“ ოდისეა სოხუმიდან 1992 წლის აგვისტოს ბოლოს და გაგრძელდა 1995 წლის თებერვალამდე, როცა თბილისში, ტაშკენტის 25-ს ღირსებისათვის ბრძოლის იდეით გამსჭვალული, განახლებული გაზეთის მთელი ტირაჟით არ მივადექით.

„აღდგომის“ ოდისეის დაწყება

სოხუმიდან წამოვედით გაზეთის კომერციული განყოფილების უფროსის მოვალეობის

შემსრულებელის საშა ზაქარაიას ავტომანქანით.¹

პირველად მივადექით, გულრიფშის სტამბას, სადაც დირექტორობდა კანონიერი ხელი-სუფლების მომხრე დ. კაკულია. საბედნიეროდ ის ადგილზე დაგვხვდა, მაგრამ ტექნიკური გაუმართაობის მიზეზით (?)! ამ ცოტა არ იყოს საჩითირო საქმის გაკეთება ვერ მოხერხდა. მაგრამ, მე გამჩერებელი არ ვიყავი. გეზი ავიღეთ ოჩამჩირისკენ, თუმცა არც იქაური სტამბის იმედი გვქონდა დიდად. სახლში ვეწვიეთ ოჩამჩირის რაიონული გაზეთის წარმომადგენელს ზემოთ უკვე ნახსენებ ალიო ქობალიას, მითუმეტეს უპრიანი იყო საქმის კურსში ჩაგვეყნებინა, ნონა და ნანაც. რა თქმა უნდა გულკეთილი სტუმარ-მასპინძლობის იქით საქმე წინ ვერ წავიდა, ეს სტამბა საერთოდ მწყობრიდან გამოსული აღმოჩნდა. იმედად, აფხაზეთის ტერიტორიაზე გალის სტამბა გვრჩებოდა, ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, იმ უგუნური და მოღალატური განკარგულების არშესრულება და გაზეთის არა მარტო თავისი გრაფიკით გამოცემა, არამედ აფხაზეთში დაბეჭდვა.

მიუხედავად ჩემი გალური წარმომავლობისა, სამწუხაროდ სტამბის მესვეურთა შორის ნაცონბები ვერ აღმოვაჩინე. მიუხედავად მთელი ტრადიციული დიპლომატიის ნიჭის დახარჯვისა და ძალზე ხელგაშლილი საზღაურის დაპირებისა, ისევ რაღაცა ტექნიკური მიზეზის მოხმობით უარი გვითხრეს.²

წინ ზუგდიდი იყო, სადაც მიუხედავად დაუნდობელი ეგზეკუციებისა და უმორჩილების კომიტეტს გავლენა ჰქონდა, მისი შემწებით სტამბის მესვეურთა დაყოლიერ უფრო იოლი

¹ უფრო გვიან იგი თბილისში ედ. შევარდნაძისა და მისი ხროვის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის გამო დაპატიმრებულ იქნა და ციხეში გაატარა თითქმის 14 წელი, მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის შემდეგ მიღებული ეროვნული თანხმობის დეკლარაციის საფუძველზე ამ საქმის გამო ციხეში დარჩენილი 5 პიროვნება დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლებულიყო. ამას ჯერ წინ აღუდგა დაუნდობელი, მხოლოდ თავის ინტერესებზე მოფიქრალი ზურაბ უვანია, შემდეგ კი გადაგვარებულმა რევოლუციურმა ხელისუფლებამ ეროვნული თანხმობის იდეური მტრების საამებლად ეს ხუთი პიროვნება მქევლებად გაიხადა, რათა ჩაეკლა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის მებრძოლთა სულისკვეთება. მათ ამას მიაღწიეს და სულ მალე შედეგიც მომქენე, თვითოვვე გადაყენენ ამ პრინციპის დალატს, ქვეყანა ხელახლა ჩაძირეს რუსული კორუფიული სისტემისა და ფსვდოდემოკრატიის „ოცნების“ ანტიეროვნულ ჭაობში.

² ათიოდე წლის შემდეგ, ტაშკენტის 25-ში, გადმოსულმა ჩვენმა მეგობარმა, უზენაეს საბჭო დეპუტატმა, პოეტმა ჯემალ აშონიამ, რომელიც გალის რაიონულ გაზეთში მოღვაწეობდა წლების განმავლობაში, მითხრა, რომ იმ დღეებში გალში ვიყავი და რომ გამეგო ეს ამბავი, აუცილებლად დავაბეჭვდინებდი გაზეთსო, სამწუხაროდ მაშინ ჩვენი ასეთი შეხვედრა ვერ შედგა, თორემ გალში დაფუძნება იმ ეტაპზე მომგებიანიც კი იყო პოლიტიკური თვალსაზრისით.

უნდა ყოფილიყო. ჩემთვის კი ნათელი იყო, რომ გულუას იმ განკარგულების შესახებ აფხაზეთის ყველა სტამბას ჰქონდა ცნობა, სამხედრო კომენდანტის წინააღმდეგ წასვლა გაგნია ომში ძნელია.

ზუგდიდური „ვაკეა“

საღამო ხანისთვის ზუგდიდში ვიყავით. აქ უკვე თავის მშობლიურ ქალაქში ინიციატივა, რა თქმა უნდა, ბატონმა გიორგიმ აიღო. სულ მალე თავი მოიყარეს მისმა სიყრმის მეგობრებმა კანონიერი ხელისუფლების თავდადებული დამცველის ბატონ იმედ ადამიასა და სხვათა სახით. ყველა თანადგომას გვთავაზობდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „აღდგომის“ დაბეჭდვაზე სტამბის მესვეურთა დაყოლება არც ისე ადვილი საქმე იყო, როგორც ეს ჩვენ შორიდან წარმოგვედგინა. გაზეთს გვარიანად დაეფრთხო „წითელი ინტელიგენცია“, თვით ედიკაც, რომელმაც კარგად უწყოდა პროპაგანდის ფასი. ეს შემი „აღდგომისადმი“, რა თქმა უნდა, ძვალსა და რბილში გასჯდომოდათ მთელ ჩინოვნიკურ წრეებს და ყველაგან გაუვლელ ბარიერებს უგებდნენ. ასე იყო მისი არსებობის ყველა ეტაპზე, ამდენად, გულუას იდიოტური, ანტისამართლებრივი განკარგულება სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო მისი ტვინის ნაყოფი.

სტამბის დირექტორი საერთოდ არ გამოჩენილა, ნათელი იყო, უნდა ჩაგვერთო კანონიერი ხელისუფლების მომხრე პოლიტიკური ძალები. მიუხედავად გვიანი ღამისა, საქმის სახვალიოდ გადატანაზე უსიკვდილოდ არ მივდიოდი. ამოძრავდა დაუმორჩილებლობის კომიტეტი, შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა, მით უმეტეს, რომ ლ.ქობალიამ კარგად უწყოდა ამ გაზეთის დაფუძნების ისტორია. სწორედ გაზეთის გამოცემის გადაწყვეტილების მიღების ღამესვე იქნა მიღებული რეკომენდაცია ლოთის კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალების სარდლად დანიშვნაზე.

ასე თუ ისე, შევარდნაძის ვიგინდარა მოხელეების წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სტამბის მუშავთა დიდი ნაწილის პოზიცია, რომ „აღდგომა“ სწორედ ზუგდიდში უნდა დაბეჭდილიყო და არა დროებით, არამედ მანამდე, სანამ არ აღ-

სდგებოდა კანონიერი ხელისუფლება. ისინი გაფიცვითაც იმუქრებოდნენ, ასოთამწყობები კი აცხადებდნენ, რომ ხელმძღვანელთა ნებართვის გარეშეც ააწყობდნენ გაზეთს. იმ ღამეს სტამბის თანამშრომლებთან თავისთავად დამყარებული ეს კეთილგანწყობა ბოლომდე შემოგვრჩა და არც ჩვენ ვრჩებოდით ვალში. სტამბის მუშავების მხარდაჭერა არც კანონიერი ხელისუფლების ხელახლა დამხობის შემდეგ თითქმის მარტოდ დარჩენილს, „პროკლამაციური ბრძოლის“ პერიოდში დამკლებია.

შუალამე გადასულს, სახლიდან მოიყვანეს სტამბის მთავარი ინჟინერი ფაუავა, რომლის განკარგულებითაც შუქი აენთო გაზეთის ზუგდიდში დაბეჭდვას, რაც სინამდვილეში იყო „აღდგომის“ ახალი ეტაპის დასაწყისი. გაზეთი ფორმითაც შეიცვალა, გამოდიოდა A2 ფორმატით, შესაბამისად, შეიცვალა მისი დიზაინიც. უცვლელი რჩებოდა მისი იდეა.

„აღდგომის“ ზუგდიდური ეტაპი

გაზეთის ეს ახალი ეტაპი ძირითადად წარიმართა ორი მიმართულებით: ერთი, აფხაზეთში მიმდინარე ძმათამკვლელი ომის არსის მართებულად წარმოჩენა ისე, როგორც ამას აკეთებდა პრეზიდენტი და კანონიერი ხელისუფლება. ახსნა იმისა, რომ ეს ე.წ. ომი, სინამდვილეში მოღალატური სისხლიანი დრამა, დაიწყო და მიმდინარეობს კრემლისა და გენშტაბის გეგმით, ხოლო აღმსრულებლად მოვლინებული იყვნენ შევარდნაძის ანტისახელმწიფოებრივი რევანშისტული ხროვა და არძინბას სეპარატისტული დაჯგუფება.

მეორე – ამ დიდი ღალატის კონტექსტში ჩაფიქრებული ე.წ. იმედის არჩევნების ჩატარების ნამდვილი მიზნის ახსნა, რომ ამით ცდილობდნენ არაკანონიერი ხელისუფლებისთვის „სახელმწიფო საბჭოსთვის“ ლეგიტიმაციის მოპოვებასა და კანონიერი ხელისუფლების სრულ მოშლას, დამოუკიდებელი ქვეყნის ისევრუსეთის ორბიტაში შეყვანას.

პრეზიდენტი მოგვიწიდებდა, არ დაგვეშვა ეს უკანონ არჩევნები, რომლის ჩატარებასაც ცდილობდნენ კონსტიტუციური და ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით.

მაგრამ, თუ მაინც დანიშნავდნენ ამ ე.წ. არჩევნებს, მაშინ მისთვის ბოკოტი უნდა გამოეცხადებინა ხალხს.

ე.წ. სახელმწიფო საბჭოს მიერ ამ „არჩევნების“ დანიშნის შემდეგ, გაზეთმა მთელი ძალისხმევა მიმართა პრეზიდენტის მოწოდებათა აღსრულებისკენ. ამ პერიოდში გაზეთის ყოველი ნომერი გამოდიოდა მოწოდებით: „ბოკოტი არჩევნებს“, რომელსაც ეკავა მთელი პირველი გვერდი.

რეალურად, ქართველმა ხალხმა ეს ბოკოტი განახორციელა. არჩევნებში ამომრჩეველთა 1/4-იც არ მოსულა, თუმცა უკანონო „ხელისუფლებამ“ უკანონობას უკანონობა დაუმატა და ის ჩატარებულად გამოაცხადა.

არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე შედგენილი სიით ე.წ. პარლამენტი შეაკონინეს (გაიხსენეთ ე.წ. საკომპენსაციო სია). მოუხედავად ასეთი ფაქტიური შედეგისა, ამ არჩევნებით დადასტურდა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა კანონიერი ხელისუფლების მომხრე იყო. არჩევნების ბოკოტირების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა „აღდგომაზ“ და ტაშკენტის 25-ში მოქმედმა პოლიტიკურმა ძალებმა. გაზეთს ასეთი მისის განხორციელება კიდევ მოუწევს.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ გარკვეული პერიოდები საერთოდ იხურებოდნენ გაზეთები, გარდა „საქართველოს რესპუბლიკისა“ და მაშინ ერთადერთი გაზეთი იყო „აღდგომა“, რომელიც მართალ სიტყვას აწვდიდა ხალხს. ნაკლებად შეგხვდებოდათ „აღდგომის“ ეგზემპლარი, რომელიც ხელიდან ხელში გადაცემისას და მალულად კითხვის გამო ბოლომდე გაცვეთილი არ ყოფილიყო.

გაზეთის ასეთ პოპულარობას განაპირობებდა ის, რომ მასში იბეჭდებოდა პრეზიდენტისა და კანონიერი ხელისუფლების დადგენილებები, მიმართვები, განცხადებები, ინტერვიუები და ა.შ. რომლებშიც ბოლომდე იყო გახსნილი შევარდნაძისა და მისი ე.წ. ხელისუფლების მოღალატური არსი, განსაკუთრებით, მიმდინარე ე.წ. ომის კონტექსტში, სადაც ხელისუფლების ყველა ქმედება მიმართული იყო აფხაზეთში საკუთარი ჯარის დამარცხებისა და „მშვიდობის-მყოფლად“ რუსეთის იმ ჯარის ჩაყენებისაკენ,

რომელთანაც ბრძოლას ეწირებოდნენ ჩვენი პატრიოტი ჯარისკაცები. ამ არნახული ღალატის საბოლოო მიზანი იყო აფხაზეთის რუსეთის გამგებლობაში გადაცემა, კანონიერი ხელისუფლების არსებობის ყოველგვარი კვალის მოშლა, რაც სინამდვილეში ნიშნავდა აფხაზეთიდან ქართველთა ფეხის ამოკვეთას.

* * *

ზუგდიდურ პერიოდში განსაკუთრებულ სიძნეებს წარმოადგენდა სამეგრელოს გარეთ გაზეთის გატანა-ტრანსპორტირება. განსაკუთრებით ჭირდა მისი შეტანა აფხაზეთში, ფრონტისპირა ადგილებში, სადაც ამ გაზეთის ერთი ეგზემპლარის აღმოჩენის გამო შეიძლებოდა ნარკოტიკებით გაპრუებულ შევარდნაძე-კიტოვან-იოსელიანის ჯეელებს იქვე მიეხვრიტეთ. ამიტომ საქმეს ვერც ვერავის ვანდობდი და არც მსურველი ჩანდა.

გაზეთის ყოველი ტირაჟის ჩატანა სოხუმში დიდ განსაცდელთან იყო დაკავშირებული, რომელიც ოდისევის ციკლოპთა თუ დემონებთან შეჯახებაზე უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენდა მოწინააღმდეგის სივერაგისა და უზნეობის გამო. მაგრამ ეს ცალკე საკითხია... თუმცა არც თბილისისკენ მიმავალი გზა იყო იავარდით მოფენილი. სამტრედისა თუ ქუთაისის „პოსტების“ გავლა ნახევარი სიცოცხლის ფასი უჯდებოდათ ე.წ. გამავრცელებლებს, სინამდვილეში კანონიერი ხელისუფლების ჯარისკაცებს. არ შემიძლია განსაკუთრებით არ გამოვყო იურა გუნავასა და რამაზ შარიას ღვაწლი, რომელთა მეშვეობითაც გაზეთი აღწევდა თბილისამდე, ტაშკენტის 25-მდე.

ამდენად, ზუგდიდური პერიოდი „აღდგომისა“ არანაკლებ საშიში და ტრაგიზმით იყო სავსე, ვიდრე მისი არსებობის მთელი წინა ისტორია, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით – უფრო დატვირთული და ყოვლის მომცველი. მისი გამოცემა შეწყდა, ბალტინის ჯარის შემოყვანისა და კანონიერი ხელისუფლების ხელახლა დამზობის შემდეგ. რედაქციია დაიშალა. რედაქტორი გიორგი სიჭინავა და ანზორ გვარამია (დამფუძნებლები) ემიგრაციაში აღმოჩნდნენ, სხვა წევრები მიმოიფანდნენ.

გზა „დახურვილან განახლებამდე“

ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ დაქსაქსული კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მოქმედების კოორდინირება სისხლიანი რეპრესიების პროცესში თითქმის წარმოუდგენელი ჩანდა. უბრალოდ, ცალკეულ პიროვნებების მოძებნაც კი დიდ ძალისხმევას მოითხოვდა.

ჯერ კიდევ ემიგრაციაში მიმავალ ერთ ჯგუფთან საუბრისას ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ბალტინის ჯარის მიერ ოკუპირებულ და კიტოვანი-იოსელიანის კრიმინალების რეპრესიის ქვეშ მოხვედრილ სამეგრელოში პროკლამაციები გავრცელებულიყო და შეგვეხსენებინა მოღალატე შევარდნადისთვის, რომ ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებდით. მიუხედავად იმისა, რომ არც ტრანსპორტი იყო და არც კომუნიკაციის საშუალება, ამ იდეის განხორციელებას მაინც მოვკიდე ხელი. თითქმის ყოველ დღე მიხდებობა ხობის რაიონის სოფ. თორსიდან ზუგდიდში ჩასვლა და 40 კმ ფეხით გავლა. გამოვძებნე აქტივისტები როგორც ზუგდიდსა და ხობში, ასევე სენაკსა და ფოთში. ამ „პროკლამაციური“ განამანიის პროცესში დაბადა იდეა ხელნაბეჭდი „ალდგომის“ გამოცემისა უურნალის ფორმატით, რაც ხელისუფლებას, ვიდრე თითო-ოროლა პროკლამაცია, უფრო ძლიერ შეახსენებდა, რომ ქვეყნისა და ერის მოღალატეთა წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება და მოღალატეთა ფეხქვეშ მინა დაიწვება. მაგრამ მაშინდელ სიტუაციაში, როცა ქსეროქსაც ვერსად იპოვიდი, თუნდაც მცირე ტირაჟის (50-100 ცალი) გამოცემა რთული იყო.

ქსეროქსის ძიებამ ჩამიყვანა ფოთში. ადგილობრივი აქტივისტების დახმარებით, სადღაც საზღვაო დაწესებულებაში აღმოვაჩინეთ ქსეროქსი. აქაც მოგვარდა საქმე. შეიკრა სამკუთხედი: ზუგდიდი-ფოთი-სენაკი. ზუგდიდში მასალებს ვუყრიდი თავს: პრეზიდენტის დაღუპვის გამო ოფიციალურ განცხადებებს, ოჯახის მოთხოვნაზე, პრეზიდენტის ნეშტის გროზნოში გადასვენების თაობაზე, უზენაესი საბჭოს განცხადებებს და სხვა მასალებს, შემდეგ ამ მასალებს ვამუშავებდით ფოთში, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვოდა ნიჭიერ ფილოლოგსა და ერუდირებულ პიროვნებას როზა ადამიას, დაქ-

სეროქსებული მასალა ჩამომქონდა სენაკში და ჩვენი თავდადებული აქტივისტების დახმარებით იქ ყდაში ვსვამდით. ეს უმძიმეს შრომასთან და რისკთან იყო დაკავშირებული... ამ პროცესმა დამარჩმუნა, რომ კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის ბრძოლის განახლებისა და დაშლილი პოლიტიკური ორგანიზაციების რეამინირებისთვის აუცილებელი იყო „ალდგომის“ გამოცემის განახლება. სწორედ მისი ავტორიტეტი იყო საჭირო, რათა მომხდარიყო დაქსაქსული ძალების მეტ-ნაკლებად დაახლოება მომხდარიყო, რაც მთავარია, შეგვძლებოდა ურთიერთნდობის აღდგენა.

„ალდგომის“ ოდისეის დასასრული

იდეა ერთია, მაგრამ მის პრაქტიკაში განხორციელებაა რთული, მაშინ როცა სულიერი მხარდაჭერისა და გულშემატკივრობის იქით საქმე არ მიდის, მით უმეტეს, სოხუმიდან ცარიელ-ტარიელად წამოსული, უსახსროდ დარჩენილი ოჯახის პატრონი ხარ და ნათესავებს აფარებ თავს. მაგრამ უწყვეტი ბრძოლის იდეა (ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით), ერის თავისუფლებას შენირული პრეზიდენტის საქმის გაგრძელების, თუნდაც ოდნავ მშეუტავი ცეცხლისთვის ორიოდე ფიჩხის შემატებითვის განგვანყობდა.

ასეთი ურყევი ფსიქოლოგით, ბრძოლის უინით ჩავედი თბილისში, „ალდგომის“ აფხაზეთში დარეგისტრირების მოწმობით შეიარაღებული. ამას მოჰყვა დებატები ხელისუფლებასთან გაზეთ „სარანგის“ ფურცლებზე.

თბილისში კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მეშვეობით აღმოვჩინდი საბურთალოს ქუჩაზე მდებარე გამომცემლობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა კაცი – ზვიად ჭავჭავაძე. იქვე მიფარებულ ოთახში შევეჩეხ უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ დეპუტატს და სხვა ზუგდიდიდან ნაცნობ სახეებს, მივხვდი, რომ „მშობლიურ“ გარემოში მოვხვდი... ხოლო როცა აღმოვაჩინე, რომ იქვე მოფუსფუსე ხალხი „აკეთებდა“ მებრძოლ გაზეთთა აღამდარ „ქართულ აზრს“, საბოლოოდ მომეშვა გულზე.

„ალდგომის“ გამოცემის აღდგენის პერსპექტივას ჩემი მარტოკაცობისა და სასაცილოდ უმნიშვნელო სახსრების გამო სკეპტიკურად შეხვდა დაწესებულების მენეჯმენტი... თუმცა უარი მაინც არ უთქვამთ და რეგისტრაციის მოწმობის საფუძველზე ხელშეკრულებაც გამიფორმეს. მიმამაგრეს ერთ-ერთ კომპიუტერთან, რომლის ოპერატორიც ჩემსავით ახალბედა აღმოჩნდა. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ეს ახალგაზრდა ქალბატონი – მაია გორგიაშვილი „ალდგომის“ ოპერატორი და ტაშკენტის 25-ის ღირსეული წევრი გახდება.

ქალბატონი თათია ებრალიძისა და მისი კოლექტივის ხელშეწყობით განახლებული „ალდგომის“ პირველი ნომრის დასაბეჭდად გამზადება მოხერხდა.

იმ სამი დღის განმავლობაში, რაც ამ დაწესებულებაში ვიმყოფებოდი, საკმაოდ დავუახლოვდი მენეჯმენტს. ბატონმა ზვიადმა შემოგვთავაზა შუამდგომლობა, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე ე.წ. მღებრიშვილების სტამბასთან. ჩემი სახსრებით შესაძლებელი იყო გაზეთის მცირე ტირაჟით დაბეჭდვა, მაგრამ ბატონმა ზვიადმა გვითხრა, რომ „ალდგომა“ ამ ორი წლის შემდგომაც იმდენად პოპულარულია თბილისში, რომ ის დიდი ტირაჟით უნდა დაიბეჭდოს. შევთანხმდით, რომ გაზეთის 10000 ტირაჟს თვითონ დააბეჭდვინებდა, თვითონვე უხელმძღვანელებდა რეალიზაციას და ა.შ. ეს ჩემთვის არნახული ბედნიერება იყო. „ალდგომის“ ასეთი დიდი ტირაჟით გამოცემა მაშინდელი რეპრესიების პირობებში ხელისუფლებისთვის ბომბის გავარდნის ტოლფასი იქნებოდა. მე სხვა არც არაფერი მინდოდა, ამიტომ კომერციული თვალსაზრისით თითქოსდა წამგებან 50%-50%-ზე ვარიანტი სიხარულით მივიღე, ოღონდ გავაფრთხილე, რომ სამეგრელოში დიდი რაოდენობით გაზეთის ჩატანა ძალზე სახიფათო იყო. იქ ისევ ბოგინობდა კრიმინალ-სამსედროთა ბანდები. ამიტომ შევთანხმდით, 8000 ცალი დაგვებეჭდა.

დვთის წყალობით, ყველაფერი კეთილად დასრულდა, ჩემი „აფხაზეთური“ მოწმობის საფუძველზე სტამბასთან გავაფორმეთ ერთწლიანი ხელშეკრულება. გაზეთიც დაიბეჭდა, რომლის დასაწყობებაც თურმე ტაშკენტის 25-

ში იყო გადაწყვეტილი.

ქალბატონ ლუარასთან ჩვენს შეხვედრას რაღაც მეტაფიზიკური ახლდა. ისე მივიღეთ ერთმანეთი, თითქოს დიდი ხნის თანამებრძოლები ვიყავით, თუმცა ამ თანამებრძოლობას მართლაც ჰქონდა საფუძველი, ვინაიდან „ალდგომა“ ზუგდიდური ხანიდან ამ მისამართზე მოდიოდა, ხოლო სახლის დიასახლისის დიდი აღფრთოვანებით გვიხასიათებდნენ ბატონი იური გუნავა და რამაზ შარია.

იმ პირველი ნომრის შემდეგ გაზეთის ტექნიკური და კომერციული რედაქტორობა მთლიანად თავის თავზე აიღო ქალბატონმა ლუარამ. ზამთარ-ზაფხულ, სიცხესა და წვიმაში, თოვლსა და ყინვაში, დილაუთენია, ის „ალდგომით“ სავსე ჩანთებით მიემართებოდა სადგურის მოედანზე მოწყობილ უურნალ-გაზეთთა ბაზობაზე... მაგრამ ესეც სხვა დიდი ისტორიაა.

* * *

გაზეთის შემდეგი ნომრის სარედაქციო საქმიანობაში დიდი დახმარება აღმოგვიჩინა გაზეთ „ნალენჯის ზარების“ რედაქტორმა, ბრნყინვალე უურნალისტმა თამაზ ფიფიამ, რომლის ბინაშიც და მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა გაზეთი გამოსაცემად. ბატონი თამაზის რეკომენდაციით მოვიწვიეთ რედაქციაში ასევე დიდებული ფილოლოგი და უურნალისტი ქალბატონი ალინა ჩაგანავა.

ჩემდა ბედად, თბილისში აღმოჩნდა „ალდგომის“ სოხუმური პერიოდის პასუხისმგებელი მდივანი გოგო ხაფთანი, რა თქმა უნდა, მან იმ გაჭირვების უამს ზურგი არ გვაქცია და მიიღო მიწვევა განახლებულ „ალდგომაში“ თავის ძეველ თანამდებობაზე. აქედან მოყოლებული გაზეთის სარედაქციო საქმიანობა მიმდინარეობდა ტაშკენტის 25-ში რედაქციისთვის გამოყოფილ ოთახში. მასალების აწყობა ხდებოდა საგამოცემლო სახლში. ეს, რა თქმა უნდა, ქმნიდა დიდ უხერხულობას, ამიტომ იმთავიდანვე ვიწყე ზრუნვა კომპიუტერებისა და სხვა საგამოცემლო ტექნიკის შეკონინებაზე. ენა ვერ იტყვის იმ ჯოჯოხეთს, რაც ამ პატარა გამომცემლობის მოწყობისთვის ტანჯვით გამოვიარეთ, მაგრამ ეს მაინც მოხერხდა.

ამის შემდეგ ქალბატონი ლუარას, პროფესიით ინჟინერ-პროგრამისტის, ტექნიკურ-მა რედაქტორობაში ხორცი შეისახა. როგორც ზემოთ ვთქვით, მოვიწვიეთ ქალბატონი მაია გორგიაშვილი და სხვა ოპერატორებიც, გამომცემლობაც ამუშავდა. ამ პერიოდში მოხდა მოვლენა, რომელსაც გვერდს ვერ ავუკლით და სინამდვილეში წარმოადგენდა იმ ვერაგობის გაგრძელებას, რასაც ხელისუფლება აფხაზეთის მიმართ სჩადიოდა.

სამი წომრის გამოცემის შემდეგ სტამბის მენეჯმენტმა მიიღო ხელისუფლებისგან (ალბათ უშიშროების) განკარგულება გაზეთის გამოცემის აკრძალვის შესახებ. **აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ გაკეთებული რეგისტრაციის მოწმობა თბილისში ძალადაკარგულად გამოაცხადეს.** აქ მთავარი არ არის ის, რომ ამით ბარიერებს გვიქმნიდნენ, არამედ ახალი რეგისტრაციის მოთხოვნა და აფხაზეთში გაცემული

დოკუმენტის ბათილად ცნობა სინამდვილეში ნიშნავდა აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციიდან გასულად აღიარებას. ამით წარმოჩინდა მოღალატე ხელისუფლების ნამდვილი მიზნები, რომ ყველა კანონმდებლურ კავშირს წყვეტდა ოკუპირებულ აფხაზეთთან და ძირფესვიანად ანადგურებდა იქ კანონიერი ხელისუფლების არსებობის კვალს. ეს ნიშნავდა აფხაზეთის სხვა სახელმწიფოდ მიჩნევას. მათ ოდენ მათი მორჩილი აფხაზური ხელისუფლება და უზენაესი საბჭო შეინარჩუნეს თვალის ასახვევად და საერთაშორისო არენაზე ოფლის მოსაწმენდად. მთავარი გაკეთებული იყო: აფხაზეთთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი – გადაჭრილი.

ხელისუფლებას ამ შემთხვევაშიც გავუწილეთ იმედები, არ ჩავყევით ახალ დავა-კამათში (ერთი გადახდილი გვქონდა) და ერთ კვირაში მოვახდინეთ გაზეთის ხელახალი რეგისტრაცია.

მურმან ზაქარაია



რაიცდული სულით...

„ადამიანი სრული ანარეკლია თავისივე საქმიანობისა“.

პეტრე



მურმან ზაქარაია, ჩემი თვალსაზრისით, თავისუფალი მოღვაწისა და შემოქმედის რაინდული სულის უნიკალური გამოხატულებაა, რომლის დასტურად გამოდგება მისი ჯაფით დატვირთული მეტად საინტერესო ცხოვრებისეული საზიერი, ვისი მიზანი და საშუალება არასდროს დაპირისპირებია ერთურთს, მუდამ იცოდა რას აკეთებდა და რისთვისაც იბრძოდა. მის პიროვ-

ნებაში ყოველთვის მხიბლავდა ინდივიდუალობა, განმტკიცებული უზადო განათლებითა და წიგნიერებით, რომელსაც შენარჩუნებული აქვს თვითმყოფადობისა და თვითგანვითარების ნიშანი, ასე რომ წარმოუჩენია მისი ხასიათი, პიროვნული თავისებურებები და ბუნება. განსაკუთ-

ლულუნი ზაქარაია, რუსული ტყვიის მსხვერპლი, უსაფლავოდ დარჩენილი საკუთარ სამშობლოში

ცესებისადმი და ინდივიდუალობა, აყვანილი ზოგადობის დონეზე. რაც მოაზროვნისა და ჭეშმარიტი შემოქმედის უტყუარი ნიშანია.


ეროვნული დამოუკიდებლობისათვის პრძოლის იდეალ არ შეუკეთებას მისი პიროვნული თავისუფლება და ამიტომაც იყო და არის ბატონი მურმანი მარადიულად მზარდი და განახლებადი მოაზროვნე და ესთეტიკოსი. ვინც იცნობს ამ უნიჭიერეს პიროვნებას და პეტრია მასთან გარკვეული ურთიერთობა, დამერწმუნება, რომ იშვიათობაა

ასეთი ზნეობრივად წრფელი ადამიანი. როგორც ერნესტ პემინგუე იტყოდა: „ის არსებობს იმის-თვის, რომ პატიოსნებას ჰყავდეს უღალატო ჯარისკაცი და თავდადებული მეომარი!“

ბატონი მურმანი ჯერ კიდევ აფხაზეთში, სოხუმში ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და იქიდან მოყოლებული დღემდე ქედუხრელად იბრძვის ეროვნული იდეის გასამარჯვებლად... და ვინ იცის, რამდენი რამ გადახდენია ამ ურთულეს გზაზე, რა არ უნახავს, ვის არ გადაჰყრია...

აფხაზეთში გამზრდელი ძმა მუხანათურად მოუკლეს მომხდურებმა, რომლის უმრწემესი ვაჟი – თენგო ზაქარაია მხედრიონელთა სისხლიან თარეშს შენირა ქუთაისში, გზაზე ვერაგულად მოკლეს ორი მცირენლოვანი ქალ-ვაჟის მამა. ყველაზე უმცროსმა ძმისშვილმა ბადრიმ ორივე თვალისჩინი შესწირა ქართულ-აფხაზურ უბედურებას და დღეს თვალუსინათლო დაიარება თაგილონის მინაზე მთასავით ბიჭი. უახლოესი, სისხლისმიერი ადამიანების დატირებას ენგურსგამოლ-

მიდან შეჰყურებდა და ცრემლიანი ხმითა და გასაცოდავებული მზერით უძღვებოდა ზუგდიდში, უმიცვალებულოდ გამართულ ქელების სუფრებს. ტკივილიანი და ტრაგიკული ბედისწერა არგუნა გამჩენა, მაგრამ უბედურებათა წყებას წამითაც არ უქცევია შურისმაძიებელ „მეხმლედ“, პირიქით, ყველაფერი გააკეთა, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური შურისძიების იდეის დათრგუნვით, ეროვნული თანხმობის სახელმწიფო ბრივად უმნიშვნელოვანესი კონცეფციის შექმნასა და შემუშავებაში. შევარდნაძის ხელისუფლების მიერ უკანონოდ დევნილი, ციხეებსა და ჯურდმულებში გამომწყვდეული და უსამართლოდ უარყოფილი ადამიანები სწორედ ეროვნული თანხმობის დეკლარაციის ძალისხმევით დაუბრუნდნენ ოჯახებს, ქვეყანას, დატოვეს ციხეები



თენგო ლულუნის ძე ზაქარაია, ქ. ქუთაისში, საეჭვო ვითარებაში დალუპული



რებით საყურადღიანო ბატონი მურმანის და-მოკიდებულება პრო-

ცესებისადმი და ინდივიდუალობა, აყვანილი ზოგადობის დონეზე. რაც მოაზროვნისა და ჭეშ-

მარიტი შემოქმედის უტყუარი ნიშანია. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის პრძოლის იდეალ არ შეუკეთებას მისი პიროვნული თავისუფლება და ამიტომაც იყო და არის ბატონი მურმანი მარადიულად მზარდი და განახლებადი მოაზროვნე და ესთეტიკოსი. ვინც იცნობს ამ უნიჭიერეს პიროვნებას და პეტრია მასთან გარკვეული ურთიერთობა, დამერწმუნება, რომ იშვიათობაა

და ა. შ. 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებით ახალი ერა დაიწყო ქართულ პოლიტიკაში და ყოველივე ამის მოთავე და მეგულყაცე, სხვა ლირსეულ ქართველებთან ერთად, გახლდათ ბატონი მურმანი!

მანამდე იყო თვალშეუძგამი და წარმოუდგენელი შრომა და ბრძოლა უკანონო ხელისუფლების წინააღმდეგ. ტაშენტის ქ. N 25 ბინა 1, ქალბატონ ლუარა გამყრელიძის საცხოვრისი იქცა ეროვნული მოძრაობის ახალ შტაბ-ბინად და ლეგენდარული, აფხაზეთიდან დევნილი, საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიერ ხელდებული გაზეთ „ალდგომის“ რედაქციად – გაზეთისა, რომელსაც რედაქტორობდა ბატონი მურმანი. რომლის ბაზაზე შეიქმნა გამომცემლობა „ზანი“, დაარსდა და დღის სინათლე იხილეს ათეულობით საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, ლიტერატურულმა თუ სხვა უანრისა და ხსასათის უურნალ-გაზეთებმა. დღემდე გამოდის საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური უურნალი „მიჯნა“.

ბატონი მურმანის გასაოცარი ფინანსური და გონებრივი ძალისხმევით ცოცხლობდნენ უურნალ-გაზეთები, იბეჭდებოდა ასეულობით წიგნი და აღმანახი, ფეთქავდა უნიკალური რედაქცია და ვიზრდებოდით ჩვენ, ახალი თაობის „ალდგომელები“, რომლებიც გაერდობით ეროვნულ მოძრაობას და ყველა კეთილი ნების ლირსეულ ადამიანს! (ვალკე საუბრის თემაა, მისი როგორც გემოვნებიანი რედაქტორისა და უშურველი გამომცემლის საკითხი).

„ტაშენტის 25“ მის დიდებულ დიასახლისთან ქალბატონ ლუარასთან და თავკაც მურმან ზაქარიასთან ერთად გახლდათ საგანე თავი-სუფლებისა, პატრიოტიზმისა, თავდადებისა და სიყვარულისა. ამ საოცარ ალაგს ისტორია კუთვნილ პატივს მიაგებს და ჩვენი შვილები და

შვილიშვილები იამაყებენ ამით...

ღრმა აზროვნებასთან და უკიდეგანო ჰორიზონტებით აღვსილობასთან ერთად, პატრიოტული აღტყინებით მოპირთავებული გახლავთ მთელი შემოქმედება ამ მაღალი კაცისა. მისთვის მუდამ უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სულიერი და ეგზისტენციური თავისუფლების უნივერსალურ განცდას. აპა, გადახედეთ პუბლიცისტურ წერილებს, ესესტიკას, სამეცნიერო ხსიათის სტატიებს... გაეცანით მის მდიდარ შემოქმედებას, წაიკითხეთ წიგნები: „მხილება სიცრუისა“, „დათრგუნული ღირსება“, „ტერორი თუ რეაქცია ტირანიაზე“, „ნარკვევი რუსულ იდეაზე“, „სიმბოლო ქართული იდეისა“. დარწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს დიდ მოაზროვნესთან, უაღრესად წიგნიერ და განათლებულ შემოქმედთან.

ხმამაღლა შემიძლია ვთქვა: მურმან ზაქარიას შემოქმედებაში წარმოდგენილმა მსოფლმხედველობრივმა და ანალიტიკურმა პრეზუმუტიციებმა აღასრულეს ისტორიული მისია. ასევე, თავისი ქმნილებებით, უნიკალური ცხოვრების სტილით დღემდე გამოკვეთილ გამომსახველობას ანიჭებს საკუთარ რენომეს, როგორც თავისი ქვეყნის უდალატო ჯარისკაცი და საზოგადო მოღვაწე.

ვულოცავ ბატონ მურმანს, ჩემს უსაყვარლეს და უახლოეს ადამიანს 75 წლის იუბილეს, ღმერთმა დიდხანს გვიმყოფოს მისი თავი ჯანმრთელად და ბედნიერად! ამ მისალოც წერილს კი პავლე მოციქულის სიტყვებით დავასრულებ: აუცილებელია – „კაცად კაცმან თვისი ტვირთი იტვირთოს და მზერა განიმაღლოს!“


მრავალუამიერ და მრავალუამიერ...

სიყვარულით,


ლაშა გვასაძია,
მწერალი



რეზო



მამრიკო
ზაქარია
იოგანიძე



თავარი

მ ე ბ რ ძოლი შემოჰედი



2020 წლის 6 ნოემბერს ეროვნული მოძრაობისა და აფხაზეთის დევნილი ინტელიგენციის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს, უურნალისტს, პუბლიცისტსა და მკვლევარ ისტორიკოსს, მურმან ზაქარაიას დაბადების 75 წელი უსრულდება. ერთი კვირით ადრე კი, 28 ოქტომბერს სრულდება 30 წელი 1990 წლის იმ ისტორიული არჩევნებიდან, რომელმაც მშვიდობიანი გზით დაასრულა არალეგიტიმური კომუნისტური მმართველობა საქართველოში, ქვეყნის მართვის სათავეში მოვიდა ეროვნული ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით.

იმისთვის, ვინც მურმან ზაქარაიას ცხოვრების გზას კარგად იცნობს, ადვილად ასახსნელია, თუ რატომ დავუკავშირე ეს ორი თარილი წერილს დასაწყისშივე ერთმანეთს. ამის მიზეზი ისაა, რომ თვით მურმან ზაქარაიამ დაუკავშირა თავისი ცხოვრება ეროვნულ ხელისუფლებასა და მის ტრაგიულ ბედს, კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლას; ჩვენც მეტ-ზაკლები სისრულით შევეცდებით, თვალი მივადევნოთ ამ ბრძოლის ძირითად პერიპეტიებს, პირველ რიგში, იმის აღნიშვნით, თუ როგორ აისახა განვლილი მძიმე წლები მურმან ზაქარაიას კალმით ნაზრევში, მის წიგნებში, რომლებიც თავიანთი სიმართლით, ავტორის მიერ აქტუალურ, ერისთვის საჭიროობო

საკითხთა და პრობლემათა წინ წამოწევითა და ობიექტური ანალიზით ეროვნული პებლიცისტიკის უმნიშვნელოვანეს შენაძენს წარმოადგენს.

* * *

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლო-დან აღორძინებულმა და გააქტიურებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა შეიძინა საქართველოს ძირძველ კუთხეში – აფხაზეთში, სადაც საბჭოთა იმპერია ქართველი ერის ისტორიული ნების წინააღმდეგ ეფექტურად იყენებდა თავის ნაცად მზაკვრულ იარაღს – სეპარატიზმს.

მურმან ზაქარაიასათვის, იმ დროს სოხუმის რაიონის სოფელ იაშთხვის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლისათვის, განსაკუთრებით ნათელი იყო, რომ აფხური სეპარატიზმის გაღვივებას წინ უძლოდა იდეოლოგიური მომზადების ხანგრძლივი პერიოდი, პირველ რიგში, ისტორიული მეცნიერება აფხური ისტორიოგრაფიის სახით, რომელიც შეიქმნა საბჭოთა პერიოდში XIX-XX საუკუნეების რუსული შოვინისტური პუბლიცისტების საფუძველზე. ამრიგად, ეროვნული მოძრაობის რიგებში მურმან ზაქარაია საქართველოს თავისუფლების იდეასთან ერთად იმის შეგნებამ მიიყვანა, რომ აუცილებლობას წარმოადგენდა სეპარატიზაციის მხილება, მაგრამ მოვლენები უფრო უკუღმართად განვითარდა: რუსეთის იმპერიის მიერ მოღალატე ქართველების დახმარებით განხორციელებულმა სისხლიანმა პუტინმა, ეროვნული ხელისუფლების დამხობამ უკვე რეალობად აქცია ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის საშიშროება.

ნიშანდობლივია, რომ მურმან ზაქარაია არათუ აქტიურად, არამედ მთელი არსებით, მთელი შეგნებითა და თავგანწირვით დადგა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული ხელისუფლების დასაცავად სწორედ მაშინ, როცა კანონიერი ხელისუფლება იქნა განდევნილი და ქვეყანაში გამეფდა ტერორი და რეპრესიები. უკვე არ იყო დრო და მოცალეობა აფხაზური სეპარატიზმის სამხელად, ძალიან მნიშნელოვანი და მტკიცნეული, მაგრამ მაინც შედარებით ლოკალური პრობლემების გადასაჭ-

რელად, რადგან ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას უფრო საშიში მტერი გამოუჩნდა – ე. შევარდნაძის ყოვლად უკანონო და დანაშაულებრივი, ანტიეროვნული, ანტიპუმანური, ძალადობაზე, სიცრუეზე, სიძულვილზე დამყარებული რეჟიმი.

ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას უამრავი ქართველი პატრიოტი შეენირა. მიუხედავად მკვლელობებისა, დაშინებისა, რეპრესიებისა, წინააღმდეგობის მოძრაობამ, კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლამ მამაცი მამულიშვილების თავგანწირვით შეუქცევადი სახე მიიღო და ამ მამაცთა შორის ჩვენი იუბილარიც, მურმან ზაქარაია უნდა დავასახელოთ. არა მარტო სიტყვითა და კალმით, არამედ დაუცხრომელი ორგანიზაციული, პრაქტიკული საქმიანობითაც მისი ფიგურა თვალსაჩინოდ ჩანს იმ ეროვნულ მოღვაწეთა შორის, რომლებიც წარმოადგენენ კანონიერებისათვის ბრძოლის ავანგარდში ამ 30 წლის განმავლობაში.

კომუნისტურ-კრიმინალური პუტჩის შემდეგ, როდესაც უკანონო რეჟიმმა ნამდვილი ომი გამოუცხადა საქართველოს მოსახლეობას, ეროვნული ხელისუფლების მომხრეთა დიდმა ნაწილმა თავი მოიყარა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ კრიტიკულ ვითარებაში მურმან ზაქარაიას საცხოვრებელი სახლი სოხუმის რაიონის სოფელ იაშთხვაში იქცა კანონიერების აღდგე-

ნისთვის მოძრაობის მთავარ შტაბად. სწორედ აქ იშვა იდეა და განხორციელდა კიდეც გამოცემა დამხობილი ეროვნული ხელისუფლების მომხრე გაზეთისა. ასე გამოვიდა გაზეთ „აღდგომის“ პირველი ნომერი 1992 წლის 26 აპრილს, აღდგომა დღეს. მურმან ზაქარაია იყო გაზეთის დამფუძნებელი საბჭოს თავმჯდომარე. შემდეგში, დევნილობის უმძიმეს პირობებში, ზუგდიდსა თუ თბილისში „აღდგომის“ გამოცემის მთელი ტვირთი ძირითადად მურმან ზაქარაიამ ზიდა, როგორც რედაქტორ-გამომცემელმა. რა თქმა უნდა, მას ერთგულად გვერდში უდგნენ ეროვნული სულისკვეთების უშიშარი უურნალისტები.

ჩვენ ქვემოთ შევეცდებით, მურმან ზაქარაიას წიგნებზე ზოგადი საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მურმან ზაქარაიას პუბლიცისტური კალმის აქტუალობისა და დროულობის ხარისხს, აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთ „აღდგომა“ იქცა განსაკუთრებულ მოვლენად ეროვნული უურნალისტიკის უახლეს ისტორიაში. „აღდგომის“ პიოგრაფია – ეს არის გასული საუკუნის 90-იანი წლების იმ ისტორიული პერიპეტიების სრული ანთოლოგია, რომლის გადატანაც მოუხდა ქართველ ხალხსა და ეროვნულ მოძრაობას; იყო პერიოდები, როდესაც მთელ ქვეყანაში „აღდგომა“ იყო ერთადერთი გამოცემა, რომელიც მოსახლეობას სიმართლეს აცნობდა მიმდინარე მოვლენების შესახებ; იგი



იყო ეული კუნძული მოღალატე, კონფორმისტული, წითელი-ყვითელი პუტჩისტური პრესის აყროლებულ ჭაობში. რომ არა გაზეთი „აღდგომა“ და კიდევ სხვა თითზე ჩამოსათვლელი ეროვნული გამოცემები, მთელი ქართული პრესა თავისი სულგაყიდული, ქვემდრომი, მშიშარა, ცრუ და მატყუარა ვითომ უურნალისტებით მთლიანად წალეკავდა ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას.

„აღდგომა“ მურმან ზაქარაიას ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ეს გაზეთი მისი შემოქმედების ნაწილსაც წარმოადგენს, რადგან ნომრიდან ნომერში აქვეყნებდა ჩვენი იუბილარი თავის მებრძოლ და მამხილებელ წერილებს. ამ გაზეთის სიცოცხლე და ქმედითუნარიანობა იყო მისი უპირველესი საზრუნავი, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „აღდგომას“ განსაკუთრებული მისია ხვდა წილად. ფაქტობრივად, ეს გამოცემა დევნილი ეროვნული ხელისუფლებისა და „მრგვალი მაგიდის“ ბეჭდვით ორგანოდ იქცა; მასში ქვეყნდებოდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართვები, დევნილი ხელისუფლებისა და „მრგვალი მაგიდის“ ოფიციალური მასალები. „აღდგომის“ გვერდის ავლით შეუძლებელია იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარების სრული წარმოდგენა; ამასთან დაკავშირებული უამრავი მასალა მხოლოდ „აღდგომის“ ფურცლებზე მოიძებნება.

ამ გაზეთზე საუბრისას მკითხველს აუცილებლად გაუჩინდება კითხვა, თუ რატომ შეწყდა „აღდგომის“ გამოცემა და როგორ შეეგუა მურმან ზაქარაია და გაზეთის მებრძოლ უურნალისტთა კოლექტივი ამ ფაქტს. ასეთი ტიპის გაზეთი ხომ მეტად საჭიროა დღესაც, როცა ჩვენი საზოგადოება კვლავაც შევარდნაძის მიერ ფინანსურად და იდეოლოგიურად ნაკვები კლანების კლანჭებშია მოქცეული და მეტ-ნაკლებად კვლავაც განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას. სამწუხაროდ, აქ შევარდნაძის ხელისუფლებას ვერაფერს დავაბრალებთ. მურმან ზაქარაია სწორედ შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში ახერხებდა გაზეთის რეგისტრაციაში გატარებას და საკუთარი სახსრებით მის გამოცემას. მიზეზი ძალიან მტკიცნეულია და იგი თვით ეროვნული მოძრაობის შიგნით მიმდინარე დაპირისპირებაში უნდა ვეძიოთ. მურმან ზაქარაიას გაზეთი ხელიდან გამოგლიჯეს და თუ რა „ეროვნული“ მიზნით, ესეც ნათელია: მერე არავის გახსენებია, რომ „აღდგომა“ სჭირდებოდა საქართველოს! გაზეთის გამოცემა შეწყდა!

ამ საიუბილეო წერილში ამ მტკიცნეულ თემაზე მეტს არაფერს ვიტყვი. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ გულისტყენა, უსამართლობა ბევრი იყო, მაგრამ მურმან ზაქარაია ყოველთვის პოულობდა გამოსავალს. ეროვნული მოძრაობის გარკვეულ ეტაპებზე თავიანთ სათქმელს ღირსეულად ამბობდნენ მურმან ზაქარაიას მიერ გამოცემული გაზეთები „ზანი“, „გზა ხსნისა“, „ჭყონდიდელი“, „ეროვნული თანხმობა“ და სხვები, უურნალები „მიჯნა“ და „ქართული მწერლობა-XXI“, თბილისში გამომავალი გაზეთი „დარჩელი“.

ყველა გაზეთის, ყველა უურნალის ერთი ნომერიც არ გამოსულა ისე, რომ მურმან ზაქარაიას კალამი არ დასტყობოდა. თანდათან მწიფდებოდა დრო, რომ მას თავისი მებრძოლი და მართალი პუბლიცისტური სიტყვა წიგნებად ექცია.

* * *

გაზეთ „აღდგომაში“ დაბეჭდილი რამდენიმე წერილი მანამდე გამოუქვეყნებელ წერილებთან ერთად 1996 წელს დაიბეჭდა მურმან ზაქარაიას პირველ პუბლიცისტურ წიგნში „მხილება სიცრუისა“. პირველი, რაც მინდა ვთქვა ამ არც ისე დიდი კრებულის შესახებ, ეს მისი სახელწოდებაა. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს სახელი მთლიანად აერთიანებს ავტორის შემდეგ გამოცემულ წიგნებსაც, ანუ მურმან ზაქარაიას მთელ შემოქმედებას, რომელიც სწორედაც წარმოადგენს ქართულ პოლიტიკაში გამეფებული სიცრუის, სიყალბის, მოჩვენებითი დემოკრატიის, პატრიოტიზმით შენიბებული მოღალატეობის მხილებას. ამ პირველ წიგნში გამოიკვეთა მურმან ზაქარაიას შემდგომი გამოცემების, მთელი პუბლიცისტური ნალვანის ძირითადი მიმართულება, სტილი და ხასიათი, მთელი ლაიტონგივი. აქვე იმასაც ვხედავთ, თუ როგორ იხვეწება მისი ხელწერა, როგორ ფართოვდება ინტერესთა არე, რომელიც ისტორიის საკითხთა წრესაც სცილდება მიუხედავად იმისა, რომ ბატონი მურმანი, პირველ რიგში, ისტორიკოსია და არაისტორიულ თემებსაც ისტორიის ჭრილში განიხილავს.

1998 წელს გამოდის მურმან ზაქარაიას წიგნი „ტერორი თუ რეაქცია ტირანიაზე“. მკითხველს შევახსენებ, რომ ამ წელს, 9 თებერვალს განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა ე.შევარდნაძეზე. ამ სამხედრო ოპერაციას სახელმწიფოს უკანონო მეთაური გადაურჩა; ყოველივე ამას მოჰყვა ჯიხაშკარის მოვლე-

ნები, როდესაც, 19 თებერვალს, ეროვნული ხელისუფლების მომხრეებმა გოჩა ესებუას მეთაურობით მძევლად აიყვანეს გაეროს დამკვირვებლები. ბუნებრივია, შევარდნაძის ხელისუფლებამ და მისმა ყურმოქრილმა პრესამ „ტერორისტულ აქტად“ მონათლეს ეს მოვლენები და ასე წარუდგინეს საერთაშორისო საზოგადოებასაც. საჭირო იყო ყველაფრისთვის ნამდვილი სახელის დარქმევა, მოვლენათა არსში ღრმად ჩანვდომა და ობიექტური ანალიზი, სიყალბის გაშიშვლება ანუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხილება სიცრუისა, შევარდნაძის ანტიეროვნული და ანტიდემოკრატიული რეზუმის სრული ანატომიის წარმოჩენა.

ეს მისია სწორედ მურმან ზაქარაიამ იტვირთა. მან თებერვლის მოვლენებიდან სულ რამდენიმე თვეში მოახერხა საკმაოდ სოლიდური ანალიტიკური წიგნის დაწერა, რომელიც ასევე ოპერატიულად გამოსცა, მიუხედავად მრავალი ხელის შემშლელი ფაქტორისა.

სწორედ ანალიტიკური მხარეა ამ პუბლიცისტური წარკვევის უმთავრესი ღირსება. ავტორმა შემოგვთავაზა არა მხოლოდ მსჯელობა და მოსაზრება 1998 წლის თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით, არამედ საფუძვლიანად, დამაჯერებლად ახსნა ეშევარდნაძის ხელისუფლების რეაქციული ბუნება, მისი პოლიტიკის ანტიეროვნული ხასიათი და ის მიზეზები, თუ რამ განაპირობა ზემოთ აღნიშნული მოვლენები. მთავარი კითხვა, რომელსაც ამ წიგნმა პასუხი გასცა, მისივე სათაურშია მოკლედ და ლაკონიურად ჩამოყალიბებული: იყო ყოველივე ეს ტერორი თუ რეაქცია ტირანიაზე?

თავდაპირველად ავტორი ეხება ხელისუფლების, დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლების ზოგადთეორიულ საკითხებს და მათგან გამომდინარე აკონკრეტებს იმ პრობლემებს, რომელიც საქართველოში წარმოშვა შევარდნაძის მმართველობის შედეგად. მ.ზაქარაია აღნიშნავს, რომ „საქართველოში მრავალპარტიულობის დემოკრატიული პრინციპი ჩანაცვლებულია კვაზიმრავალპარტიულობით, შესაბამისად: დემოკრატია – ფსევდოდემოკრატიით, ლეგიტიმურობა – ძალადლეგიტიმურობით, თავისუფლება – ტოტალიტარიზმით, არჩევითობა – უზურპაციით, ხალხის ნება – ტირანის ძალადობით“. ე.შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლით საქართველოში დამკვიდრდა ნეობოლშევიზმი, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის მეთოდი, მან დასტური მისცა სა-

ხელმწიფო გადატრიალების შედეგად ქვეყნაში გამეფებულ ტერორს, ცალკეული კუთხეების მიმართ გენოციდის პოლიტიკას, რომლის პასუხიც იყო 9 თებერვლის სამხედრო შეიარაღებული აქტი; ამ თავდასხმის შედეგადაც ხელისუფლებამ სათანადო დასკვნა ვერ გამოიტანა, მთავარ მიზეზთა მიჩქმალვით კიდევ უფრო დაძაბა ვითარება, რასაც 19 თებერვლის ჯიხაშვარის აქცია მოჰყვა; ჯიხაშვარის მოვლენებმა კი ნათელი მოჰყვინა სიმართლეს, რომ მიზეზი ყველა უბედურებისა ე.შევარდნაძის ხელისუფლების პოლიტიკაში, მის ტირანულ მმართველობაშია. ეს აქციები იყო უკიდურესი ფორმა ტირანის პირობებში, რათა განხორციელებულიყო ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა ორად გახლეჩილი ერის გაერთიანება, სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილება, თავისუფლებისა და დემოკრატიის დამკვიდრება, ოკუპანტთა ჯარის გაყვანა, ეროვნული თანხმობის მიღწევა.

კიდევ ერთ მონაკვეთს მოვიყვან ამ წიგნიდან: „როგორც სატანა ღმერთისაგან, ასევე ტირანი საზოგადოების მიერ ძლეული იქნება. საზოგადოებრივი ზიზლი და მიულებლობა დათრგუნავს და გაანადგურებს მას. ის თვითონვე, საკუთარი ანტიქმედებით წარმოშობს თავისივე განმადგურებელს. ტირანი არ კლავს, ან კლავე... ტირანის დემონური სული არავის დაინდობს, თუკი მას წინ არ აღუდგა წმინდა ძალა, უანგარო თავგანწირვა, რაინდული სულის მატარებელი, სამშობლოსა და ერის წინაშე ვალდებულების გრძნობადაუკარგავი გმირი“, ავტორი ხაზს უსვამს, რომ ასეთი გმირი იყო გოჩა ესებუა, რომელიც წარმოშვა ტირანისათან ბრძოლამ.

მურმან ზაქარაიას ამ წიგნის ლოგიკურ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ 2000 წელს გამოცემული, ჩემი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მოაზროვნე ინტელიგენციის მიერ ჯერ კიდევ დაუფასებელი პუბლიცისტური ესე „დათრგუნული ღირსება“. ავტორი უკვე მაშინ ხედავდა იმის საშიშროებას, რომ კომუნისტურ-კრიმინალური პუტჩის შედეგად ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებული არაჯანსაღი ტენდენციები მთელ ერს გადაგვარების გზაზე დააყენებდა; ამ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად განგაშის ზარის შემოკვრა იყო საჭირო. სწორედ ასეთი ზარის მაგივრობა იკისრა ამ წიგნმა, რომლის დასაწყისშივე ვკითხულობთ:

„უგუნურობის მანკით შეპყრობილ საზოგადოებაში უპირველესად ითვლება ღირსება.

ასეთ გარემოში ჯანსაღი გონების ადამიანის ცხოვრება ტანჯვად იქცევა, თორმეტ მანკიერნი მშვენივრად ეწყობიან ერთმანეთს. ამიტომ მათი „მორჯულებისათვის“ გარჯა, – ეს საკუთარი გადარჩენისთვის ბრძოლაცაა.

ძალადობის ზეობის უამს, როცა კეთილი მიზნის საპატიო ბოროტებას სჩადიან, ადამიანებში კლავენ პიროვნებას, რითაც ეს სუბიექტები და მათი მოქმედების ობიექტები შორდებიან არა მარტო ჭეშმარიტებას, არამედ გონიერებას მოკლებული აღმოჩნდებიან უღირსებო საზოგადოების წინაშე. აქ უკვე არავის ახსოვს ჭეშმარიტება, სიმართლე, უფლება, სამშობლო, პატრიოტიზმი, სიყვარული თუ სათნოება; საბოლოო ჯამში, არავის ახსოვს არც პიროვნული, არც საზოგადოებრივი ღირსება...“

სამწუხაროდ, ის, რასაც ამბობდა მურმან ზაქარაია 2000 წელს, აქტუალურ პრობლემად რჩება დღესაც, 20 წლის შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს წიგნი კვლავაც ძალიან სიცოცხლისუნარიანია და ჩვენს დამახინჯებულ დღევანდელობას ეხმაურება. რუსთველის ცნობილი აფორიზმის მოხმობით ავტორი აღნიშნავს, რომ შელახული ღირსებით ცხოვრებას სჯობს სიცოცხლე ღირსების დაცვას შესწირო, ანუ ღირსეულად მოკვდე. ადამიანის ღირსება მის სიცოცხლეზე აღმატებულია; ღირსებაზე ხელჩაქნეული კაცი სიმართლის მსახური ვერასოდეს იქნება. ამასთან, ღირსების საკითხი სცილდება წმინდა მორალურ პრინციპებს და პოლიტიკურ ასპექტში გადადის, ღირსება ხდება პოლიტიკურ ქმედებათა განმსაზღვრელი.

ღირსებადაკარგულთა ხვედრი მონობაა, თანაც ასეთი არაკაცები ყველაფრით ბედნიერები არიან. ღირსების საკითხი ყველაზე უფრო გამწვავებული ახალგაზრდობაშია. მათი ცხოვრების სწორი გზით წარმართვისათვის მთელი საზოგადოება უნდა ზრუნავდეს და ამის პირობებს სახელმწიფო უნდა ქმნიდეს.

ნაშრომში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ღირსება უშუალო კავშირშია ვალდებულებებთან. ეროვნული ღირებულებისადმი ადამიანის დამოკიდებულება განსაზღვრავს მის ღირსებას; „ერის წინაშე პიროვნების ვალი მარადიულია და რაც უფრო დიდი პროცენტით ვიხდით ამ ვალს, მით უფრო ვმაღლდებით საკუთარი თავისა და საზოგადოების წინაშე“. საზოგადოების გადაგვარების მთავარი მიზეზი სწორედ ეროვნული ღირსების დაქვეითებაა. ავტორი ამის შესახებ მსჯელობას აგრძელებს იმ ვითარების ანალი-

ზით, რაც მოხდა ჩვენს სამშობლოში, და საკადრის პასუხს აძლევს ჯ.კაშიასა და სხვა პუტჩისტ „თეორეტიკოსებს“. ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ პუტჩისტურმა ხელისუფლებამ წებაყოფლობით უარი თქვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დიდ წილზე, რასაც მოჰყვა აფხაზეთის ტრაგედია, სადაც ქართველების თავიდანვე განუმზადეს დამარცხება; კრიმინალურმა მაფიამ და ფსევდოინტელიგენციამ მოახდინეს ქართველთა გენოციდი, გაძარცვეს ეროვნული სიმდიდრე და ომი გამოუცხადეს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს. სახეზეა როგორც სოციალური, ასევე ეროვნული კატასტროფა. ასე შელახეს „ძალად მონებმა“ ეროვნული ღირსება.

საგულისხმოა, რომ ამ წიგნში ავტორი უხვად იყენებს ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა ნააზრევებს საკითხის უკეთ გაშუქების მიზნით. საერთოდ, სხვადასხვა წყაროთა მოხმობა ავტორის მსჯელობის სტილს წარმოადგენს და მას სხვა წიგნებსა და წერილებშიც ვხვდებით.

როგორც ვიცით, შევარდნაძის რეჟიმმა ეროვნული ხელისუფლების ასობით მოხმრე საპატიმროებში ჩაყარა. მურმან ზაქარაია ერთ-ერთი პირველი ჩაუდგა სათავეში რეპრესირებულთა განთავისუფლებისათვის ბრძოლას. მოშიმშილე პოლიტპატიმრებთან ერთად ციხეში მყოფი გურამ აბსანდის თავმჯდომარეობით ფუძნდება პოლიტპატიმრთა და პოლიტდევნილთა საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრი, რომლის საქმიანობას ციხის გარეთ, ფაქტობრივად, მურმან ზაქარაია ეწეოდა. იმ პერიოდში იგი ლამის პატიმრივით ატარებდა დროს საპატიმროებში, ხვდებოდა პატიმრებს, ანარმოებდა მოლაპარაკებებს მოძალადე ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ეს ბრძოლა დამთავრდა 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცნობილი დადგენილებით, რომლის მიხედვით დაგმობილი იქნა სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა, უნდა გადახედულიყო იმ პირთა სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხები, რომლებიც პასუხისებაში იყვნენ მიცემულნი 1991-1992 წლების მოვლენებთან დაკავშირებით.

მიუხედავად ასეთი დადგენილებისა, შევარდნაძის პროცესურატურა და სასამართლო, ხელისუფლალთა ყურმოქრილ მონებად ქცეულნი, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა გაეჭიანურები-

ნათ პოლიტპატიმართა განთავისუფლება. ეს ნათლად გამოჩნდა გ. აბსანძის საქმის გარჩევის დროს.

2001 წელს გ.აბსანძის საქმის სასამართლო განხილვის პერიპეტიებზე გამოიცა წიგნი „პოლიტიკური ანგარიშსწორება“. მურმან ზაქარაია ამ წიგნის თანაავტორი და რედაქტორ-გამომცემელია. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ იგი წიგნში მოცემული მშრალი მასალების: დოკუმენტების, მიმართვების, საჩივრების ავტორიც და მათთან დაკავშირებული მოქმედებების მონაწილე არის და იმ უხილავ პერსონაჟთა შორის ერთ-ერთ მთავარ ფიგურას წარმოადგენს, რომლებიც მონაწილეობდნენ მოძალადე ხელისუფლებასთან სამართლებრივ ბრძოლაში.

2005 წელს გამოდის მურმან ზაქარაიას წიგნი „ნარკვევი რუსულ იდეაზე“. ეს წიგნი თანამედროვე ქართულ პუბლიცისტიკაში ერთ-ერთი გამორჩეულია არა მხოლოდ თემის, სათქმელის აქტუალურობის მიხედვით, არამედ თვით ამ სათქმელის მინოდებით მყითხველისადმი, ღრმა და ამომწურავი დასკვნებით, რომლებიც თვალნათლივ გვიხატავენ ჩვენი მეზობელი იმპერიის პოლიტიკისა და იდეოლოგიის მტაცებლურ ბუნებას, იმ რუსულ სულსა და რუსულ იდეას, რომლებიც განაპირობებენ რუსეთის ურთიერთობის შოვინისტურ ხასიათს სხვა სახელმწიფოებისა და ერგების, მათ შორის საქართველოს, მიმართ.

მურმან ზაქარაიას ამ წიგნის დამსახურება კიდევ ის არის, რომ ავტორი თავის მსჯელობებს წარმართავს თვით ცნობილი რუსი მოღვაწეების გამონათქვამებისა და წარმოდგენების მიხედვით, რომლებიც ადრიდანვე ჩამოყალიბდა რუსულ კლასიკურ მწერლობაში, მეცნიერებასა და რელიგიურ ფილოსოფიაში. ამ წარმოდგენების ანალიზის საფუძველზე ნათლად ვხედავთ, თუ რამდენად მიესადაგება რუსული იდეა ლიბერალიზმისა და დემოკრატიის ღირებულებებს და შეძლებს თუ არა რუსული საზოგადოება თავისი იდეის ქვაკუთხედად ქცეულ იმპერიულობაზე, მმართველობის დიქტატურულ-ტოტალიტარულ წესზე უარის თქმას.

ამ თვალსაზრისით, არ შე-

იძლება არ დავეთანხმოთ ავტორს იმაში, რომ „რუსულ სულსა“ და რუსული „იდეაში“ გათვით-ცნობიერება ბევრმა სცადა, მაგრამ ყველაზე უფრო ეს გამოსდიოდათ თვითონ რუსებს“; სწორედ ამ მიზნით განიხილავს მ. ზაქარაია ისეთი რუსი მოღვაწეების გამონათქვამებს, როგორნიც ნ. ბერდიაევი, ნ. ტრუბეცკიო, ა. ტოლსტიო, ნ. გოგოლი, ა. ჩეხოვი, ი. ბუნინი, ნ. დურხოვოვ და სხვები არიან. მათი მეშვეობით გვახედებს ავტორი რუსული სულის სარკეში, ამ სარკეში ჩახედვა კი ბევრ რამეზე აგვიხელს თვალს, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც ზერელედ, ზედაპირულად უყურებენ რუსეთან ურთიერთობის პერსპექტივებს და ვერ აანალიზებენ იმას, თუ რა „იდეური სანვავით“ შემოგრიალდნენ რუსული ტანკები ჩვენს სამშობლოში. ამიტომაც, მურმან ზაქარაიას ეს წიგნი ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს.

მეათე საუკუნის უმნიშვნელოვანეს თეოსოფიურ ძეგლს, იოანე-ზოსიმეს „ქებაზ და დიდებაზ ქართულისა ენისაზ“, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში; მას სხვადასხვა ხასიათის მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, მასზე ამახვილებდნენ ყურადღებას ლიტერატურის კრიტიკოსები, ფილოსოფიები, ისტორიკოსები, თეოლოგები. ასეთი დაინტერესება იოანე-ზოსიმეს ამ ნაწარმოების მიმართ განპირობებულია თვით ტექსტის სიმბოლურობით, საკრალურობით, მისტიკურობით თუ მეორედ მოსვლის წინასწარჭვრეტით.

ამ ნაშრომებს შორის, დარწმუნებული ვარ, ლირსეულ ადგილს დაიკავებს მურმან ზაქარაიას 2018 წელს გამოცემული ნაშრომი „სიმბოლო ქართული იდეისა“, რომელშიც „ქება-ება“ მნიშვნელობა განხილულია ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს, ქართული იდეის ისტორიული ჩამოყალიბებისა და განვითარების ფოზზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ქება-ება“, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, როგორც ჰიმნი ქართულ იდეაზე, წარმოადგენს ეროვნული იდეის განვითარებისთვის საჭირო ბიძგსა და სტიმულს, ერთგვარ გეზსა და პროგრამას, რომლითაც უნდა იაროს და რომელიც უნდა აღას-



რულოს ქართველმა ერმა.

თავიდანვე ვიტყვი, რომ მ.ზაქარაიასთვისაც ძირითადი ამოსახალია ის მიდგომა „ქებას“ მიმართ, რასაც უპირველესად უსვამდნენ ხაზს ი. ჭავჭავაძე, ზ. გამსახურდია და ბევრი სხვა მკვლევარი, რომელთა მიხედვით, იოანე-ზოსიმე ენში გულისხმობს ენსაც, ქართველ ხალხსაც და ქართულ მოდგმასაც.

ამ ძირითადი დებულებიდან გამომდინარეობს მ. ზაქარაიას მიერ ამ ნაშრომში მოცემული ანალიზი „ქებასა“, როგორც ზოგადქართველური კულტურული მისის გამომსატველი სიმბოლოსა და ქართველი ერის სულიერ-სარწმუნოებრივი ღირსების ამსახველი ჰიმნისა; ამასთან, როგორც ავტორი აღნიშნავს, „ქება“ უნდა გავიაზროთ არა როგორც ცალკეული მეტაფორური და სარწმუნოებრივი სიმბოლოებისა და მეტაფორების მომცველი პოეტური ნიმუში, არამედ იგი თავისი დასრულებული სახით წარმოადგენს ერთ მთლიან სიმბოლოს ქართული იდეისა, რომელიც ყალიბდება და გამოკვეთილ სახეს ღებულობს მე-10 საუკუნის მეორე ნახევრისთვის“. თვით ეს იდეა, ავტორისვე ხაზგასმით, მდგომარეობს კოლხ-იბერული მოდგმის ერთიან ერად და ერთიან სახელმწიფოდ ფორმირების გარდაუცალობაში და იშვა პროტოენიდან და პროტოსამშობლოდან მომდინარე მეხსიერებიდან.

აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე წიგნი არის ნაშრომი ქართულ იდეაზე, მისი ჩასახვიდან ჩამოყალიბებამდე განვლილ გზასა და შემდგომ – ამ იდეის დაცვისა და განვითარებისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვან და განსაცდელებით აღსავსე პერიპეტიობზე.

გასულ წელს გამომცემლობა „უნივერსალ-მა“ მკითხველებს შესთავაზა მურმან ზაქარაიას მორიგი წიგნი „სახელმწიფოსა და დემოკრატიის საკითხისადმი დისპარატულ მიდგომაზე“. ეს ნაშრომი ფრიად საყურადღებოა იმით, რომ ეხება 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სისხლიანი პუტინის შედეგად დღემდე განვითარებულ მოვლენებს, ამ მოვლენათა ანალიზსა და დასკვნებს. რაც მთავარია, ავტორი, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მოღვაწე, მსჯელობას წარმართავს ეროვნული პოზიციიდან, ანუ მისთვის უმთავრესია მხილება იმ მანკიერი ტენდენციებისა, რომლებმაც განვითარება სწორედ იმ სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად პოვა.

წიგნის პირველი თავი – „დამოუკიდებლობის ორი აქტი – ორი მიდგომა“ – განიხილავს 1918 წლის 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის მოვლენების ურთიერთმიმართებასა და მათთვის კუთვნეული ადგილის მიჩნას და-მოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებაში. მ. ზაქარაია აღნიშნავს, რომ „ძირითადად მწვავე დავა-კამათი მიმდინარეობს იმის ირგვლივ, თუ დამოუკიდებლობის ამ ორი აქტიდან რომელია უფრო მნიშვნელოვანი და რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და სტატუსი დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი კონსტიტუციური დოკუმენტისა“.

შემდეგ მ. ზაქარაია მსჯელობს იმ გარემოებებზე, რომლებმაც განაპირობეს დისპარატული მიდგომის ჩასახვა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის ფორმირების მიმართ. მისი თქმით, სინამდვილეში საქმე გვაქვს ჭეშმარიტებისა და სიცრუის დაპირისპირებასთან; როცა ყალბისმქნელთა კასტა ცდილობს თავისი დანაშაულებრივი ქმედებების გამართლებას, მათ შეტევა მიაქვთ ეროვნულ ხელისუფლებაზე, ზოიად გამსახურდიაზე, როგორც რუსულ-საბჭოური იმპერიის უდლისაგან სამშობლოს დახსნისათვის თავგანწირულ მებრძოლსა და ლიდერზე. მ. ზაქარაია საკადრის პასუხს ამ ცრუისტორიკოსებს, რომლებიც ცინიკურად აღნიშნავენ, რომ თითქოს ზ. გამსახურდიას პოლიტიკური ფიგურის წარმოჩენა „ლოგიკურად არ გამოიყურებოდა“. ავტორი სამართლიანად შენიშნავს: „ასეთი ცრუისტორიების შექმნა იმდენადაა საშიში, რამდენადაც, პირველ რიგში, ისინი ამ გზით რყვნიან მომავალ თაობას“. იგი „თაობის გაქცევას“ უწოდებს იმ ფაქტს, რომ სამშობლოს მოღალატებებმა ახალგაზრდობას წაართვეს ხვალინდელი დღის იმედი და გაუყენეს ინდიფერენტიზმის, ნიჭილიზმისა და კრიმინალური იდეოლოგიის გზას.

სათანადო მსჯელობით მ. ზაქარაია მიდის იმ დასკვნამდე, რომ 1918 წლის 26 მაისის აქტის უმთავრესი ღირებულებაა ხალხისთვის ღვთით მონიჭებული განმათავისუფლებელი მისის ალ-სრულება, ამიტომ 26 მაისი არის საქართველოს რუსული შოვინისტური იმპერიის 117-წლიანი მონობის უღლისაგან განთავისუფლების გამოცხადების დღე. შესაბამისად, კონსტიტუციურად იგი უნდა დამკვიდრდეს, როგორც საერთო-სახალხო დღესასწაული – განთავისუფლების დღე.

თავის მხრივ, 1991 წლის 9 აპრილის და-

მოუკიდებლობის აღდგენის აქტი და მის საფუძველზე შექმნილი სტატუსი წარმოადგენს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობის საფუძვლისა და არსის განმსაზღვრელს; შესაბამისად, „**9 აპრილი წარმოადგენს სრულიად საქართველოს საყოველთაო-ნაციონალურ დღე-სასწაულს**“. მას უნდა დაუმკვიდრდეს სახელმწიფოს უპირველესი დღესასწაულის სტატუსი.

სწორედ ამ ორი თარიღის ურთიერთმიმართებათა განსაზღვრას ეძღვნება მ. ზაქარაიას აღნიშნული წიგნი, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს პრობლემა მიმოხილულია იმ ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მრავალმხრივი ანალიზით, რომლითაც ხასიათდება ჩვენი ქვეყნის, ქართველი ხალხის ბრძოლა და-მოუკიდებლობისათვის როგორც გასული საუკუნის 10-იან წლებში, ისე ჩვენს თანამედროვე პერიოდში, რომელიც აშკარად გამოირჩევა პუტინსტური ალიანსის სოციუმისათვის დამახა-სიათებელი წარსულის გაყალბებით, ფაქტების გაუკულმართებით, სიმართლის მიჩქმალვით და ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის, ეროვნუ-ლი ხელისუფლებისა და ზოიად გამსახურდისა ღვანწლის, 1991 წლის 9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობის დაკანინებით. ავტორის ეს წიგ-ნიც, როგორც წინა პუბლიცისტური გამოცემები, ღვარისეული პასუხია ასეთი გამყალბებლების მისამართით.

მ. ზაქარაიას ეს წიგნი, მსგავსი სხვა გა-მოცემები უნდა განიხილებოდეს სტუდენტურ წრეებში, პროფესორ-მასწავლებლებში, უნი-ვერსიტეტებში; უნდა მოეწყოს პრეზენტაციები, შეხვედრები მკითხველებთან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა ბოროტს კეთილმა სძლიოს და საბოლოოდ ვიხსნათ ქვეყანა ანტი-ეროვნული ძალების დამღუპველი ზემოქმედე-ბებისაგან.

* * *

ამ წერილში მოკლედ და ზოგადად შემოგთავაზეთ 75 წლის მურმან ზაქარაიას მრავალფე-როვანი პუბლიცისტური შემოქმედება, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ მკითხველს სრული წარმოდ-გენა შეექმნება ჩვენი იუბილარის შემოქმედე-ბით დიაპაზონზე, ცხოვრებისეულ მრწამსასა და თავისი შინაარსიანი წუთისოფლის უმთავრეს მიზანზე. ეს მიზანი გვაერთიანებს ადამიანთა იმ ერთობას, რომელსაც მურმან ზაქარაიას სამე-გობრო ეწოდება, რომლის თითოეული წევრი არ

იშურებს საკუთარ შესაძლებლობას და იბრძვის იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფო, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დაფუძნებული, მყარად იდგეს ფეხზე და სწორი გზით ვითარდებოდეს, რომ ჩვენმა საზო-გადოებამ რაც შეიძლება მალე და უმტკივნეუ-ლოდ მოიშოროს ის მანკიერებანი, რომელთაც ვერა და ვერ დავაღწიეთ თავი კომუნისტურ-კრიმინალური პუტჩიდან დღემდე; დიახ, ეს მანკიერებანი სწორედ იმ გადატრიალებიდან, შევარდნაძის ანტიეროვნული მმართველობი-დან მოდის და აზიანებს ქართველი ადამიანის შეგნებას, ზნეობას, აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, რადგანაც ამ მანკიერებებს წარ-მოადგენს სახელმწიფო ქონების მისაკუთრება სახელისუფლებო ბობოლების მიერ, კანონის სახელით უკანონობის ჩადენა, ეგონიზმი, ღვარ-ძლი და შური, ადამიანის უფლებების დარღვევა, შეგუება სილარიბესთან, უზნეობასთან, უპასუ-ხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე და ა.შ.

მურმან ზაქარაია ამ მანკიერებებთან ბრძო-ლის ავანგარდში დგას, ანუ იგი დაუცხრომლად იბრძვის საზოგადოების გაჯანსაღებისთვის და ეს არის მისი მებრძოლი კალმის მადლი და დამსახურება.

მურმან ზაქარაია სიმართლის მსახურია! სიმართლესთან ერთად იგი უანგაროდ ემსახუ-რება თავის ერს, თავის ქვეყანას! რაც უფრო მეტი გვეყოლება ასეთი ადამიანი, მით უფრო მოვიახლოვდება ის მომავალი, რომელსაც ვნატრობთ და რომლის მოახლოება შეაფერხა ქვეყანაში განვითარებულმა ანტიქართულმა მოვლენებმა, რომლებიც შიდა მტრებმა, მო-ლალატე ქართველებმა სასტიკი და ბოროტი იმპერიის მეშვეობით ჩაიდინეს.

გილოცავ, ძმაო, დაბადების ლამაზ თა-რიღს! კიდევ მრავალ წელს გემსახუროს შენი სამშობლოსთვის, თანაც, ეს სამშობლო, ჩვენი საქართველო გეხილოს ერთიანი და მტერზე გამარჯვებული! შენი დაბადების დღეების სად-ლეგრძელოები მაგ შენს თბილ კერაზე, აფხა-ზეთში, იაშთხვაში აგვენიოს, ყანწებით გვესვას გაბრწყინებული ქვეყნის სადიდებელი, სიცოც-ხლის, სიკეთისა და სიმართლის სალოცავები!

უფალმა გვიმინოს! ღმერთი იყოს შენთან, ჩვენთან, მთელ ჩვენს ჯიშ-ჯილაგთან და სრუ-ლიად საქართველოსთან!

ჯემალ შონია

შრომასა და ბრძოლაში გავლილი 75 წელი

ბატონი მურმან ზაქარაია მე გავიცანი 1993 წლის ბოლოს. ეს ჩვენი უახლესი ისტორიის უმძიმესი დროა: აფხაზეთიდან გამოძევებულია ქართული მოსახლეობა, მეორედ დამხობილია და განდევნილია ქვეყნის კანონიერი ხელისუფლება, პრეზიდენტი ზ. გამსახურდია სამეგრელოს ტყეებს აფარებს თავს, მის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით, მოსახლეობა იმყოფება ბანდფორმირებების ტერორის ქვეშ; ძარცვა-ყაჩალობა, მკვლელობები ყოველდღიური ნორმაა; უკიდურესი საყოველთაო გაჭირვება, სიღატაკე და სხვა ათასი უბედურება ადამიანებს აიძულებს, მარტო თავის გადარჩენაზე იფიქრონ. წინააღმდეგობის მოძრაობა დაქსაქსული და განადგურებულია. როგორც იტყვიან, „არსით ხმა, არსით ძახილი“ და ამ დროს ფოთში, სადაც მე იმუამად ნათესავებთან ვიყავი თავშეფარებული, გამოჩნდა მურმან ზაქარაია მის მიერ გამოცემული ხელნაბეჭდი უურნალებით „აღდგომა“ და „ჭყონდიდელი“.

იმდროინდელ ტერორის, უსახსრობის, უშუქობის, უტრანსპორტობის და უყველაფრობის

პირობებში ასე ოპერატიულად ორი უურნალის გამოცემა, დღევანდელი გადასახედიდან, დაუჯერებელ ამბავს ჰგავს. ამ უურნალებმა, შემდეგ სხვა გამოცემებმა და, რაც მთავარია, ბატონი მურმანის აქტიურობამ, მისმა პირადმა მაგალითმა ახალი სული შთაბერა ადამიანებს, კვლავ გააქტიურა ისინი და სამეგრელოში ეროვნულმა მოძრაობამ ისევ იწყო ძალის მოკრება. შედეგად შევარდნაძის რეჟიმს არ მიეცა საშუალება, ბოლომდე მიეყვანა საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფის დაწყებული პროცესი. ამაში კი მურმან ზაქარაიას წვლილი განუზომლად დიდია, ჩემი აზრით, გადამწყვეტიც კი.

პარალელურად ის მუშაობს სამეგრელოში „მრგვალი მაგიდის“ პარტიების აღსადგენად, რასაც წარმატებით ახორციელებს კიდეც. შემდგომში იქმნება რაიონული „მრგვალი მაგიდები“. მყარდება კავშირი აღდგენის პროცესში მყოფ ცენტრალურ „მრგვალ მაგიდასთან“. 1994 წლიდან გადმოდის თბილისში და აქ აგრძელებს პოლიტიკურ, ორგანიზაციულ, საგამომცემლო საქმიანობას.



ჭყონდიდელთა სხსომაზე

სხვადასხვა დროს უშვებს გაზეთებს „ალ-დგომა“, „ზანი“, ეროვნული თანხმობა“, „გზა ხსნისა“, უურნალებს „მწერლობა-XXI“, „მიჯნა“.

ყველა ეს გამოცემა ემსახურება როგორც ზოგად ეროვნულ თემატიკას, ასევე ჩვენი საზოგადოების ნინაშე დროის მოცემულ მომენტში წამოჭრილი ყველაზე აქტუალური საკითხების გადაწყვეტას.

გადამწყვეტი იყო ბატონი მურმანის ინტელექტუალური და მაორგანიზებელი როლი დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს, პოლიტ-პატიმართა და პოლიტდევნილთა საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის და ეროვნული თანხმობის დარბაზის დაფუძნებასა და საქმიანობაში.

ეს სამი ორგანიზაცია დროის სხვადასხვა ეტაპზე ფუნქციონირებდა. ყოველი მომდევნო ორგანიზაცია ლოგიკურად აგრძელებდა, ახალ საფეხურზე აჰყავდა შევარდნაშის რეზიმზე შეტევა დროის იმ მომენტისათვის ყველაზე აქტუალური მიმართულებით, საზოგადოების სხვადასხვა ფენების ჩართულობით, მათ შორის უმაღლესი სახელისუფლებო წრეებიდან.

შედეგებიც ხელშესახები იყო. რეზიმი იძულებული გახდა, უკან დაეხია და წასულიყო დათმობებზე:

– ციხეებიდან განთავისუფლდა და ემიგრაციიდან დაბრუნდა ასობით პოლიტპატიმარი და პოლიტდევნილი და მათი ოჯახის წევრები;

– პარლამენტმა მიიღო ცნობილი 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება, რომლის ძალითაც 1991-92 წლების მიჯნაზე განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება შეფასდა, როგორც კანონიერი ხელისუფლების დამხობა და კომუნისტური ნომენკლატურის რევანში;

– შედგა ეროვნული ძალებისა და ხელი-

სუფლების პროგრესული წანილის დაახლოება და თანამშრომლობა რიგი მიმართულებებით, რამაც შესაძლებელი გახდა შევარდნაშის რეზიმის მშვიდობიანი ჩამოშორება ხელისუფლების სათავეებიდან;

– დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით მომზადდა სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომლის ძალითაც დევნილებს აღუდგათ სრულიად უკანონოდ ჩამორთმეული ხმის მიცემის უფლება საქართველოს ხელისუფლების არჩევნებში. ამ უფლებით დევნილებმა პირველად 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში ისარგებლეს;

– ეროვნული დარბაზის ძალისხმევით 2004 წლის 26 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა ეროვნული თანხმობის დეკლარაციას, რამაც გააჩინა ახალი შესაძლებლობები საზოგადოებაში დაწყებული ეროვნული თანხმობის პროცესის გალრმავებისა, რაც ბოლომდე ვერ შესრულდა რიგი მიზეზების გამო.

ყველა ამ პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო ბატონი მურმან ზაქარაია. მისი დაუღალავი შრომით, ინტელექტით, პოლიტიკური ალლოთი, კრიტიკულ სიტუაციაში მტკიცე პოზიციით, უშიშარი ბუნებით გახდა შესაძლებელი მიღწეულის მოპოვება. მისი წვლილი ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჯერჯერობით სათანადოდ არაა შეფასებული. ეს ჯერ კიდევ წინაა.

გილოცავთ, ბატონო მურმან, 75 წლის იუბილეს!

ეს მხოლოდ ადრეული შემოდგომაა. მე დარწმუნებული ვარ, ბატონი მურმანი კიდევ იტყვის თავის ხმამაღალ სიტყვას როგორც პუბლიცისტიკაში, ისე პოლიტიკაში.

განვული ხუპუა



ესტონეთი გამოქვეყნებული შრომაგიდან

კასუები არჯალთა და ბალანგართ (წიგნიდან „მხილება სიცრუისა“)

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (N22) გამოქვეყნდა ბ-ნ ჯ.ჯანელიძის წერილი „თუ გიყვარს, უნდა ერთგულებდე“. წერილის იმ ნაწილს, რომელიც გაზეთ „აღდგომას“ შეეხებოდა, რედაქტორი პასუხი გასცა, ამჯერად კი გვისურს ვუპასუხოთ ყველა იმ არჯალთა და ბალანგართ, რომელიც ქვეყანას სიცრუის ჭაობში ძირავენ. ასე რომ, ბ-ნი ჯ.ჯანელიძე ნუ გაგვინანყოფება, თუკი მას პირადად არ ვპასუხობ, ამით სულაც არ მსურს მისი „დამსახურების“ დაკანინება, უბრალოდ, მინდა შევახსენო, რომ ის იმ სწეულ ცილისმნამებელთა კომპანიაში იმყოფება, სადაც დაფნის გვირგვინს არავინ დაუთმობს.

საქართველოს ტელევიზიის ცნობით, ბ-ნი ზვიად გამსახურდია თურმე ანაკლიაში ჩამოდის (თუ ჩამოჰყავთ), შემდეგ კი ქუთაისში ტახტს დაიდგამს და მეფედ ეკურთხება. მაშინ რომ შევახსენოთ ბ-ნ ჯანოს დღეს გადმონთხეული ღვარძლი და ზუგდიდში მიტინგზე სიტყვა აღარ მისცენ, რასა იქმს?...


ვის გაცრუებასა და გაბრიყვებას ცდილობენ ჯანელიძები, ბუაჩიძები და კომპანია? ვის ტანჯვა-ნვალებასა და სისხლზე სურთ პირადი კეთილდღეობის აგება? ვისი დამონების ხარჯზე მიელტვიან პირად, განუზომელ თავისუფლებას?

ბ-ნი ჯანოს „ნალვანს“ არც მივაქცევდით ყურადღებას, ისევე როგორც ძმათა მისთა ადრინდელ გამოხდომებს, რომ არა ერთი გარემოება: რატომღაც ეს ბატონები ეჭვქვეშ აყენებენ გაზეთის რეგისტრაციის კანონიერებას და მას უშუალოდ არძინბას სახელს უკავშირებენ. ამიტომ მე, როგორც ამ გაზეთის დამფუძნებელთა საპატიოს თავმჯდომარე, უშუალო პასუხისმგებელი გაზეთის რეგისტრაციაზე და, საერთოდ, გაზეთის გამოცემაზე, მოვალე ვარ, ერთხელ და სამუდამოდ ნათელი მოვფინო ამ ვითომ იდუმალებით მოცულ საკითხს. თუმცა აქ საიდუმლო არაფერი იყო

და არც არასდროს დაუმალავს ვინმეს. ჩვენს ოპონენტებს ეს აუიოტაუი, უბრალოდ, გაზეთის სახელის გასატეხად სჭირდებოდათ: ხალხნო! ვერ ხედავთ, რომ „ზვიადისტები“ აფხაზებთან თანამშრომლობენ, რათა მეგრულ-აფხაზური რესპუბლიკა შექმნანო, ახლა ისევ ამოატივტივეს, რათა ჭორებით აფხაზებთან პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას მომხრეთა თანამშრომლობაზე მიჩრმალონ ის ფაქტი, რომ დღეს აფხაზეთს, ფაქტობრივად, იცავს ის ხალხი, ვინც პრეზიდენტის მხარდამჭერ მიტინგებზე იდგა. ეს ხმაური ჯერ კიდევ შარშან, მაისში, ატეხეს. მაშინ მისი ინიციატორი აფხაზეთში მოქმედი ხუნტის მხარდამჭერ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება იყო (მომიტევონ, რომ მათ სახელწოდებას ვერ ვასახელებ; ხუნტის დავალებით აფხაზეთში იმდენი სხვადასხვა გაერთიანება ჩამოყალიბდა და დაიშალა, რომ მათზე თვალის მიდევნება ჭირს).

ახლა კი უშუალოდ წერილში მოყვანილ ბრალდებებზე. „ეს გაზეთი ადრე სოხუმში გამოიციდა, ეს ერთადერთი ქართული გაზეთია, რომელიც არძინბას ბრძანებით იქნარეგისტრირებული აფხაზეთში“...

საქმე ფაქტობრივად ასე იყო: გაზეთის თუ სხვა შემოქმედებითი გაერთიანების დაფუძნება, იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გატარება, ყველა სხვა მცირე სანარმოსა და კომპერატივის მსგავსად, ყოფილი სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ მიღებული და დამტკიცებული დებულების თანახმად ხდებოდა. ასე რომ, არავთარი განსაკუთრებული წესი გაზეთების გამოცემის ნებართვისა არ არსებობს და, რა თქმა უნდა, არც „აღდგომა“ იყო გამონაკლისი. ჯანელიძე ცოტა ქვემოთ წერს: „... არძინბამ იცოდა, გაზეთი რა სამსახურს გაუწევდაო...“ ე.ი. მას სურს თქვას, „სეპარატისტებს მოემსახურებოდაო“. არძინბამ მართლაც იცოდა და იცის,



თუ რა მიზნები ამოძრავებდათ და ამოძრავებთ თქვენ მიერ „ზვიადისტებად“ წოდებულ ჭეშმარიტად ეროვნულ ძალებს, ამიტომაც იყო, რომ იგი, როგორც ეს მას სჩვეოდა, ყოველგვარი კანონის დარღვევით ჩაერია საქმეში და იუსტიციის სამინისტროს აუკრძალა მისი რეგისტრაცია. ეს ჩვენთვის, გამომცემელთა ჯგუფისთვის, არც დაუმალავს მაშინდელ იუსტიციის მინისტრს ბ-ნ შამილ ლაკობას, თქვენ ამბობთ: „აკი ჩავიდა ერთ-ერთი მათგანი, ამ გაზეთის გამომცემელთაგანი, მაგრამ გასაგებად უთხრეს აფხაზმა სეპარატისტებმა, ჩვენთვის ედუარდ შევარდნაძე იქნება თუ ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტი, ამას მნიშვნელობა არა აქვს“... თქვენ აქაც სამარცხვინოდ სტუით, ბატონო ჯანო, ამაოდ ცდილობთ, ამ ფრაზით აფხაზებთან საქართველოს წინააღმდეგ რაღაც ალიანსი დაგვაბრალოთ, მაშინ როცა ამ ხალხის ჩასვლას გუდაუთაში სწორედ საქართველოსთვის სასიკეთო მიზანი ჰქონდა: უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ულეტის შეწყვეტა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების გზების ძიება. ჯერ ერთი, თქვენ ეს ყველაფერი კარგად იცით, გუდაუთაში ჩასვლისათვის თქვენ მიერ „მხილებულმა“ იმ პიროვნებამ ხომ სოხუმში 9 აპრილისადმი მიძღვნილ სხდომაზე (იმ სხდომაზე, რომელიც თქვენ შეა გზაზე მიატოვეთ და გაიქცით, რითაც დამსწრეთა აღმფოთება გამოიწვიეთ) ყველაფერი დაუუფარავად თქვა, მეორეც, ის პიროვნება, რომლის გვარის დასახელებისა თქვენ და თქვენისთანებს ასე გეშინიათ, არასოდეს ყოფილა და არც არის ჩვენი გაზეთის დამფუძნებელთა საბჭოში და არც რედაქციაში და, მესამე, გუდაუთაში მყოფ სეპარატისტებს (უნდა ითქვას, რომ ე.ნ. სუნტამ და მისმა მეხოტბეებმა თავიანთი საქციელით აფხაზი და რუსულენოვანი მოსახლეობიდან ბევრი ისეთიც ჩაყენეს სეპარატისტთა სამსახურში, რომელთაც ეს ადრე აზრადაც არ მოსვლიათ) არ უთქვამთ, სულერთია, „ჩვენთვის ედუარდ შევარდნაძე იქნება თუ ზვიად გამსახურდიაო“. მათ სრულიად აშკარად და გასაგებად განაცხადეს: ჩვენ ხელს გვაძლევს, რომ საქართველოს ედუარდ შევარდნაძე და არაკანონიერი მთავრობა მართავდეს, რადგან სანამ ისინი არიან, საქართველო ვერ გამთლიანდება და ვერც წარმატებას მიაღწევს. თქვენ ესეც იცოდით იმ სხდომიდან, ხალხს კი დაუმალეთ, ხალხის მოტყუება ხომ თქვენი პატრონებისა და თქვენი ნაცადი ხერხია.

არძინბამ იცოდა, გაზეთი ჭეშმარიტად ეროვნულ პოზიციაზე რომ დადგებოდა, ამიტომაც კრძალავდა მის რეგისტრაციას, მაგრამ მისმა ავანტიურამ ვერ შეაჩერა გაზეთის კოლექ-

ტივი, ნაძარცვით კი არა, საკუთარი სახსრებით, კაპიკ-კაპიკ შეგროვილი და ნასესხები 10000 მანეთით დავიწყეთ მისი გამოცემა ყოველგვარი ნებართვის გარეშე, მიუხედავად ორმხრივი დევნისა (არძინბას მთავრობისა და ხუნტისა), მკითხველს გაზეთი ერთი კვირის თავზე მივაწოდეთ, თქვენსავით „ზევიდან“ მოწოდებული მილიონებისთვის არ დაგვიცდია. ცილს რომ გვწამებთ და გვლანდავთ: „...ნასუფრალი არა მარტო ძალლისთვის არის სასურველიო“, გაქვთ კი ამის საბუთი? ადრე კომუნისტ-მაფიოზების ნასუფრალით გასუქებულო, სულით მონებო, ჩაიხედეთ საკუთარ ნაცოდვილარ გაზეთებში და ნახავთ, ვინ რითი იკვებება. მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს: ამას წინათ, როგორც „იბერია-სპექტრმა“ აცნობა მკითხველს, ეროვნული ბანკის მმართველ ბ-ნ დ. დვალიშვილს „კომუნისტისათვის“ („საქართველოს რესპუბლიკისათვის“) 10 მილიონი უჩუქებია, თქვენი ტერმინოლოგით, გადაუგდია ძვალი, რომელსაც თქვენი დედოგაზეთი კბილებით ჩასჭიდებია და ვერც ვერავინ გააგდებინებს, ბატონებო! თუ დაეჭვდებით, რომ ეს ნასუფრალია, ყური მიუგდეთ, აი, ახლა, ამ წუთს, როცა ეს წერილი იწერება, თქვენი პრემიერ-მინისტრი გაცოფებული სდებს ბრალს დ-დვალიშვილს 400 მილიარდი მანეთის მაქინაციაში, მაშინ როცა ხალხი შემშილით იხოცება, აფხაზეთში ფრონტის წინა ხაზზე მდგომი ბიჭები ცარიელი წყლითა და პურით იკვებებიან (ისიც თუ ელირსათ), ჰქმანიტარული დახმარების სახით მიღებული პროდუქტები კი მოსკოვიდან ტრაპიზონამდე შავ ბაზარზე იყიდება. რაც შეეხება „კომუნისტის“ მოამაგე დვალიშვილს, ღმერთო შეგცოდე, ავი ენები ამბობენ, „პირველის“ კაციაო. თუმცა რა მოხდა, ის კი არა, თქვენი „მეგობარი“ ჯულიო ანდრეოტიც კი ყოფილა გარეული კორუფციაში.

უშუალოდ „სახელმწიფოს მეთაურისა“ და „პარლამენტის“ ლოცვა-კურთხევით და-არსდა ე.ნ. საქართველოს თავდაცვის ფონდი, რომელსაც გულანთებულმა ხალხმა ნიშნობის ბეჭდებიც კი შესწირა, თქვენი კოლეგები, რაკი იგრძნეს, აქ რაიმეს დათრევა შეიძლებაო, გარს შემოერტყენენ მას. არც მოტყუებულან. ხორცი-სა რა გითხრათ, მაგრამ ნასუფრალი მართლაც გადმოგიყარეს ბ-ნი მიმინოშვილის „ნების“ სახით, რომლის დასაარსებლად მილიონები დახარჯეთ. შედეგი? თავდაცვის რა გითხრათ, თავდაცვას ამით ზარალის მეტი არაფერი უნახავს. ამგვარი გამოცემები, რა თქმა უნდა, ერთგულად ემსახურებიან პატრონებს, როგორც კი დაუკვეთავენ, დაინწყება ნაქოქინ-ნამოქოქინება, „ლიტ.საქართველოს“ უფალის (ევროპის ქვეყ-


ნების გაერთიანების მთავარი ეკონომიკური მრჩევლის (?) ტერმინია) და ე.წ. „ზვიადისტების“ ლანძღვა-გინება. მაგრამ დავუბრუნდეთ რეგისტრაციის საკითხს. არძინბასა და ძმათა მისთა (ე.ი. იმპერიის მსახური პუტინისტების, რომლებიც გორბაჩიოვს ემსახურებოდნენ არძინბასთან ერთად) წინააღმდეგობის შედეგად დაყოვნებულ რეგისტრაციამდე ჩვენი სასიცოცხლო რისკით გაზიარდის ოთხი ნომერი გამოვიდა. ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ მოგვიხდა შეჯახება სხვადასხვა ინსტანციებთან, ჩვენ მათ განვუცხადეთ, რომ საკითხს სასამართლოს გადავცემდით და ვამცნობდით მსოფლიოს. ხმაური აშკარა კონფრონტაციის სახეს იღებდა, ხოლო ჩვენთან კონფრონტაციაზე წასვლა ალბათ არც მაშინდელი აფხაზეთის „აფხაზურ“ მხარეს აძლევდა ხელს. რაც შეეხება ბ-6 ზვიად გამსახურდის თხოვნას (ან როგორც თქვენ ცინიკურად იხსენებთ, „თვით პატივცემულმა ზვიადმა დაურეკაო“), ჯერ ერთი, აქ პრეზიდენტს სათხოვარი არაფერი ჰქონდა, მეორეც, საჭირო რომ გამხდარიყო, შეიძლებოდა მოთხოვნას ჰქონდა ადგილი. ამრიგად, გაზიარდის გამოცემასთან დაკავშირებით ჩვენ არძინბასთან ან ვინმესთან სათხოვარი არ გვეონია.

ახლა იმაზე, „ეს გაზიარდი ადრე სოხუმში გამოდიოდაო... ბატონებო, ეს გაზიარდი დღესაც სოხუმში გამოდის, ის ისევ აფხაზეთის მკვიდრ უურნალისტთა გაზიარდი და ოუ სხვაგან იბეჭდება, ეს თქვენებური დემოკრატიის შედეგია. „როცა ომი დაიწყო აფხაზეთში, ზუგდიდში გადაბარგდნენო“, – წერთ და ისევ ცრუობთ, ხალხს სიმართლეს უმაღლავთ. სოხუმში ხუნტის ჯარის შემოსვლის შემდეგ, 3 სექტემბერს, მიუხედავად რეალური საშიშროებისა, გაზიარდის მორიგი ნომერი მაინც გამოვეცით სრული ფორმატით.

იმ და წინა დღეებში აფხაზეთში გამომავალი ყველა ოფიციალური გაზიარდი ჩვენს ქალალდზე გამოდიოდა (სხვათა შორის, ვალი დღესაც არ დაუბრუნებიათ. ჩვენი კუთვნილი ერთი ტონა ქალალდი რომ დაგვიბრუნონ, მათ ჯიბეს ხომ რაღაც დააკლდება).

სოხუმის მაშინდელი კომენდანტი ბ-ნი გ-გულუა პირველ ხანებში ვითომ თავს იკავებდა რეპრესიული ლონისძიებებისგან, კერძოდ, გაზიარდის აკრძალვისაგან, მაგრამ როცა გაზიარდი „აფხაზეთის ხმა“ ორგვერდიანი გამოვიდა, დაიწყო საშინელი ხმაური, მითქმა-მოთქმა (ეს ხომ თქვენთვის ნაცადი ხერხებია) და არ ვიცით, რა კანონის საფუძველზე ბატონმა გულუამ გააუქმა სტამბასთან დადებული ჩვენი ხელშეკრულება, მოითხოვა იქ დასაბეჭდი გაზიარდის სია, რომელზედაც რუსულ ენაზე ასეთი რეზოლუცია წააწერა: „დროებით აკრძალოს გაზიარდ „აიდგილარასა“ და „ალდგომის“ დაბეჭდვა“. აი, ასე გავატოლეს ანტიქართულ, პრომპერიულ, სეპარატისტულ „აიდგილარასთან“. ჩვენც რა ღონე გვქონდა, იძულებულნი გავხდით, სხვა სტამბა გვეძებნა, სხვა ხელშეკრულება გაგვეფორმებინა.

ბატონო ჯანო და კომპანია! მიუხედავად ასეთი შევიწროებისა, გაზიარდის მომავალი ნომერი მკითხველმა თავისი დროზე მიიღო. ღმერთი, რჯული! გზად არავინ გაგვიძარცვავს, პირიქით, გაზიარდის რეალიზაციით მიღებული მნირი სახსრებით ხელს უშმართავდით დევნილ ადამიანებს, დაობლებულ ბავშვებს. ყოველდღიურად ათობით კილომეტრს გავდიოდით ფეხით მშიერ-მწყურვალნი აფხაზეთიდან ზუგდიდს. ჩვენ დღესაც შევთხოვთ სოხუმის სტამბის ხელმძღვანელობას, განგვიახლოს ხელშეკრულება. ამით ქართულ ეროვნულ საქმესაც წა-



ვადგებოდით და გაზეთიც მოიგებდა. რაკი ეს საშინელი ომი თავს მოგვახვიეთ, მის სწორად და ოპერატიულად გაშუქებაშიც დავიდებდით მეტ წილს, მაგრამ ამის უფლებას არ გვაძლევენ და თუ ამაში დაგვეხმარებით, დიდ მადლობას მოგახსენებთ.

რაც შეეხება სამშობლოს ღალატს, რომელ-საც „ალდგომის“ რედაქციას სწამებთ...

შეგახსენებთ, რაზე წერდა გაზეთი პირვე-ლივე ნომრიდან: „დემოკრატიის“ ასი დღე“; „ავა-ლორმინოთ ეროვნული სული“; „საქართველო: ეროვნული თუ კოსმოპოლიტური“; „საქართვე-ლოა, იცოდე“; „გლეხეკაცი ერის ბურჯია“; „ვინ გადაზვა კოლუხრი კოშკი?!“; „მამული და რე-ნეგატები“; „საქართველო ამასაც გადაიტანს“; „გაერთიანება აუცილებელია, მაგრამ...“ ბატონი ჯანო და კომპანია, გთხოვთ გვიბრძანოთ, სადაა აქ არაქართველობა, გამყიდველობა... ნუთუ გვონიათ, რომ ამ წერილების ავტორებს ვინმე რწმენას შეაცვლევინებს ან საქართველოს სიყ-ვარულში შეეცილება?

ახლა ვნახოთ, პოლიტიკური განცხადებე-ბით ხომ არ ემსახურებოდა გაზეთი არძინბას გამთაშველურ, სეპარატისტულ პოლიტიკას? „ერის გამყიდველნი ცდილობენ ძმათა სისხლის-მღვრელი ომი აფხაზეთშიც გამოიწვიონ და ამით სამეგრელო ორმაგი წნების ქვეშ მოაქციონ“ („ხმა ავიმაღლოთ სამეგრელოს დასაცავად“, გაზ. „ალდგომა“ N10.10.VII, 1992წ.). ხედავთ, ბატონებო, ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე ვლაპარაკობდით იმაზე, თუ რატომ და რა მიზ-ნით დაიწყებოდა ომი იქ, აფხაზეთში.

„როგორც ჩანს, განზრახული აქვთ „მხედ-რიონის“ კრიმინალური ბანდების საშუალებით მეგრელების გენოციდი... საქართველოს ემუქ-რება დაქუცმაცება... ერთადერთი გარანტი საქართველოს ხსნისა არის მთელი ერის ერთ მუშტად შეკვრა“... („მიმართვა ქართველი ერი-სადმი“, „ალდგომა“, 10.VII.1992წ.).

რა მოჰყვა ამ გაფრთხილებას? თუ არ გახ-სოვთ, შეგახსენებთ, მაშინ მოხდა „მხედრიონის“ ვანდალური შემოსევა სამეგრელოში და წალენ-ჯიხის ტრაგედია. ნუთუ ამაში ამ „მოლალატეთა“ გაზეთს მიუძღვის ბრალი?

„დანო და ძმანო, ქართულო გენო, დამკვიდ-რებულო ნიკოფისით დარუბანდამდე, სამეგრე-ლოს ტრაგედია მთელი ერის ტრაგედია და თუ დღეს არ შევაჩერებთ გენოციდის ტალღას, ის გადაინაცვლებს სხვა კუთხებში და მუსრს გა-ავლებს ჩვენს ჯილაგს, გადავარჩინოთ იგი, წინ ალვუდგეთ ალვირახსნილობას... საქართველო საფრთხეშია და სანამ ხელისუფლების სადავეები ბნელ ძალას უშერია, სისხლისლვრა არ შეწყდება...

ქართველო ერო, ისმინე ჩვენი ვედრება!“..

აბა, გვითხარით, ამ „მოლალატეთა“ გაზე-თის გარდა სხვამ რომელმა აღიმაღლლა მაშინ ხმა და აუწყა ერს, რომ წინ დიდი საშინელება მოგველოდა, რომ ეს სისხლისლვრა სხვა კუთ-ხეებშიც გადაინაცვლებდა? სად იყავით მაშინ თქვენ, „ჭკვიანები“, „ინტელიგენტები“? ჩვენ, „უჭკუოები“ და „მოლალატეები“, თუ ვხედავ-დით ამ საშიშროებას, რაც შემდეგ დაგვატყდა თავს, ვის ვევედრებოდით ჩვენ – ქართველ ერს თუ არძინბას და სხვა სეპარატისტებს? „რა მძიმე განსაცდელიც უნდა დაგვატეხოს კოლ-ხებს უზურპატორმა ხელისუფალმა, სჯეროდეს ქართლელსა და კახელს, მოხევესა და ხევსურს, სვანისა და თუშს, ქიზიყელსა და ინგილოს, ფერე-იდნელსა და იმერხეველს, ლაზისა და აჭარელს, გურულს და ჯავახს, მესხსა და იმერელს, რაჭ-ველსა და ლეჩხუმელს, აფხაზისა და ფშაველს... სამეგრელო არ დაუშვებს საქართველოს დაქუც-მაცებას“ (გაზ. „ალდგომა“, 1992 წ. N4). ნუთუ შეიძლება ამ სტრიქონების ავტორებს დასწამო სეპარატისტებისადმი სამსახური ან საქართვე-ლოს დაქუცმაცებისაკენ სწრაფვა.

ცალკე საუბრის საგანია ბ-ნ ზვიად გამსა-ხურდისა საქართველოს ერთიანობაზე ფიქრით აღსავსე მიმართვები და განცხადებები, მთ შო-რის, მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი: „აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ არ უნდა გააღ-ვიოს ეროვნული შუღლი, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს საბოლოო ეროვნულ შერიგებას... წი-ნააღმდეგ შემთხვევაში, იგი განწირულია... უნდა დაიგმოს მონონაციონალური პრინციპი“... ნუთუ ასეთი განცხადების გამოქვეყნებით გაზეთი აფ-ხაზ სეპარატისტთა ინტერესებს ემსახურებოდა?

და ბოლოს, გაზეთმა აფხაზთა ე.ნ. უმაღ-ლესი საბჭოს მიერ 1925 წ. კონსტიტუციის ალ-დაგენის პირველივე დღეს აღიმაღლლა ხმა: „1925 წლის კონსტიტუცია, როგორც ბოლშევკიური დიდმცურობელობის სანქცია თავის დროზე, მიუღებელია დღევანდელი პოლიტიკური რეა-ლობისათვის.

ედუარდ შევარდნაძის „დიდი პოლიტიკა“ ძვირად ულირს საქართველოს...

იყიდება საქართველო!

ქართველი ერი არასოდეს შეურიგდება ხან-ძართან პოლიტიკური ავანტიურისტების ამგვარ გათამაშებას!“ (გაზ. „ალდგომა“ N12, 1992 წ. 24 ივლისი).

ხედავთ, ბატონო ჯანელიძე და კომპანია! იმაზე, რაზეც ზოგიერთს თვალი მხოლოდ გაგ-რის, კოჩარის და სხვა ტრაგედიების შემდეგ აე-ხილა, ჩვენ, „უჭკუონი“ და „მოლალატენი“, კარგა ხნით ადრე ვაფრთხილებდით ხალხს.

იმავე ნომერშია ელცინისა და გორბაჩოვის კარიკატურა წარწერით: „... ბორისიე, მიე სამარაბლო ედიკას, ძმაი ჩემი, – მიშაი აპდალა ხარ შენ! სამარაბლო კი არა, აფხაზეთიც უნდა შევაწეროთ!“

ბატონები, აი, რაზე გესაუბრებოდათ თქვენ „აღდგომა“, როცა გეგონათ, რომ ელცინი საქართველოს დაიცავდა და სკამებს დაგირიგებდათ.

კიდევ ერთი კარიკატურა – „გაეროში შეველ მარა“: გაეროში შესვლით გახარებულ შევარდნაძეს საქართველო ზურგზე მოუკიდია, სამარაბლო უკვე დაუკარგავს და აფხაზეთი მოწყვეტილა დედასამშობლოს (გაზ. „აღდგომა“, N15, 14 აგვისტო). დიახ, ბატონო, ასე აფრთხილებდა „აღდგომა“ ხალხს, თუ რა ნაბიჯს გადადგამდა საქართველოს რუსეთში შესაბრუნებლად გამოგზავნილი შევარდნაძე. აფრთხილებდა აფხაზეთის ომის პროვოცირების ავბედითი დღის წინა ღამეს გამოსულ ნომერში, მაშინ როცა არავინ არაფერი იცოდა ამ საბედისწერო ნაბიჯზე.

კ.ჯანელიძის მიერ გადმონთხეული ღვარდლის მთავარი მიზეზი, მისი თქმისა არ იყოს, ის ყოფილა, რომ ამ რეპლიკაში მასაც შეხებიან. „ერთი-ორი მეც ჩამინისკარტეს, სკოლები არ მუშაობენ, რა ემინისტრებაო...“

დავიწყოთ იმით, რომ გუმისთის იქითა მხარე არჩევნებს შესწირეთ, ოჩამჩირის რაიონისა და ტყვარჩელის ტერიტორიათა და, რა თქმა უნდა, სკოლების 80 პროცენტიც მოწინააღმდეგის ხელშია, იმ ნაწილშიც, რომელსაც ქართული მხარე აკონტროლებს, სასწავლო პროცესის ჩატარება შეუძლებელია. რაც შეეხება აფხაზეთში ყველაზე სტაბილურ გალის რაიონს, მას ამ რამდენიმე დღის წინ კახელი სტუმრების თანდასწრებით სეპარატისტობა დასწამეთ, თქვენივე ნათევამიდან გამომდინარე, თურმე ეს რეგიონიც არ გემორჩილებათ. დაგრჩათ სოხუმი და გულრიფშის რაიონი, რომელიც გამუდმებით, ყოველდღიურად იბომბება, ასეთ ვითარებაში თქვენი განცხადება – „სკოლები მთელი დატვირთვით მუშაობენ...“ რბილად რომ ვთქვათ, გადამეტებული ხომ არა?

რა მდგომარეობაშია ის სკოლები, რომლებიც სამინისტროს ექვემდებარებიან? თითქმის ყველა სკოლა გაპარტახებულია, შენობათა უმრავლესობა ჭერგადახდილი და ფანჯრებჩამტვრეულია, ყველა სკოლა გაძარცულია, ტექნიკური საშუალებანი და ავეჯი – მოპარული, სკოლებიდან სპილენძის ზარებიც კი წალებუ-

ლია, მოსწავლეთა კონტინგენტის 90 პროცენტი საკუთარ ქვეყანაში ღატოლვილადა ქცეული. ნუთუ ასეთ ვითარებაში შესაძლებელია სრული დატვირთვით სასწავლო პროცესის ჩატარება? ეს ხომ ცეკვა არაა, ბატონო ჯანო, რომ როცა მოგინდება და რომელ სუფრასთანაც გინდა, მკლავები გამალო. „მათ მე მარტო სოხუმის განათლების მინისტრი ვგონივარო“. არა, ბატონო, ჩვენ ნახევარაფხაზეთის ნახევარმინისტრი გვეგონეთ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სოხუმის მინისტრიც არ ყოფილხართ.

ბატონო ჯანო, თქვენ ჩვენ უხამსობა დაგვნამეთ, მოდით, აქაც მოვიშველიოთ ფაქტები და ვნახოთ, სადაა მეტი უხამსობა. თქვენ მიერ „აღდგომისადმი“ „მიძღვნილ“ დაახლოებით 150-სიტყვიან ნაწყვეტში ოცამდე ისეთი ტერმინია ნახმარი, რომლის მსგავსსაც ალბათ მხოლოდ თქვენს პარლამენტში გაიგონებს კაცი. აი, თქვენებური პოეტური ნიჭის ნაყოფიც: „მაჩეჩებს“, „უნიჭოები“, „უხამსნი“, „ნაძარცვნაგლეჯი“, „ნასუფრალი“, „ამძალებული“, „აშ-მორებული“, „ბოლმა-ხროვა“; „გამომჯირკველები“, „უსირცხვილო“, „გადაბარგდნენ“, „ერის მოღალატენი და გამყიდველები“...

და ბოლოს, როგორც ბატონმა ე.ჯაველიძემ ბრძანა, საქართველოში მოხდა „კაენის სულის აღზევება“, ქვეყანა წყვეტილადმა მოიცვა, დემონური ძალა ზემობდა გამარჯვებას. დამოუკიდებელ საქართველოში „თავისუფალი საქართველო“ აკრძალეს, „იბერია-სპექტრი“ – ეს ქართული დემოკრატიული, მართალი აზრისა და უურნალისტური სინდისიერების მატარებელი გაზეთი, მუდმივ დევნასა და ვანდალურ თავდასხმებს განიცილდა. საქართველოში ჩაქლეს მართალი სიტყვა. ინფორმაციის მთელი საშუალებანი კონცენტრირებულ იქნა სამხედრო კრიმინალური საბჭოს ირგვლივ. სიცრუემ და პირფერობამ წარყვნა ქვეყანა. აი, ამ დროს დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „აღდგომამ“, იგი იბრძოდა რჩმენის ალსადგენად. რამდენად სასახარულოა, რომ ჩვენ მოვესწარით იმ დღეს, როცა ქართველ კაცს ვხედავთ რწმენადაბრუნებულს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად შემართულს. ახლა უკვე რამდენიც უნდა ეცადოთ, ამ რწმენას ვერ ჩაქლავთ, საქართველოში აუცილებლად აღსდგება კანონიერება; სიმართლე და ზნეობა იზეიმებს გამარჯვებას.

1993 წლის ივნისი

შესავალი

(წიგნიდან „ტერორი თუ რეაქცია ტირანიაზე?“)

„მთელ ჩვენს ერს რაღაც სისულელემ შემოუტია“.

ემილ ზოლა

ადამიანის მიერ ადამიანზე ძალადობა ისე-
ვე ძველი მოვლენაა, როგორიც თვით ადამიანი.
ძალადობის წყაროდ მუდამ ძლიერი გვევლინე-
ბა. ხოლო მას შემდეგ, რაც ინდივიდუალურმა
ძალადობამ ადგილი დაუთმო კოლექტიურ ძა-
ლადობას და სახელმწიფოს სახით წარმოიშვა
თავისუფალი ნების დამთრგუნველი ორგანო,
ძალადობამ გადაინაცვლა სამეფო აპატარ-
მენტებში, ლენდორდებისა თუ საგრაფოთა
ციხესიმაგრეებში. ამგვარად, ძალადობა ფარ-
თო საზოგადოების თვალს მიეფარა. თვალს
მიფარებული ძალადობა უფრო სასტიკი და
დაუნდობელი გახდა. სიკედილი დათარებობდა
არა მხოლოდ ბასტილიასა და ტაუერში, არამედ
რომის პაპთა კურიებში. სახელმწიფო იღებდა
კანონებს, რომლებიც ძალადობას კრძალავდნენ,
მაგრამ თვითონვე არღვევდნენ მას. აი, ასე ერ-
თმანეთის გვერდიგვერდ არსებობდა წესებისა
და კანონების დამცველი კოლექტიური ძალ-
მომრეობა (სახელმწიფო) და ინდივიდუალური
ძალადობა (ტერორი).

ძალადობა გახდა კონ-
კურენტის ჩამოშორების,
მაღალი საზოგადოებისკენ
თუ ტახტისკენ გზის გაკაფ-
ვის იარაღი. მაგრამ დროთა
განმავლობაში მან სხვა, უფ-
რო კეთილი ფორმაც მიიღო.
ალვირახსნილმა ძალადობამ
წარმოშვა კეთილი ძალა,
რომელიც სუსტის მხარეზე
დადგა და იცავდა მას ძლი-
ერთაგან. ძალა და ძალმომ-
რეობა უვე სამართლიანობის
დამცველის როლშიც გამო-
ვიდა. ამგვარად, ერთდრო-
ულად მოქმედებდა ბოროტი
და კეთილი ძალა. იღვრე-
ბოდა უდანაშაულოთა და
დამნაშავეთა სისხლი. ასეთ

ბრძოლაში საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე
ტერორიზმს, რომლის სამშობლოდ და პირველ
გაფორმებულ ორგანიზაციად რატომდაც რუ-
სეთი და აქ შექმნილი საზოგადოება „ზემლია ი
ვოლია“ ითვლება. აქედან გამომდინარე, მივიჩ-
ნევთ, რომ თანამედროვე ფორმას ტერორიზმისა
საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნეში. მაგრამ
ბედის ირონიით მე-19 საუკუნემ მე-20 საუკუნეს
ესტაფეტა გადასცა არა ტერორიზმით, არამედ
– სახელგატებილი დემოკრატიით. ეს იყო დრე-
იფუსის საქმე.

„დრეიფუსის საქმე“ ეწოდა პროვოკაცი-
ულ პროცესს, რომელიც 1894 წელს გაიმართა
საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცრის,
ეროვნებით ებრაელის დრეიფუსის წინააღმდეგ.
იგი ცრუ ბრალდებით გაასამართლეს. დრეიფუსი
დაადანაშაულეს სამშობლოს ლალატში საფრან-
გეთან ამში გამარჯვებული გერმანიის სასარ-
გებლოდ. სამხედრო სასამართლომ დრეიფუს
მუდმივი პატიმრობა მიუსაჯა. საფრანგეთში გა-
იშალა საზოგადოებრივი მოძრაობა დრეიფუსის
დასაცავად. ამ მოძრაობამ და,
საერთოდ, დრეიფუსის საქმემ
მიიღო ანტისემიტური შეფე-
რილობა. სინამდვილეში კი იყო
საფრანგეთში დრომოჭმულ,
რეაქციულ, ნეომონარქიულ,
სამხედრო-პოლიტიკურ და
დემოკრატიულ ძალებს შორის
ბრძოლა, რომელიც 1906 წელს
დრეიფუსის გამართლებით
და მისი განთავისუფლებით
დასრულდა. მაგრამ მანამდე
კი საფრანგეთის სამხედრო-
პოლიტიკურმა ძალებმა, კერ-
ძოდ, გენერალურმა შტაბმა,
საუკუნოვანი ბურჟუაზიულ-
დემოკრატიული რევოლუციის
გამოცდილებისა და იდეების
მატარებელ ქვეყანას – საფ-



რანგეთს სახელი შეურცხვინა მსოფლიოს წინაშე, რათა საკუთარი მარცხი სხვისთვის გადაებრალებინათ. განტევების ვაცად კი დრეიფუსი და ეპრაელობა იქნა გამოყენებული.

„კაპიტანი დრეიფუსი იქცა განყენებულ ცნებად, – წერდა მის დასაცავად შექმნილ ე.წ. სინდიკატში მონაწილე დიდი ფრანგი მწერალი ემილ ზოლა, – რომელიც გამოხატავს გამარჯვებული მტრისთვის მიყიდული, განწირული მამულის იდეას. იგი არ არის მსჯავრდადებული მხოლოდ ამ, მომავალი ღალატისათვის, ძველ ღალატსაც შეაწერენ, აბრალებენ უწინდელ მარცხსაც, რადგან ჯიუტად სწამო, რომ მხოლოდ ღალატის გამო წავაგეთ ბრძოლა“. გარეგნულად როგორ ჰეგის ყოველივე ეს საქართველოში ბოლო დროს დატრიალებულ ტრაგედიას. ოლონდაც იზოლატორებსა და სატუსალოებში ერთი კი არა, არამედ ასეულობით „მოღალატე“ ზის. მათ, არც მეტი და არც ნაკლები, სამშობლოს ღალატში ედებათ ბრალი. რა თქმა უნდა, თუ ეს ფრანგმა ნეომონარქისტებმა შეძლეს ერთი კაცის – დრეიფუსის, საქმის განზოგადება, ქართველ ნეოკუმუნისტებს ასეულობით და ათასეულობით დაპატიმრებულთა საქმის განზოგადება და მათთვის აფხაზეთის ომის წაგების გადაბრალება გაუჭირდებათ. მათ არც ის გაუჭირდებათ, რომ საქართველოში დემოკრატიის მარცხი და პოლიციურ რეჟიმზე დამყარებული ტირანის გამეფების მიზეზად „მოღალატე“ პატიმრები დასახონ. თუკი იმ საუკუნის დასასრულს ამ სამარცხვინო, დანაშაულებრივი ცილისმნამებლური საქმის მსხვერპლი ეპრაელობა გახდა, არც ქართველ ნეოკუმუნისტებს გასჭირვებიათ დამნაშავის ზოგადი ობიექტის მოძებნა – მოღალატეთა იარღიყი ზვიადისტებს და მეგრელებს მიაკერეს (აფხაზეთის ომის დაწყების პირველ ეტაპზე ჯაბას ენით სახელმწიფომ განაცხადა: „ზვიადისტებს და მეგრელებს იარაღი არ მისცეთო“. დამარცხების შემდეგ კი ხალხი სვანეთში არეკეს, სამეგრელოსკენ წამოსულნი „საშინალად გაძარცვეს, განაირალეს, სამეგრელო, ის ადგილი, რომელიც შემდგომში პარტიზანული ბრძოლის კერა უნდა გამხდარიყო, განირეს“).

„თქვენ ალბათ არ იცით, რომ მათ საფრანგეთი გაყიდეს!“ – უყვიროდნენ მაშინ სიმართლის დამცველებს. „ისინი ზურგში გვესროდნენ!“

„მათ საქართველოს უღალატეს!“ – გაჰყვიროდა და გაჰყვირის ნეოკუმუნისტური – ტირანული რეჟიმი. სამწუხარო ისაა, რომ ამ ავტოკრატიას მხარს უჭერენ არა მარტო იმპერიალისტები, არამედ დასავლეთის ის ძალები, რომლებიც დემოკრატიის პროპაგანდისტად და დამცველებად გვევლინებიან. თვალს ხუჭავენ რეალობაზე, რითაც სახელს უტეხენ არა მარტო საკუთარ ქვეყანას, არამედ ზოგადად დემოკრატიას. როგორც ჩანს, საუკუნეთა მიჯნა ისევ ჭეშმარიტი დემოკრატიის გამოცდის ხანად იქცევა (პოსტკუმუნისტურ სივრცეში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში). ღმერთმა ქნას, რომ მას ეს გამოცდა ისევე ჩაებარებინოს, როგორც დრეიფუსის საქმეში.

„სხვაგვარად ვერ ვიცოცხლებდი“, – ამბობდა დრეიფუსისა და ეპრაელი ერის დასაცავად წამომართული ბატონი შერე კესტნერი. „სიმართლე მოაბიჯებს და მას წინ ვერაფერი დაუდგება“, – ეხმაურებოდა საფრანგეთის სათაყვანებელი შვილი ემილ ზოლა. მათ ამ მოწოდებას ხმა მისცეს ათასებმა და არ მისცეს საშუალება პატრიოტიზმისა და დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებულ წალდ დამნაშავეებს, თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებით სიმართლე ჩაეწილათ. მაგრამ მანამ, სანამ სიმართლე საბოლოოდ შემოაბიჯებდა, წინ ათწლიანი ბრძოლა იყო. გამოჩნდება კი საქართველოში ის ძალა, რომელიც შეძლებს ბოლო მოუღოს იმ საშინელ ცილისწამებებს, რომლებსაც ადგილი აქვთ ჩვენში ამ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში. ერთი რამ ფაქტია – ბრძოლა გრძელდება, იგი ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. ეს ხალხი საქვეყნოდ აცხადებს: ჩვენ ვიბრძვით სამართლიანობისა და კანონიერებისათვისო. როგორ ეხმიანება ეს საუკუნის წინ დიდი რომანისტის მიერ თქმულს: „არ არსებობს უფრო გმირული ბრძოლა, ვიდრე ბრძოლა სიმართლისა და სამართლისათვის“. როგორც მაშინ საფრანგეთში, ჩვენშიც სიმართლე ბევრმა იცის, მაგრამ სიმართლის ცოდნიდან სამართლის მოპოვებამე დიდი გზაა გასავლელი. ამ გზას, სამწუხაროდ, ყველა თავისებურად მიუყვება, რაც ძალთა დაქსაჭივას იწვევს. ბრძოლა ნაკლებ ეფექტური ხდება. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სამართლისათვის მებრძოლთა შრომა ამაოდ ჩა-

ივლის. ამ ერთეულების ნაკვალევს ასეულები და ათასეულები გაუყვებიან, ერთ მშვენიერ დღეს ერთ გზაზე გავლენ და მაშინ სამართლიანობა აუცილებლად იზეიმებს გამარჯვებას. მანამდე კი სამართლიანობისათვის მებრძოლთ კიდევ უფრო მეტი ჯოჯოხეთის გამოვლა მოუწევთ. ამას გვასწავლის წარსულის გამოცდილება, რომელიც აგრერიგად დაუგროვდათ სიმართლის-თვის მებრძოლთ „სამართლიანობის დამცველად“ მოვლენილ უზურპატორ ჩინოვნიკებთან ბრძოლაში. საკმარისია, საუკუნის წინანდელი ამბავი უბრალოდ გადმოვიტანოთ ჩვენს დროში და პროცესთათვის დამახასიათებელი, უზნეო მეთოდთა იდენტურობა სახეზე გვექნება: იგივე ხერხები – დასმენისა, დაბეზღვებისა, ლაფში ამოსვრისა, ჭორების გავრცელებისა, ლალატისა, განდგომისა, მოსყიდვისა, დამნაშავე ხელისუფლება ასეთი ლონისძიებებით ახერხებს, ერისა და ხალხისთვის სათაყვანებელი ადამიანებიც კი ბრძოლას ჩამოაშორონ. ისინი იძულებულნი ხდებიან გაჩუმდნენ, რათა თავი დაიცვან ბილნი ცილისწამებებისაგან. „დასმენა-დაბეზღვებამ მოიცვა ყველაფერი, – წერდა ზოლა, – ლაფში ამოსვრის შიშით უწმინდესი და უმამაცესი ადამიანებიც ველარ ბედავენ საკუთარი მოვალეობის აღსრულებას“, მაგრამ თავგანწირვის-თვის ყოველთვის რჩება ადგილი. საყოველთაო შერცხვენის ჟამსაც კი გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც თავისი შესაძლებლობების მასშტაბით იწყებენ ბრძოლას ამ ჯოჯოხეთური მანქანის წინააღმდეგ. მაგრამ მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული ერთიანობა, როგორც წესი, ეს ბრძოლა ეფექტური არ იქნება. თუმცა ეს სულაც არ წიმნავს იმას, რომ მასზე ხელი ავიღოთ. პირიქით, ყოველი ნაბიჯი, რაგინდ სუსტი ან მეთოდურად გაუმართლებელი იყოს, ის მაინც უნდა იქნეს გამოყენებული, თუკი მიზანი ნათელი იქნება – სიმართლის აღდგენის გზით სამართლის დამკვიდრება. ამიტომ 9 თებერვლის თბილისის და 19 თებერვლის ჯიხაშკარის (ზუგდიდი) მოვ-

ლენათა გაწმინდა არა მარტო იმ მინარევების-გან, რომლებიც მას თან ახლდა, არამედ მისი მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით განხილვა, გაანალიზება, მიღებული შედეგიდან სათანადო დასკვნის გამოტანა და მომავალ ბრძოლაში მისი გამოყენება გადაუდებელი საქმეა. აქ შეცდომის დაშვების უფლება არავისა აქვს, იმასაც კი, ვის წინააღმდეგაც იყო ეს აქტები მიმართული. მათ კიდევ ერთხელ მიეცათ საშუალება, აღიარონ თავიანთი შეცდომები, უარი თქვან სიჯიუტეზე, ნაკლები ინუნდაცია აქტის ფორმაზე. ეს ფორმა მათი მოგონილია. ამ ფორმით (შეიარაღებული გზით) მოვიდნენ ხელისუფლებაში და თუ ოდნავ მაინც აქვთ სურვილი საქართველოსათვის სიკეთე გააკეთონ, ყური მიუგდონ მათ მოთხოვნათა სიწრფელესა და მართებულობას. ასპარეზი უნდა გადაეკეტოთ დამსმენ-დამბეზღებელს, მედროვე-მლიქვნელებს, ხელისუფლებაში, მის მაღალ ეშელონებში მოტრიალე არაკაცებს – მათ, ვინც პრალის რეზოლუციის მსგავსი დოკუმენტებით თუ სხვა საშუალებებით საძირკველს უთხრიდნენ და უთხრიან ერის მთლიანობას, ქვეყნის დამოუკიდებლობას.

დღეს კიდევ ერთხელ უნდა მივმართოთ მთელ ქართველ ხალხს ისე, როგორც ზოლამ მიმართა ფრანგ ხალხს: „მაგრამ მაინც არსებობს ერთი ჭეშმარიტება, რომელიც მინდა დღეიდან მთელ საფრანგეთს მოვდო, რადგანაც სწორედ მას, მართალს, დიდსულოვანს შეიძლება ჩაადენინონ ნამდვილი დანაშაული. ეს უკვე აღარ ყოფილა ნამდვილი საფრანგეთი, თუკი იგი ასე შეიძლება შეაცდინონ და განარისხონ იმ საცოდავის წინააღმდეგ“.

საქართველო უკვე რამდენიმეჯერ შეაცდინეს და განარისცხეს იმ არაკაცებმა, მედროვეებმა, დამბეზღებლებმა, სხვათა მონა-მორჩილებმა. თუ ამჯერადაც გამარჯვება მათ დარჩებათ და ისევ შეძლებენ ქვეყნად მდგომარეობის გამწვავებას, მაშინ კატასტროფაში მყოფი ქვეყანა აუცილებლად დაიღუპება.

თებერვლის მოვლენათა მიზეზების, ფორმისა და არსის შესახებ

არენაზე თოფიანი კაცის გამოსვლის პირობები

ავტოკრატიული მმართველობით გამოწვეული უკმაყოფილება სულ უფრო იზრდებოდა ქვეყანაში. მაგრამ, როგორც ეს დამახასიათებელია ტირანიისთვის, ეს უკმაყოფილება შენიდბული იყო ფსევდოდემოკრატით. არსებული პოლიციური რეჟიმი მას გარეთ გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა. ხელისუფლება, რომელიც ყველგან თვითნებობას, ძალადობას, მონურ ჩაგვრას თესავდა, ერის ფიზიკური და სულიერი დამდაბლებით ცდილობდა სტაბილურობის შენარჩუნებას, მაგრამ დღეს თუ ხვალ, რაღაც ფორმით, უნდა ამოქეთქა ამ უკმაყოფილებას, უნდა შეზანზარებულიყო ძალადობრივი რეჟიმის ძირმომპალი კედლები ისე, რომ მას მიეპრო მსოფლიო საზოგადოების ფურად-დება.

კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისთვის მებრძოლთა მშვიდობიან ბრძოლას რეჟიმი მთელი შესაძლებლობით ამუხრუჭებდა. ეს იყო უთანასწორო, მაგრამ პერმანენტული ბრძოლა, რომლის დათრგუნვაც ხელისუფლების ძალას აღემატებოდა. თუმცა, ვერც დამხობილი ხელისუფლების მომხრეები ახერხებდნენ საყოველთაო დაუმორჩილებლობის ტალღის მასიურად აგორებას.

არჩევნების მოახლოების კვალობაზე, ხმა ამოიღეს როგორც საპარლამენტო, ასევე პარლამენტის გარეშე ძალებმა. ბრძოლას აგრძელებდა დევნილთა და ლტოლვილთა ფიზიკური განადგურების პირამდე მიყვანილი უკმაყოფილო მასა აფხაზეთ–სამაჩაბლოს პარტიათა და ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს სახით. მაგრამ დევნილთა ხელისუფლების, მათი კორუმპირებული ნაწილის მოსყიდვით, ტირანია ახერხებდა ამ ბრძოლის გახლეჩას, იწვევდა ხელოვნურ დაპირისპირებას, რაც ამ ბრძოლას

ძალას აცლიდა, ამდენად, წინააღმდეგობის ბრძოლის სუსტი ხმა, მით უმეტეს, მათი ქმედებანი, ვერ უწყობდა ნაბიჯს ხალხის მოთხოვნებს. „მშვიდობიანი პოლიტიკური გზით“ მებრძოლნი ძალზე ჩამორჩებოდნენ მასების გაღატაკების, მასიური პაუპერიზაციისა და სულ უფრო გაღრმავებად კრიზისულ პროცესებს.

და არენაზე გამოვიდა თოფიანი კაცი. ის გარკვეულ დრომდე ითმენდა დევნას, შევიწროებას, საკუთარი თუ ოჯახის შეურაცხყოფას. გარეული მხეცივით ტყე-ტყე დადიოდა. გაურბოდა ძალადობას, უცდიდა, როდის მოეგებოდა ხელისუფლება გონის, როდის გადავიდოდა სიცრუიდან სიმართლეზე, მოჩვენებით ხალხურობიდან ნამდვილ დემოკრატიაზე, როდის გაიღვიძებდა უზურპატორებში სინდისი, როდის დაიწყებდა რეალურ ქმედებას ერის შერიგებისთვის, ქვების ტერიტორიული და სულიერი მთლიანობის



აღდგენისთვის. ის გაფაციცებით ადევნებდა თვალს ოპოზიციურ ძალთა მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით ბრძოლას, თუმცა ვერც იქ ხედავდა რაიმე საიმედოს, რომელიც მისცემდა საშუალებას, შეევსო ცხოვრებისული სიცარიელით შექმნილი ვაკუუმი და ეპოვა საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, ხელისუფლება მას ამის საშუალებას არ აძლევდა. აი, როგორ გადმოგვცემს ჯიხაშკარში გოჩა ესებუას მონათხრობს უზრნალისტი კლარა აბრამია: „შესვედრისას, ჯიხაშკარში გოჩამ უურნალისტებს გვითხრა, რომ არაერთხელ გადაწყვიტა ტყიდან გამოსვლა, ნორმალური ცხოვრების გაგრძელება, და ეს იმიტომ, რომ უნდოდა მხარში ამოდგომოდა ობოლ ძმისშვილებს, მიეღო მონაწილეობა მათ აღზრდაში, მორალურად და მატერიალურად დახმარებოდა მათ, მაგრამ ვინ აცალა; გამოჩ-

ნდებოდა თუ არა, პოლიცია თავს ესხმოდა, იყო დევნა, შეურაცხყოფა, ფულის გამოძალვა და კვლავ ტყე აირჩია მეგობრად”.

თოვიანი კაცი ითმენდა არა მარტო ცენტრალური ხელისუფლების თვითნებობას დედაქალაქში, არამედ, როგორც ვნახეთ, ადგილებზე. ის ხედავდა, თუ როგორ ცემდნენ ხალხს „დუბინკებით“, სქესისა და ასაკის განურჩევლად. ის ითმენდა პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან დათხოვნას, ქვეყნიდან გაძევებას, ერთი მუჭა მაფიოზების მიერ მთელი ეროვნული სიმდიდრის მიტაცებას, ახალგაზრდობის გადაგვარებას, ასობითა და ათასობით პატრიოტის დატყვევებას, ქვეყნის გავერანებას. ხედავდა, რომ ქვეყანა იღუპებოდა, ძლიერი ხმა კი არ ჩანდა. როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, ტირანულ ქვეყანაში: ძალადობამ შვა ძალადობა.

თებერვლის აქციათა მიზეზები

ძლიერი, ერთიანი ოპოზიციური ძალის არარსებობის პირობებში, როცა ანტიტირანულ ძალთა ერთიანობა შეუძლებელია, ეროვნული ძალების დაქარსულობის პროცესს ბოლო არ უჩანს, უკმაყოფილო მასების დარაზმვა ერთი მიზნის ირგვლივ შეუძლებელია, წინა პლანზე გამოდის სტიქიურობა. სტიქიურობა მიმანიშნებელია საზოგადოებაში არსებული კრიზისისა. ხალხსა და მმართველ წრეებს შორის არსებული დაპირისპირებულობისა. ამიტომ სტიქიური ბრძოლა გარდაუვალია, ის წინა ეტაპია ორგანიზებულობისა. სტიქიურ ბრძოლებში გამობრძედილი ძალები, რწმუნდებიან რა ამ ბრძოლის ამაოებაში, მათი ყველაზე უფრო შეგნებული ნაწილი ახერხებს გაერთიანებას და სათავეში უდგება საყოველთაო სახალხო ბრძოლას ტირანის წინააღმდეგ. მაგრამ, ამასთანავე, სტიქიურობა საფუძველია ტერორისა.

შევარდნაძეზე თავდასხმის მონაწილეობაში ეჭვმიტანილთა გეოგრაფიაც კი საკმარისია დავრწმუნდეთ იმაში, რომ ამ სტიქიური გამოსვლის მიზეზი გახდა ის ანტიეროვნული და გამყიდველური პოლიტიკა, რასაც ხელისუფლება ატარებდა საერთოდ – ქვეყანაში, კერძოდ, – აფხაზეთის, სამეგრელოს, სამაჩაბლოს მიმართ, ასევე მისმა ანტიკავკასიურმა პოზიციამ.

კერძოდ:

1) სამეგრელოს ხუთგზის დალაშქვრა, აფხაზეთის პროვოკაციული ომის მიზანმიმართულად წაგება და მისი რუსეთისათვის ჩაბარება, სამაჩაბლოს გაჩუქება და იქ რუსების ჩაყენება, ამ ტერიტორიებიდან მოსახლეობის აყრა და ლტოლვილ-დევნილებად ქცევა, შემდეგ კი მათ მიმართ „მშვიდობიანი გენოციდის“ პოლიტიკის გამოყენება;

2) ანტიდემოკრატიული, ტერორისა და რეპრესიებზე დაფუძნებული შიდაპოლიტიკა, რომლის შედეგებაც ირლვეოდა საზოგადოებრივი ურთიერთობის ელემენტარული ნორმები, საქართველოში ადამიანებს სიცოცხლის უფლება წაართვეს, ვინაიდან მოუსპეს ცხოვრების ყველა საშუალება. მთელ ეროვნულ სიმდიდრეს დაუფლა მოსახლეობის 1%, კორუმპირებული ჩინოვნიკები და კრიმინალები. მასობრივმა პაუპერიზაციამ წალეკა ქვეყანა (რეგიონების დიდ ნაწილში ფულის ნიშნებიც კი ნაკლებად შედიოდა; ე.წ. ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის პირწმინდად გაძარცვა იყო.

3) ადამიანთა ელემენტარული უფლებების დარღვევა, ცრუ არჩევნების ჩატარება და ხალხის უდიდესი ნაწილისთვის არჩევანის გაკეთების უფლების წართმევა, მოსახლეობის ჩათრევა კონფლიქტებში, სამოქალაქო ომში, დაპირისპირებებში; შემდეგ კი დაპატიმრება, რეპრესიები, ქვეყნიდან განდევნა... ამას ხელისუფლება წინასწარგანზრახვით აკეთებს, ის ჯერ იწვევს გარკვეულ ქმედებებს, შემდეგ კი ამ ქმედებებისათვის სჯის მათ, რაც ერთს წინააღმდეგ მიზანმიმართული დანაშაულია.

4) გარეშე ძალების (იმპერიის) გამოყენება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში (რაც სცილდება კოლაბორაციონალიზმის ფარგლებს და აშკარა გამყიდველობა), მათი მეშვეობით საკუთარი რეჟიმის შენარჩუნება.

5) ანტიეროვნული საგარეო და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა. აფხაზეთის ომზე შევარდნაძის მიერ პასუხისმგებლობის აღება, შემდეგ კი ანტიქართული ისტერიისათვის პირბის მიზანმიმართულად შექმნა, იმპერიისადმი მხარდაჭერით ჩრდილოეკვასიელ, მეზობელ ხალხთა გადამტერება; უკულმართი პრივატიზაციის ჩატარების გზით ქვეყანაში ოლიგარ-

ქიისთვის გზის გახსნა და ქვეყნის სიმდიდრის გაყიდვა-განიავება და ა.შ.

ამ მიზეზების აღმოფხვრის გზით ეროვნული ერთიანობის აღდგენისთვის და მტრისთვის იმის საშუალების მიცემა, გამოიყენოს ეს მიზეზები თავის სასარგებლოდ, არის დღევანდელი ხელი-სუფლების კიდევ ერთი უდიდესი დანაშაული.

თებერვლის მოვლენათა ფორმისა და არსის შესახებ

მას შემდეგ, რაც ლოგიკური ანალიზითა და მსჯელობით დავადგინეთ ის მიზეზები, რა-მაც გამოიწვია 9 თებერვლის თბილისის და 19 თებერვლის ჯიხაშვარის (ზუგდიდი) მოვლენები, საჭიროა ამ მოვლენებს მიეცეს სათანადო კვალიფიკაცია, ეს კი მათ ფორმასა და არსში გარკვევას მოითხოვს. მაგრამ სანამ ამ საკითხის გადაწყვეტას შევუდგებოდეთ, უნდა გაირკვეს ამ აქტების ურთიერთმიმართების საკითხი.

თუ ამ მოვლენების გამომწვევი მიზეზები-დან ამოვალთ, მაშინ ასეთ ლოგიკურ დასკვნამ-დე მივალთ: რადგანაც ორივე აქციას ერთი და იგივე მიზეზი ჰქონდა – არსებული რეზიმის (ტირანისა) ანტიხალხური ხასიათი; ძალაუფლების უზურპაცია; საზოგადოების ხელოვნურად გახლეჩა და დაპირისპირება აქედან გამომდინარე შედეგებით; ადამიანთა ელემენტარული უფლების დარღვევა, მათ შორის სიკოცხლის უფლების; ტეროტორიული მთლიანობის და ა.შ. ეს მოვლენები ერთმანეთთან კავშირში არის.

როგორც ზემოთაც ვნახეთ, გენერალური პროერორის მოადგილის ბატონ ანზორ ბალუაშვილის განცხადებით: „...ზუგდიდში განვითარებული მოვლენები 9 თებერვლის გაგრძელება იყო“. რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, ჩვენ საკმაოდ ფართოდ მიმოვინილეთ ის და დავრწმუნდით, რომ აქაც ერთსულოვნებაა, ორივე აქტი ერთი საფუძვლიდან მოდის. ამდენად, ყველა მონაცემით, ეს მოვლენები ურთიერთკავშირია, რაც გვათავისუფლებს მათზე ცალ-ცალკე მსჯელობისაგან, ერთი მოვლენის არსია ავტომატიურად ვრცელდება მეორეზე, რაც სათანადოდ გულისხმობს მიზნის იდენტურობასაც, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მოვლენები არავითარ შემთხვევაში არ არის წინასწარგანსაზღვრული ერთი გეგმის

ორი დამოუკიდებელი ნაწილი და ეს განაპირობებს მათ ხასიათს. ორივე აქტი იყო სტიქიური ამბობი ტირანის წინააღმდეგ, მიმართული მისი სრულად მოსპობისაკენ, ან საერთაშორისო საზოგადოების ჩარევით, ხელოვნურად შექმნილი დაპირისპირებულობის აღმოფხვრის გზით ტირანის შეზღუდვისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისათვის ასპარეზის გახსნისა.

შევარდნაძის 10 თებერვლის განცხადებიდან ჩანს, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი ტერორისტული აქტი. ეს იყო მაღალ დონეზე ორგანიზებული სამხედრო ოპერაცია, რომლის მსგავსის ორგანიზება საქართველოს პირობებში შეუძლებელი იყო, უფრო მოვიანებით, მას შემდეგ, რაც აქტის მონაწილეობაში ეჭვმიტანილია ერთი ჯგუფი დააპატიმრეს, ხოლო გამოძიებაში აშშ ექსპერტთა ჯგუფი ჩაერთო, გენპროკურორმა ბაბილაშვილმა შევარდნაძის მოსაზრება ოფიციალურად დაადასტურა. მისი თქმით, ეს აქტი „საჯარისო ოპერაციის სახით განხორციელდა, იმ (სათანადო – ავტ.) ძალებითა და გამოყენებული სამხედრო ტექნიკით...“ შემდეგ პროკურორი დაწვრილებით აღწერს ამ ძალებს და ტექნიკას. ის, მართალია, ხმარობს ცნებას „ტერორისტის“ და „ტერორიზმს“, მაგრამ ეს უფრო მოცემულ მომენტში განხორციელებული აქტისადმი კვალიფიკაციის მიუცემლობის მიზეზით ხდება, ვიდრე რეალობიდან გამომდინარე. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოფიციოზი იმთავიდანვე ცდილობდა ამ მოვლენისათვის მიეცა საერთაშორისო ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია, რათა დაემალა მისი ნამდვილი მიზეზი.

ცნობილია, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ამერიკელმა ექსპერტებმა შესაბამისი სამსახურებიდან. მათი შეფასება უმაღლესია. მათი გაოცება გამოიწვია იმ იარაღის დამანგრეველმა ძალამ, რომელებიც ტერორისტებმა გამოიყენეს. საუბარია ოცამდე ტანკებისანალმდეგო ხელის უზმბარმტყორცნზე, ხუთზე მეტ ტანკსანიალმდეგო თანამედროვე ხელყუმბარასა და ოცამდე ცეცხლსასროლ ავტომატურ იარაღზე. „ტერორისტებს კარგად ჰქონდათ შერჩეული პოზიცია – იქვე მაღლობზე მდებარე ჩაბნელებულ სკვერში, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა გაჩახჩახებული გორგასლის ქუჩა... ტერორიზმის მსოფლიო პრაქ-

ტიკაში ასეთი საჯარისო ოპერაციის მოწყობა ტერორისტული აქტის განსახორციელებლად თითქმის არ მოიპოვება“. ალბათ ასეცაა, ეს იყო უკიდურესობამდე მისული ადამიანების მიერ მოწყობილი შეიარაღებული თავდასხმა. პროკურორის მიერ მოყვანილი ციფრები ადასტურებს იმას, რომ თავდამსხმელებისთვის დიდ სიძნე-ლეს არ წარმოადგენდა მთელი შემადგენლობის განადგურება, მაგრამ მათ არ სურდათ ზედმეტი სისხლის დაღვრა, ობიექტზე დარტყმის შემდეგ ისინი უკვე თავს იცავდნენ და გასვლას ცდი-ლობდნენ.

პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ უვანია ამტკიცებს: 9 თებერვალს მომხდარი ფაქტი არ იყო „უბრალოდ ტერორისტული აქტი... ეს გახ-ლდათ... მასირებული ოპერაცია“. რადგანაც ასეა, ჩვენც უნდა დავთანხმოთ, სხვა რა გზა გვაქვს. ახლა კი მოვუსმინოთ დანარჩენებსაც.

დავით ბერძენიშვილი: „ეს არ არის ტერო-რისტული აქტი კლასიკური გაგებით, ეს არის სამხედრო ოპერაცია“...

ვახუშტი კოტეტიშვილი: „... ეს იყო აშკარა საომარი ოპერაცია“.

ირაკლი წერეთელი: „9 თებერვლის მომხდარ ფაქტი აფასებს, როგორც სამხედრო ოპერაციას და არა ტერორისტულ აქტს“.

მოყვანილი ამონარიდები ეკუთვნის საზო-გადოების ფართო სპექტრს. ალბათ, საეჭვო არ უნდა იყოს ის, რომ არც ოფიციალური ხელი-სუფლების და არც საზოგადოებრიობის წარ-მომადგენლები ამ მოვლენებს არ განიხილავენ, როგორც ტერორისტულ აქტს, მისი კლასიკური გაგებით, უმრავლესობათა აზრით, საქმე გვაქვს შეიარაღებული გამოსვლის ფორმასთან.

1998 წლის 9 თებერვალს, თბილისში, გორ-გასლის ქუჩაზე პრეზიდენტ ედუარდ შევარ-დნაძეზე განხორციელებული თავდასხმას 19 თებერვალს ქ.ზუგდიდში, გაეროს დამკვიდრე-ბელთა შტაბინიდან ოთხი კაცის გატაცებასა და ჯიხაშეკარში მათ გადაყვანას იდენტური საფუძველი გააჩნია, ამიტომ ისინი ურთიერ-თეავშირშია. მაგრამ ის არაა წინასწარ განსაზ-ღვრული გეგმის ორი დამოუკიდებელი ნაწილი, თუ გნებავთ, საფეხური.

ორივე აქტი, თავისი არსით იყო სტიქიური ამბოხი ტირანისა და ძალმომრების წინააღ-მდეგ, რომელიც შემზადდა საზოგადოებრი-

ვი აზრის ზემოქმედებით, რისი დასტურიცაა ხალხიდან წამოსული აფორისტულად ქცეული ასეთი ტიპის გამოთქმა: „სანამ შევარდნაძე არის, (ცოცხალია), საქართველოს საშველი არ დაადგება“.

ფორმით, ეს იყო პარტიზანული ტიპის, შე-იარაღებული გამოსვლა ამ ტიპის აქტებისთვის დამახასიათებელი ნიშანითა და თავისებურებე-ბით (შეიარაღების სახე, შესრულება, ოპერაციის შემდგომი ეტაპი, თუ გნებავთ, მიამიტური და-მოკიდებულება მისადმი, კონსპირაციულობის არქონა და ა.შ.).

შესრულებად მოთხოვნათა წაყენებით ამ ძა-ლადობრივი აქტის მონაწილეებმა ხელისუფლე-ბას მისცეს საშუალება, დაეწყო მოლაპარაკება. ასეთი იყო საზოგადოებრივი აზრიც. არა მარტო იმ ქვეყნებმა, საიდანაც ეს მძევლები იყვნენ, არამედ ყველა ქვეყანამ, ყველა საერთაშორისო ორგანაზაციამ, მათ შორის გაეროს წარმომად-გენლობამ საქართველოში, ეს პრობლემა ში-დაქართულად ცნო და მისი მოგვარებისთვის. შესაბამისად, მძევალთა სიცოცხლისათვის, პასუხისმგებლობა საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას დააკისრა. ხელისუფლება იძუ-ლებული გახდა, მიჯდომოდა მოლაპარაკების მაგიდას, რითაც არა მარტო საქართველომ, არამედ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, იმ ქვეყნებმა, ვინაც დასაშვებად მიიჩნია ასეთი მოლაპარაკება, აღიარა დევნილი ხელისუფ-ლების არსებობა და ამასთან ისიც, რომ ამ პრობლემების გადაუწყვეტელობა გამორიც-ხავს ყოველგვარ სტაბილურობას არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაში.

არიან ძალები, რომლებიც ორივე მხრიდან მიუღებლად თვლიან ასეთ მოლაპარაკებას და თავის მხარეს ამას კაპიტულაციად უთ-ვლის. ასეთი ძალები, საიდანაც და ვის მიერაც არ იმართებოდნენ ისინი, ან რაგინდ კეთილი მიზნით არ აცხადებდნენ ამას, პოლიტიკურ სიპეცეს იჩენენ. მათ დიალოგი სისუსტედ წარ-მოუდგენიათ, მაშინ როცა თავიანთი ბრძოლის ქვაკუთხედად მშვიდობიანი ბრძოლის ტაქტიკა აურჩევიათ. გამარჯვებულის პოზიციიდან ლა-პარაკი რომ შეუძლებელია, ამაში შევარდნაძე დაარწმუნეს მისივე მეგობრებმა და ურჩიეს, დაეწყო დიალოგი. თვითონ ეს აქტი, თავის არაჩვეულებრიობით, მიზნის ჰუმანურობით,

მოინათლა, როგორც ტერორის ქართული ვარიანტი, რითაც ფაქტიურად ის არ ჩაითვალა ტერორის კლასიკურ ფორმად. შემსრულებლები ტერორისტებად კი არა, კეთილ აბრაგებად წარმოჩნდნენ, რაც ადასტურებს ერთ ჭეშმარიტებას, რომ მომხდარზე პასუხისმგებელია ხელისუფლება. შევარდნაძე მის განადგურების მცდელობის მიზეზს გარეთ კი არ უნდა ეძებდეს, არამედ საკუთარ თავში. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მისთვის განაჩენი გამოეტანათ. მაგრამ ეს იყო იძულებით ქმედება,

დასაგმობი მეთოდი. მაგრამ ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ სულიერად მისი შემზადება მოხდა უკიდურესობამდე მიყვანილ მასებში, განადგურებულ და გაჭირვებულ დევნილებსა და ლტოლვილთა წრეებში, სრულიად კავკასიაში, სადაც მისალმების ნაცვლად ხალხი ერთურთს ასე მიმართავდა: „სანამ შევარდნაძე არის, საშველი არ დაგვადგება“, „სანამ შევარდნაძე არის, აფხაზეთში დაბრუნება არ გველირსება“, „სანამ შევარდნაძე ზის, რუსი კავკასიას არ დატოვებს“ და ა.შ.

ღირსებას ვერ მოჰლავ

(წიგნიდან „დათრგუნული ღირსება“)

ქრისტეშობიდან 2000 წელი. ათასწლეულთა და საუკუნეთა მიჯნა.

ორი ათასი წელია, კაცობრიობის უდიდესი ნაწილი დაადგა ზნეობრიობის ახალ გზას, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა მორალისადმი მიდგომა. საზოგადოება შეუდარებლად ლმობიერი გახდა. ადამიანებმა იწყეს სიყვარულის, მიმტევებლობის, გულმოწყალების, შემწყნარებლობის ქადაგება. ის გაღვთისნიერდა.

ქრისტიანული სარწმუნოებით დამკვიდრებული წესი იმდენად მასშტაბური გამოდგა, რომ კაცობრიობამ ამ მოვლენით გამიჯნა დორო, თავისი წარსულის ისტორიული ქრონოლოგია. მას ძველი და ახალი დრო უწოდა.

ამ ახალი დროის, ახალი ზნეობის 2000 წლისთვის ზემზე ღირსეულად თავის წარმოჩენას ყველა ერი შეეცადა, დიდი თუ პატარა. მხოლოდ ჩემი ქალხისათვის არ აღმოჩნდა ადგილი ამ ზემში.

- თითქოსდა ის არ ყოფილი იმ მოვლენების შემსწრედა და მონაწილე, რომლებმაც საფუძველი დაუდეს დღევანდელ საკაცობრიო ზემში.

- თითქოსდა ამ მიწაზე არ ექადაგოთ პირველმოცი-

ქულთ ქრისტესმიერი სიყვარული და სათნოება;

- თითქოსდა ქრისტიანული სარწმუნოების-თვის, ამ ზემშის დადგომისათვის არ სწირავდნენ თავს ჩვენი წინაპრები;

- თითქოსდა არც ყოფილიყოს კოლხ-იბერთა მოდგმის ნაკვალევი ადამიანური ცივილიზაციის საწყის ეტაპზე.

ერი, რომელმაც ყოველივე ამაში დაიდო წვლილი, დღეს დაცემულა, მოზემე სამყაროს ვით მანანნალა ასდევნებია და თვალებში შესცი-ცინებს, განუწყებული ძალლი-

ვით ზოგჯერ შეუყეფს კიდეც, თუ დროზე ძვალი არ გადმოუგდეს. არადა ამ ათიოდე წლის წინ ერთ მუშტად შეკრული რა შემართებით, რა ღირსებით, რა თავდადებით იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის. ის სამაგალითო და იმპულსის მიმცემი იყო თავისუფლებისათვის მებრძოლ ერთათვის. მის ქმედებას თვალყურს ადევნებდნენ, მას რჩევას ეკითხებოდნენ, ანგარიშს უწევდნენ. აკი თვით იმპერიის მომავალი „იმპერატორი“, იმდროისათვის კი სსრკ-ში დემოკრატიის უპირველესი დამცველი, თავისი ფეხით ჩამოვიდა ყაზბეგს.

ცხრა წლის უკან კი, გაუგონარი ღალატისა და შეთ-



ქმულების შედეგად, ძირს დასცეს საქართველო. დაიწყო პერმანენტული უბედურების ხანა.

სისხლით დამკვიდრებული ზედა ფენების თარეშმა ყოველგვარი ზღვარს გადააბიჯა: დევნა, რეპრესიები, პოლიტპატიმრებით სავსე ციხეები, სამშობლოდან გადახვეწილი პატრიოტები, პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული დაუფარავი სისხლიანი ტერორი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ქვედა ფენები მოიცვა შიშმა და გულგატე-ხილობამ. ღირსებამ და თავდადებამ, პატრიოტიზმა და თავმოყვარეობამ ადგილი დაუთმო უნიათობასა და ინდიფერენტულობას, ნიპილიზმსა და გაუტანლობას. მხოლოდ ღირსეულთა შორის ღირსეულებმა შეძლეს ნებისყოფის შენარჩუნება, გააგრძელეს უთანასწორო ბრძოლა კანონიერებისათვის, სამართლიანობისათვის, ღირსებისათვის, მაგრამ რეაქცია იმდენად სასტიკი იყო, ძალები – არათანაბარი, მეთოდები კი – უზნეო, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა სულ უფრო ლოკალიზდებოდა, შესაბამისად სახეზე იყო მორალურ-ფსიქოლოგიური რეგრესი.

შედეგად მივიღეთ: დაკარგული აფხაზეთი და სამაჩაბლო, განადგურებული სამეგრელო, ეროვნული სიმდიდრისაგან გაძარცული ქვეყანა, რომელსაც დაეპატრონენ დამნაშავენი და ნახევრად კრიმინალური ელემენტები, მათ ზურგს უკან მდგომი გარეშე ძალები.

მაგრამ მაინც: რა დავვემართა? რომ მიგვიყვანა ამ დონემდე? სად ვეძიოთ გამოსავალი? არის კი? აი, კითხვები, რომლებიც აწვალებს ქართველ კაცს. იმედად ისლა დაგვრჩენია, რომ ჯერ კიდევ შემორჩენ ამ მრავალტანჯულ მიწაზე კაცობადაუსურდავებული ადამიანები, ისინი შეძლებენ ერის შელახული ღირსების აღდგენას.

* * *

კაცობრიობის არსებობა აზრს დაკარგავდა, ხოლო ადამიანის ცხოვრების აბსურდულობის პესიმისტური თეორია უეჭველი ჭეშმარიტება იქნებოდა, რომ არა კაცთათვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი, სულის გადარჩენისათვის ზრუნვა, სიკვდილზე სიკვდილითვე გამარჯვება და მარადისობასთან ზიარება. ნათქვამია: ოპტიმისტი ადამიანი მოკვდება,

მაგრამ სირცხვილეული არ ივლის ამ ქვეყნაზე.

ორი ათას სამასი წლის წინათ მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიულ, ყველაზე განათლებულ ქვეყანაში, რომლის მკვიდრთათვისაც ყველა დანარჩენი ხალხი ბარბაროსები იყვნენ, თვითონ ჩაიდინეს არნახული ბარბაროსობა – თავისი ყველაზე ღირსეული მოქალაქე სიცოცხლეს გამოასალმეს. სიკვდილით დასაჯეს ის, ვისაც საბერძნეთისათვის დიდება და სახელი მოჰკონდა, თუმცა მან ამ სიკვდილითაც უფრო მეტი შესძინა სამშობლოს, ვიდრე ათასობით და

ათეულათასობით იმ მკვლელთა მსგავსებმა, რომლებიც სახელმწიფოს სახელით ასეთ უკანონობას და უსამართლობას სჩადიოდნენ. ამ ჯალათებს სურდათ სოკრატეში ჩაეკლათ ღირსება, მაგრამ როცა ამას ვერ მიაღწიეს, ის ფიზიკურად გაანადგურეს. სოკრატემ კარგად იცოდა, რომ სიკვდილი მას კიდევ უფრო აღამაღლებდა, რამეთუ უწყოდა, რომ ღირსებაჩალული, სირცხვილნაჭამი ადამიანი ცოცხლადმკვდარია და ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს, რომ სიკვდილი კი არაა ყველაზე დიდი უბედურება, რაც ადამიანს შეიძლება დაემართოს, არამედ ის, რომ შენ, პიროვნებამ, ღირსებაზე ხელი აიღო და სირცხვილეულმა იარო ქვეყანაზე.

„პლატონ, შენ ახალგაზრდა ხარ და გვინია, რომ ყველაზე დიდი უბედურება სიკვდილია, მე კი მგონია, სიკვდილზე უარესია სირცხვილი“.

მანამდე და მას შემდეგაც ეს ჭიდილი სირცხვილსა და ღირსებას შორის გრძელდება. სამწუხაროდ, ძალზე ხშირად ადამიანები მარცხდებიან ამ უკომპრომისო ბრძოლაში. მხოლოდ რჩეულთ ძალუბთ წინ აღუდგნენ ცდუნებას და არაფერი დათმონ ამ მუდმივ ბრძოლაში. სისტემას კი, რომელიც მოწოდებულია დაიცვას ადამიანი, ღირსება და დაამკვიდროს სამართლიანობა, ძალზე ხშირად განაჩენი გამოაქვს ამ სამართლიანობისათვის.

სიკეთე უგნურისათვის იმდენად ცუდია,
რამდენადაც კარგია გონიერისათვის

ადამიანობის უპირველესი გამოხატულებაა, შესანავლო და შეისისხლხორცო საკუთარი ხალხის საუკუნოვანი ბრძოლითა და შრომით



შეძენილი გამოცდილება, მისი ზნე-ჩვეულება, ადათ-წესი, ისწავლო ერისკაცობა. ყოველგვარი სწავლება, ყველა სხვა განათლება, მოწყვეტილი ამ საწყისა, ადამიანში კოდირებულ „მე“-ს, რა გინდ დიდი უნდა იყოს ის, ქვეყანასა და ხალხს ვერ წაადგება, მხოლოდ ზიანს თუ მოუტანს მას. ეს ზიანი მით უფრო დიდი იქნება, დანაკარგი კი – აუნაზღაურებელი, რაც უფრო მეტი სივრცე და გასაქანი ექნება საკუთარი ერის სულსა და ფუძეს მოწყვეტილ ამ „განათლებულს“. ეს იქნება განათლება – მოკლებული გონებას. უგონო განათლება კი კაცობის დაკარგვის უპირველესი წყაროა.

ადამიანის, როგორც გონიერი არსების, „გონითობა“, მასში ჩადებული შთამომავლობითი კოდითა და მშობლიურ წიაღში მიღებული გამოცდილებით ყალიბდება. რაც უფრო შორდება ის ამ წიაღს, მით უფრო ნულდება ღვთითბოძებული მშობლიური გენის მოქმედება, არნახული პროგრესით მცირდება ეროვნული სულიერების ცხოველმყოფელი გავლენა.

ამდენად, მშობლიურ წიაღს მოწყვეტილ ადამიანში გადაგვარებას იწყებენ ეროვნული სულიერების მატარებელი „ფერმენტები“. ის თანდათანობით იქცევა აკოდირებულ „უგონო განათლებით“ დამიმებულ არსებად მსგავსი სახეები პირველი ლეგენდებიდან მოყოლებული თანამედროვე შემოქმედებითი აზროვნებით დამთავრებული თუ ისტორიული ფაქტებით დადასტურებული, კაცობრიობას მრავლად შეუქმნია.

საქართველოს რუსეთთან შეერთების თავგადაკლული ინიციატორი, პენსიაზე გასული გრაფი როსტოპინი, მადლიერების წერილს სწერს საქართველოს რუსეთისათვის დამორჩილებაში შეტანილი წვლილისათვის ქართველ ციციანოვს (ციცილშვილს), რომელმაც შეძლო ის, რაც ვერ მოახერხეს რუსის გენერლებმა: ტოჭლებენმა, კორინსმა, ლაზარევმა და სხვ.

„მოგილოცავ ახალ წარმატებებს. მე მიხარია, რომ ჩემი მეგობარი ახორციელებს იმას, რასაც მე ჩემს ოცნებად ვთვლიდი. მე მივეცი დასაბამი ამ საქმეს ქაღალდზე. შენ დაამკვიდრე მიწაზე. პირველი არაფერს ნიშნავს, მეორე კი მნიშვნელოვანია და დიდებული“ (ცორჯონიკიძე „რუსული მარვთელობის დამყარება საქართველოში“. გვ. 24).

ამ „უგონო განათლებით“ აღსილმა „ქართველმა“ უფრო მეტი უბედურება მოუტანა ქვე-

ყანას, ვიდრე მისმა უპირველესმა მტრებმა. აკი თავად როსტოპინი აღიარებს ამას. ციციანოვ-ციციშვილი ისეთ ვითარებაში დაინიშნა მთავარ-მართებლად, რომ ზრუნვა სამფლობელოების გაფართოებაზე არა მარტო აღარ შეიძლებოდა, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოს შენარჩუნების საკითხიც ბერვზე ეკიდა, – წერს ქალბატონი ეთერ ორჯონიკიძე¹, – არადა, ეს მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი არსება დედითაც ქართველი იყო – დავითაშვილისა (დავიდოვა). მისივე ინიციატივით გაისტუმრეს რუსეთს ქართველი ბატონიშვილები და დედოფლები. თუმცა ამ მხეცობას შეეწირა გენერალი ლაზარევი, რომელიც ციციანოვის ბრძანებით შეიქრა დედოფლალ მარიამის საძინებელში და მისგან ხმლით განგმირული ძირს დაეცა.

საუკუნეების მიჯნაზე ჩვენს ირგვლივ დატრიალებული უბედურება გაგრძელებაა იმ სულიერი დეპრესიისა, რომელიც ასე ხშირად მოიცავდა ერს. მრავალსაუკუნოვანი, პერმანენტული ბრძოლის მიუხედავად, დეპრესიისაგან სრული განკურნება ვერა და ვერ მოხდა. ნაციის ფსიქოლოგიური სისტემის სრული მობილიზების და არნახული ძალისხმევის ფასად უამიდან უამამდე, პერიოდულად ხდებოდა ეროვნული სულიერების აფეთქება, რაც შესაძლებელს ხდიდა ერის მისუსტებული ლონის განახლებასა და გაახალგაზრდავებას. აბობოქრებულ უშრეტი ენერგია კოლხ-იბერთა მოდგმისა გაარღვევდა ჯოჯოხეთური ძალების მიერ აგებულ ჯებირებს. ერი წყალს მოწყურებული ირმების გუნდივით დაეწაფებოდა მარად საოცნებო თავისუფლების სანუკვარ წყაროს, მაშინ უნდა გენახათ ის მარად უკვდავი სული ნაციისა. ერთაშედ ამოქმედ-დებოდა ყველა ადამიანური კატეგორია: პატრიოტიზმი, თავდადების უნარი, ლირ-სების გრძნობა, მოყვასისადმი სიყვარული, ტოლერანტობა – დამშვენებული სტუმარ-მასპინძლობის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, შესაძური წესით... და გულის ფიცარზე დაინერებოდა სანუკვარი სიტყვები: დედაენა, ერთიანობა, თავისუფლება, რაც დიდმა ილიამ ერის მარადიულ დევიზად გამოაცხადა: ენა, მამული, სარწმუნოება. აი, მაშინ უნდა ნახოთ ქართველი კაცი, მისი თავდადება, ლირსება და მიხვდები, რომ ისაა წყარო შოთას სენტიტურისა:

¹ ცორჯონიკიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“

სამწუხაროდ, ერის ამ მობილიზებას, მისი სულიერი – მზისებრი ენერგიის მშობლიურ გამოსხივებას, მუდამ წინ ელობებოდა „უგონო განათლებით“ დამძიმებული გადაგვარებული სული რენეგატ-კონდომიერისა. მაშინ თვალსა და ხელს შუა ქრებოდა ეროვნული სულისა და პიროვნული „მე“-ს ორერთიანობა. ტიუტჩევის სიტყვებით რომ ვთქვათ: ამ ურყევი მონოლითისაგან, როცა ყველაფერი ჩემშია, მე ყველაფერში ვარ (Все во мне и я во всем) არაფერი რჩებოდა. ფილოსოფიური თვალსაზრისით გასაგები ხდებოდა, თუ რატომ მივიდნენ „ადამიანის მდგომარეობის აბსურდულობის“ (სარტრი) აღიარებამდე, სრულად წარმოჩნდებოდა ხასიდური სწავლების სიბრძნე: „ადამიანის კეთილ საქმეებს უფალი იყენებს როგორც თესლს ხეების გასაშენებლად ედემის ბალში. ასე რომ, ყოველი ადამიანი თავის სამოთხეს ქმნის. პირუკუ ხდება, როცა ის ცოდვას სჩადის“ („ხასიდური სწავლებანი“. თბ., 1998 წ. გვ. 12).

ადამიანის კეთილი საქმეები მიძღვნილი ამქვეყნიური სამოთხის – თავისუფალი სამშობლოს დამკვიდრებისათვის, ჩაინაცვლება ცოდვით, სამოთხის ედემის ბალის ნაცვლად ჯოჯოხეთის ცეცხლს ააგიზგიზებენ, „უგო-

ნო განათლებით“ დამძიმებული ცოდვილი სულები რენეგატ-კონდიტიერებისა. მათზე წერდა ფრანგი მოგზაური შარდენი:

„ქართველ დიდკაცთა უმეტესობა მუსულმანობას უგულოდ ეზიარა და მხოლოდ ანგარება ამოძრავებდათ. ერთნი ამ რჯულზე მოინათლნენ სასახლეში თანამდებობათა მიღების მიზნით, მეორეთ სული წასძლიათ სპარსულმა სახელმწიფო პენსიებმა; მესამეთ აინტერესებთ მათი ასულები შაჰის ცოლები გამხდარიყვნენ, ანდა მიეღოთ შაჰის ცოლების სამსახურში. ეს ლაჩარი დიდკაცობაა, რომ შაჰს ნებაყოფლობით აძლევს თავის ულამაზეს ქალიშვილებს. ამ სიმდაბლის საფასურად წარჩინებულთ ეძლევათ ან სახელმწიფო პენსია, ანდა თანამდებობა, მუსლიმის რჯულზე გადასვლა ყოველთვის წინ უსწრებს დანინაურებას. პენსიების რაოდენობა დამოკიდებულია მოხელის უნარსა და თვისებებზე, მაგრამ ჩვეულებრივ ორი ათას ეკიუს არ აღემატება“.¹

ვასუშტი ბაგრატიონიც ადასტურებს შარდენის ამ ცნობას:

„... და დაუტოვებდნენ ქართველთა. იწყეს კეკლუცობა, განცხომა, მათებრ სმა-ჭამა, სიბილნე, ტყვის ყიდვა, მრუშობა, ვიდრე სოდომამდე, რამეთუ პატივისთვის როქთათვის იქმნებოდნიან შაჰიდინან და მიიღებდიან ყენისაგან როჭიკასა“.²



¹ დ. ჯანელიძე, „ლაზების ბელადი“, თბ., 1978 წ., გვ. 30.

² „ქართლის ცხოვრება“, მე-2 გამოცემა დ. ჩუბინაშვილის, 1854 წ., გვ. 46.

ამაზე უთქვამს რუსთაველს:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუმაძლარი“.

მაშინ, როცა ეს რენეგატ-კონდოტიერები როჭიკს გამოელოდნენ ყევენისაგან, კეთილი საქმის მქმნელნი – სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლნი ტყვეობასა და დევნილობაში იტანჯებოდნენ. სამშობლოდან ძალით მოწყვეტილი ქართველი კაცის მოურჩენელ ტკივილს ასე აგვიწერს ინგლისელი მოგზაური ტომას ჰერბერტი:

ქალაქ ასპეროზში ბიბლიური მეფე სოლომონის დედის აკლდამის („ზულეიმენის მიზგით“) მიდამოებში ბინადრობდა ტყვედ წაყვანილი 40000-მდე ქართველი და ჩერქეზი ქრისტიანი მოგზაურის დანახვაზე ქართველები ტირილით მოეხვეოდნენ მას და დაკარგულ სამშობლოზე გოდებდნენ.¹ მოთქვამდნენ სამშობლოზე, მაგრამ არც სურვილი ჰქონდათ და არც დაუშვებდა ვინაზე ამ მოჯანყებისათვს პენსია დაენიშნათ, ანდა სამსახურში გაემწესებინათ. ბედის მიერ ასეთ განწირულებზეა ნათქვამი:

„ვა, სოფელო, რა შეგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა. ყოველი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა! სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა? მაგრამ ღმერთი არ განწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.“

ღმერთს მინდობილნი ეწირებოდნენ ისინი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. მათი ოცნება მტრის უღლისაგან თავდახსნილი, თავისუფალი საქართველო იყო. ამ იდეის ხორცებსასხმელად თაობები სდებდნენ თავს. მათ წინაშე არასოდეს დამდგარა არჩევანის პრობლემა ღირსებით სიკვდილსა და უღირსებო სიცოცხლეს შორის, ღირსებისათვის თავშეწირვა მათი სტიქია იყო.

ერთთათვის შაპის კარზე დაწინაურება და პენსიის მოპოვება იყო ღირსება, მეორეთათვის – სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა, თავგანწირვა, უთანასწორო ბრძოლებში დამარცხება და იმის დაკარგვა, რასაც ადრე ფლობდა, თვით სიცოცხლის

ჩათვლით. ასე ენაცვლებოდა და ენაცვლება ერთმანეთს კეთილის ქმნა და ცოდვით სულის დამძიმება. კეთილი მუდამ ჯვარცმული და სისხლდენილია, მაშინ როცა ცოდვილს ხორცზე კანი ასკდება, სული კი ჩაკლულია. კეთილის მქმნელი ღვთის საუფლოშია თავისი მძიმე ჯვრის ტარებისათვის – ესაა მისი ღირსება; ცოდვილი კი სამოთხიდან გამოდევნილი ანგელოზის სამსახურში დაწინაურებასა და გაზულუქებული ხორცის დაამებას მიელტვის.

ჩენებს კრიზისულ ეპოქაში საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც სხვათა უბედურების ხარჯზე იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ანიავებს ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეს, ანადგურებს ყველაფერს, რაც წინ ხვდება. მას თითქოს არაფერი აკლია – არც სილამაზე, არც ძალა, არც სიმდიდრე, ვერც გაუნათლებლობაში დასდებ ბრალს, მაგრამ ის მოკლებულია მთავარს – ღირსებას და სათხოებას. ის, რასაც ისინი ღირსებას უწოდებენ, არის ხელოვნური, მოჩვენებითი და შორს დგას ბუნებრივად თანდაყოლილი, ადამიანური, ქეშმარიტი ღირსებისაგან. მათი ხელოვნური ღირსება, შილერის თქმით, აფექტირებული ღირსება არის – „... торжественное чопорность и важничание“. ჯერ კიდევ პლატონი აღნიშნავდა: ჯანმრთელობა, სილამაზე, ძალა, სიმდიდრე და, საერთოდ, ყველაფერი, რასაც სიკეთე ეწოდება, უგუნურთათვის იმდენადვე ცუდია, რამდენადაც კარგია გონიერისათვის და პირიქით – სულიერებისაგან დაცლილთ დაავიწყდათ ერთი ქეშმარიტება: „სული და სხეული თუ არასასურველ მდგომარეობაშია, რისი მაქნისია ჩენებს მიღმა არსებული ცხოვრებისეული სიკეთეები? ქინძისთავის უმცირესი ჩხვლეტა, უმცირესი სულიერი მღელვარებაც კი საკმარისია, რათა ადამიანს წაერთვას მსოფლიოს გამგებლობით მინიჭებული სიხარული“ (მიშელ დე მონტენი, მშვენიერი ბრძნული მსჯელობები, თბ., 1999წ. გვ.136).

¹ დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

„РУССКИЙ ДУХ“, АБУ БОБ – ჩინგის ხანის ვებ!

(ნიგნიდან „ნარკვევი რუსულ იდეაზე“)

როცა ვეხებით „რუსული სულის“ ნეგატიურ თავისებურებას – ცხოვრების წესად პქონდეს ძალადობა (მტერ-მოყვარის განურჩევლად) აქედან გამომდინარე შედეგებით – მუდამ ეძებოს მტერი იქ, სადაც ის არ არის, დაიპყროს და მიიტაცოს სხვათა მიწა-წყალი, გაარუსოს პატარა ხალხები და მცირე ერები, დაჩაგროს და დაიმონოს მასზე სუსტები, ებრძოლოს ყოველივე პროგრესულს და იყოს რეგრესისა და ბოროტების მიზეზი, – ფრიად საინტერესოა სულით ხორცამდე რუსის – ნიკოლაი ტრუბეცკოის დაკვირვება. თუმცა სანამ მოვუხმობდეთ მის მოსაზრებას, საჭიროა გავერკვეთ, თუ როგორ მოხდა რუსულ სინამდვილეში ძალადობის ცხოვრების წესად, სულიერ მოთხოვნილებად გადაქცევა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, „რუსული იდეა“ ყალიბდებოდა ჩინგისხანის იმპერიის წიაღში. მათ მიერ თათარ-მონღოლთა პოლიტიკური ცხოვრების წესის მიღება, სუსტ, განუვითარებელ, განსხვავებულ სარწმუნოებათა თანაარსებობა, ყოფით და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა დაბალი დონე ქმნიდა მსგავსი კულტურული ერთიანობისთვის შესაფერის ნიადაგს. შესაბამისად, ხდებოდა მათი გენეტიკურად შეკავშირება, რაღაც დონით შერწყმა.

რუსული სულიერების ფორმირების ამ ეტაპზე ძალადობის ერთსულოვნება უდავოა. ამის ისტორიულ დადასტურებად ისიც კმარა, რომ, როგორც ტრუბეცკო ამბობს, რუსეთის მხრიდან არავითარი უღლის გადაგდება არ მომხდარა. მათ შორის დაპირისპირებულობა არ მისულა სულიერი შეუთავსებლობის დონემდე. იყო ბრძოლა, მაგრამ ეს იყო პოლიტიკური ბრძოლა პირველობისთვის და არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი. ასეთი რამ რუსეთმა არ იცის. მას აქვს სამამულო ომები, მაგრამ არა – ეროვნულ-განმათავისუფლებელი. ამ ისტორიულ პროცესს თავისი თეორიული ახსნა მოეპოვება.

ტრანსცენდენცია ადამიანებამდე შეიძლება დავიდეს მხოლოდ

იმანენციაში შესვლით. მაშინ ხდება მისი (ტრანსცენდენტურის) „შიდასამყაროსეულ“ – ადამიანურ ცდუნებად ტრანსფორმირება, არენაზე გამოდის ორმხრივი ძალადობა, რომელიც ანადგურებს ყველაფერს, რაც შექმნილია ერთსულოვანი ძალადობით.

ძალადობა სპობს ძალადობით შექმნილს!

რამდენადაც ღვთიურის (ტრანსცენდენტურის) ნებითაა განსაზღვრული ადამიანთა გონიოთი შესაძლებლობანი და სულიერების დიაპაზონი, როცა ირღვევა ძალადობის დამფუძნებელი ერთსულოვნება და იწყება ორმხრივი ძალადობა, ადამიანებს ახსენდებათ ღმერთი, მოუხმობენ მას, ცდილობენ თავიანთი მიზნისთვის გამოიყენონ იგი. იწყება ძალადობის ზეობა.

წინააღმდეგობის ესკალაციის პროცესში უმაღლესი ძალადობა დაძრნის ადამიანებს შორის (საზოგადოებაში), ყველა ცდილობს მის მოხელთებას, მაგრამ დიდი ხნით ვერავინ ეუფლება მას. ის ყველას უსხლტება ხელიდან და თავის შემდეგ ტოვებს ნანგრევებს, ხოლო ისინი, ვინც ცდილობდნენ მის დაუფლებას, მას ეწირებიან, იღუპებიან (5:176). ასეთია ორმხრივი ძალადობის შედეგად წარმოშობილი ტრაგედიის ანატომია.

ორას ორმოცდაათი წლის განმავლობაში ჩინგისხანის იმპერიის ფარგლებში, რუსულ-მონღოლური ურთიერთობის პროცესში ყალიბდება „რუსული სული“ – სიმბიოზი თათარ-მონღოლური პრაგმატიზმისა და მომაკვდავი ბიზანტიური რელიგიური რწმენისა ამ სულიერების მატარებელი შესაბამისი ტიპით. ეს „სული“

გაჯერებულია ნახევრად ველური ინსტინქტური ძალადობით.

ეს ველური ინსტინქტი ბოლომდე შემორჩა რუსულ სულს. შეიქმნა არა რუსული ერი, არამედ მასა ივან ნეპომნიაშჩებისა. ბუნინი წერს: „რა აქვს ვიღაც ესენინს, „ივან ნეპომნიაშჩის“ – მხოლოდ მხეცური ვნება ბაქიაობისა და ფურთხებისა, მისთვის იოლია ფურთხება“. ჩანს, ეს ივან ნეპომნიაშჩები ნაყოფია „სტეპისა“, სადაც არაა კულტურა, არაა რთული და მყარი ყოფა, არის



მხოლოდ „бродячая кибитка“, დრო და ყოფიერება თითქოს იძირება სადღაც. მეხსიერებაც, მოგონებაც თითქმის არ არსებობს“ (8:369).

უკულტურობა, მარტივი, არამყარი ყოფა არღვევს კონსენსუსს, თანხმობითი ძალადობა თანდათანობით ტრანსფორმირდება ორმხრივ ძალადობად. იღუპება ძველი, თანაარსებობის ინსტინქტებზე აგებული თანაცხოვრების წესი. არენაზე გამოდის ახალი, სიმბიოზური წესი ცხოვრებისა შესაბამისი სულიერი მდგომარეობით.

„რუსული სული“ უხმობს თავის ღმერთს. ხდება ღვთიურის ტრანსფორმირება უნმინდურ ცდუნებად, – ხელში ჰყავდეს ძალადობის ღმერთი. ტრანსფორმირდება არა იდეა, არამედ ფორმა. ჩინგისხანის იდეა – დაიპყროს მთელი სამყარო ბოლო ზღვამდე – ტრანსფორმირდება მესამე რომის იმპერიის შექმნის იდეად.

ჩინგისხანის დამანგრეველი ძალადობა იმთავითვე მიიღო და შეისისხლხორცა ჯერაც ქაოსურ ვითარებაში მყოფმა რუსულმა სულმა. როცა დადგა უამი თანხმობის რღვევისა, ეს ნახევრად ველური ძალმომრება გარდაისახა იმპერიულ ძალადობად.

ამდენად, „რუსული სული“, რომელიც იშვა და განვითარდა თათარ-მონღოლთა სახელმწიფოს წიაღში, ჩამოყალიბდა დამანგრეველ უმაღლეს ძალადობად, რომელიც დაძრნის მთელ ქვეყნიერებაზე და ანგრევს ყოველივე იმას, რაც ურთიერთთანხმობითი ძალადობითა შექმნილი. ალბათ შემთხვევითი არ უნდა იყოს რუსული იმპერიის ტრანსფორმირება საბჭოთა იმპერიად და პირიქით, მის მიერ მატერიალიზმის ათვისება. რუსულ სულში ქრისტიანული სარწმუნოების წილი ხომ მიზერული იყო და მოჩვენებითი.

კომუნისტებმა ყველაფერს თავისი სახელი დაარქვეს. მათ ლოზუნგად გაიხადეს დეკარტი-სეული მტკიცება – „ძალადობა მამა და მეფე ყველაფრისა“.

ასეთია რუსული სულის გენეზისი თეორიული თვალსაზრისით, რომლის პრაქტიკული გამოხატულება სავალალოა არა მარტო მისი გარემომცველი სამყაროსათვის, არამედ თავად რუსეთისთვის, სლავურ-მონღოლური ერთობისათვის – რუსული ხალხისთვის, რასაც გვიდასტურებენ თვითონ რუსი მოღვაწენი. თუ ამას დავუ-

მატებთ იმას, რომ ათეიზმის ბატონობის ხანაში თითქმის ამოიძირკვა იდეალიზმი და მისი გამოხატვის წესი – მეტაფიზიკა, ადვილი წარმო-სადგენია რუსული სულის დღევანდელი ყოფა.

ესება რა რუსეთში სარწმუნოებრივ და სულიერ ყოფას, ტრუბეცკოვი წერს: „ეკლესიის ეს სრული და კაბალება (პეტრე პირველის რეფორმების შედეგად – მ.ზ.) კლავდა მასში (რუსეთში – მ.ზ.) ყოველგვარ ცოცხალ სულიერებას... „თუ წარმოვიდგენთ იმას, რომ პეტრეს შემდეგ რუსული ეკლესიის იერარქიულ-ადმინისტრაციულ მოწყობაში დიდად არაფერი შეცვლილა (1949 წლამდე, როცა სტალინმა აღადგინა საპატ-რიარქო), მაშინ გასაგები უნდა იყოს რუსული მრევლის უსულებელობა, მით უმეტეს, ათეიზმის ეპოქაგამოვლილი ხალხისა. მათში ხომ დღემუდამ კლავდნენ და კლავენ ადამიანურ სულს.

ბატონი ტრუბეცკოვის ამ ზოგადი დაკვირვების გამყარება შეიძლება კონკრეტული მაგალითებით, თუნდაც იმ არნახული ბარბაროსობით, რომელიც მართლმადიდებელმა რუსულმა ეკლესიამ ჩაიდინა საქართველოს ეკლესიასთან მიმართებაში.

ათასწლოვან ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებში გადაღებეს მრავალსაუკუნოვანი ფრესკები, მოსახურები, აკრძალეს მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა და ა.შ. აღმოჩენდა, რომ ეკლესია, რომელიც უნდა ემსახუროს ადამიანის სულის ამაღლებას, განწმენდას, სიცოცხლეს და სიყვარულს, იმისთვის და იმნაირად ყოფილა მოწყობილი, რომ მოკლას ადამიანში „ყოველგვარი ცოცხალი სული“ – ის სული, რომელიც მიმქრალი იყო რუსულ სინამდვილეში.

მაშინ, როცა ამ სიტყვებს წერდა, ტრუბეცკოიმ ჯერ კიდევ ბოლომდე არ იცოდა, თუ რა მოელოდა სსრკ-ს სახელით შექმნილ ახალ იძ



პერიაში „ადამიანთა სულებს“. ყოველივე ამის შემდეგ ვეძებოთ რუსულ იდეაში ჰუმანური საწყისები – ამაო მცდელობაა, თავის მოტყუებაა.

ავტორი ცდილობს ხელი შეახოცოს პეტრე პირველს – ევროპული, „დერჯავების“ მაგალითზე მან შემოიღო იმპერიალიზმისა და შოვინიზმის „დუქ“-იო, მაგრამ ივანე IV-ის რუსეთი, ის რუსეთი, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა მესამე რომის იმპერიობაზე, დაბადებიდან იყო დაავადებული იმპერიულობისა და შოვინიზმის სენით. ტრუბეცკოი კი ცდილობს დაგვარწმუნოს იმაში, რომ ეს სენი მას – რუსეთს – შეეყარა ევროპასთან პეტრეს ქორწინების შედეგად.

როგორც არ უნდა იყოს, ერთი რომ შეიძლება ითქვას: დასავლეთი განიკურნა კოლონიალიზმის სენისაგან. ის ცდილობს ახალი საზოგადოებრივი წესრიგის გამომუშავებას, რუსეთი კი დარჩა რუსეთად – გულქვა, სამხედრო-ადმინისტრაციულ, ყაზარმულ-დერჯავულ სახელმწიფოდ. ამიტომ უმჯობესია ისევ მას – დასავლეთს მიაკითხოს, კიდევ ერთხელ გაიჭყიტოს პეტრესეულ სარკმელში, იქნებ შესაძლებელი გახდეს განკურნება. მაშინ თვითონაც გადარჩება და ისინიც შვებით ამოისუნთქავენ, ვინც ემსხვერპლნენ მის უსულობას.

ალბათ ვერ შეედაგები ავტორს, როცა ის პეტრეს შემდგომ რუსეთზე მსჯელობს და ასკვნისა: ხელისუფლება, ე.ი. იმპერიული რუსეთის მეფები, რუსეთს უყურებდნენ არა როგორც ცოცხალ მატერიას, არამედ როგორც უსულო საგანს. ამიტომ ის (ხელისუფლება) უნდა დაპირისპირებოდა ხალხს, ჩაეხშო ყოველგვარი ცოცხალი ინდივიდუალობა.

არ ვიცი, რისი ბრალია ეს, პეტრესეული ძალად გაკულტურების მცდელობისა, თუ ჩინგისხანური სულიერი მემკვიდრეობისა, ის კი ფაქტია, – რუსეთში მართლაც მოსპობილია ყოველგვარი ცოცხალი ინდივიდუალობა, დესპოტიზმი და მონური მორჩილების წესია გამეფებული ყველგან და ყველაფერში.

„რუსული იდეა“, სადაც კი ხელი მიუწვდება, სპობს თავისუფლებას, ანადგურებს პიროვნულ „მე“-ს.

რუსული მასისაგან, როგორც უსულო მატერიისაგან, ძერწავენ იმას, რასაც მოისურვებენ მისი მმართველები.

რაც შეეხება „უბრალო ხალხს“, არაევროპიზებულ ნაწილს ერისას, ვისაც არ შეხებია პეტრეს ხელი, ისინი ცხოვრობდნენ და ცხოვრო-

ბენ იმ ძველებური ცხოვრების წესით. მათთვის უცხო იყო ყოველგვარი პროგრესი.

სოციალისტურმა კოლექტივიზმა, ათეიზმა და მსოფლიო კომუნისტური იმპერიის იდეამ კიდევ უფრო გაამყარა ჩინგისხანური იდეოლოგიის ნიშნები. რუსული იდეა ჩარჩა იმ ძველ დროში, ყველგან და ყველაფერში ებრძოდა და ებრძვის იმ არაჩინგისხანურ, ანუ როგორც თვითონ უწოდებენ, არაევრაზიულ ცივილიზაციას. არაფერი ისეთი, რაც ჩინგისხანურ კულტურულ მემკვიდრეობას არ შეეფერება! – ასეთია შედეგი ევროპისგან თავდაცვისა.

ისტორიული განვითარების პროცესში რუსეთს არაერთხელ მიეცა საშუალება ჩართულიყო მოწინავე ცივილიზაციათა ფერხულში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მას ხელახლა გაეხსნა გზა ცივილიზაციისკენ, კულტურისკენ, მაგრამ ის შოვინისტურ-იმპერიულ-მილიტარისტული რუსული იდეა ჯიუტად არ თმობს თავის ძველ მიზანს – დაეპატრონოს ევრაზიულ სივრცეებს.

ადრეული შუასაუკუნობრივი იდეოლოგიით ნასაზრდოები რუსული დერჯავული სულიერება წინ აღუდგა ერთა თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, პროგრესსა და ჰუმანიზმს, იმპერიისთვის დამახასიათებელი დაუნდობლობით და ვერაგობით დაუპირისპირისა ხალხები ერთმანეთს, ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში, ერთმანეთის მიყოლებით, სადაც კი მიუწვდა ხელი, ააფეთქა მის მიერვე წინასწარგანზრახვით ჩადებული ნაღმები.

საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთი წინ აღუდგა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიმდინარე პროცესების მშვიდობიან განვითარებას. ნაცვლად იმისა, რომ ჩართულიყო თანამედროვე ცივილურ პროცესებში, გზა გაეხსნა პროგრესისა და დემოკრატიისათვის არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ პოსტკომუნისტურ სივრცეში, მან მიზნად დაისახა დსტ-ს სახით შეექმნა ახალი, სოციალური თვალსაზრისით სახეცვლილი იმპერია. გამოჩენდნენ ამ იდეის თეორეტიკოსები, რომლებიც სიამოვნებით მიუპრუნდნენ რუსულ-ჩინგისხანურ გეოპოლიტიკას. ისინი აცხადებდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე უნდა შეიქმნას (აშენდეს) ევრაზიული კავშირი, რაც იგივეა – წამოაყენო ლოზუნგი – წინ, ჩინგისხანის იდეურ და სულიერ მემკვიდრეობისკენ!

ცივილი „სიმპოზიუმი ერთული იდეისა“

8. ქართული ენის გააზრების სამერთიანი ფორმულა

პოეტისთვის ენა არის არა მარტო კულტურულ-საკომუნიკაციო ურთიერთობის საშუალება, არამედ ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობით პლანში ის არის მისი გავრცელების ეთნოკულტურული სამყაროს დროისა და სიცრცეში გააზრებაც. შესაბამისად, ჰიმნში ენა წარმოსახულია, როგორც მისი მატარებელი მოდგმის – ერის, საცხოვრებელი სივრცის – **სამშობლოს** და „პირველისტყვის“ – **რწმენის** სიმბოლო. აზრობრივი თვალსაზრისით აქ „სიტყვა“ ის სუბსტრატია, რომელზედაც აღმოცენდა ქართული იდეის სამი დიდი საყრდენი: მამული, ენა, სარწმუნოება (იღლა).

პოეტი ქართულ ენას „სახარებასა შინა“ არსებულს უწოდებს, რითაც ხაზი ესმება მისი მატარებელი ხალხის ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ მრნამსს. ეს ენა, ლაზარესავით აღმდგარი და ევანგელიური სიყვარულით გასხვოსნებული, მოკლე წუთისოფელსა და სამარადუამო სიცოცხლეს შორის გადებული ხიდია. მისი მეშვეობით ხდება ქართველი ერის მსოფლშეგრძნების ფორმირება, ბოროტისა და კეთილის პერმანენტული ჭიდილის გააზრება.

ლექსში შემეცნებით-მსოფლმხედველობრივი მომენტი არ ჩერება „მშრალი ფილოსოფიური აბსტრაქციის“ დონეზე; არ ექცევა დოგმატიკის ვიზრო ჩარჩოში; მით უმეტეს, წმინდა ინტელექტუალურ წარმოდგენებსა თუ სისტემებში, არა-მედ ის სიმბოლური გააზრებისა და განზოგადოების მეშვეობით აღნევს ერის მეტაფიზიკურ-მეტასტიტიკორიულ და რეალურ-ისტორიული საზრისის პოეტურ ესთეტიკური საშუალებებით წარმოჩენას.

ენა წარმოდგენილია კოლხიბერული მოდგმის სულიერი საზრისის მატარებელი იმ ფენომენად, რომლის მეშვეობითაც რეალიზდება ეროვნული კულტურა, სახელმწიფოებრივი იდეა. პოეტი აღნევს ბალანსირებას მეტაფიზიკურ-მეტასტიტიკორიულს, ქრისტიანულ-თეოსოფიურსა და რეალურ-ისტორიულ მიმართებებს შორის.


მეტაფიზიკურ გააზრებასთან გვაქვს საქმე, როცა პოეტი მეტაფიზიკულად იტყვის: „დამარხულ არს ენა ქართული“ „ყველასა ენასა ლიერთმან ამხილოს“ ... და სხვა. ამ შემთხვევებში საქმე უნდა გვქონდეს იმ ეზოთერულ საზრისთან, რომელიც ენაში გვეძლევა „პირველისტყვის“, „პირველენის“ თავურსანყისიდან.

ქრისტიანულ-თეოსოფიურ პლანშია თქმული: „და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან“ „...დაფლული სიკვდილითა ნათლის-ლებისა მისისათა“ და სხვა. ამ ტექსტებში სიმბოლურადაა მინიშნებული ენაში იმთავიდანვე მოცემული მეტაფიზიკური არსის ქრისტიანული სარწმუნოების კვალობაზე ახსნაზე – მეტამორფოზებაზე.

რეალურ-ისტორიული კონტექსტის შემცველია: „და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი...“, „და ეს ენა შემცველი და კურთხეული სახელითა უფლისათა“. მოცემულ შემთხვევაში აშკარად იკვეთება ქართველურ მოდგმაში ქრისტიანული რწმენის დამკვიდრების ისტორიულ-მსოფლმხედველობრივი გზა-სავალი.

პოეტი ამ ტექსტებით მიანიშნებს ლვთის-მშობლის წილხვდომილების იდეითა და ანდრია პირველწოდებულისა და მის თანამდევთა სამისიონერო საქმეებით დაწყებული და ლვთის განვებით ჰელენე დედოფლისა და წმინდა ნინოს უმწიკვლო ლვანებით ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად განჩინების რეალურ-ისტორიულ პროცესებზე.

მთლიანობაში ავტორი ზოგად-თეოსოფიურ და კონკრეტულ-ისტორიულ მიმართებებს შორის ოქროს შუალედის მოხელთებით აღნევს იმ სრულყოფილებას, რომლითაც მისი ტექსტი გამოირჩევა ამ უანრის სხვა ტექსტებისაგან. ამიტომაცაა, რომ არა მარტო ძველქართულ კულტურულ-საზროვნო სივრცეში აქვს მას თავისი განსაკუთრებული ადგილი მიჩნეული, არამედ, მიუხედავად „ათასწლიანი მდუმარებისა“, მკვდრეთით აღმდგარი ეს ლექსი ქართული ენის, ქართული კულტურის „იავნანად“ იქცა, მის სანთლად დაენთო.



9. ქართული ენის სასწაული – მომავალი!

ზემოთ თქმულის კონტექსტში შეიძლება გავიაზროთ რ. სირაძის მიერ ტრილინგვისტურ თეორიასთან მიმართებაში „ქებად და დიდებად ქართულისა ენისა“-ზე თქმული: „ქებად და დიდებად ქართულისა ენისა“-ში, ცხადია, იგულისხმება, რომ ქართული ენაც ბაბილონის გოდლის შემდეგდროინდელია. ქართულში უნდა გამომულავნდეს ის, რაც დაფარულია („დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა“), რაც „დამარხულია“, ესაა ენის ლოგოსური მხარე ან „სიტყვა-აზრი“ (რ. სირაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 65). ესაა ის, რაც ამ ლექსში მეტაფიზიკურ-ეზოტერული შინაარსის მატარებლად მივიჩნიეთ.

მეცნიერი ტექსტის მისებური გააზრებით მიიჩნევს, ამ „სიტყვა-აზრით“ ქართული უნდა იქცეს ენა-ლოგოსად, რომლითაც სხვა ენებს უმაღლესი აზრი ქართულით ეუწყება. ჩვეულებრივი სახით ქართულიც და სხვა ენებიც არსებობენ და იქნებიან, მაგრამ ლოგოსური სიბრძნე მათ ქართულიდან შეიძლება შეითვისონ (იქვე). ეს უკვე ენის ქრისტიანულ-ეზოთერულ გაგებასთან გვაახლოებს, ოღონდაც მოცემულ პოეტურ ტექსტში ის მიემართება კონკრეტულად ქართულ ენას.

ავტორის თქმით, ის შეიძენს ლოგოსურ ბუნებას ანუ პირველ – ადამის ენის ლირსებას (იქვე), თუმცა ამასთან, ჩვენი აზრით, ლექსი უფრო სხვა – ენის ქრისტიანულ-თეოსოფიური არსის კონტექსტშია გასააზრებელი.

რ. სირაძის თქმული – „ქართული ენის ბაბილონის გოდლიდან მომდინარეობა“ (გვ. 65) უკვე გულისხმობს მასში მეტაფიზიკურ საზრისს – ენა-ლოგოსად არსებობას. მეორედ მოსვლა და ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა, ეს უკვე ამ ენა-ლოგოსის მეტამორფოზებაა, ე. ი. მასში არსებული პირველენის ლოგოსური ბუნების ქრისტიანულ-ეზოთერული საზრისით აღვსება, მისი გარდაქმნა და ა. შ. თუმცა ჩვენ ამაზე

ქვემოთ გვექნება მსჯელობა. ახლა კი მიგუბრუნდეთ „ქებად და დიდებად ქართულისა ენისა“-ს შესახებ რ. სირაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაში ასახულ რეალურ-ისტორიულ მომენტს, როცა მეცნიერი სავსებით სამართლიანად მიუთითებს ამ ლექს-სიმბოლოს შექმნის ერთ-ერთ ისტორიულ მიზეზზე თუ არა, საბაბზე მაინც.

ის ნერს: სხვა ყველაფერთან ერთად ამით (ზე-მოთ თქმული მოსაზრებებით. – მ. ზ.) „ქებად და დიდებად ქართულისა ენისა“ აშკარად უარყოფდა ტრილინგვისტურ თეორიას. ის საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „...რა დროსაც უნდა დაწერილიყო ეს ძეგლი, ყოვლად შეუძლებელია მის ავტორს არ ჰქონდა „ტრილინგვისტიკას“ თეორიისადმი დაპირისპირება“ (იქვე). მაშასადამე, ავტორი უდავოდ მიიჩნევს ლექსში რეალურ-ისტორიული კონტექსტების გააზრებას. ამასთან ის იქვე ადასტურებს ამ ლექს-სიმბოლოს, ჰიმნის მრავალბლანიან ბუნებას, მასში ბევრი – თეოსოფიური, ფილოსოფიური, ისტორიულ-მსოფლმხედველობითი საკითხების თავმოყრას, როცა ნერს: „ამიტომ სხვა მნიშვნელოვან საკითხთა გვერდით განხილულ უნდა იქნეს „ტრილინგვისტიკასადმი“ დამოკიდებულება მთელ ძეგლ ქართულ მნერლობაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო შეა საუკუნეობრივი ქართული მნერლობის საწყისი პერიოდიდანვე“ (იქვე). ამ ტექსტში ჩვენ მიერ ხაზგასმულის გარდა ძალზე საყურადღებო მეცნიერის მითითება იმაზე, რომ ეს საკითხი – ტრილინგვისტიკის თეორია – გააზრებულ უნდა იქნეს ქართული მნერლობის საწყისი ეტაპიდანვე. ამ თვალსაზრისით, უნდა მოხდეს „ქებად და დიდებად ქართულისა ენისა“-ში თავმოყრილი „სხვა მნიშვნელოვანი საკითხების“ შესწავლაც მთელი ძველქართული მნერლობის კონტექსტში, თვით რესთაველის ეპოქის ჩათვლით.

იოანე-ზოსიმეს მიერ ქართულ სიტყვაში, ქართულ ენაში მოაზრებული და დანახული მეტაფიზიკური, ქრისტიანული ღვთისმეტყველებითი და რეალურ-ისტორიული თავისებურებანია, რომ „სასწაულად ესე აქუს“ ქართულ ენას. პოეტი წინასწარმეტყველურად ჭვრეტს ენის ამ შესაძლებლობათა ცხოვრებაში რეალიზების მთელი შემდგომი პერიოდის ქართულ სინამდვილეს, როგორც კულტურულ-სარწმუნოებრივი, ასევე ეროვნულ-სახელმწიფოებრივად ფორმირების თვალსაზრისით.

მაშასადამე, ავტორის მიერ პოეტურ-სიმბოლურად გამოთქმული საზრისი დედაენაზე მის მომდევნო საუკუნეებშივე რეალიზდება ქართულ სულიერ კულტურასა და ეთნოპოლიტიკურ სინამდვილეში.



„ენად ქართული“, მდაბალი და დაწუნებული, მოესწრო აღდგომას რუსთველის კალმით, ის სხვათა ენათა მეტად განათდა და ამაღლდა მთელ ქრისტიანულ ახლო აღმოსავლეთში და საკუთრივ კავკასიაში, ამ ენით უმხილა ღმერთმა ყველა ენას ძე კაცის დიდება.

10. დედაენის ფენომენი – ლვთითგანებულობა

პოეტი დედაენას მოიაზრებს იმ ლვთისმოსილების მატარებელ ფენომენად, რომელიც თავის თავში მოიცავს მისი მატარებელი მოდგმისთვის დამახასიათებელ ყოველივე ბუნებრივსა და ზებუნებრივს; რომ „ვერანაირი ლოგიკა ვერ გადასცდება ენის შესაძლებლობათა ჰორიზონტს“ (კ. კაშია, გვ. 54), მისი გარეთა გამოვლინებები, რეალური თუ ირეალური, განსაზღვრავს ამ მოდგმის მთელ ყოფიერებას, მის ერად კონტექსტში, ჩვენი არსებობა ენაში არსებობაა, ენით არსებობაა. ეს კი ლმერთით არსებას – ლმერთში ჩვენს არსებობას გულისხმობს, ამიტომ „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისაა“.

დედაენაში არსებობა ლვთის სიტყვაში ჩვენი არსების გააზრება!

პოეტი მოელის მესიის მეორედ მოსვლას, რათა ლვთის ჭეშმარიტი რწმენით აღვისილი ენით აუწყოს მას, რომ სხვათა ძალმომრეობით თუ საკუთარი შეცოდებებით „დამდაბლებული და დაწუნებული“, ლვთის სიტყვის მოზიარე დედაენა და მისი მატარებელი მოდგმა მესიის მაღლითა და სახარებისეული სწავლებით გაკეთილშობილებული და გაბრწყინებული.

ენა ქართული, რომელმაც მიიღო და შეისისხლებოდა ლვთის განგებულება, რომ „ვინც ლებულობს იმას, ვისაც მე წარვგზავნი, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს წარმოგზავნილს ლებულობს“ და შეძლო ლვთის ახალი სიტყვის, ძე კაცის მიერ თქმულის ტვირთვა; აღასრულა მაცხოვრის შეგონება, „თუ ჩემში დარჩებით და ჩემი სიტყვები თქვენში დარჩებიან, რასაც კი ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ“ („შეგონებანი“, გვ. 9). მაშასადამე, „ენად ქართული“ იქურთხა ლვთის განგებითა და მაცხოვრის სიტყვით. ამაზეა, იოანე-ზოსიმე პოეტურად რომ იტყვის: „და ესე ენა შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა“ -ო!



ამდენად, მოხდა ქართული ენის „ახალი სიტყვის“ ძალით მეტამორფოზება. მასში მოცემული პირველი სიტყვის საზრისი, – „ენის ლოგოსური მხარე, ანუ „სატყვა-აზრი“ (რ. სირაძე) მთლიანად შეერწყა სამების არსს.

ქართულმა ენამ – მოდგმამ – ისე შეიყვარა ქრისტეს სარწმუნოება, როგორც მამამ – ძე ხორციელი. და აღსრულდა კიდევ ერთი სიტყვა მაცხოვრისა: „როგორც მამამ მე შემიყვარა და მე შეგიყვარეთ თქვენ, დარჩით ჩემ სიყვარულში“ („შეგონებანი“, გვ. 9). ასევე დარჩა ენა ქართული, მისი მატარებელი ერი ქრისტეს რწმენის – სამების მარადიულ სიყვარულში.

11. ენა ქართული – ქრისტეს სარწმუნოების სიმსპოლო

ეს ენა, განწმენდილი და ლვთის მცნებების დამცველი, მოელის მეორედ მოსვლას „მისისა საწამებლად“, რაც აღერულება ისევე, როგორც მაცხოვრის დაპირება

მოციქულთა მიმართ ნუგეშისმცემლის მოვლინების თაობაზე. მაცხოვარი ამაღლების წინ ეუბნება მოციქულთ: „როცა მოვა ნუგეშისმცემელი, – რომელსაც მე წარმოგიგზავნით მამისაგან, – ჭეშმარიტების სული, რომელიც მამისგან მომდინარეობს, ის დაამოწმებს ჩემს შესახებ“ („შეგონებანი“, გვ. 9). მოევლინა სულინმიდა მოციქულთ, ააღაპარაკა ისინი ყველა ენაზე, რაც კი არსებობდა სამყაროში და თავმოყრილი იყო იერუსალიმში, სახარების სულიერებით – ახალი აღთქმით განანათლა ერი მრავალი. **ამ ახალი სულიერებით აღივსო ენა ქართულიც.** ჭეშმარიტი სულიერებით აღვისლი ამ ენით ყველა ენას, ვინც იესოს რწმენის ჭეშმარიტებას ეზიარა და შეურყვნელად ვერ ატარა ის, მიეცემა მაგალითი უზენაესი ნიჭის – სულის თავისუფლების მიღებისა. „და შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ“ („შეგონებანი“, გვ. 9).

აქედან მომდინარეობს კიდევ ერთი საზრისი პოეტურად თქმულისა: „ყოველსა ენასა ლმერთმან ამხილოს“, ე. ი. ყოველ ენას – მოდგმას უზვენოს გზა ჭეშმარიტი თავისუფლებისა. მაშინ ხორცი შეესმება ჩაგრულთა და დევნილთა საუკუნო ოცნებას თავისუფლებაზე, ლვთის წინაშე თანასწორობაზე. არადა, ეს პრობლემა არა მარტო სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით

იყო მნიშვნელოვანი, არამედ ის ძალზე საჭირობო-როტო თემა იყო თვით ქრისტიანული რელიგიის შიგნით. სწორედ ამ თეოსოფიურ კონტექსტში ეხება მას ავტორი. ამაშია იდეა „დამდაბლებული და დაწუნებულის“ ამაღლებისა. აღსრულება ღვთის სიტყვა, იესოს ბაგით გახმოვანებული: „ვინც თვით ამაღლდება, დამდაბლდება, ხოლო ვინც თვით დამდაბლდება – ამაღლდება“ („შე-გონებანი“, გვ. 4).

ამდენად, შეიძლება ითქვას: ქართული ენის სახელით პოეტი ქებასა და დიდებას უძლვნის ქრისტიანული სარწმუნოებიდან მომდინარე ჭეშმარიტებებს: რწმენას სულის მარადიულობა-სა და უკვდავებაზე; აღდგომისა და ამაღლების გარდაუვალობაზე; ღვთის წინაშე ყველას თანას-წირობაზე; სულის თავისუფლებაზე. ამ სულიერებითაა აღვსებული მეტამორფოზირებული ენა ქართული. შესაბამისად, ლექსში „ენა ქართული“ მეტაფორაა კოლხ-იბერიული მოდგმის ქრისტია-ნულად განათლებისა და მის საფუძველზე ქართვე-ლი ერის ფორმირებისა. ის მეტაფორაა ამ მოდგმის მეტაისტორიული და ისტორიული ბედისწერისა.

მოცემულ შემთხვევაში მეტაფორა არაა ლექ-სის ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფი-ლების ხერხი, არამედ მეტაფორის საშუალებით აგებს პოეტი ამ ლექს-სიმბოლოს (ქართველური მოდგმის ეროვნული იდენტობის ჰიმნის) მთელ კონსტრუქციას. მეტაფორულადაა წარმოდგე-ნილი დედაენაში მოცემული ღვთის სიტყვის, პირველისიტყვის მეტაფოზიკური საზრისის ქრის-ტიანული ღვთისმეტყველების ნიადაგზე სრულად მეტამორფოზირების არსი. „და ესე ენა“, გარ-დასახული სულინმიდის მეოხებით, იქცა სიმბო-ლოდ რწმენისა. ამიტომაა: „სახარებასა შინა... ლაზარე ჰქვიან“.

მაშასადამე, გამოკვეთილად ჩანს, რომ ჰიმნში გააზრებულია ქართული სადამწერლობო ენის ლინ-გვისტური და მეტაფოზიკური შესაძლებლობები, რომ არა მარტო იყოს კოლხ-იბერიული მოდგმის კულტურულ-სახელმწიფოებრივი, საეკლესიო ენა, არამედ სამარადეამოდ ატაროს ქრისტიანულ-ღვთისმეტყველებითი ენის ზოგადი ფუნქცია.

ლექსში მრავალგზის იკვეთება ქართული ენის

ეს ზოგადლვთისმეტყველებითი ფუნქცია. მაგა-ლითად: „ენა ქართული“ - ს მოლოდინი „მეორედ მოსვლისა მისისა (მესიისა) საწამებლად“ – ეს ქართული ენის ზოგადი ფუნქციის გამოხატუ-ლებაა, სწამოს ღმერთი ძე კაცში. ესაა ქრისტეს მოწოდების აღსრულება: „დარჩით ჩემს სიყვა-რულში!“

სალიტერატურო-სადამწერლობო და საეკ-ლესიო „ენა ქართულის“ იგივე ქრისტიანულ-ლვთისმეტყველებითი ფუნქცია იკვეთება პოეტის მიერ მეტაფორულად თქმულში: „რამთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“, ან კიდევ: „და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვია“ – პირველ რიგში გულისხმობს, რომ ეს ენა სა-ხარებისეული არსის მატარებელია – სახარების ენაა; ესაა მისი (ენის) ზოგადქრისტიანული და-ნიშნულების გამოხატულება.

როცა პოეტი იტყვის: „ახალმა ნინომ მოაქ-ცია და ჰელენე დედოფალმან“, მაშინ ქართული ენის ღვთისმეტყველებითი ფუნქცია უტოლდება ელინურისას. როგორც სახარებისეული მარიამი და მართა – ორნი დანი, იესოს სულიერი თანამ-გზავრი, ასევე ქართული ელინურთან ერთად, სრულყოფილად წარმოაჩენს ღვთის ახალ მცნე-ბას. ამ კავშირს გულისხმობს პოეტი სიმბოლუ-რად თქმულში: „დობასა და მეგობრობაა ამისსთვის თქუა“. უდავოა, ის ამოდის იესოს შეგონებიდან: „იმაზე მეტი სიყვარული არავის გააჩნია, ვიდრე ვინც თავის სულს დასდებს თავის მეგობრების-თვის“ (შეგონ. გვ. 9). ნინოსა და ჰელენეს დობაში, მათს ქრისტესმიერ სიყვარულსა და მეგობრობაში იგულისხმება არა მარტო ელინური და ქართუ-ლი ქრისტიანულ-ღვთისმეტყველებითი მრწამსის ერთობა, არამედ აშკარად იკვეთება რეალურ-ის-ტორიული კონტექსტი ბიზანტიიური და ქართული ეკლესიების მართლმადიდებლურ-დიოციზიტური დოგმატისადმი ერთგულებისა. ამ მრწამსისთვის „სულის დადება“ განსაზღვრავს მათს მეგობრო-ბას – ქრისტესმიერ სიყვარულს.

ქვემოთ, როცა შევეხებით „საღვთო ენის“ სა-კითხს, ვნახავთ, რომ ამ დობისა და მეგობრობის შეხსენებით ავტორი სინამდვილეში ძალზე ტაქ-ტიკურად უპირისპირდება ე. წ. ტრილინგვისტურ თეორიას.




შიგნიდან „სახელმწიფოსა და დემოკრატიის საპითხისაღმი დისპარატულ მიზანმაზე“

ისევ „ცხრა აპრილის“ ცინააღმდეგ მოცყობილ შეთამაზებაზე

ალბათ დადგა დრო, მოვეშვათ უაზრო ყბედობას და წამდაუწუმ წაჯექ-უკუჯექობას „ნაცეპიდან-ქოცებამდე“ და უაზრო ბორიალს ამ ღალატიანთა წრეში. რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს, სახელმწიფო სისტემების გავლით ამ პროცესში გინდა თუ არა ჩართულია ფართო ფენები, არამედ ის სახელმწიფოს წარმმართველი პოლიტწრე, რომლებიც გეგმაზომიერად ანადგურებენ ყოველივე ფუძემდებლურს, რომელზედაც დგას მკვდრეთიდან აღმდგარი ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა.

ამ პროცესს დამოუკიდებელი სახელმწიფო-ებრიობის საფუძველთა საფუძვლის მოშლისა შევარდნაძის ჩამოსვლის დღიდან მიეცა ორგანიზებული ხასიათი. ის სათავეს იღებდა ე.ნ. ოპოზიციონერთა საქმიანობიდან, რომლებიც „წითელ ინტელიგენციასთან“ ერთად ახალი პუტჩისტური ალიანსის მთავარ საფუძველს წარმოადგენდნენ. ისინი ედუარდის ინტერნაციონალურ-ორგანიზაციონული „ნიჭით“ გაფორმდნენ ფსევდოსოციუმად. მათ პირველივე შეტევა სწორედ ამ საფუძველთა საფუძველზე – 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტზე მიიტანეს. შევარდნაძის ჩამოსვლიდან ერთი თვის თავზე 9 აპრილი – ქართული სახელმწიფოებრიობის მკვდრეთიდან აღდგენის დღე კი არ აზიერეს ხალხს, არამედ ის გლოვის დღედ გაუხადეს ერს. ამით ედ. შევარდნაძემ, 1989 წლის 9 აპრილის ხოცვა-ულეტის ორგანიზაციონმა, სრულად აღისრულა თავისი სურვილი, როგორც ჩაფიქრებული პქონდა: **აილო სრული რევანში მაშინდელი მარცხისთვის.** საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების გზით ლეგიტიმირებული ხელისუფლება – დამოუკიდებელი სახელმწიფო მმართველობა, სახალხო არჩევნებით არჩეული პრეზიდენტი დამხობილ იქნა, ხოლო უდიდესი ბრძოლითა და ძალისხმევით აღდგენილი სახელმწიფოებრიობის გამოცხადების დღე ზარისა და გლოვის დღედ აქციეს, რათა სამითაუმიოდ ჩარჩენდა ხალხს გულში „მისი საყვარელი სამშობლოს“ (ზ.გ.) – რუსული იმპერიის წინაშე შიში და ძრწოლა, ჩაეკლა აბობოქერებული სული კოლხ-იბერული მოდგმისა. ის ამას ამკვიდრებდა ცეცხლითა და მახვილით, ცდილობდა, ხალხის გონიერდან ამოემანთა ამ

უდიდესი დღესასწაულის იმთავიდანვე დადგენილი არსი, რომ „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს პედი, 9 აპრილს წამებულთა სულები დაგცექერიან ჩვენ, და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა“ (კრებ. ტ. I, გვ. 335). დიახ, როგორც ყოველთვის, ხალხის ამ ნებას უპირისპირდებოდა ე.ნ. დემოკრატიული რუსეთის მიერ დასმული ეს ე.ნ. დემოკრატი, რათა ხალხს არ ჰქონდა თავისი დიადი ნების აღსრულების შესაბამისი ეროვნული, სახელმწიფოებრივი, ნამდვილად სახალხო დღესასწაული, რადგან ამ დღეს ერი არა მარტო ამქვეყნიურად აღივსებოდა თავისი მოდგმის მრავალსაუკუნვანი ოცნების ახდენის სიხარულით, არამედ



ის სულიერადაც დაუკავშირდებოდა 9 აპრილს წამებულთა სულებს, ყველა იმათ სულებს, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე თან ჩაიყოლიეს ეს აუხდენელი ოცნება თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზაციის ადგენისა და იქნებოდა ერთი დიდი ზეიმი მიწიერი და ზეციერი საქართველოს.

აი, რა დიდებულება წაართვეს ხალხს პუტჩისტური ალიანსის ხელისუფლებამ და მის მიერ ფორმირებულმა ფსევდოსოციურმა, უფრო ანტისოციურმა – უცხო სხეულმა კოლხ-იბერიული მოდგმის ერთიან ეროვნულ სხეულში.

მას ვერაფერი დააკლო ამ მოღალატურანარქიული რეჟიმის დამამხობელმა რევოლუციამაც, რომლის სათავეში მოქცეული ელიტის უდიდესი ნაწილი ვერ განთავისუფლდა პუტჩისტური ალიანსის იდეოლოგისგან და თვითონაც ჩათრეულ იქნა ამ მორევში.

ზემოთ ითქვა და გავიმეორებთ: პოსტრევოლუციურმა მმართველობამ საკუთარ უბეში გამოზარდა კონტრრევოლუცია, რომელიც ახალ ხარისხში და ახალი ფორმით სრულად აღადგენს პოსტპუტჩისტურ იდეოლოგიას ფსევდოსახელმწიფო ორგანიზაციას. ის მიწასთან ასწორებს ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია კანონიერი ხელისუფლების მიერ მიღებულ ფუძემდებლურ აქტებთან და მისგან მომდინარე პროცესებთან, თუ როგორ აკეთებენ ამას ეს პოსტპუტჩისტური ფსევდოსოციური და თანამედროვე კონტრრევოლუციური პროვინციულ-ოლიგარქიული მმართველობა, ამაზე საკმარისად ითქვა ამ კონკრეტული საკითხისადმი მიძღვნილი ისტორიულ და პოლიტიკურ მიმოხილვითს ჩანართებში.

ამიტომ ნათელი უნდა იყოს: ეს თითქოსდა წმინდად სუბიექტური (ზეიმის) საკითხი უდიდეს ისტორიულ-პოლიტიკურ პრობლემებთან არის დაკავშირებული და მისი გადაწყვეტა შესაძლებელია ოდენ საერთო-სახალხო ძა-

ლისხმევით, რომელზედაც გამუდმებით მიგვითითებდა ზვიად გამსახურდია და რაზედაც ზემოთ ითქვა, რომ აუცილებელია ყველა ჯანსალი ეროვნული ძალის კონსოლიდაცია. დღეს ასეთი კონსოლიდაციის გზა ეროვნულ თანხმობაზე გადის. ამის აუცილებლობაზე თითქოსდა ყველანი (მხედველობაშია ზვიადის მიერ მითითებული ფენა) თანხმდებიან, ის კი არა, ყოფილ და ახლანდელ ხელისუფლებსაც სულ ენაზე აკერიათ, მაგრამ საქმით ყველანი მტრობენ ამ პროცესს. ის კი არა, ორგანიზაციულად არსებული ასეთი ორგანიზაციები (პროტოტიპების ჩათვლით) განადგურდნენ, ერთადერთი დღემდე იურიდიულად არსებული ეროვნული თანხმობის კავშირიც, არა მარტო ეკონომიკურად სახსარგამოცლილი, არამედ ირგვლივ არსებული მუდმივი ლალატისა და უპრინციპობის პირობებში სულიერადაც შელახული გარიდებია არა მარტო ამ საშინელებას, არამედ საკუთარ თავსაც. ამიტომ დღეს არ ჩანს ისეთი ძალა, რომელიც აღასრულებდა განადგურებული ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობის მისია და აიდულებდა ამ აშკარად ანტიხალხურ ხელისუფლებას, ამ უდიდესი ეროვნული დღესასწაულისთვის თავისი კუთვნილი ადგილი რომ მიეჩინა.

მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, ჩვენ არა გვაქვს უფლება ყურების ჩამოყრისა, ვალდებული ვართ, ის მაინც გავაკეთოთ, რომ ბოლო მოვულოთ ბნელეთიდან ხელოვნურად გამოხმობილ სინამდვილეში არარსებულ დაპირისპირებას 1918 წლის 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის დღესასწაულებს შორის, რაც ასე ცხადად წარმოჩნდა ზემოთ მოხმობილ ისტორიულ თუ პოლიტიკურ მიმოხილვებში.

ამ მიმოხილვებითა და წიაღსვლებით ჩვენ თითქოსდა ზედმეტად დავამძიმეთ ეს კონკრეტული, ერთი შეხედვით, სუბიექტური პრობლემა და თემას გადავუხვიეთ, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ამ ორი აქტის ურთიერთმიმართების საკითხის გადაწყვეტა და მათთვის კუთვნილი ადგილის მიჩნევა ჩვენი ეროვნული დღესასწაულებისა და განსაკუთრებული თარიღების რიგში – ეს კომპლექსური კვლევის საკითხია, ვინაიდან სწორედ რომ შიდაპოლიტიკური, პარტიული დაპირისპირებულობის (თუნდაც სოცდეპებისა და ეროვნულ-დემოკრატებისა, არაფერი რომ არ ვთქვათ პუტჩისტურ



1918 წლის 26 მაისი

ალიანსზე) შედეგადაა ხელოვნურად შექმნილი.

ეს საკითხი წმინდა პოლიტიკურ ჭრილში, ეროვნული თანხმობის პრობლემის პრინციპითაა გადასაწყვეტი, ვინაიდან ზემოთ მიმოხილულ გაუკულმართებათა შედეგად ის ერთ-ერთ საჭიროობოტო საკითხადაა გადაქცეული. მის გონივრულად გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოებრიობის არსებობის არა მარტო ფორმალური მხარე, არამედ მისი არსობრივი კონტექსტი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო არენაზე.

ასეთია ის ისტორიული და რეალურ-პოლიტიკური დანაშრევები, რომელებიც აყალიბებენ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლური აქტების ეგზისტენციას, ე.ი. რაც განსაზღვრავს მათ ბედ-ილბალს, არსებობის საზრისა და შესძენს მათ ახალ სიცოცხლეს. ამიტომ აუცილებელია ამ აქტებისადმი ორგვარ – დისპარატულ მიდგომათა მაფორმირებელი მოტივების აღმოფხვრა.

ამდენად, დღეს ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ ისტორიულ-პოლიტიკური, თუნდაც მეცნიერული კეთილსინდისიერების ფარგლებში, თეორიულ დონეზე გადავწყვიტოთ ეს ხელოვნურად ერთმანეთს ძალიან დაშორებული მიდგომა ამ ეროვნულად და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხისადმი. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია საფუძველი დაუდოს ეროვნული თანხმობის ასევე ხელოვნურად მიგდებული პროცესის რეალურ განახლებას ამ კონკრეტული მაგალითით.

ამიტომ ჩვენ არ უნდა ვკმაყოფილდებოდეთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტისთვის მისი კუთვნილი ადგილის მიჩენით უსაქმურთა თავშესაფრად და საკამათოდ ქცეული პარლამენტის შენობაში, არამედ ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს მისადმი მიდგომა. თუ ფორმალურ მხარეზე მიდგა საქმე, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ქართულ პარლამენტს უნდა ამშვენებდეს საამაყო ლოზუნგები: „1990 წლის 31 მარტის რეფერენდუმი – საქართველოს მოსახლეობის სოლიდარობის დღე“ და „1991 წლის 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის მკვდრეთიდან აღდგენის დღე“. მათზე უნდა იზრდებოდეს მომავალი თაობა, მათში ჩადებული იდეით უნდა ფორმირდებოდეს ის ნაციონალური ღირებულებანი, რომლის მატარებელიც უნდა იყოს ქართული სახელმწიფოებრიობა.

ფაქტი ისაა, რომ ეს არ არის რაღაც ფორ-

მალურ დონეზე გადასაწყვეტი საკითხი, არამედ ეს არის დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემა. მისი გადაწყვეტა ძალუს იმ ხალხს, ვისი საყველთაო ნების გამოხატვითაც მკვდრეთიდან აღსდგა ქართული სახელმწიფოებრიობა.

ამდენად, ამ საკითხის ფუნდამენტურად გადაწყვეტისთვის აუცილებელია ეროვნული მობილიზება ცრუსახელმწიფოებრივი იდეოლოგის წინააღმდეგ, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ, მიჩქმალონ მშვიდობიანი დემოკრატიული გზით მოპოვებული ეს უდიდესი გამარჯვება ბოროტების იმპერიაზე, მიჩქმალონ ის, რომ 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვება – ეს იყო დემოკრატიზმის პრინციპის გამარჯვება საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში. დემოკრატიულობის თვალსაზრისით, ამ ნამდვილად სახალხო არჩევნებთან მიახლოებული არჩევნებიც კი დღემდე ვერ ელირსა ქართველ ხალხს, ამიტომ სამხედრო-კრიმინალური პუტჩი სწორედ ამ დემოკრატიული პრინციპების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. ამ ანტიდემოკრატიულ პრინციპზე შექმნილი ეს პოსტპუტისტური ფსევდოსოციური დღემდე ინარჩუნებს პოზიციებს როგორც სახელისუფლებო, ასევე საბანკო-საფინანსო სისტემებში და ფსევდოდემოკრატიზმით ანადგურებსა სახელმწიფოებრიობის ყოველგვარ თავისუფალ სახალხო გამოვლინებას.

დღეს გამოსავალი ჭეშმარიტად ეროვნული და დემოკრატიული იდეების ირგვლივ ხალხის კონსოლიდაციაშია. მისი განხორციელების საშუალებას კი წარმოადგენს ეროვნული თანხმობა ხალხისთვის უმთავრეს სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებში და, უპირველეს ყოვლისა, საყველთაოდ თავისუფალი, რეალურად დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებაზე, რომელსაც ჩატარებს არა დღევანდელ ცსკო, არამედ თანხმობის შედეგად შექმნილი საარჩევნო კომისია.



1991 წლის 9 აპრილი

ამ დიდი საქმის პრელუდიად შეიძლება იქცეს ჩვენ მიერ აქ განხილული საკითხის – თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღ-დევნის ორ აქტის მნიშვნელობისადმი ორგვარი მიდგომის საკითხის გადაჭრა. ამიტომ გვინდა მკითხველს დასკვნის სახით შევთავაზოთ ამ ვრცელი ისტორიული და პოლიტიკური მსჯე-ლობებიდან და მეტიცებულებებიდან გამომ-დინარე ჩვენეული ვერსია.

* * *

ზემოთ მიმოხილული ისტორიული თუ პო-ლიტიკური მასალის საფუძველზე, პირველ რიგში, უნდა ჩამოყალიბდეთ 1918 წლის 26 მაისის „დამოუკიდებლობის აქტის“ არსის სა-კითხზე და მას თავისი კუთვნილი ადგილი მი-ვუჩინოთ სრულიად საქართველოს (კოლხ-იბე-რული მოდგმის) ნაციონალურ დღესასწაულთა და ღირსშესანიშნავ ქრონისთა (უძველესიდან მომდინარე ღირსშესანიშნავ თარიღთა) რიგში.

მთელი რიგი მტკიცებულებებითა და მსჯე-ლობებით დაგრნებული იმაში, რომ ერთმორ-წმუნე – მათი ქრისტიანულობის გამო მოხ-მობილმა – რუსეთის იმპერიამ საქართველოს სამეფო-სამთავროებს, ზოგადად ქართველ ხალხს, მთლიანად წაართვა პოლიტიკურად არსებობის უფლება, არაფერი რომ არ ვთქვათ სახელმწიფოებრიობაზე, ხელი მიჰყო მის დე-ნაციონალიზებასა და გარუსებას, კულტურის ძირფესვიანად ამოძირებას, ეკლესია-მონას-ტრების გაძარცვით დაწყებული მათი რუსულ ყაიდაზე გადაკეთებითა და შეღებვა-გადათეთ-რებით დამთავრებული. მაშასადამე, ქართველ ხალხს სრულად წაპეჭვარეს თავისუფლება.

ამდენად, 26 მაისის აქტით უპირველესად აღსრულდა ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის ღვთითმონიჭებული უდიდესი მოვალეობა რუსულ-შოვინისტური დესპო-ტის უღლისგან განთავისუფლებისა. ამაშია მისი უმთავრესი მისია, შემდეგ სხვა დანარ-ჩენი: დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აშენების სურვილის გაცხადება იქნება თუ ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს დემოკრატი-ულ პრინციპების საფუძველზე – რესპუბლი-კის სახით – ფორმირება, დამოუკიდებლობის სხვა ატრიბუტების საერთაშორისო ნორმების ფუნდამენტზე აგება და ა.შ.

26 მაისის აქტისთვის განგებით მონიჭე-ბული ძალის შედეგად გახდა იძულებული ლენინის საბჭოთა რუსეთი 1920 წლის ზავით ელიარებინა საქართველოს განთავისუფლება და დამოუკიდებელი არსებობა. სწორედ ამ ღვთი-ური მისის – განთავისუფლების აღსრულების

გამო იყო, რომ ოკუპაციისა და საბჭოთა დიქ-ტატურის პირობებშიც კი ერთი ხელის მოსმით ბოლო ვერ მოუღეს მას და მცირე ხნით, მაგრამ მაინც დღესასწაულობდნენ ამ დღეს და მაშინ ის სინამდვილეში იყო განთავისუფლების დღის ზეიმი.

შესაბამისად, სწორედ ამ აქტის განმათავი-სუფლებელი მისის საფუძველზე, მართალია, ფორმალურად, უკიდურესი შეზღუდული სა-ხით, მაგრამ მაინც მოხდა სსრკ-ს კონსტიტუ-ციაში მისი დაფიქსირება **თავისუფალი რეს-პუბლიკის** სტატუსით. მიუხედავად იმპერიის 70-წლიანი მცდელობისა, მოესპო 26 მაისის იდეები, ჩაეკალა თავისუფლების სულისკვეთე-ბა, მან ეს ვერ შეძლო.

26 მაისის აქტში მოცემულმა ამ **განმათა-ვისუფლებელმა არსმა** გახადა ის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველი და მასში გამოხატული ხალხის ნების განხორციელების წყარო, რომელიც დეკლარირებულ იქნა 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ცხადია, 1918 წლის 26 მაისის აქტის უმთავრესი ღირებულება ხალხისთვის (ერისთვის) იმთავით-ვე ღვთით მონიჭებული განმათავისუფლებელი მისის აღსრულებაშია (განხორციელებაში).

ამიტომ 26 მაისი არის საქართველოს რუ-სული-შოვინისტური იმპერიის 117-წლიანი მონობის უღლისგან განთავისუფლების გამოც-ხადების დღე.

შესაბამისად, საქართველოს (კოლხ-იბურუ-ლი მოდგმის), რამდენიმე ათასწლოვან, ღირ-სშესანიშნავ ქრონისთა და ნაციონალურ დღე-სასწაულთა რიგში 26 მაისი კონსტიტუციურად უნდა დავამკვიდროთ, როგორც **საქართველოს რუსეთის იმპერიის უღლისგან განთავისუფლე-ბის საერთო-სახალხო დღესასწაული – „განთა-ვისუფლების დღე“**. ასეთი ფორმა ეროვნული დღესასწაულებისა მრავლადაა თანამედროვე ცივილიზებული ერების კალენდრებში, ე.ი. ეს საყოველთაოდ მიღებული ფორმაა სახალხო-ეროვნული დღესასწაულისა.

* * *

„განთავისუფლების დღის“ არსში ნათ-ლად იკვეთება, როგორც ეს თავის ადგილას გავარკვიეთ, სამი უმნიშვნელოვანესი ფუ-ძემდებლური ღირებულებანი: კოლონიური უღლისაგან განთავისუფლება; საქართველოს მოსახლეობის (ერის) ნების გამოხატვა დამო-უკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა და მისი ფორმის – დემოკრატიული რესპუბლიკა –

განსაზღვრისა. სწორედ ამ გარდაუვალ ღირებულებათა არსის მომცველობის კვალობაზე იქცა ის კონსტიტუციური (მიდასახელმწიფო-ებრივი) და ყველა საერთაშორისო ნორმების დაცვით დამოუკიდებელი სახელწიფოებრიობის აღდგენის ისტორიული საფუძველი, ხოლო 1991 წლის 31 მარტის სარეფერენდუმო კითხვაში მისი დაფიქსირებით მან შეიძინა სრული ხალხურობა და ახალი სიცოცხლე, ახალი ლეგიტიმაცია. ამით ის იქცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემადგენელ ერთ-ერთ კონსტრუქციად, რითაც მან მთელი თავისი პოლიტიკური მისია სრულად გადასცა 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმით გამოხატული ხალხის ნების განსაზღვრულობას, რომლითაც გაცხადდა: „ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“.

1991 წლის 9 აპრილის აქტში დაფიქსირებული ამ დებულებით განისაზღვრა საკუთრივ ამ აქტის, როგორც ფუძემდებლური დოკუმენტის, სახელმწიფოებრივ-კონსტიტუციური მნიშვნელობა, ასევე, 1918 წლის 26 მაისის დოკუმენტის ისტორიულ-განმათავისუფლებელი არსი.

ამდენად, 1991 წლის 9 აპრილის „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ და მის საფუძველზე შექმნილი სტატუსი ნარმოადგენს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობის საფუძვლისა და არსის განმსაზღვრელს, მის სუბსტანციას. შესაბამისად, უნდა გაქარწყლდეს ყოველგვარი სკეპსისი ამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი დღისადმი. ერთდასამუდამოდ უნდა შევთამბდეთ იმაში, რომ თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის „მკვდრეთიდან აღდგენის“ გამოცხადების ეს დღე – 9 აპრილი ნარმოადგენს სრულიად საქართველოს საყოველთაო – ნაციონალურ დღესასწაულს.

სათანადოდ, საზეიმო დღეთა ქრონისში, მისი თანამედროვე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას უნდა დაუმკვიდრდეს ქვეყნის (სახელმწიფოს) უპირველესი დღესასწაულის სტატუსი. ამ კონტექსტიდან გამომდინარე, კანონმდებლურ საფუძველზე უნდა განისაზღვროს 26 მაისისა და 9 აპრილის დღესასწაულთა შინაარსობრივი და ფორმითი სტატუს-კვო.

* * *

ამ ორ საზეიმო თარიღთა სტატუს-კვოდან გამომდინარე კი, უნდა განისაზღვროს მათი საზეიმოდ აღნიშვნის ფორმა და შინაარსი.

26 მაისი – „განთავისუფლების დღე“ უნდა წარმოადგენდეს ისტორიული მნიშვნელობის მატარებელ სახალხო დღესასწაულს, შესაბამისად, მისი აღნიშვნა უნდა ხდებოდეს სახალხო (სამოქალაქო) დღესასწაულის ფორმით, რომელშიც ერთმანეთში შერწყმული იქნება საერო-კულტურული და სასულიერო-სარწმუნოებრივი ღონისძიებები ყველა კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის სრული დაცვით, როგორც ეს შეეფერება დემოკრატიული წყობის სახელმწიფოს.

მაგრამ, ამასთან, ამ ზეიმში განსაკუთრებული ადგილი უნდა და დაიკავოს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელმაც საქართველოს რუსული იმპერიის უღლისგან განთავისუფლების გზაზე პირველი კვალი გაავლო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიურობის მოპოვებით.

ამდენად, 26 მაისის – „განთავისუფლების დღის“ ზეიმი უნდა იყოს საერო და სასულიერო ზეიმის ერთანი პროექტი, ნამდვილი სახალხო დღესასწაული, ნაკლები სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დატვირთულობით და მეტი კულტურულ-პატრიოტული მიზანსწრაფულობით.

9 აპრილი, როგორც მსოფლიოს ცივილიზაციულ ერთა წინაშე საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გამოცხადების დღესასწაული, თავისი არსით წარმოადგენს პოლიტიკური მნიშვნელობის და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელ წმინდად ნაციონალურ სახელმწიფო დღესასწაულს. შესაბამისად უნდა წარიმართოს მისი აღნიშვნა, „ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი“ (%.გ.)

ეს დღესასწაული „აღვსებული“ უნდა იყოს სახელმწიფოებრივი აუცილებლობით ნაკარნახევი ღონისძიებებით და წარიმართოს სამხედრო და საერო (სამოქალაქო) აღლუმის თანხლებით. ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა ნახევრად ოკუპირებული და თავისუფლების დამკვიდრებისთვის მებრძოლი ქვეყნისთვის. ამას მოითხოვს არა მარტო პატრიოტული აღზრდის მოთხოვნები, არამედ უნდა იყოს მუდმივი შეხსენება იმისა, რომ ჩვენ პერმანენტულ ბრძოლაში ვიმყოფებით „ბოროტების იმპერიასთან“ – მშვიდობის დაუძინებელ მტერთან – და მანამდე არ გვაქვს ჩამუხვლის უფლება, სანამ არ მოეღება ბოლო ოკუპაციას და არ აღსდგება საქართველოს ტერიტორიუ-

ლი მთლიანობა და სახელმწიფო ბრიობა, სანამ თუნდაც მტრის ერთი ტანკი დგას ამ მიწაზე ან თუნდაც ერთი ლტოლვილი მაინც მოკლებული იქნება უფლებას, დაუბრუნდეს თავის მამულს, თავის სახლს.

ცხრა აპრილის დღის აღნიშვნის აუცილებლობის სულიერი არსი მისი გამოცხადების დღესვე განისაზღვრა საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მისი თავმჯდომარის ზვიად გამსახურდისა მიერ: „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება ცხრა აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა სა-

ქართველოს ბედი, ცხრა აპრილის წამებულთა სულები დაგვცერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა“.

ამდენად, ცხრა აპრილის დღესასწაული თავისი ამ ორი ასპექტით: სახელმწიფო ბრივ-პოლიტიკური და სულიერ-სიმბოლურით წარმოადგენს საქართველოს უმთავრეს ნაციონალურ დღესასწაულს. ვინც ამის მიჩქმალვას ცდილობს, ის უდიდეს დანაშაულს და ლალატს სჩადის საქართველოს ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე.

ზეშმარიტი კულტურა და ეროვნული იდეა

(ნაწყვეტი გიორგი სიჭინავას წიგნ „ნანაგეს“ წინასიტყვაობიდან)

გიორგი სიჭინავა ცდილობს, კოლხ-იბერთა უძველესი ისტორიის მანძილზე სალიტერატურო და სამეტყველო, „ნანაში ნინას“ შორის გაჩენილი უფსკრული, ზოგიც კანონზომიერად, ზოგიც ჩვენივე დაუდევრობით თუ გულგრილობით, ამოავსოს. ზანურენოვან მწერალ-პოეტებთან – დანიელ ფიფიასთან, აკაკი ჭანტურიასთან, მურთაზ ჩახავასთან, ლაშა გახარიასთან და გური ოტობაიასთან ერთად გიორგი სიჭინავას შემოქმედებაში მეგრული პოეზია მაღალ დონეს აღწევს. პოეტური პირველყოფილობით ძალმოსილი ეს შემოქმედება ამდიდრებს ქართული პოეზიის საგანძურს ნამდვილად სრულყოფილი პოეტური ქმნილებებით. დედის ენით მომღერალი ეს პოეტები ცდილობდნენ, თავიანთი მხატვრული ჩანაფიქრით ჩაიხედონ შორეულ შრეებში ჩვენი დედაისტორიისა და ახსნან ის მოვლენები, რომლებიც არც კი ვიცით საიდან მოდიან, როგორ ახდენენ ჩვენზე ზეგავლენას, მაგრამ მაინც აისახებიან ჩვენს გენეტიკაში, სულიერ სამყაროში და იძლევიან იმ იმპულსებს, რომლებმაც სასწაულებრივად გადაგვირჩინა ქარტეხილებგამოვლილი ნანაში ნინა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ქართველი ხალხის (მთვლემარე მდგომარეობაში მყოფის) დიდი შემოქმედებითი ენერგიის გამოღვიძების მოსურნე ილია გაოცებული კითხულობდა, რა შეგვინახავდა ამ ერთ მუქა ხალხს ამ ორი ათას



წელიწადს დაუძინებელი მტრების გარემოცვაშიო, მაგრამ კიდევ უფრო დიდ საოცრებასთან გვაქვს საქმე, როცა ვეხებით ზანურად მოუბარი ხალხების წარსულს. მართლაც საოცრებაა, როგორ და რა გზით გადაურჩა ეს უდამწერლობო ენა, ყველაზე ნაკლები, 5000-წლიან ქარტეხილს, მაშინ როცა საერთოდ გაქრა ანბანური დამწერლობის ფუძემდებელი ფინიკიური ენა, ძირფესვიანად შეიცვალა ძველი ბერძნული ენა, მკვდარი ენების პანთეონში მოექცა ერთ დროს მსოფლიო ცივილიზაციის წარმმართველი ლათინური ენა, საერთოდ გაქრნენ არენიდან ათეულობით, თუ არა ასეულობით, კოლხური იბერული კულტურის მოქმედების რეგიონში – მცირე აზიასა და კავკასიაში მოქმედი მძლავრი ერები და ეთნოჯგუფები. ამის პასუხად შეიძლება მივიღოთ ბერდიაუევის ზემოთ მოყვანილი

სენტენცია: „ერი არის სული ღვთის ჩანაფიქრი“, მაშასადამე, ეთონსის (ერის) არსებობის ფორმასა და შინაარსს ღვთისავე ნება განსაზღვრავს და ხდება ისეთი მოვლენები, რომლებიც არც ვიცით საიდან მოდიან, ჩვენი შეზღუდული გონება მათ ვერ სწვდება, მაშინაა, რომ არენაზე გამოდის ცასა და მინას შორის გამოკიდებული პოეტის მხატვრული ჩანაფიქრი; მოქმედებაში მოდის შემოქმედებითი ინსტინქტი, დასაბამიერი სტიქიური სიყვარულით მშობლიური მინისადმი, აკვნის ენისადმი. ეს თავისუფალი გრძნობაა, რაიმე პრაქტიკული თვისებებისა და ღირებულებებისგან მომდინარე ეგოიზმისგან შორს მდგომი. აქ დიდი ციური და მინიერი სიყვარული მეფობს. ბუნებრივი და ადამიანური, ღვთის ნებით, ერთმანეთს შერწყმიან. ამ ღვთიური ნებით გასხივოსნებულმა ნებელობამ მოგვცა უნარი, გადავრჩენოდით უკუღმართი, დამანგრეველი ძალების თარეშს.

ცისა და მინის თაყვანისცემა თურმე ოდითგანვე მოსდგამდა კოლხ-იბერულ მოდგმას: კოლხები „ყველაზე მეტად თაყვანს სცემენ ურანოსს (ზეცას) და გვას (დედამინას)“.¹ ეს თაყვანისცემა ზეცისა და მინისა არის ჩადებული ჩვენს გენეტიკაში და პოეტის ჩანაფიქრის სახით პირველქმნილი, შეულანძღვი სულიერებით აისახება გ. სიჭინავას „აკვნის ენის“ პოეტიკასა და პოეზიაში.

„ზღვაშე მასქური ირქენც,
უფერუანს ირყელც...
მუნუოჯანექ ნდოლოს,
ჩქიმ ჯარგვალიში ხოლოს“.

„ზღვიდან სიო უბერავს,
ეფერება ახოს (სიტყვასიტყვით: ირგვლივ
ყველაფერს),
მე კი ვწევარ მდელოზე
ჩემი ჯარგვლის ახლოს“.

პირველქმნილი პოეზიის სიმარტივით ამღერებული მშობლიური ცა და მინა უკვდავების ძალას ანიჭებს მითაურინდელ ნანაში ნინას და მას მუდმივი განახლების სტიქიის რეჟიმში ამყოფებს, რადგან ყველაფერი განახლებადი განაგრძობს არსებობას. პოეტი სწორედ ნანაში ნინათი ცდილობს ახსნას გოეთესეული კითხვა-პასუხის არსი: საით მივექანებით? ვინ ა. როდოსელი, არგონავტიკა, გვ. 212, თბ., 1983 წ.

უწყის! – აკი ნაკლებად ვინმეს ახსოვს, თუ საიდან მოდის ის.

* * *

საიდან მოდის ამის არდავიწყების ფილოსოფია, – მკაფიოდაა გამოხატული ზანურენოვან პოეზიაში, რომელიც ზოგადი ცნებიდან – „ზეპირსიტყვიერება“ დღეს იღებს ინდივიდუალურ სახეს. ხდება ამ უპიროვნებო ცნების გაპიროვნება, რასაც დღევანდელი გლობალური პროცესებიც უწყობს ხელს. უნდა დამთავრდეს დიდი პელაზგური – კოლხურ-იბერული კულტურისთვის ფრთხის შეკვეცა.

„ინგირი დო ცხენწყარ შქას ქენიფხვილ დო ქელაბლურ“-ის (ვარ ენგურსა და ცხენწყალ-შუა გასაქრობად დასაზღვრული) ხანა მთავრდება, „წყარი ნაწყარს“ (წყალი ძველ კალაპოტს) უბრუნდება, მთავრდება ბორჯი რკინის ფარდით გამოყოფილი კოლხ-იბერული მოდგმის გვარ-ტომთა ურთიერთგაუცხოებისა, „შორით დაგვისა“, შორიდან მიტირებისა. დღეს ეს ძველთაძველი მოდგმა, დიდი ხნით ერთმანეთს მოწყვეტილი, ერთმანეთს უახლოვდება, ჯერაც უსინჯავენ ერთურთს კბილებს, ცდილობენ გაარკვიონ, თუ ვის რა შერჩენია იმ ძველი დიდებიდან, რომელიც საკაცობრიო ცივილიზაციის საწყისიდან იღებს სათავეს, რათა შემდეგ თამამად გამალონ ფრთა და ალსრულდეს პოეტის ოცნება: „ფსუაში გოფაჩუა მოკო, რინა მოკო პელაზგური“ („უფრო ფრთხების გაშლა მინდა, ყოფა მინდა პელაზგური“). ეს უკვე მარტო-დენ ოცნება არაა. ეს ახალი რეალობაა და ამას ხელს ვერ შეუშლის ის გარემოება, რომელსაც გულდათუთქული პოეტი აღწერს:

„ტყურა ფთქუე, მუშო გოკო,
გირაგადექ მუთ რენ თის,
დადიანიშ აბარნაშე
გინვოჯინექ რუსეთის“.

„თავი რატომ მოვიტყუო,
იმედები ამოვწურე...
დადიანის აივნიდან
უკვე რუსეთს გადავყურებ“.

ჯერაც არსებული ამ ნინააღმდეგობის გადალახვისა და ძმების ერთმანეთთან „ჩახუტების“ ნალი საშუალებაა გადარჩენილი ნანაში ნინა. ნანაში ნინა და ზანურენოვან ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში, განსაკუთრებით პოეზი-

აში, დაუნჯებული ფილოსოფია საუკუნეობით მოწყვეტილ ჩვენს თანამოძმეობითან განაახლებს და განამართლებს კოლხ-იბერულ სულიერებას.

ამდენად, წინამდებარე კრებულში შესული „ნანაში ნინა“ სწორედ იმ მიზანს ისახავს, რომ ხელი შეუწყოს და დააჩქაროს ეს დაახლოება. როგორც ჰპაიდეგერი ამბობს, „ენა ყოფიერების სახლია“, ამიტომ ქართული ანბანით გაწყობილი „ნანაში ნინა“ უნდა გახდეს ის დედაბოძი, რომელზედაც აიგება კოლხ-იბერული მოდგმის ერთიანი სასახლე, დაუბრუნებს მშობლიურ წიაღს საუკუნეების განმავლობაში მოწყვეტილ თანამოძმეებს. მხოლოდ ქართულ ანბანს ძალუძს სრულად გამოხატოს არა მარტო კოლხ-იბერული, არამედ მთელი ე.წ. იბერიულ-კავკასიური (იაფეტური) ხალხების მეტყველება. ამდენად, „ნანაში ნინა“ იქნება ალტერნატივა ლათინურისა, რომელსაც ხმარობენ ჩვენი თანამემამულეები. ესაა გარდაუვალი გზა ერთიან ქართულ სამყაროში მათი ინტეგრაციისა, თანამოძმეთათვის კოლხ-იბერული კულტურის აღორძინებისა და განახლებისა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი როლი ზანური (მეგრულ-ლაზური) და სვანური ენის საფუძვლებში გარკვევასა და მის ათვისებაში, თუნდაც ჰუმანიტარული დარგის მოღვაწეთა და მეცნიერთათვის.

* * *

გიორგი სიჭინავას მიერ შედგენილი „ნანაში ნინა“ ძალზე შორს დგას „აშორდიზმისაგან“ და ოკუპანტები და მათი დამქაშები ტყუილად ცდილობენ ამ ქართული საქმის უკუღმა შეტრიალებას, ამის დასტურია წიგნის შესავალში ავტორის მიმართვა მკითხველებისადმი: „ჩემო მკითხველო, უნდა იცოდე, რომ მეგრული და სვანური ქართველური ენებია... კოლხებსა და იბერებს ერთი წინაპარი ჰყავდათ, ერთი ფესვიდან არიან ამოზრდილნი და დღესაც – ერთი ფესვიდან იკვებებიან... დღეს კოლხ-იბერთა ენა ტებილხმოვანი ქართულია და მას ვერაფერი შეცვლის, მაგრამ წარსულსაც მოვლა-პატრონობა და შესწავლა სჭირდება“.

ეს წარსული კი ძველთაძველია. შემთხვევითი არაა, რომ პოეტმა ერთ-ერთ კრებულს „რინა მოკო პელაზგური“ („პელაზგური ცხოვრება მინდა“) უწოდა. პელაზგებისა და კოლხების (მაკრიელების) გენეტიკური კავ-

შირების არსებობა აისახა „არგონავტიკაში“. წიგნის წინასიტყვაობაში ს. ყაუხეჩიშვილი წერს: „ვფიქრობ, არგონავტების თქმულებაში ასახვა პოვა იმ გენეტიკურმა ურთიერთობებმა, რაც ქართველთა წინაპარ ტომებსა და პელაზგებს შორის არსებობდა“. როდოსელი წერს: „მაკრისიელ ვაჟკაცთა პელაზგური ლაშქარი“-ი „და მოეჩვენათ, რომ სანაპიროს უმამაცესი მაკრი-ელების მოადგა რაზმი, პელაზგური“. სქოლიოს განმარტებით, მაკრისიელები ანუ მაკრიელები იგივე მაკრონებია. მაკრონები პელაზგური ტომია, რომელსაც უძველეს ხანებში პელაზგის მახლობლად კუნძულ ევბეაზე უცხოვრია, ევბეას ერქვა მაკრისი, საიდანაც სახელი შერქმევია მაკრონთა პელაზგურ ტომს.²

ამ უძველეს ცნობათა კომპლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ცნობა კირბების შესახებ, – წერს ს. ყაუხეჩიშვილი. – იგი პირველი ცნობაა ძველ ქართულ დამწერლობაზე. არგოსის სიტყვებით, კოლხებს „შენახული აქვთ მამათაგან ნაწერი კირბები“. როდოსელის ხანაში კოლხებს ჰქონდათ ძველისძველი წერილობითი ძეგლები, სამანძილო კირბები, რაც ანტიკურ ხანაში კოლხ-იბერულ ტომებში მაღალი კულტურის მაჩვენებელია.

სქოლიასტის მიხედვით, კირბები მაღალი ბოძებია, სხვადასხვა წარნერის შემცველი... სვიდას მიხედვით, კირბები სამწახნაგა დაფებია, რომლებზედაც იწერებოდა სასულიერო და საერო კანონები. აპოლოდორე ამბობს: „კირბები შეიცავდნენ დაწერილ კანონებს“; ყველა საზოგადო კანონსა და საბუთს კირბისი ერქვა, კირბისის აღმოჩენის ხელოვნება კოლხებს მიეწერებათ.³ მრავლიდან თუნდაც ამ მცირედი მაგალითიდანაც კარგად ჩანს, თუ რა წარსულის მოვლა-პატრონობაზე საუბრობს „ნანაში ნინა“-სა ავტორი.

ილია „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებაში ამბობდა: „ჩვენმა მტრებმა კარგად იციან, თუ რა განძია ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“, კარგად იციან, რა ბურჯია ჩვენის თავმოწონებისთვის, ქვეყნად ხმის ამოღებისთვის“.⁴ ეს ითქვა ქართული აღორძინების ხანის უკვდავ ქმნილებაზე, მაგრამ საქართველოს ისტორიისთვის, ქართუ-

² ა. როდოსელი, არგონავტიკა, გვ. 24, თბ., 1983წ.

³ ა. როდოსელი, არგონავტიკა, გვ. 212, თბ., 1983წ.

⁴ ი. ჭავჭავაძე, რჩეული, ტ. I, გვ. 13, თბ. 1985წ.

ლი კულტურისთვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს მის ლეგენდარულ წარსულში დაუნჯებულ სიპრინტებს, მის უძველეს კულტურას, რომელ-ზედაც მოგვითხრობენ საკაცობრიო ისტორიის უძველესი ძეგლები, ისინი არ უნდა დავივიწყოთ, თორემ, ილიასივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მა-შინ დაიწყება ჩვენი, როგორც ერის, დაცემა და გათახსირება.

სამწუხაროდ, ამ ლეგენდარული წარსუ-ლისთვის ზურგის შექცევა, სხვადასხვა მიზე-ზით მისი უარყოფა, შიდა კინკლაობა ჩვენს ისტორიასავით ძველია და ოდენ თანამედროვე ნიჰილიზმის შედეგი არ არის. მავანთ და მავანთ ვერ გაუთავისებიათ, რომ კირბების აღმოჩენის კოლხურ ხელოვნებაზე, პელაზგ-მაკრონების ერთ გვარტომობაზე, არგონავტების მიერ აიე-ტის სასახლეში ნანაზზე, რომ „დაბლა – ოთხი მარად უშრობი წყარო შადრევნად მოჩქეჩქებ-და – ერთი მათგანი რძის წყარო იყო, მეორე ღვინის, ხოლო მესამე სურნელოვანი ზეთისა გახლდათ, მეოთხე – წყაროს წყალი ანკარა“,⁵ იმაზე, რომ არესის ველზე ბერძნული ოლიმპი-ური თამაშების დაწყებამდე საუკუნეებით ადრე, დიდი სპორტული შეჯიბრებები ტარდებოდა და ა.შ. და ა.შ. უარის თქმა, მათდამი ნიჰილისტური დამოკიდებულება უძველესი ქართული კულტუ-რისთვის ძირის გამოთხრაა, მისი გათახსირებაა.

ივანე ჯავახიშვილი ნ.მართან პოლემიკი-სას გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ „რაც შე-ეხება მეგრელებსა და სვანებს და დავუმატებ ჭანებსაც, მათ მართლაც ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ. ... თუ ამაზე უწინარეს არა, XI ს-იდან მოყოლებული „ქართველი“ შემ-კრებლობითი მნიშვნელობით იხმარება ყველა ქართველთა აღსანიშნავად. ასეთი საერთო შემ-კრებლობითი მნიშვნელობის მქონებელი ტერმი-ნის... საჭიროების უარყოფაც არავის შეუძლია. წინათ ამას ნ.მარიც არ უარყოფდა“.⁶ როგორც ზემოთ ვნახეთ, ამას არც „ნანაში წინაში“ ავტო-რიც უარყოფს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ XI საუკუნემდე შემკრებლობითი მნიშვნელობის ბევრი ასეთი ტერმინი ჰქონიათ „ქართველთა“ წინაპრებს. არაფერი რომ არ ვთქვათ დიახსა და კოლხაზე, ნალდად შემკრებლობითი მნიშვნე-

⁵ ა. როდოსელი, არგონავტიკა, გვ.123, სტრ.220 თბ., 1983წ.

⁶ ა. როდოსელი, არგონავტიკა, გვ.123, სტრ.220, თბ., 1983წ.

ლობის ტერმინებია კოლხი და იბერი, ლაზი და აფხაზი. ეს უკანასკნელი სულაც თანამედროვე „საქართველოს“ შემქმნელი და ფუძემდებელია. მიუხედავად ამისა, თვით დიდი ივანეც კი თა-ვის მართლების პოზაში აცხადებს: „აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ“,⁷ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მითითება – არსებული რეალო-ბიდან გამომდინარე, თორემ მაშინ რა ვუწოდოთ კოლხეთის სახელმწიფოს მემკვიდრე ლაზთა დიდი სამეფოს სამართალმემკვიდრე აფხაზეთის სამეფოს, რომლის ირგვლივაც მოხდა ყველა საკუროპალატოსა და სამთავროს გაერთიანება და რომელიც მთელ მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში იწოდებოდა აფხაზთა სამეფოდ? რა, ეს სამეფო არაკოლხ-იბერული წარმომავ-ლობისა იყო?! თუმცა ეს რიტორიკული კითხვა უფროა. ყველამ კარგად იცის, რომ აფხაზეთის სამეფო ლაზთა სამეფოს სამართალმემკვიდრე იყო და თვითონ ქვეყანა კოლხ-იბერული მოდ-გმის ხალხთა სახელმწიფოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა.

აფხაზი კოლხური ტომის აღმნიშვნელი ტერმინია, რომელიც შემდეგ მიითვისეს აფსუ-ურმა ტომებმა, რადგან სწორედ ქართველებმა უწოდეს აფხაზები და არა პირიქით.

აქ ბოლიში უნდა მოვუხადო მკითხველს, რადგან, როგორც იტყვიან, კალამი სხვა მი-მართულებით გაგვექცა თითქოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ სწორედ წარსულისთვის ზურგის შექცევამ, ზედმეტმა გაუბედაობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ დავივიწყეთ ქართველური ტო-მები, ფრიგიასა და პონტოს მიდამოებში რომ უცხოვრიათ. ივ. ჯავახიშვილისავე თქმით, „... უძველეს ხანაში ოდესლაც იქ ქართველი ტო-მებიც ბინადრობდნენ“.⁸ ასევე იყო ჩრდილო-დასავლეთითაც, იქამდე, სადამდეც კავკასიის წვერი პონტოს სწვდებოდა, ყველგან ქართვე-ლური მოდგმის ხალხი ცხოვრობდა, ყოველივე ეს დავივიწყეთ. სწორედ ამ დავიწყების შედეგია, როცა იძულებული ვხდებით, ვთქვათ, „ჭანებსაც (!) ... მართლაც ქართველ ტომებად ვთვლიო“. ასეთ შემთხვევაში, როცა საქმე სათუოდაა ქცეული, აუცილებელია სიფრთხილით მიდ-

⁷ ივ. ჯავახიშვილი, ტ. I გვ.154, „ქართველთა წარმართობა“. თბ., 1979წ.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ტ. I გვ.154, „ქართველთა წარმართობა“. თბ., 1979წ.

გომა მათდამი, ვინც საუკუნეობით მოწყვიტეს დედასამშობლოს, მათ უნდა დაველაპარაკოთ საკუთარი – აკვნის ენით, რათა უმტკივნეულოდ შევეთვისოთ ერთმანეთს და ყველასთვის მისაღები გახდეს ის, რომ „ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფო ობიექტი სამწერლობო ენაც ჰქონდა და აბადია ახლაც, რომელიც... მეგრელებისა და სვანებისთვისაც ერთადერთი სამწერლობო და კულტურის ენა იყო და არის ახლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიაც მეგრელებსაც და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი“.⁹

დიდი მეცნიერის ამ უდავოდ ჭეშმარიტ მოსაზრებაში, სამწუხაროდ, არის ტერმინოლოგიური აღრევა. იმ ხანისთვის, როდესაც იქმნებოდა სალიტერატურო ენა, მეგრული და მეგრელობა ვერ ფარავს იმ სივრცეს, სადაც ის მონაწილეობდა ქართული დამწერლობის შექმნაში, დღეს კი გამოთიშავს ლაზ-ჭანურს ამ პროცესიდან, სწორედ აქედან მომდინარეობს აუცილებლობა ამ ჩვენი ძმებისთვის ქართული ანბანის „ნანაში ნინაში“ სახით მიწოდებაზე „ნანაშ ნინას“ დანიშნულებაა მეგრელებისა და სვანების გვერდით თავისი ადგილი დაიკავონ ლაზებმა (ჭანებმა).

* * *

ყველა დიდი შემოქმედი, დიდი ხელოვანი სულიერი შუქის იმგვარ შარავანდედში გახვევს ხოლმე საკუთარ შემოქმედებით სამყაროს, რომ ირგვლივ ყველაფერი იჩრდილება,¹⁰ მაგრამ სულ სხვაა, როცა ადამიანის გონება კონცენტრირდება ერთი მიმართულებით და ცდილობს ჩასწვდეს ერის სულიერი სამყაროს უღრმეს შრეებს.

ადამიანი ცდილობს განიცადოს ერის შემოქმედებითი ენერგიის სიდიადე, რომელშიც არეკლილია, კოსმიური ძალებისადმი მარტივი (ინსტინქტური) თაყვანისცემიდან დაწყებული, პიროვნების სულის ურთულესი ხვეულების, ერის იდეის, მისი ფილოსოფიის მთელი არსი. ასეთ სიტუაციაში, ნინა პლანზე წამოიწევს იმ უძველეს კულტურასთან ჩვენი დამოკიდებულების საკითხი.

მნიშვნელოვანია დავადგინოთ ის კავშირები, რომლებიც დღემდე არსებობს და მასთან

⁹ ივ.ჯავახიშვილი, ტ. I გვ.154, „ქართველთა წარმართობა“. თბ., 1979წ.

¹⁰ ანდრე უიდი, „ხელოვნების საზღვრები“, გვ.16, თბ., 1994წ.

(უძველეს კულტურასთან) გვაახლოებს, უფრო მეტიც, დიდად განსაზღვრავს ჩვენს სააზროვნო სივრცეს, იწვევს ჩვენს სულიერ აღგზნებას და რომლისთვისაც „დროის ტირანიას“ ვერაფერი დაუკლია.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად საყურადღებოა მრავალხმოვანი და მრავალპლანიანი ქართული ზეპირსიტყვიერების მოზაიკა, განსაკუთრებით ზეპირსიტყვიერი პოეზია, რომელიც თან დაატარებს ქართველური მოდგმის „სუბიექტურ კულტურას“. საოცარი ისაა, რომ ეს „სუბიექტურობა“, როგორც ლოსევი აღნიშნავდა, არაა ის, „რაც უარყოფდა ყველაფერს და თავისი თავისი გალმერთებამდე მიდიოდა“.¹¹

ის მოსაზრება, რომ პიროვნების ასეთი და-საზღვრული გაგება არ ახასიათებს ქართულ ნეოპლატონიზმს, საფუძველს იღებს ჩვენი სულიერი კულტურის უძველესი შრეებიდან და აშკარადა გამოხატული მის უმნიშვნელოვანეს ნაწილში – ზანურენოვან ზეპირსიტყვიერებაში (განსაკუთრებით პოეზიაში), რომელთა ბრნყინვალე შედევრების სიპრემანები და ფილოსოფიას აგრძელებენ მეგრულ ენაზე მთხველ პოეტთა საუკუთესო წარმომადგენლები.

კოლხური მოდგმის სულიერი სამყარო კი არ სწყდება ბუნებას, არამედ ის ერწყმის მას, ის არსებობს მთელ კოსმიურ სამყაროსთან ერთად, მისი ნაწილია, კოსმოსი – ზეცაა მისი შემოქმედი: „ბუნება – დია ჩქიმი, თუთა – მუმა ჩქიმი, ხეიჩა-ხვიჩა მურიცხეფი – და დო ჯიმა ჩქიმი“ (მზე დედა ჩქიმი, მთვარე (თთუე) მამაა ჩქიმი, სხვადასხვა ვარსკვლავები და და ძმაა ჩქიმი)¹² მაშასადამე, მზისგან შობილის მამაა მთვარე, გაბრწყინებული (ხვიჩა-ხვიჩა) ვარსკვლავები კიდევ მისი და და ძმაა, შესაბამისად, ის (ადამიანი) სამყაროსთანაა შერწყმული, მისი ნაწილია, ამ ურთიერთობით განისაზღვრება მისი ცხოვრების არსი. მთელი სამყარო ერთი მთლიანი, სიყვარულის ძალით გამობარი ოჯახია. ესაა საყოველთაო სიყვარულის, სიკეთის დამკვიდრების აპოლოგია, მარადიული ჰარმონიულობისა და ჰუმანურობის ჰიმნი. მართლაც რომ მას ვერაფერს და-აკლებს „დროის ტირანიას“. ამიტომაც იყო, რომ ქართული აღორძინება წარიმართა „კეთილმა

¹¹ ალექსეი ლოსევი, „დუმილი“, გვ.36, თბ., 1993წ.

¹² ივ.ჯავახიშვილი, ტ. I გვ.93, „ქართველთა წარმართობა“. თბ., 1979წ.

სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელია “-ს სიპრინით, ვინაიდან უძველეს ფუძესთან კავშირი არ გვაძლევდა ოდენ ჭვრეტის საშუალებას, ის გენეტიკის დონეზე „გვაიძულებდა“ („მოგვინოდებდა“) „...დღემუდამ ვესწრაფოთ საქმეს, რათა ... გარდაუვლად შექმნას რაიმე, და არა მარტო შექმნას, არამედ გარდაქმნას სინამდვილე“.¹³ სწორედ ამ უწყვეტი კავშირის, უწყვეტი მემკვიდრეობითობის შენარჩუნების აუცილებლობაზე ლაპარაკობს ჩვენი თანამედროვე მწერალი, რაც „... დიდებული ... ხალხში ითქმება, ყოველივე გულის ფიცარზე უნდა დავიწეროთ და სხვებსაც გადავაწერინოთ. ეს ჩვენი აუცილებელი ვალდებულებაა“.¹⁴

ზემოთაც ვთქვით და გავიმეორებ, რომ ერის გონიერ ნაწილს ასეთი დამოკიდებულება „საძირკველში ჩადებული მაგარი ქვისადმი“ კარგად აქვთ გაცნობიერებული. მათ კარგად ესმით, რომ ქართველი ხალხი იმ უძველესი სულიერი კულტურის მემკვიდრეა და „აღორძინების“ ყოველ ახალ ეტაპზე ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის ამ დიდი კულტურის ანალიზით, მისი გახმიანებით, სამზოზე გამოტანით უნდა დავიწყოთ.

ასეთი დამოკიდებულება წარსულისა და მომავლის ურყევი ერთიანობისადმი გენეტიკაში გვაძვს გამჯდარი, ამიტომაცაა, რომ უძველესი, დედისეული გვაროვნული ურთიერთობიდან მომდინარე ზანურენოვანი ზეპირსიტყვიერი პოეზია და თანამედროვე მეგრულ-ლაზური პოეტური შემოქმედება ფორმითაც და არსობრივადაც ასე ღრმად იქრება ჩვენს სააზროვნო სივრცეში და წარუშლელ კვალს ტოვებს ჩვენს გულში. ამ მხრივ საყურადღებოა გ. სიჭინავას მეგრული პოეზია, თუნდაც მისი საყოველთაოდ აღიარებული (ზანურენოვანი მკითხველების მიერ) „თხუმუ“.

ჩვენ არ შევუდგებით გ. სიჭინავას მეგრულენოვანი პოეზისა და არც საკუთრივ „თხუმუს“ ლიტერატურულ მიმოხილვას, ჩვენ შევეხებით იმ გენეტიკურ კავშირებს, რომლებიც ასე მკვეთრადა გამოკვეთილი ზანურენოვანი ზეპირსიტყვიერი პოეზიის სიბრძნეში (ფილოსოფიაში) და რომელთა გაგრძელებასაც წარმოადგენს გ. სიჭინავას ზემოთ დასახელებული ლექსი.

¹³ ალექსეი ლოსევი „დუმილი“, გვ. 39, თბ., 1993 წ.

¹⁴ ლ. გვასალია, „ყველაფერსა და არაფერს შუა“, გვ. 4, თბ., 2004 წ.

* * *

კოლხური ზეპირსიტყვიერების მატრიარქატისდროინდელი ნიმუშის სიბრძნეზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი, რომ კოლხი კაცი იმ უძველეს ხანაში საკუთარ თავს კოსმიური სამყროს ნაწილად წარმოიდგენდა. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს მთლიანობის, მისი ერთი საწყისიდან მომდინარეობის ძიება. სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, ესაა მონოთეისტური რელიგიური წარმოდგენის ფორმირების გამოკვეთილი მაგალითი.

მიწიერი ადამიანისა და ციური მნათობების ერთიანობაში წარმოსახვას ერთი ღმერთის იდეამდე მივყავართ, ღვთისმაძიებლობის დიალექტიკას კი – არარადან სამყაროს შექმნის პრობლემამდე, რაც აისახა ერთ უძველეს მეგრულ ლექსში, რომელსაც „ტყურა“ („ტყუილი“) ეწოდება:

„ართი უნოცელე ჯასე
უკუჩხე ჩიტ გგმახედუ,
უხელეთი ობჭოფი დო
უხელეთი გოპუპტორი,
უდაჩხირეთ დობჭვი დო
უკიბირეთ დობხუტორი“.

ლექსი გააზრებულია გონმიუნვდომელი უდიდესი სიმართლის კონტექსტში, იმ სიმართლისა, რომელსაც ადამიანის გონი ვერ ჩასწვდება. აქ ხომ ბიბლიური შეგონება – ღმერთის მიერ არარასგან (ქაოსისგან) სამყაროს შექმნის იდეაა გაუდერებული: „მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“ (დაბ. 12).

ლექსის სათაური „ტყუილი“ მოცემულ შემთხვევაში სიცრუის სიბრძნის (რაზედაც აგებულია მაღალი დონის მთელი ლიტერატურა) ზღვარს იქით გადის და უფრო დიდ სიმართლესთან, უმაღლესი ჭეშმარიტებისადმი (ღვთისადმი) მიახლოების ინტუიციურ გამონათებასთან გვაძვს საქმე. ესაა მარტივი (ინტუიციური) პოეზიის გენიალობა. მთემელი სუბიექტური აზროვნებით, ობიექტურობის მიღმა გასვლის გზით, ხატოვანი ფორმით განაზოგადებს ცოდვილი ადამიანის ღვთის განზრახულობაში ვერჩან-ვდომის რეალობას. ამდენად, ეს ლექსი ღმერთის მიერ არარასგან (ქაოსისგან) სამყაროს შექმნის მეტაფორაა!

უწყვეტი ჯაჭვით შეკრული კოლხური სუ-

ლიერი კულტურის ამ ერთიან სიბრძნეში, ერთიანი ცივილიზაციის ფონზე, ყველგან ჩანს ინდივიდუალობათა ერთიანობა.

ზემოთ მოყვანილი ხალხური სიბრძნის ნიმუშების გაგრძელებას წარმოადგენს ჩვენი თანამედროვე ზანურენოვან შემოქმედთა საუკეთესო პოეტური ნიმუშები. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია გ. სიჭინავას „თხუმუ“ („თხმელა“). საყურადღებოა ლექსის ქვესათაური – „ოცქვა-ფური“ („სადიდებელი“). სადიდებელი კი ითქმის ოდენ ღმერთზე.

გაჭირვებაში მყოფი კოლხი კაცისთვის თხუმუ მართლაც გაჭირვების ტალ-კვესია, ის

ღმერთმა მოუვლინა მას გადამრჩენად. ამიტომ „თხუმუს ოცქვაფური“ ღვთის სადიდებელია.

„ვამთასექ, ვამირგექ, სქანით ქგმოირთუმ“. ეს „თხუმუს თავისით მოსვლა“ ღვთისგან მოსვლის ფილოსოფიაა, მასზეა აგებული ლექსის მთელი კომპოზიცია:

ადამიანი ღვთის იმედით თესავს და ხნავს, მისი სულიერი სამყაროც ღვთის მძლავრი ნების განგებაშია; ღმერთია პატრონი როგორც სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგაც – იმქვეყნად.

თუ ხალხურ ლექსში „ტყუილი“ სამყაროს არარაისგან შექმნის მეტაფორაა მოცემული, „თხუმუში“ – ღვთის მფარველობისა.



სამურზაყანო...

ვუძღვნი ჩემს გალელებს...
შექსპირის 66-ე სონეტისებურად

რა უსაშველოდ წამოგვეწყო ეს საუკუნე,
გამსხლტარ თევზივით უხელთები გახდა ღირსება,
ვერ მივუნათეთ სულის შუქი ცა-შორ უკუნეთს,
ველარ ვუპოვეთ გაგრძელება მშრალ განრისხებას...

საბედიანო – უბედური ბედის დაისი,
დაუსრულებელ ტკივილების სისხლის საღამო,
უყვავილებოდ დაჟღალული შავი მაისი,
ტალახისფერად დათოვლილი სამურზაყანო...
გადაპქონდა ცხენით თხილი,
ენგურს ქარი მიაპობდა,
მთვარე დუმდა ამის ხილვით,
გლეხიც დუმდა...

– არ გაეგო ჩქამი რუსს და
არ დაეფრთხო სივრცე ღამის,
ვინ რა უწყის რას ამბობდა,
გლეხი გულში დარდის ქარვით...
არც ქორწილი სახმიანო,
არც სიკვდილი – ზარით, გლოვით,
წუთებს წუთი ეთრთვილება,
უამი მიდის ესე თრთოლვით...
არ მლერიან „ოდოიას“,
ღმერთიც ჩუმად დადის ცაში,
სიხარული გოდოლია,
იმედებიც გაქრა გალში...

მინა ტირის უყვავილოდ,
გაფრენილი სიყვარული
ზეცას ცრემლად მიბნევია –
დაბადების სინანულით...
ბატა, ბატა უბედურო,
დაკარგულო, თავის მტერო,
ეგ დუმილი გაგგუდავს და
მერე რაგინდ ბევრი ვწეროთ
ამ ტკივილზე, იმ წუთებზე,
დრო რომ გვედგა არავისი,
თუ ამოწყდა ჯიში ჩვენი
და კოლხური გასაგისი...
რაღა თავში ვიხლით მინას,
ან ენგური გვინდა რაში,
თუ ნელ-ნელა დავსრულდით
და გადავალთ არარაში...

ღმერთო, მინა შეგვარჩინე,
ღმერთო, ენა შეგვარჩინე,
ღმერთო, ღმერთო შეგვარჩინე,
შეგვარჩინე, ღმერთო, სული...

რომ ხმამალლა შემოვძახოთ:
„ვარადო“ და „ოდოია“,
ღამეს ხმობდეს შეძახილით
გულუშიშრად ბონდოია...
ეს ტოროლა ტურ-ტურულით
მზეს აპობს და მლერის ცაში,
თუ მალხაზმა არ იმღერა
გადასულან ჯანდაბაში.

ჩიტიც, გვრიტიც, მარგალიტიც,
ყველაფერი, რაიც გვწვავდა,
რაც იყო და აღარ იყო,
რაც გვწამდა და აღარ გვწამდა...
მზე ღრუბლებში წვება ნისლად,
მობრიალე ცხრასწორ თვალით
და დუმს უფლის სადარდისად –
გალი, ჩვენი ცრემლი გალი...
მოტოვებულ საფლავების
ასვეტილა დარდთა ნუსხა,
„ნანა“ მოვა გათენებად,
„აშო ჩელა“, „იშო ბუსკა“.
და გაუძლებს ცულის დრეიფს,
ღელვას ზღვისას მოჰყვა მთვარე,
რა გაუძლებს ამდენ ქეიფს,
რა გაუძლებს სტუმართ ჯარებს...
აფხაზური მასპინძლობა
სიყვარულით დაზაფრული,
მარადისად ღვინობისთვე,
იანვარში – გაზაფხული...

საბედიანოვ, ახალ ბედით აგვამზიანე,
არ შეარჩინო ავმომტერეს კუთვნილი გოჯი,
ამომზევდი და ამოდულდი, მემატიანევ,
და დაიძახე შენებურად: „ჯიმა მოზოჯი“...

ღმერთო, ამინჭყავ საოცნებო ესე ქართული!..

ლაშა გვასალია

ცერილები

სამშობლოს უანგარო მსახური, ღირსეული მამულიშვილი

სამშობლო (მამული) ზეციდან ანუ ღვთის-გან არის დადგენილი, ამიტომ ვინც სამშობლოს ემსახურება, ის ამავე დროს ღმერთს ემსახურება, – ბრძანებს ილია მართალი. სამშობლოს, და, შესაბამისად, ღვთის მსახურება უდიდესი მადლია, რაც ადამიანს ძალუძს ამქვეყნიურ ცხოვრებაში. საბედნიეროდ, ყოველთვის იყვნენ და ჩვენ გვერდითაც არიან ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში უანგაროდ და მაღალი ზნეობრივი პრინციპების შესაბამისად იღვნიან სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ასეთი საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, როცა პატრიოტი მამულიშვილები თავიანთ ენერგიასა და ნიჭს ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში იყენებენ. სწორედ ასეთი თავდადებული პატრიოტი მამულიშვილი გახლავთ ჩვენი ძვირფასი იუბილარი – ბ-ნი მურმან ზაქარაია.

თანამედროვე ქართულ ყოველ-დღიურ კულტურაში დამკვიდრებული ტრადიციის – იუბილებსა და სადღეგრძელოებში პიროვნების გადაჭარბებული ქების (რაც თავისთავად ცუდი არ არის) გამოყენება ბ-ნი მურმან ზაქარაიას პიროვნების მიმართ შეუძლებელია, რადაგანაც მან ისე ღირსეულად განვლო თავისი ცხოვრების 75 წელი, რომ იგი ჩვენგან შელამაზებას არ საჭიროებს.

არიან ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებით და გამორჩეულად უყვართ სამშობლო, დღენიადაგ თავდაუზოგავად ზრუნავენ და იღვნიან ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის, მაგრამ ამ ყველაფერს ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებენ. ისინი მტკიცედ და ურყყევად დგანან სამშობლოს ძირძველი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ღირებულებების, ფასეულობებისა და წინაპართა მიერ დამკვიდრებული ტრადიციების სადარაჯოზე, შესაძლებლობის მაქსიმუმით ემსახურებიან ქვეყნის ინტერესებს და თავიანთი თავდაუზოგავი საქმიანობით წინ სწევენ და ამრავალფეროვნებენ საზოგადოების ცხოვრებას. გადაუჭარბებლად შეიძლება

ითქვას, რომ სწორედ ასეთ ადამიანთა შორის უნდა მოვიაზროთ ბატონი მურმან ზაქარაია – კაცი პატრიოტი, ღირსეული მამულიშვილი, რომელმაც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში განვითარებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამდევი ურთულესი მოვლენების შუაგულში აქტიურად იტრიალა, თავდადებით იღვანა და თავისი ქმედებით დაამტკიცა, რომ ამქვეყნად სამშობლოს წინაშე უანგარო სამსახურზე უფრო მაღალი მიზნები არ შეიძლება არსებობდეს.

მრავალქარტებილგამოვლილი მურმან ზაქარაია ღირსეულად ხვდება საკუთარ იუბილეს, რამეთუ მისი განვლილი ცხოვრება ნამდვილად საინტერესო მოვლენებითაა აღსავსე და მან ქვეყნის სასიკეთოდ აქტიური საქმიანობით დატვირთული წლები დამსახურებულად მოიტოვა უკან.



მისი მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების: სამეცნიერო შრომებისა თუ პუბლიცისტური თხზულებების შესახებ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითოეულ მათგანში ჩანს როგორც დინჯი, დაკვირვებული და სერიოზული მეცნიერი-მკვლევრის, ასევე სამშობლოზე, მის წარსულზე, ანმყოსა და მომავალზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტი მამულიშვილის მეცნიერული ალლო, კეთილ საქმეთა კეთების უნარი და ზნეობრივი პოზიცია.

მრავალაფეროვანია მურმან ზაქარაიას სამეცნიერო შემოქმედება. ფილოსოფიის და, კერძოდ, ეთიკის მეცნიერების თვალსაზრისით საყურადღებოა მისი ნაშრომი „დათრგუნული

ლირსება", რომელიც ორიგინალურ კანტიანურ სტილშია დაწერილი. მარადიული ფილოსოფიური და ეთიკური პრობლემის სიღრმისეული ანალიზის მიუხედავად ავტორი არ ივიწყებს ეროვნულ სატკივარს და მწვავედ განიცდის ეროვნული ლირსების შელახვას და გრძნობს იმ საფრთხეებს, რომლებიც შესაძლებელია შედე-გად მოჰყვეს ამ ფაქტს.

აღსანიშნავია აგრეთვე მურმან ზაქარაიას წიგნი „ნარკვევი რუსულ იდეაზე“. ავტორი ნათლად წარმოაჩენს რუსულ სულში, რუსულ იდეაში დასადგურებულ ბრძა, ველურ აღმო-სავლურ-მონღლოლურ-თურქმანულ სტიქიონს, რომელიც ყველას და ყველაფერს წალეკვით ემუქრება. ამ პრობლემის სიმწვავეს კარგად ამ-ჩნევდნენ რუსული თავისუფალი ინტელიგენცი-ის წარმომადგენლები. გოგოლის მოთხოვნებში რუსული იდეის ეს საზარლობაა გადმოცემული. ამას არაცნობიერად გრძნობდა გენიალური პუშკინიც. რუსული სახელმწიფოც, პეტერბურ-გივით, ყოველთვის წანისლული ჭაობისაგან იშვება და ერთი ადამიანის მაგიურ ნებაზეა და-მოკიდებული. ამიტომაცაა, რომ აქ ყველაფერი ისევ ჭაობში ბრუნდება. ვერ უშველა მას გერ-მანულ-პრუსიულმა ბიუროკრატიულმა სტილმა და ვერც არისტოკრატულმა ფრანგულმა ენამ. რუსეთი ეფემერული რეალობაა, რომლის კან-ტიანობაშიც მონღლოლური საწყისი იმზირება. ვლ. სოლოვიოვსაც ჰქონდა შიში მონღლოლური საწყისის მიმართ, რაც დღესაც იგრძნობა რუ-სული სულის ყველაზე ღრმა ლაპირინთებში. პარადოქსია, მაგრამ ყველა პოეტი, მწერალი თუ ფილოსოფოსი, ვისაც რუსეთი უყვარს, საბო-ლოოდ უარყოფს მას. მიზეზი? – მონღლოლური საწყისი იპყრობს რუსეთს! „მონ-ღლოლური აღმოსავლეთი იხსნება რუსულ დასავლეთში“ (ნ. ბერდი-აევი). თუ გვსურს რეალურად და-ვინახოთ და შევაფასოთ რუსეთი, აუცილებლად უნდა გავეცნოთ მურმან ზაქარაიას წიგნს: „ნარკვე-ვი რუსულ იდეაზე“. ეს წიგნი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მის ავტორს არასოდეს არ შე-შინებია საქართველოს მტრების. აქ არ არის საუბარი ოდენ პიროვნულ შიშზე. იგი ჭეშმარიტად ქრისტია-ნი მოაზროვნეა, რომელსაც სწამის სულის უკვდავება და სიკეთის

პრიმატი. თუმცა მის თვალებში შეიმჩნევა ერ-თი დიდი შიში – დაკავშირებული საკუთარი ქვეყნის ბედისა და მრვალალტანჯული ხალხის გადარჩენასთან. „ნარკვევი რუსულ იდეაზე“ სწორედ ამ პათოსით არის დაწერილი. „რუსეთი გამანადგურებელი სიყვარულის ლირსია“ – ამ სიყვარულით უყვარდათ იგი ფ. დოსტოევსკის, ნ. გოგოლს, ა. ბელს და პ. სოროკინს. ამ უკანა-სკნელმა რუსეთს „ავადმყოფი“ უწოდა. რუსული ავადმყოფობა კი ნათლად წარმოაჩინა მურმან ზაქარაიამ ამ წიგნში.

მეცნიერული თვალსაზრისით მეტად მნიშ-ვნელოვანია მურმან ზაქარაიას წიგნი „სიმბო-ლო ქართული იდეისა“, რომელშიც განსაკუთ-რებული ადგილი უკავია „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ მეტაფიზიკური ბუნებისა და იდეურ-მსოფლმხედველობრივი საზრისის კვლევას. ავტორს მიაჩინია, რომ „ქებაის“ ტექ-სტი „ქართველური მოდგმის ქრისტიანულ ერად ფორმირების“ შესახებ მისტერიას წარმოადგენს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მურამ ზაქარა-იას ეს ნაშრომი თავის ლირსეულ ადგილს იკა-ვებს მსგავსი თემატიკისა და პრობლემატიკის შესახებ არსებულ გამოკვლევებს შორის (მაგ. რ. სირაძის „ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა“ და სხვ.).

სავსებით მართებულია და უნდა დავეთან-ხმოთ იუბილარის იმ მოსაზრებას, რომ ჩვენი აწმყო და მომავალი ჩვენსავე წარსულზე უნდა ავაშენოთ, რათა არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს, კულტურასა და ძირძველ ტრადიციებს. მისი აზრით, სწორედ ძირძველ ქართულ ტრადი-ციებში ძევს ის უტყუარი საბუთები, ფაქტები, რაც ქართველი ერის, ქართული სულიერების,



ეროვნული ღირებულებებისა და ფასეულობების ერთი საერთო სათავიდან წარმომავლობას ადასტურებს.

ცალკე მსჯელობის საგანია და უმწვავესი პრობლემაა დანარჩევრებული საქართველოს მოუშენებელი ჭრილობის, საერთო ეროვნული სხეულიდან მოკვეთილი აფხაზეთის თემა, რასაც იუბილარმა არაერთი ტკივილიანი და სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა.

თავმდაბლობა, კაცთმოყვარეობა, თავისუფლების სიყვარული, მოქალაქეობრივი გამბედაობა, უსაზღვრო პატრიოტიზმი და მოყვასისათვის ზრუნვა ის ნიშან-თვისებებია, რომლებიც ბ-ნ მურმან ზაქარაიას გამოარჩევენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მურმან ზაქარაიას არასოდეს უმუშავია ყალბ, არაფრის-მომცემ მეცნიერულ თემებსა და პრობლებზე. მისი აზროვნება და შემოქმედება ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკის, კულტურის, სპორტის და, საერთოდ, ადამიანის ცხოვრების საზრისის პრობლემებს დასტრიალებს თავს. მის მიერ შექმნილი არაერთი მონოგრაფია თუ პუბლიცისტური წერილი აზროვნებისა და თხზვის მაღალი კულტურით გამოირჩევა.

იგი, როგორც საინტერესო შემოქმედი და

მოაზროვნე, კიდევ უფრო საინტერესოა მეგობრების, საყვარელი ადამიანებისა და კოლეგების წრეში; ტრადიციულ ქართულ სუფრასთან მასთან ერთად გატარებული დრო მეტაფიზიკური აზროვნების ზემინი და შეუცნობლის შეცნობის მორიგი ვირტუალური გაკვეთილია ყოველთვის.

გვინდა გულწრფელად ვუსურვოთ ბ-ნ მურმანს, მოესწროს გამოთლიანებულ, ერთიან, ძლიერ საქართველოს და მშობლიურ ოდაბადეში, ყველა ახლობლის გარემოცვაში, გადაგვეხადოს შემდგომი მრავალი საიუბილეო თარიღი. ბ-ნმა მურმანმა თავისი საქმიანობით, სამშობლოს უანგარო სიყვარულითა და ზნეობრივი პოზიციით ეს ნამდვილად დაიმსახურა.

იჩაკლი კალანდია,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი,
საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი
კახა ჩეცპაია,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი,
საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

მურმან ზაქარაიას!

75 წელი ის გადმოსახედია, საიდანაც კარგად მოჩანს განვლილი ცხოვრება. ბატონ მურმანს ნამდვილად უღირს უკან მოხედვა და პატიოსანი, ერთგული, განათლებული მამულიშვილის – კოლხი ვაჟკაცის განვლილი გზისათვის თვალის გადავლება. მას ეს უღირს, ხოლო ჩვენ, მის მეგობრებს, გვმართებს მადლიერება დავუდასტუროთ მას ყველაფრისათვის, რაც გააკეთა და „სიმსწრევე და მოცალეობა“ ვუსურვოთ იმის აღსასრულებლად, რასაც სამომავლოდ გვპირდება.

ბატონი მურმანი მრავალმხრივი პიროვნებაა. რთულმა, ელვის სისწრაფით ცვალებადმა დრომ მისი ხასიათის ეს სხვადასხვა მხარე კარგად გამოავლინა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის ნამდვილი ბუნება ყველაზე მკაფიოდ მაშინ ვლინდება, როდესაც ის არჩევანის წინაშე დგება. ორდინარულ ვითარებაში

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული წლების მანძილზე ერთგულად და უსმაუროდ ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, როგორც არაერთი სხვა ქართველი პედაგოგი. საზოგადოებრივი ცხოვრების მდორე დინების ფონი, რომელიც იმხანად სუფევდა, ერთი შეხედვით, არაფრით გამოარჩევდა საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელს; ეროვნული მუხტი კი, რომელიც იმთავითვე მსჭვალავდა მის შეგნებას, პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ექცე-ოდა და ფართო გასაქანი, ცხადია, არ ჰქონდა, მაგრამ ღადარივით შენახული პოტენცია თავის უამს ელოდა. ამ პოტენციამ ერთბაშად იფეთქა, როდესაც ერის თავისუფლებისთვის ბრძოლა აზვირთდა და თითოეული ქართველის წინაშე მკვეთრად დასვა აღტერნატივა: ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მეპრძოლ-

თა რიგებში ან მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ბატონი მურმანი უყოფმანოდ დადგა ეროვნული იდეის ხორცესხმისათვის მებრძოლთა რიგებში ქვეყნისათვის ყველაზე რთულ და საინტერესო რეგიონში – აფხაზეთში, სადაც საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისათვის ბრძოლას განსაკუთრებული სიმძაფრით დაუპირისპირდა იმპერიული ძალები და მათი დამქაშები. ბატონი მურმანი მთელი არსებით ჩადგა ეროვნული იდეის სამსახურში და აქედან მოკიდებული სანიმუშო ერთგულებით ემსახურება მას სიტყვითა და საქმით „არ სდევს უამთა სვლას, ის იგივეა მარად და მარად“. ამის დასტურად გავიხსენებ ერთ დეტალს ჩვენი ხანგრძლივი ურთიერთობიდან. ცნობილია, თუ როგორმა უიმედობამ იჩინა თავი ეროვნულ მოძრაობაში ბატონი ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გამო. მახსოვს იმ დღეებში ბატონი მურმანის შემართება და მისი ომახიანი მოწოდება, რომ ფარ-ხმალი კი არ დავყაროთ, არამედ გაათკაცებული ენერგიით უნდა განვაგრძოთ ბრძოლა ეროვნული იდეისთვის.


ბატონი მურმანი ფართო დია-ჟაზონის პიროვნებაა. ის ოსტატურად უხამებს ერთმანეთს პუბლიცისტის სიმახვილეს და მკვლევრის ანალიტიკურ მსჯელობას. მისი სქელტანიანი გამოკვლევა „სიმბოლო ქართული იდეისა“ ქართული პუმანიტარიის მნიშვნელოვანი შენაძენია. მან თავისი ნააზრევის ამოსავლად გაიხადა X ს. ქართველი პიმნოგრაფის იოანე-ზოსიმეს ფართოდ ცნობილი ნანარმობები „ქებაშ და დიდებაშ ქართულისა ენისაშ“. ამ ძეგლის გარშემო მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურაშე მნილი. მკვლევრთა მიერ განხილულია ნანარმობების სხვადასხვა ასპექტი. ბატონი მურმანი სრულიად განსხვავებული რაკურსით მივიდა „ქებაშთან“. მან პირველმა წარმოაჩინა სათავეები, საიდანაც იშვა „ქებაშს“ სიმბოლური აზრი – ესაა პროტოქართველური მთლიანობიდან მომდინარე კოლხურ-იბერიული ენობრივ-კულტურული ერთობა, რომელიც „ახალი სიტყვის“ – ქრისტეს მოძღვრების ემბაზში ხელახლა შობილი საღვთისმეტყველო-სალი-

ტერატურო ენად ჩამოყალიბდა და ქართველთა კულტურულ-სახელმწიფოებრივი ერთობის შემკვრელ ფაქტორად, ამავე დროს, მისსავე სიმბოლოდ მოვცევლინა.

ეს გამოკვლევა თავისი სიღრმით, ფართო თვალსაწირით, თემატური მრავალფეროვნებით, შეხედულებათა ორიგინალურობით, უზადო ლოგიკურობით თვალსაჩინო მოვლენაა ქართული იდეის გააზრების სფეროში. მისი სრულყოფილი შეფასება შეუძლებელია ერთ რეცენზიაში – ამას იმავე მოცულობის მონოგრაფია სჭირდება, როგორიც თავად წიგნია.

საამაყოა იყო ბატონი მურმანის მევობარი, თანამოაზრე, თანამემამულე.

ბატონი მურმან, თქვენი ბრძოლითა და შრომით აღსავსე ცხოვრება ნიმუშია იმისა, თუ როგორი პრინციპული, კაცომლყვარე, კეთილშობილური, უკეთურობასთან შეურიგებელი უნდა იყოს ადამიანი. უაღრესად პატივისცემის ღირსია თქვენი კრედო: „რაც უნდა ჭირი მამანვაგრძოთ ბრძოლა ეროვნული იდეისთვის.



კერძონ, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“. ამიტომაც გვეიმედებით, გვეიმედებით თქვენი კრისტალური წესიერებით, უღალატობით, კაცური კაცობით.

გულითადად გილოცავ 75-ე დაბადების დღეს, გისურვებ ჯანის სიმრთელეს, შემოქმედებით გამარჯვებებს, ულევ სიხარულს თქვენს ბრწყინვალე ოჯახთან ერთად!

ვონელი არახამია,
პროფესორი



დიდგუნებოვანი აღამიანი

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და
საქართველოს მედგას ულელი“.
/ტიციან ტაბიძე/

ცონბილი ლექსის ეს სიტყვები ეკუთვნით ყველა დროის იმ მცირერიცხოვან დიდბუნებოვან მამულიშვილებს, რომლებსაც ერის გაჯანსალების და გაძლიერების მიზნით მუდმივად ეჭირათ ხელი მის სასიცოცხლო პულტზე და მცირედთ ახლაც უჭირავთ.

ასეთ ჭეშმარიტ მამულიშვილთა შორისაა ბატონი მურმან ზაქარაია. ქვეყნის უპირველესი პრობლემური საკითხების გადაჭრისადმი (ოუპირებული ტერიტორიები, დევნილები, სამართლიანობის დაცვა, ერის და ქვეყნის ერთიანობა და სხვ.) ვინც მისი ტიტანური, მრავალმხრივი მოღვაწეობა ვიცით, ყველანი ერთსულ მადლიერები ვართ და ქედს ვიხრით მის წინაშე.

ისიც ალსანიშნავია, რომ მას გააჩნია ლვთით ბოძებული მადლი და უნარი, თავის ირგვლივ შემოიკრიბოს ეროვნული სულისკვეთებით ანთებული და საქვეყნო პრობლემების გადაჭრით დაინტერესებული ადამიანები და მშობლიური თუ მეგობრული მზრუნველობით ითანამშრომლოს მათთან ყოველგვარი ინსტიტუციონალიზმების, სტატუსების და ანაზღაურების გარეშე.

ბატონი მურმანის ამ საიუბილეო დღეებში ყველა შეეცდება, თავისი კეთილი სიტყვა თუ მოგონება მიუძღვნას მას და მეც მინდა მისი აუარება ნაღვან-ნაშრომიდან მხოლოდ და მხოლოდ ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტი გავიხსენო.

პირველი, ესაა 1997 წელს სპეციალური დანიშნულებით რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი: „Абхазия – историческая область Грузии“ („აფხაზეთი – საქართველოს ისტორიული მხარე“). ავტორები – ჯემალ გამახარია და ბადრი გოგია.

პირველად ჩემთვის და ყველა იმ ქართველისთვის თუ არაქართველისთვის, რომლებიც დაინტერესებული ვიყავით და ვართ დღესაც აფხაზეთის პრობლემების სამართლიანი გადაჭრით, რუსული იმპერიული ძალების მიერ ობიექტური ისტორიოგრაფიის მხრივ ღრმად ჩაბნელებულ ქვეყანაში ამ წიგნის გამოცემა

სულსა და გონიში ერთდროულად სინათლის შემოსვლის ტოლფასი იყო. მასში მოტანილი აურაცხება ისტორიული, დოკუმენტური მასალები და ფაქტები ნათელს ჰქონენ ყველა იმ მიზეზს, რომელთა საფუძველზეც რუსეთის იმპერიულმა სამეცნიერო და მილიტარისტულმა ძალებმა აფხაზ და ქართველ ძმებს შორის ჯერ ინფორმაციული, ხოლო შემდეგ ნამდვილი ომი გააჩადეს.

ღრმად მნაშე, რომ, დროთა განმავლობაში მაინც, ქვეყნის ნარმმართველ საჭეებთან გამოჩნდებიან მამულიშვილური სულისკვეთების ადამიანები, რომლებიც აფხაზეთის საკითხში სიმართლის გზის გარკვევას მოინდომებენ და დასახელებული წიგნის დახმარებით როგორც კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების დადგენას, ასევე მისი გადაჭრის სწორი გზის ძიებას შეუდეგებიან.

გასაღები?.. გასაღები არა და არ დევს კრემლში. იგი უანგარო, დიდბუნებოვან ქართველთა და აფხაზთა გენეტიკაში, სულსა და სიმართლეშია, ჩვენს ერთად დასხდომასა და გონიერივ ჭიდილშია, თუ გვინდა, რომ გადავრჩეთ და ორთავეს ნორმალური ადამიანური მომავალი გვქონდეს.

ბატონი მურმანი ხსენებული წიგნის გამოცემის და ხალხში განვითნის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო. მეამაყება, რომ წიგნის გამავრცელებელთა შორის მეც ვიყავი და კარგად მახსოვს სიკეთით და შინაგანი კმაყოფილებით აღსავს ბატონ მურმანის თვალები, როდესაც წიგნის განხილვებზე შეკრებილი ადამიანების აღფრთოვანებულ სახეებს შესცემოდა.

მეორე – ხშირად მიფიქრია, რომ ახლა მაინც, იმპერიული კლანებიდან და ცენტურიდან განთავისუფლების შემდეგ, ენათმეცნიერებს და სხვა კომპეტენტურ მკლევრებს ფართო და წარსულ სიღრმეებში ღრმა წვდომით გაეგრძელებინათ კვლევები, ქართველურ ენათა საერთო წარმომავლობასა და მის უტყუარ და მრავალ

გამოვლინებებზე ქართველური ტომების თანამედროვე ლექსიკაში.

ასეთ ფიქრებში რომ გახლდით, ჩემდა გასახარად, მალე გამოჩნდა კიდეც ჩემი სურვილების შესატყვისი, ბატონი მურმანის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი წიგნი სათაურით „სიმბოლო ქართული იდეისა“ (გამოცემული 2018 წელს), რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად სწორედ ქართველური ენების საერთო წარმომავლობასა და მის უძველესობაზე არის საუბარი.

ხსენებულ წიგნში იოანე ზოსიმეს უკვდავი ლექსის – „ქებაი და დიდებაი ქართველისა ენისა“-ს მიმოხილვისას ბატონი მურმანი აღნიშნავს: „ჩვენ ხელთ გვაქვს არა ჩვეულებრივი ქრისტიანული ჰიმნოგრაფიული ტექსტი, არა მედ მსოფლმხედველობრივად დასრულებული ჰიმნი კოლხ-იბერული მოდგმის ერთიან ერად და სახელმწიფოებრივად ფორმირების გარდუვა-

ლობის იდეაზე, რომელიც იშვა უძველესი პროტოენიდან და პროტოსმშობლოდან მომდინარე მეხსიერებიდან, თავისთავადობის დაცვისთვის პერმანენტულ ბრძოლაში“.

სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ აქ შევჩერდები და დავასრულებ დიდი ილიას სიტყვებით: „ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არამყვირალა მოღვაწეობა, საცა უნდა იყოს, თუ გულმხურვალობით არის გამთბარი და პატიოსნებით ნათელცხებული, უტყუარი ნიშანია თვითონ მოღვანის დიდბუნებოვანობისა!“

დიდი მადლობა, ბატონო მურმან, ყველაფრისთვის, ყველა იმ წვლილისთვის, რაც დღემდე გაგიწევიათ და რასაც მომავალშიც გასწევთ ჩვენი ერის და ქვეყნის სასიკეთოდ!

გულიკო ურუბარა

იურისტი

ბატონი გურმანი – ერთგული გეციხოვძე

საქართველოში მრავალ ადამიანს აქვს ბიოგრაფიული შეხება ეროვნულ იდეასთან, რომელმაც გასული საუკუნის 90-იან წლებში



ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუტანა. თავისუფლება ქვეყნისა დადგა იმ თავდადებული ბრძოლისა და შრომის შედეგად, რასაც ქართველი ერის რჩეული შვილები ენეოდნენ მრავალი წლის განმავლობაში, მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საზიანოდ. დიდებულ რაინდთა კრებული, რომელსაც ახასიათებდა უკომპრომისობა და საკუთარი პრინციპების კონცეპტუალური ერთგულება, იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათ-

ვის. შენირულთა მცირე ჯგუფს მოგვიანებით ათეულათასობით (შემდგომში ასიათასობით) საქართველოს პატრიოტი მოქალაქე შეუერთდა, რამაც ეროვნული იდეის მასებში ტირაზირება გამოიწვია, ქართველებმა ირწმუნეს საკუთარი ძალები და ყველაზე მედგრად შეუტიეს სისხლიან იმპერიას, რომელსაც არ ახასიათებდა კომპრომისები და, ვინაიდან ადამიანები მისთვის მხოლოდ სტატისტიკას წარმოადგენდა, ფიზიკურად უსწორდებოდა ყველას საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

და აი, 9 აპრილის ღამეს ერთმანეთს დაუპირისპირდა ხელახლაშილი ქართული ეროვნული სული, რომელმაც სულ ეს-ესაა გამოიღვიძა, და გამოცდილი რუსეთის იმპერია, რომელსაც ჯალათური სისასტიკე ასულდგმულებდა. დადგა გამოცდის უამი, როდესაც დამოუკიდებლობის იდეის უარყოფის საპირწონედ თავისუფლებისთვის მომიტინგებებს სთავაზობდნენ ხელშეუხებლობას. მტრის პოზიცია საქართველოს პატრიარქმა აუწყარუსთაველის გამზირზე შეკრებილთ, – დანებება უტოლდებოდა სიცოცხლის შენარჩუნებას. ახლადგაჩენილი თავისუფლალი ადამიანების

გუნდმა შეფიცულთა გზის ერთგულება მტკიცედ აღიარა და არ შეისმინა მოწოდება ლოცვის შესახებ, ბრძოლის დათმობის საპირისპიროდ. ამიტომაც 9 პარილის მისტერია იქცა ქვეყნისათვის გამარჯვების ლამედ, რასაც დაეფუძნა საქართველოს თავისუფლება. სიმბოლურია, რომ სწორედ ამ დღეს გამოაცხადა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამ დიდებული მოღვაწისა და კრავივით წმინდა პიროვნებისთვის (ქართველთა ეროვნული სახისთვის) სიმბოლოებს მეტად გამორჩეული როლი ეკისრებოდა. მან შექმნა კავკასიის რეგიონში თავისუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზი, მანვე პირველმა დაძლია შიში რკინის იმპერიის წინაშე, გაბედა და ააღორძინა დათრგუნული ეროვნული სული, შთაბერა მას ბრძოლისუნარიანობა. ზვიადმა შვა ამაღლებული ფორმატი, რომლის მისტერიულობაც ბეჭედდასმულია მერაბ კოსტავას გმირობით...

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ ყველა კანონიერი ხერხითა და შესაძლებლობით ხელი შეუწყო პატრიოტულ-სახელმწიფოებრივი შეგნების გაღვივება-დამკვიდრებას. მანვე აამოქმედა გეგმაზომიერი (შორს გამიზნული) ეკონომიკური პოლიტიკა. გაცხადდა, რომ საქართველო იმ ეტაპზე არ იყო მზად ქვეყნის ქონების ფართომასშტაბიანი პრივატიზაციისათვის; დაჩარება ამ პროცესებისა გამოიწვევდა სახელმწიფო ქონების დატაცებასა და საბოლოო გაჩანაგებას. ამავდროულად, ხელისუფლება მზად იყო არსებული ეკონომიკური წყობის ეტაპობრივი და გააზრებული რეფორმირებისთვის, თუმცა სიფრთხილეს იჩენდა მიწის პრივატიზაციის მიმართულებით. ზვიად გამსახურდია ხაზგასმით აღნიშნავდა ქართული ფასეულობების უნიკალურობის თაობაზე და, დემოკრატიული ტრანსფორმაციების პარალელურად, მყარად აპირებდა ეროვნული და ტრადიციული ლირებულებების დაცვას (ყოველგვარი ხელყოფისაგან). სწორედ ეს გახდა მისი მტრების (= საქართველოს მტრების) საბრძოლო თემა, ძირითადი მიზეზი ეროვნული ხელისუფლების დევნისა და სახელმწიფო გადატრიალებისა; თითქოს, ხელისუფლება იყო ულტრანაციონალისტური, რომელიც ქვეყანას სოციალიზმსა და თვითიზოლაციაში აპრუნებდა. ამას ამტკიცებდნენ ადამიანები (sic!), რომელთაც კომუნისტური პარტიილეთები ჯერ კიდევ არ ეთმობოდათ. სინამდვილეში, სწორედ ყველა მიმართულე-

ბით აპრობირებული ზვიად გამსახურდიას პროქართული და ზოგადკავკასიური პოლიტიკა გამოიყენეს პუტჩისტებმა არგუმენტად რუსეთის იმპერიასთან ალიანსისათვის, ვინაიდან კრემლს მხედველობიდან არ გამოჰპარვია პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ გადადგმული ქმედითი ნაბიჯები კავკასიის რეგიონში, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი მოთამაშის სტატუსით, საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა კავკასიაში და ეძებდა მოკავშირეებს ჩრდილოეთ კავკასიაში; მაშინ მეტად თბილი იყო ქართულ-ჩეჩინური ურთიერთობები, რაც ჩეჩინეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებითა და ჯოვარ დუდაევის ეროვნული ხელისუფლების ჩამოყალიბებით დასრულდა (1990-1991წწ.). საყურადღებო იყო ინგუშური ეროვნული მოძრაობის მიზანიც, – საერთოსახალხო რეფერენცუმის გზით ინგუშეთის საქართველოს შემადგენლობაში ინტეგრაცია, ფართო ავტონომიის უფლებებით (1989-1990წწ.); ეს იდეა დღესაც ცოცხლობს ინგუშებში, მას სამოქმედოდ აღიარებს ინგუშური ეროვნული იდეის ხორცშესმული ლიდერი ისსა ქაძოვევი (ქოაზო)...

მას შემდეგ, რაც ნეობოლშევიკებმა მიაღწიეს სანადელს და რუსეთის არმიის ნაწილებთან ერთად მოახერხეს ეროვნული ხელისუფლების დამხობა და სახელმწიფო გადატრიალება, მალევე გაცხადდა რეალური მიზნები: ქვეყნის დაბრუნება რუსეთის გავლენის არეალში, დამოუკიდებლობის მინავლება და დსთ-ში საქართველოს განევრიანება, პარალელურ რეუიმში ხორციელდებოდა სახელმწიფო ქონების დატაცება და ქვეყნის მოსახლეობის აშკარა თუ ფარული ძარცვა, სახელდახელოდ დაიყიდა ძვირადლირებული სახელმწიფო ქონება, რომლის დიდი წილი მათსავე საკუთრებაში გადავიდა, ხოლო მოსახლეობას დაურიგდა 5-კუპონიანი ვაუჩერები.

ეს იყო ის, რაც ფაქტობრივად გამოჩნდა, რეალურად ვითარება გაცილებით უფრო მძიმე (უიმედოდ) იყო, ვინაიდან უხილავი ძალა, რომელიც სინამდვილეში მოქმედებდა, თავს არ აცნობდა მოწინააღმდეგეს. არადა, მაშინ საქართველოს (კავკასიას), ალბათ, პირველად მისი არსებობის ისტორიაში, შემოუტია ნეოლიბერალიზმი. უცნაური ამაში ისიც იყო, რომ ნეოლიბერალიზმთან ალიანსში მოქმედებდა აშშ რესპუბლიკელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უფროსი), რომელმაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მეტრძოლ საქართველოს

პრეზიდენტს დინების საწინააღმდეგო მოძრაობა დაუწენა, ანუ დსთ-ში შესვლას ურჩევდა. ჩვენთვის იმ დროს აბსურდი და შოკი ერთდროულად ის იყო, რომ თავისუფლების სიმბოლო (ამავდროულად გარანტორიც) მაშინაც და დღესაც აშშ მოვიწოდებდა უკან – მონობისაკენ! დიახ, რესპუბლიკელი პრეზიდენტი მოქმედებდა დემოკრატიული პარტიის გეგმით; არადა, ამერიკის შეერთებულ შტატებში რესპუბლიკური პარტია აერთიანებს კონსერვატორულ ძალებს, რომელიც იცავენ აშშ კონსტიტუციის ხელშეუხებლობას. ტრადიციული ლიბერალიზმი აშშ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგიური საყრდენია; რესპუბლიკური პარტია ცდილობს განამტკიცოს საკონსტიტუციო უფლებები ქვეყანაში, რომელთაც დღენიადაგ თავს ესხმის დემპარტია. აშშ დემოკრატიული პარტია კი, პირიქით, ისლამის დაცვის საფარით ებრძვის ქრისტიანობას, ისინი მხარს უჭერენ ისრაელის მოწინააღმდეგებს და, რაც მთავარია, ირანის ფანატიკურ რეჟიმს. ამჟამად საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ჰილარი კლინტონს და მის გუნდს უმძიმესი დანაშაული აქვს ჩადენილი: ფედერალური გამოძიებისათვის აუცილებელი ინფორმაციის განზრახ განადგურება და რუსეთისათვის ურანის მიყიდვაში აღებული ქრთამი. უფრო ადრე ჩვენ, ქართველებმა და ჩეჩენებმა, საკუთარ თავზე გამოვცადეთ დემოკრატი პრეზიდენტის ბილ კლინტონის გარიგება რუსეთთან, რამაც, ერთი მხრივ, ზვიად გამსახურდიას სიკვდილი (არა აქვს მნიშვნელობა, – თავი მოიკლა თუ მოკლეს) და, მეორე მხრივ, ჯოპარ დუდაევის ფიზიკური განადგურება გამოიწვია; როგორც ამას ჩეჩენი პატრიოტები ამტკიცებდნენ მაშინაც და დღესაც, სწორედ ბილ კლინტონმა გადასცა ის იარაღი რუსებს, რითაც სატელეფონო საუბრის დროს განგმირულ იქნა ჯოპარ დუდაევი. მაშინ, როდესაც რუსული შეიარაღების საუკეთესო მცოდნე ჩეჩენეთის პრეზიდენტს ჩემთან პირად საუბრებში არაერთხელ განუცხადებია: მე ვიცი რუსული იარაღის შესაძლებლობები, ამით ისინი მე ვერ მომკლავენ, ვინაიდან ვიცავ აქედან გამომდინარე უსაფრთხოების ნორმებს. ბატონი ჯოპარი ვერ დაუშვებდა ბილ კლინტონის ამგვარ მუხანათურ ნაბიჯს. ჩვენ კავკასიაში ვერ ვივარაუდებდით იმას, რომ ვაშინგტონში დემოკრატიული პარტიის მმართველობის სახით მაშინ გამეფებული იყო სახელმწიფო მაფია. როგორც ეტყობა, ბრძოლა ამით არ დამთავრებულა, აშკარაა, სწორედ ამ მაფიასთან ბრძოლაშია

ჩართული დღევანდელი ამერიკა, როცა ამერიკული თავისუფლების დაცვას და სახელმწიფო მაფიის დამარცხებას ცდილობს ტრამპის თანამედროვე ადმინისტრაცია...

აი, ასეთი, საკმაოდ რთული, ექსკურსი დამჭირდა ერთი მეტად მარტივი დებულების წარმოსაჩენად, თუ რაოდენ დიდია პიროვნების როლი ბოლო პერიოდის ისტორიულ პროცესებში, რაც ჩვენს სამშობლოს გარდახდა თავს. მურმან ზაქარაია, როგორც ინდივიდი, ნათლად წარმოაჩენს უდრევობისა და პრინციპული პოზიციის ერთგულების მნიშვნელობას. მე მას ვიცნობ ეროვნული მოძრაობიდან, რომელსაც ყველაზე მეტად სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გაუჭირდა. სანამ ზვიად გამსახურდია ცოცხალი იყო. ხერხდებოდა ეროვნული ხელისუფლების მომხრეთა ერთიანობა. რომც ვინმეს ნდომებოდა ზვიადის წინააღმდეგ გამოსვლა, არ გამოუვიდოდა; პრაქტიკულად ეს შეუძლებელი იყო. მაგრამ ზვიადის სიკვდილის შემდგომ პერიოდში ნათლად წარმოჩნდა – ვინ არის ვინ. ვნახეთ, პრეზიდენტის გვერდით მყოფთა ნაწილმა როგორ მიაშურა ედუარდ შევარდნაძის ანტიქართულ ხელისუფლებას, სხვები ასლან აბაშიძესთან გადაბარგდნენ; ჰოი საოცრებავ, ვნახეთ „ჩვენი თანამებრძოლები“ ჯაბა იოსელიანთან, სარიშვილთან, ჭაჭიასთან, თვით გიორგაძესთანაც კი. და ყველგან „ზვიადის მომხრეთა“ სტატუსით. ბედის მაძიებლები დღემდე არ თაკილობენ „ქართულ მარშსა“ თუ „პატრიოტთა ალიანსთან“ ან, რბილად რომ ვთქვათ, მსგავსი ტიპის საქართველოს სახელმწიფო ინტერესების მოღალატე საეჭვო ჯგუფებთან გაერთიანებას. მათთვის არგუმენტია ის, რომ 25 წლის წინ ზვიადს დაუდგნენ გვერდში, სხვა მათ პირადულ არსენალში წინადი არაფერი ჩანს, – ცარიელია ინდივიდუალური არგუმენტის ყულაბა; აშკარაა, ამ ტიპის არსებებს მხოლოდ ის შერჩათ, რომ მაშინ ამა თუ იმ მიტინგს დაესწრენ ფიზიკურად. ეს ხომ მხოლოდ დრომ მოიტანა მათთვის, ვინაიდან დამოუკიდებლად არაფერი შეუქმნიათ, – შემთხვევითობიდან გამომდინარე დამდგარი წარსულია მათთვის მთავარი მიღწევა, ახალი და ინდივიდუალური არაფერი, მაგრამ გასაყიდად სწორედაც რომ ეს წარსულია გამოტანილი, მიუზედავად იმისა, გაიყიდება იგი თუ არა.

სხვა საკითხია მურმან ზაქარაიას პროფილის ადამიანები, რომელთაც ბრძოლა ზვიადის შემდეგაც უკომპრომისოდ გააგრძელეს, არ უღალატეს პრინციპებს და პერმანენტულად

სასწორზე ჰქონდათ შეგდებული საკუთარი სიცოცხლე. იღვნოდნენ და იბრძოდნენ, იჩენდნენ ახალ ინიციატივებს, უბრალოდ, იბრძოდნენ იდეისათვის ყოველგვარი გამორჩენის გარეშე. მე ქედს ვიხრი ამგვარი ადამიანების წინაშე, ვალიარებ მათ და პატივს მივაგებ, ვინაიდან სწორედ ისინი აჩვენებენ ნამდვილ სახეს ქართველი პატრიოტებისა. სწორედ ასეთ პიროვნებად, მოღვაწედ დამკვიდრდა ბ-ნი მურმანი ჩემს წარმოსახვაში. მან იბრძოლა უშიშრად იდეისათვის, მაგრამ ამაღლდა სულიერადაც. მისი წიგნები: „სიმბოლო ქართული იდეისა“, „დათრგუნული ლირსება“, „ნარკვევი რუსულ იდეაზე“ ნათლად წარმოაჩენენ ავტორის ინტერესთა სფეროს, პროფესიულ დონესა და განსწავლულობას. და კიდევ ერთი, ბ-ნი მურმანი, მისი ოჯახის წევრი, სულიერად იყო დაკავშირებული იმ ბრძოლასთან, რომელმაც იერიში მიიტანა ტირანზე და

ტირანიაზე, გოჩა ესებუას ლირსეული ჯგუფი, რომელმაც ქართველებს ნამუსი გაგვიმრთელა, ეკვეთა უთანასწორო ბრძოლაში თავად ბოროტებას და, რომ არა უბრალო შემთხვევითობა, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა ჩვენი სამშობლოს ბედი! მაშინაც, მძიმე დანაკარგისა და მასობრივი ბულინგის ფონზე, ბატონმა მურმანმა მტკიცედ დაიცვა სიმართლე და ხმა-მაღლა თქვას, რაც იყო ჭეშმარიტება. სწორია, დიახაც, შევარდნაძეზე მიტანილი იერიში იყო არა ტერაქტი, არამედ ადეკვატური რეაქცია ტირანიაზე, როდესაც მკაფიოდ გამოჩნდა, ვის უფრო უცემს მამულისათვის გული (იხილე ავტორის „ტერაქტი თუ რეაქცია ტირანიაზე“)...

ამასობაში მურმან ზაქარაია 75 წლისა გამხდარა, ის ჩვენი ქედუხრელი იუბილარია. მინდა დღეგრძელობა უსურვო მას მამულის საკეთილდღეოდ!

მერაბ ჩუხუა,
პროფესორი

ეროვნული მოძრაობის მფლობელი გული

ბატონი მურმანი, თუ კარგად მახსოვს, ჩემი ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელის“ აჭარის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, ზუგდიდში პირველი ვიზიტისას, 1993 წლის 24 მარტს გავიცანი.

მახსოვს, როგორ უხაროდა ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელის“ გარშემო ქართულ ეროვნულ ძალთა ახალი კონსოლიდაციის დაწყება, ამ სახალხო მოძრაობაში ყველა ეროვნული ძალის ერთ მუშტად შეკვრა და გაერთიანება. მიაჩნდა, რომ ეროვნული ხელისუფლების აღდგენის ყველა მომხრე ამ მოძრაობაში უნდა გაერთიანებულიყო და საერთო ძალისხმევით მიეღწია იმ მიზნისათვის, რომელიც, ერთიანობის შემთხვევაში, არცთუ შორეულ პერსპექტივად ესახებოდა; ეს

გამოჩნდა კიდეც „ჭყონდიდელის“ მე-2 კონფერენციაზე (1993 წლის 27 მარტი, ქალაქი ზუგ-

დიდი) მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, რომელშიც მრავალ საპროგრამო დებულებასთან ერთად, მომავლის დიდი იმედიც გამოსჭვიოდა. ამასვე ადასტურებდა იმავე დღეს ზუგდიდში გამართულ გრანდიოზულ მიტინგზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვაც, სადაც მასთან ერთად მიტინგს მიმართეს მუხრან მაჭავარიანმა,



ელიზბარ ჯაველიძემ, ბიძინა დანგაძემ, ზაურ ქობალიამ, ანზორ გვარამიამ, ეროვნული ხე-

ლისუფლების მომხრე სამხედრო შენაერთების მთავარსარდალმა, პოლკოვნიკმა ვახტანგ (ლოთი) ქობალიამ, პოეტმა და პუბლიცისტმა რენე კალანდიამ, აჭარის სამხარეო ორგანიზაციის თამჯდომარის მოადგილემ ნინო ნოღაიძელმა, უჩა ოქროპირიძემ და სხვებმა.

ჩვენი უშუალო თანამშრომლობის დაწყება გაზეთ „ალდგომაში“ საკამაოდ დიდი მოცულობის სტატიის – „მძევლების“ დაბეჭდვით აღინიშნა და შემდგომშიც არ გვაკლდა მისგან ყურადღება გაზეთებში: „ალდგომა“, „ჭყონდიდელი“, „საქართველოს სამრეკლო“, „იბერია-სპექტრი“ თუ სხვაგან თანამშრომლობის დროს, როდესაც მათში არაერთი სტატია, ჩვენი კუთხის სახელით, მიმართვა თუ მოწოდება გამოვაქვეყნე.

განსაჯუთობით ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობით გამოირჩეოდა ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ჭყონდიდელის“ საქმიანობის თბილისური პერიოდი (ოფისი – ტაშკენტის ქ. 25, ბ.1), სადაც ქართული ეროვნული მოძრაობის ღვაწლმოსილი წარმომადგენლის, ქალბატონ ლუარა გამყრელიძის ბინაში ვიკირიძებოდით საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული პირები, ჩვენი მოძრაობის უმთავრესი პრობლემების და ეროვნული ძალების საგამომცემლო საქმიანობის განსახილველად, მათი უშუალო გადაწყვეტის მიზნით. სწორედ აქ და, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ, „მრგვალი მაგიდის“ სპიკერის, თენგიზ კიკაჩევიშვილის ბინაზე, მურმან ზაქარაიასა და სხვა აქტივისტების მონაწილეობით დავგეგმეთ 1995 წლის 9 აპრილისა და 26 მაისის თბილისის გრანდიოზული მანიფესტაცია-მიტინგები.

9 აპრილს 50 ათასზე მეტი მანიფესტაციი გამოვიყვანეთ რუსთაველის გამზირზე... და როდესაც საქართველოს ეროვნული აკადემიის შესასვლელთან ედუარდ შევარდნაძის დამცავმა თემურ მღებრიშვილის სპეცნაწილებმა რუსთაველზე გასასვლელი გზა გადაგვიღობეს, არასოდეს დამავიწყდება ბატონი მურმანის მჭექარე შეძახილი – „ბავშვები და ქალები უკან, მამაკაცები წინ!..“ და ჩვენმა კოლონამ ისეთი შემართებით გასწინა, პრძოლის ველისაკენ“, რომ მრავალჭირნახული „წესრიგის დამცველებიც“ კი შედრკნენ და ჩვენზე ხელის აღმართვა ვეღარ გაბედეს, უცებ გვერდზე შებრუნდნენ და პირველ რიგში მიმავლებს გზა გაგვითავისუფლეს. ჩვენ მოგვყვა მთელი კოლონა და „საქართველო, საქართველოს“ ძახილით მთავრობის სასახლი-საკენ გავაგრძელეთ გზა.

რუსთაველის პროსპექტზე გაჭრილ სამართლიანობის აღდგენის ცდის ამ გრგვინვას ცრემლითა და თანაგრძნობის შეძახილებით ხვდებოდნენ თავისუფლებას მონატრებული თბილისი და თბილისელები.

ასეთივე ჰეროიკულ ხასიათს ატარებდა იმავე წლის 26 მაისის თბილისის აქციაც, როდესაც ბარნოვის ქუჩაზე არეკილ მონაწილეთ თავს დაგვესხა მილიციისა და ომონის ნაწილები. მათ გადათელეს და შეურაცხვევეს საქართველოსა და ჩეჩენეთის ეროვნული დროშები, რის გამოც გააფთრებულმა ხალხმა ფეხქვეშ ამოიდო ეს ე. ნ. წესრიგის დამცველები და მე და ბატონმა მურმანმა, დიდი ხვენა-მუდარისა და დამუნათების შემდეგ, – „ამათ რას ვერჩით, ვინც ამ საცოდავებს ასეთ საქმებზე აგზავნის, იმას, შევარდნაძეს მოვკითხოთო“, – ხელებიდან ძლივს გამოვნინებით ვიცე-პოლკოვნიკისა და პოლკოვნიკის სამხრეებით აზიზილპილოებული, ეს ედუარდ შევარდნაძის „გაიმასქნებული“ დამცველები, რომელთა თვალში ამ ჩვენმა სუპერჰეროურმა აქტიმა წარუშლელი, კეთილისმყოფელი შთაბეჭდილება მოახდინა და ყოველგვარი აგრესის გარეშე, მადლიერების გრძნობით გაგვშორდნენ.

მურმან ზაქარაიაზე ჩემს მეხსიერებაში ბევრი საუკეთესო მოგონებაა შემორჩენილი, მაგრამ განსაკუთობით დამამახსოვრდა მისი სტუმრობა ბათუმში, ჩემს ოჯახში 1995 წლის გაზაფხულზე, როდესაც მოძრაობა „ჭყონდიდელის“ ზოგიერთი ხელძღვანელი მუშაკის აჭარაში არაეთიკური საქმიანობის გამო სამხარეო ორგანიზაცია თითქმის დაშლის პირას იყო მისული. მან ყველაფერი გააკეთა ჩვენს ორგანიზაციაში საბრძოლო სულისკვეთების დასაბრუნებლად და მის აღსადგენად, მიიღო და გაითვალისწინა ყველა ჩვენი მოთხოვნა თუ გულისტყვილი, შეგვპირდა მათ გატანასა და დაკამაყნელებას მოძრაობა „ჭყონდიდელის“ უახლოეს ყრილობაზე, რაც შეასრულა კიდეც.

ბატონ მურმანს გულთან მიჰქონდა ეროვნულ მოძრაობაში წარმოშობილი ყველა სატკივარი და უდიდესი მღელვარებით განიცდიდა მათ. ამიტომაც, მას შეიძლება თამამად ვუწოდოთ ეროვნული მოძრაობის მფეთქავი გული, რომელიც ცემას დღესაც განაგრძობს...

მეგობრებო, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ვაკვირდებოდი რა ეროვნული მოძრაობის შიგნით მიმდინარე პროცესებს, მივედი დასკვნამდე, რომ მისი მძლავრი განვითარების

მიუხედავად, ამ მოძრაობის პერმანენტული დამარცხებები განაპირობა საქართველოში არსებული და მძლავრად განვითარებული საბჭოთა უშიშროების სისტემის (რომელიც ახლა რუსეთმა გადაიბარა – უ. ო.) მრავალრიცხოვანი აგენტურის ძირგამომთხრელმა საქმიანობაში თვით ეროვნული მოძრაობის შიგნით. როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალები საკმაოდ მომძლავრდებოდნენ და ედუარდ შევარდნაძის ფაქტობრივ ხელისუფლებას თავის ძალასაც უჩვენებდნენ, უცებ საიდანლაც ამოტივტივდებოდნენ ეროვნულ ძალთა მესვეურობაზე პრეტეზის მქონე „ახალი ძალები“, რომლებიც ადრევე იქმნიდნენ საკუთარ ავტორიტეტს ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციებში თავიანთი „თავდაუზოგავი მოღვაწეობით“, გადამწყვეტ მომენტში კი თავიანთი პროვოკაციული საქმიანობითა და მოღალატური ქმედებებით ახერხებდნენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელ ორგანიზაციათა

შიგნიდან გამოღრღნას, მათი ყურადღების შიდაბრძოლებზე გადატანას და, აქედან გამომდინარე, ხელისუფლებისათვის შექმნილი რეალური საფრთხის ნეიტრალიზებას.

ასეთ ცრუპატრიოტი ბევრი აღმოჩნდა. ისინი რეჟიმის ერთგული მსახურები იყვნენ და არა საქვეყნო საქმისა. მათი საქმიანობის შედეგების გაკონტროლება და აღმოფხვრა, სამწუხაროდ, დღემდე აქტუალური პრობლემაა.

სწორედ აღნიშნული მანკიერებისა თუ ეროვნული მოძრაობის შიგნით არსებულ სხვა პრობლემათა წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა ბატონმა მურმანმა თავისი ხანგრძლივი, შინაარსიანი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი და, ამასთან, იგი დღემდე რჩება ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე პერიოდის ავ-კარგის თვითმხილველ მეისტორიედ.

უჩა მართვისი
2020 წლის 7-8 ოქტომბერი

გზა კაცურპაცობისა

მოულოდნელი წლების სიმკაცრით ცხოვრობს ადამიანი. დრო სწრაფად გარბისო, – უკვე ასაკმი შესულები ხშირად ვჩივით, მაგრამ ვინც ცხოვრების რთული და ძნელ-ბედობით აღსავსე გზა ღირსეულად განვლო, მისთვის უკვე მნიშვნელობას კარგას დარჩენილი დრო, მარადისობისკენ სწრაფული. სიკეთისთვის, სიყვარულისთვის, მოყვასისადმი თანადგომისთვის დაბადებულ კაცს აღარ აშინებს ხანდაზმულობა, დამსახურებული ღვაწლი უნდა მოიმკას.

ბატონო მურმან!

უკვე მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ძნელ-ბედობას შეჭიდებული გაგიცანით, გაგიცანით და მოვიხიბლე თქვენი ერთგულებით, უღალატო, პრინციპული ბუნებით, თქვენი სიძნელებისადმი დაუმორჩილებლობით, შრომისმოყვარეობით, ნიჭიერებით, იმ ჯადოსნური მიმზიდველობით, რომელიც თქვენ შემატებთ თქვენს მებრძოლ კალამს, აუნონავი სამწერლო მოღვაწეობით...



გულით ატარებთ იმ სევდას, რომელსაც სამშობლოს, მამულის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ჰქვია. ტყუილად ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. მთლად ასც არ ყოფილა, რა მოაშუშებს ჭრილობას, რომელიც დღემდე არსებობს და რომელსაც აფხაზეთი, მშობლიური სახლი ჰქვია...

და მაინც, სულიერი მხნეობით აღვსილი მიაბიჯებ წინ, ახალგაზრდული შემართებით ანთებული და დატვირთული... ჩემო სულიერო ძმაო, გილოცავ იუბილეს, ღმერთმა დიდხანს გამყოფის შენს ძვირფას ოჯახთან ერთად, დიდხანს მოგცეს საშუალება, გაიხარო შვილებთან, შეილიშვილებთან ერთად, რათა მათაც გადასცე მაგალითი ჭირთა თმენისა, ღირსეულად ცხოვრებისა, კაცურკაცობისა...

გილოცავ, გილოცავ, გილოცავ!..

ირინა ტალიაშვილი,
მწერალი

უანგარო პატრიოტი

ბატონი მურმანი პუტჩის შემდეგ გავიცანი. „ზვიადისტების“ უმაგალითო დევნის, დაპატიმრებების, ფიზიკური განადგურებისაგან დასაცავად ცოტა ადამიანს შესწევდა ეფექტური მოქმედების ძალა და უნარი. მურმან ზაქარაია ის კაცი იყო, რომელიც აზრითა და კალმით ეჭიდებოდა მტერს უთანასწორო ომში. მტრის იარაღი იყო ჭორები და დეზინფორმაცია ზვიად გამსახურდისასა და მისი ხელისუფლების მიმართ, რის პასუხად სიმართლის წერა, გაზეთებისა და წიგნების გამოცემა, გავრცელება იყო ერთადერთი სწორი და ეფექტური პასუხი. იმავდროულად, ეს გამოცემები იყო სალბუნი პატრიოტი მკითხველისათვის.

ბატონ მურმანს არა მარტო წერის, ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭიც აქვს. იგი ყველა ჩვენგანისათვის ავტორიტეტული და სანდო პიროვნება იყო იმ დაძაბულ წლებში. მაშინ როცა ბევრი პოლიტიკური თანამოაზრეც კი ერთმანეთთან ვერ პოულობდნენ საერთო ენას და წვრილმანი განსხვავების გამო იყვნენ კონფლიქტში ურთიერთთან, მურმანი იყო ერთგვარი შემაერთებელი რგოლი. ზრდილობითა და გონივრულობით იგი მუდამ აღწევდა საერთო მიზანს. თვითონაც მეტად ემოციური ადამიანია, მით უმეტეს, საქმე როცა სამშობლოს ბედს ეხება, მაგრამ მასთან ურთიერთობა სიმშვიდისდა იმედის მომცემია. ამიტომაც უდიდესი სიხარული იყო ჩვენი პოლიტიკატიმრებისათვის მისი შესვლა საპატიმროში, სადაც შეძლებისამებრ ხშირად დადიოდა.

დღემდე ამოუცნობია ჩემთვის, სად მოი-

ძევებოდა იმ გაჭირვების (სილატაკის) წლებში მატერიალურ რესურსებს გაზეთის, წიგნის გამოსაცემად ან პატიმრებისათვის. ცალკე აღნიშვნის ღირსია მურმან ზაქარაიას მონაწილეობა 2000 წელს პოლიტიკატიმრების მოთხოვნით,

მათი მშრალი შიმშილობის შედეგად, ე.წ. „ეროვნული თანხმობის“ საპარლამენტო კომისიის მუშაობაში. იგი მუდმივ კავშირში იყო როგორც საპატიმროში მყოფ პირებთან, ისე კომისიის წევრებთან და მეროგორც პოლიტიკატიმრების ოფიციალურ წარმომადგენელს ამ კომისიასთან ურთიერთობაში, ძლიერ მეხმარებოდა მუშაობაში. შედეგი, რომლითაც 67 პოლიტიკატიმარი გათავისუფლდა და 300-მდე ძებნილზე შეწყდა საქმის წარმოება, არ იყო ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი. კი- დევ ორ ათეულამდე აშკარა

პოლიტიკური ტყვე დარჩა ციხეში, მათ შორის მურმანის უახლოესი მეგობარი, ახლობელი თუ იჯახის წევრი, მაგრამ მას ხელი არ ჩაუქნევია, აფასებდა იმდროინდელ სიტუაციას, შედეგს და განაგრძობდა აქტიურობას, რადგან მურმანი მოქმედების კაცია. განაგრძობდა წერას, რადგან ის ასევე აზროვნების კაცია.

მურმან ზაქარაია საქართველოს დამოუკიდებლობისა და სიმართლისათვის ბრძოლის, ჩვენი გაუტეხელი ხალხის ცხოვრების მემატიინეა. მე კვლავ ველოდები მისგან მართალ სიტყვას და გულწრფელ ნააზრევს.


ვუსურვებ ჯანმრთელობას და სამშობლოს წინსვლით მოგვრილ სიხარულს.

სევდია უგრეხელიძე



დაუშრეთელი ენერგიის მოძვალე და მოახაგე...

ბატონი მურმან ზაქარაიას სახელი ეროვნული მოძრაობის ყოველი წარმომადგენლის-თვის ერთნაირად ცნობილია და ასოცირდება



საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მის ქველ ღვან-ლთან და ამაგთან; ბატონი მურმან ზაქარაია, თავის რედკოლეგიასთან ერთად, სოხუმში მოის მძვინვარების პერიოდში სცემდა ეროვნულ-პატრიოტული იდეოლოგიის გაზეთ „აღდგომას“, რომელშიც ერთდროულად იძეჭდებოდა როგორც აფხაზეთის მოის ჩაცხრობის პატრიოტული მოწოდებები, ისტორიული იდენტობის სტატიები, ასევე დევნილობაში მყოფი პირველი პრეზიდენტის მიმართვები. გაზეთი მოის ვითარებაში ყოველდღიურ რეჟიმში მზადდებოდა და შაბათ-კვირასაც გამოიცემოდა. სოხუმში გამომავალ გაზეთ „აღდგომას“ დიდი ინტერესით ველოდებოდით თბილისში, როგორც ყველაზე სანდო წყაროს, რომლის გავრცელება შევარდნადის სუნტისტური რეჟიმის პირობებში დიდ სირთულეებთან და რისკთანაც იყო დაკავშირებული. გაზეთი იდევნებოდა, რის გამოც კონსპირაციულად და მალულად ხდებოდა მისი ხელიდან ხელში გავრცელება. შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში გაზეთი „აღდგომა“ წარმოადგენდა ერთადერთ მართალ სიტყვას იმდროინდელ მასმედიაში, რადგან ხუნტის ტელევიზია და გაზეთები ჩქამალავდნენ სიმართლეს აფხაზეთის მიმდინარეობის შესახებ. მის ეპიცენტრში გამომავალი ეს გაზეთი ვრცელდებოდა სრულიად საქართველოში და მისი ყოველი ახალი ნომრის მოიმედენი იყვნენ სრულიად ქართველნი.

აფხაზეთის ომის კაპიტულანტურად დასრულების შემდგომ, გაზეთის გამოცემა თბილისში, ტაშკენტის ქუჩაზე გაგრძელდა და შევარდნადის ხუნტა აქაც დევნიდა და ავიწროებდა გაზეთის გამომცემელ-გამავრცელებლებს. მოგვიანებით, გაზეთის ბაზაზე, ბატონმა მურმან ზაქარაიამ დააარსა გამომცემლობა „ზანი“, რომელიც გაზეთის თანადროულად ეწეოდა ისტორიულ-ლიტერატურულ-პუბლიცისტური წიგნების გამოცემის ჭაპანს, თითქმის ცარიელ ენთუზიაზმზე. ამ გამომცემლობაში დაბეჭდილი ისტორიული წიგნებით ბატონი მურმანი

უპირისპირდებოდა ისტორიის ფალსიფიკატორებს აფხაზეთის ტერიტორიული კუთვნილების შესახებ და წარმატებულად იყო ჩაბმული საინფორმაციო ომში. თავად ბატონი მურმანის ისტორიული წიგნები, უდავოდ, მნიშვნელოვან სახელმძღვანელოებსა და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს უახლეს ისტორიოგრაფიაში. ჩემს ისტორიულ მონოგრაფიაში – „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა“ – წყაროებად თავადაც მაქვს გამოყენებული ბატონი მურმან ზაქარაიას წიგნები და გაზეთ „აღდგომაშიც“ დაბეჭდილი სტატიები.

რაოდენ სასიხარულოა, რომ ბატონი მურმანი დღემდე ჩვეული ენერგიით აგრძელებს ღვან-ლსა და ამაგს საკუთარი სამშობლოსათვის გაუხუნარი კეთილი ღიმილით, პიროვნული უბრალოებითა და სარწმუნოებრივი ნათლით.

ათას ჭირგამოვლილ ეპოქაში 75 წელი რომ იცოცხლო, უნდა დაიმსახურო, და მნამს, რომ ბატონი მურმანი 100 წლის იუბილესაც ჩვეული სათნო ღიმილით შეხვდება უფლის შეწევნითა და მადლით.

მრავალუამიერ, ბატონო მურმან!

**პატივისცემით –
ლეილა ცომაია,
2020 წლის 27 სექტემბერი
(აფხაზეთის ომის კაპიტულანტურად
დასრულების ტრაგიკული დღე).**

შართული იდეით განხსფალული

მურმან ზაქარაიას, როგორც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული ხელი-სუფლების აქტიურ მომხრეს, კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის თავდადებულ მებრძოლს, ვიცნობ სოხუმში გამართული ხუნტის საწინააღმდეგო მიტინგებიდან. შემდეგ იყო გაზეთი „აღდგომა“ და ბატონი მურმანის მწვავე და მართალი პუბლიცისტური წერილები.

მშობლიური აფხაზეთიდან ასიათასობით ქართველის გამოდევნას ანალოგი არა აქვს ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. როგორც გარეშე, ისე შინაური მტერი ყოველ-ნაირად ეცადა ჩვენს დათრგუნვას, ფიზიკურად და მორალურად განადგურებას, დაქსაქსვასა და დევნილებში იმედისა და რწმენის ჩაკვლას, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენს რიგებში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სიტყვითა და მოქმედებით გვერდში დაუდგნენ მოყვასთ და არნახული გაჭირვების, ტერორის, დაშინების, უსახლკარობისა და უსახსრობის პირობებში მხნეობას მატებდნენ მათ და ხსნის გზას უსახავდნენ. ამ მამაც ადამიანებს შორის ყოველთვის იდგა მურმან ზაქარაია, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი და ეროვნული გაზეთების გამომცემელი, დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს თუ ეროვნული თანხმობის დარბაზის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

მურმან ზაქარაიას პუბლიცისტურ შემოქმედებას საკმაოდ კარგად ვიცნობ იმ უურნალ-გაზეთები-დან, რომლებმაც იგი წლების მანძილზე გამოსცემს ფინან-სური და სხვა სიძნე-ლების მიუხედავად. მისი ენთუზიაზმი დღემდე დაუმცხრა-ლია, იგი კვლავაც გაბედულად ამხელს ეროვნული ხელი-სუფლების იარაღით დამხობის დამლუპ-ველ შედეგებს, მის-გან მომდინარე მან-კიერებს, რომლე-

ბიც დღემდე ასწებოვნებენ ჩვენს საზოგადოებას და ხელს უშლიან ჩვენი სახელმწიფოს სწორი გზით განვითარებას და საფრთხეს უქმნიან მთე-ლი ერის არნახული ბრძოლითა და მსხვერპლის გაღებით მოპოვებულ დამოუკიდებლობას.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო ბატონი მურმა-ნის დაინტერესება ქართული ლიტერატურით, კერძოდ, მეათე საუკუნის მოღვაწის იოანე-ზო-სიმეს ცნობილი ქმნილებით „ქებავ და დიდებავ ქართულისა ენისად“. ამ ნანარმოების როლის მიმოხილვას, ქრისტიანული რელიგიის გაე-როვნულების, ქართული იდეისა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ერთიანობის ჩამოყალიბების რთულ პროცესს მან მიუძღვნა წიგნი „სიმბოლო ქართული იდეისა“.

იოანე-ზოსიმეს მიერ შექმნილ ქართული ენის სადიდებელზე უამრავი გამოკვლევა არ-სებობს, მას მიმოხილავენ არა მხოლოდ ლი-ტერატურული, ისტორიული თუ რელიგიური კუთხით, არამედ აგრეთვე როგორც ქართულ ანბანში, ქართულ გენში ჩადებული კოდის გასა-დებს. შეიძლება ითქვას, რომ მურმან ზაქარაიას ეს ნაშრომი ორიგინალურია თავისი მიდგომით ქართული მნერლობის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლისადმი; იგი მას განიხილავს, როგორც ზო-გადქართული სულიერი მისიის გამომხატველ სიმბოლოს და ქართველი ერის კულტურულ-სარწმუნოებრივი ლირსების ამსახველ ჰიმნს.



ავტორი იოანე-ზოსიმეს ნაწარმოების მეტაფიზიკურ და იდეურ-მსოფლმხედველობით ანალიზს გვთავაზობს და მრავალ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს. მაგალითად, „ქებაის“ მეტაფიზიკურ, ქრისტიანულ-ფილოსოფიურ და რეალურ-ისტორიულ პლანში მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ ამ ნაწარმოებში ქართული ენა წარმოსახულია, როგორც მისი მატარებელი მოდგმის – ერის, საცხოვრებელი სივრცის – სამშობლოს და „პირველსიტყვის“ – რწმენის სიმბოლო და მასზე აღმოცენდა ქართული იდეის სამი დიდი საყრდენი: მამული, ენა, სარწმუნობა. ბუნებრივია, რომ სწორედ ეს სიტყვები აქცია დიდმა ილიამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარ ლოზუნგად.

მურმან ზაქარაია ამ წიგნითაც ადასტურებს, რომ იგი ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული, ქართული იდეით სულით ხორცამდე დამუხტული მამულიშვილია. დღეს ის იუბილარია, 75 წლისაა და მიხარია, რომ კვლა-

ვაც ჭაბუკური შემართებით ავრძელებს თავის საქმეს და ისევ სამშობლოს სამსახურში დგას.

ვულოცავ ბატონ მურმანს ამ ლამაზ იუბილეს და ჯანმრთელობასთან ერთად ყველა ჩვენგანისათვის უპირველესი ნატვრის ახდენას ვუსურვებ: მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნებას, თავის ნაჯაფარ, თბილ და სტუმართმოყვარე კერაზე გახარებას და ერთიანი, ძლიერი, ბედნიერი საქართველოს ხილვას!

მომავალი მრავალი იუბილე იქ გადაგვეხადოს, ჩემი მეგობარო – ჩვენს ძირძველ კუთხეში, ცხუმის, ბედის, ბიჭვინთის მარადქართულ მიწაზე!

ტიტე მოსია,

პოეტი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გაგვეხაროს ერთიანი საქართველოს ხილვი!

მურმან ზაქარაია მას შემდეგ გავიცანი, რაც ასიათასობით ქართველ დევნილთან ერთად მშობლიური აფხაზეთის დატოვება მოუხდა და აქ, დედაქალაქში, კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის ჩვეული შემართებით გააგრძელა ბრძოლა. ამ ბრძოლაში მრავალი სიძნელე იყო, უამრავი დაბრკოლება; არც ისე იოლი გახდათ შევარდნაძის სასტიკ რეჟიმთან შერკვინება; ძალები, რა თქმა უნდა უთანასწორო იყო, მაგრამ ბატონი მურმანის მხარეს იყო უმთავრესი ძალა – სიმართლე, რომელსაც ვერანაირი ბოროტება ვერ დაუდგება წინ.

მურმან ზაქარაიას ირგვლივ შემოკრებილმა პატრიოტებმა, რომელთაც კარგა ხანია კრებითი სახელით – ტაშენტის ოცდახუთით მოვიხსენიებთ, შეინარჩუნეს სიმტკიცე, სიმხნევე და დღესაც ღირსეული წვლილი შეაქვთ ეროვნულ საქმეში, რათა ქართულმა იდეამ, სამშობლოს თავისუფლე-

ბისა და დამოუკიდებლობის იდეამ, ზვიად გამსახურდიას გზამ ისევ იმძლავროს და იხსნას ქვეყანა ჯერ კიდევ მოძალებული პუტჩისტური, ანტისახელმწიფოებრივი ფსევდოიდეისაგან, რომელსაც გამრუდებული გზით მიჰყავს საქართველო.

ბატონი მურმანის წიგნები, წერილები, მთელი მისი პუბლიცისტიკა ამ მამულიშვილურ მიზანს ემსახურება. იგი დღემდე დაუმცხრალი ენერგიით იღვნის სამშობლოს გადარჩენისთვის, უკეთესი მომავლისთვის, ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი სიჯანსაღისთვის.

მეამაყება, რომ მურმან ზაქარაიას უფროს მეგობრად და თანამებრძოლად ვთვლი თავს. მე ყოველთვის ვგრძნობ მის თანადგომას, იგი საერთო, ეროვნულ ტკივილთან ერთად ჩემს პირად ტკივილსაც გულით იზიარებს და თავის მეგობრებთან ერთად მამხნევებს და მხარში მიდგას. ჯან-

მრთელობა ხელს არ მიწყობს, რომ ხშირად ვიარო ტაშკენტის ოცდახუთში, ლუარა გამყრელიძესთან, სადაც ჩემი ყოველი მისვლა დაუვიწყარი სითბოთი და სადღეგრძელოებით აღინიშნება ხოლმე; მიუხედავად ამისა, მთელი არსებით, მთელი სულითა და გულით იქან ვარ და ვლოცავ მათ, რომ უფალმა ხელი მოუმართოს ყველას თავიანთ კეთილ საქმეში.

გილოცავ, ჩემო მურმან, ამ ლამაზ,

მშვენიერ თარიღს! საუკუნის სამი მეოთხედი დიდებული იუბილეა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მას მშვენება და სილამაზე თვით შენ შესძინე შენი შინაარსიანი ცხოვრებით!

მომავალი იუბილე აფხაზეთში მოგველოცოს, გაგვეხაროს ერთიანი საქართველოს ხილვით!

გულვანი კოპახიძე,

ეროვნული მოძრაობის ვეტერანი

გზა ჭაშმარიტი

მურმან ზაქარაიას თითქმის ნახევარი საუკუნება ვიცნობ. უფრო სწორად, მეგონა ვიცნობდი. ეს ის შემთხვევაა, როცა კაცს ესალმები, კეთილგანწყობით მოიკითხავ და... ურთიერთობაც იქვე მთავრდება, თითქოს რაღაც წინაღობა იქმნება – ხან ბუნებრივი, ხანაც ხელოვნური... მაგრამ, საბედნიეროდ, ვითარება იცვლება. და, აი, მურმან ზაქარაიას რამდენიმე წიგნი რომ წავიკითხე, როგორც იტყვიან, შთაბეჭდილებამ მოლოდინს გადააჭარბა. მათი ავტორი სრულიად ახალი, აქამდე ჩემთვის უხილავი მხრიდან წარმოჩნდა და უეცრად სხვა სიმაღლეზე აბრწყინდა. ეროვნულ მოძრაობაში ჩაფლული მებრძოლი, ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელთა თანამოაზრე და ბოლომდე ერთგული, ამავე დროს საქართველოს ისტორიაში ღრმად ჩახედული, საკუთარი მყარი შეხედულების მქონე თეორეტიკოსი, განსწავლული მეცნიერი-მოაზროვნე, კარგი გემოვნების და თვალთახედვის ლიტერატორიც აღმოჩნდა! მის ნაშრომებში მართებულად (სამართლიანად) არის შეფასებული 90-იანი წლების მოვლენები, მათი მიზეზები და შედეგები (რაც ბევრს აქამდე არა აქვს გააზრებული. პირიქით, ზოგმა გაამრუდა

კიდეც!), წამოყენებულია მრავალი საჭირბორო-ტო პრაქტიკული წინადადებებიც.

მნიშვნელოვანია ავტორის კვლევა ქართული იდეის შესახებ, რასაც ის იოანე-ზოსიმეს ცნობილი „ქებად“-ს საფუძველზე ახდენს. რთული ნაშრომია, უფრო ფილოსოფიური ხასიათისა, მრავალმხრივ საყურადღებო და, ჩემი აზრით, ყველაზე მაღალ საკვალიფიკაციო მეცნიერულ ხარისხს იმსახურებს. გამოირჩევა მისი აკადემიური სტილი, ძარღვიანი, ლოგიკური მეტყველება, ზუსტად მორგებული ტერმინოლოგია.

მურმან ზაქარაიამ ცხოვრების ჭეშმარიტი გზა გამოიარა და დღესაც ამაყად და ღირსეულად მიაბიჯებს. თუმცა, ჩემი არ იყოს, წლები საკმაოდ შეპარვია. ვულოცავ მას სახელოვანი იუბილეს, ვუსურვებ ყველა იმ იდეის განხორციელებას, რასაც თავის ნაწერებში ასე უხვად აფრქვევს. ღმერთმა მისცეს ჯანი, გამძლეობა და სულიერი მხნეობა.

მურმან ხუცილავა,

მწერალი



პოეტური სტრიქონებით

ზაურ მოლაშვილი



ზღვასთან ვიჩივლე, ქართან ვიჩივლე...

(სტანსი)

მურმან ზაქარაიას

ზღვასთან ვიჩივლე, ქართან ვიჩივლე,
ხეს შევჩივლე და გადავიჩრდილე...

დრო მიუყვება აღმართს კოჭლობით, –
ბჟუტავს, ვით ძველისძველი კოჭობი!

ჰგავს ეს საწუთო აშლილ მონასტერს, –
მარადისობის ციცქანა მონამტვრევს...

სხვაფრად იქნება ფიფქთა თოვა წელს...
ქვეყნის სიმრთელეს ღმერთი მოგვასწრებს!

შვილიშვილი, ანუ მოთა

მურმან ზაქარაიას

მარტოსულის

არ ყოფილა ეს საწუთო ან ეს ყოფა,
სიყვარული
სხივოსნდება მხოლოდ წყვილთა, მხოლოდ ორ-
თა...

მარტოსულის

მკაცრი სული სულეთშიაც კივილს მორთავს...
თავის არსით
გიმეორებს შვილიშვილი, ანუ მოთა!

2010 წ.

ლაშა გვასალია

აღსარება ენგურის ხიდთან

მურმან ზაქარაიას

იწყება ყოვნა შორი მთვარიდან,
გზები იოლად როგორ გავყარო,
უნდა დავიწყო სუნთქვა თავიდან,
რომ ბავშვის მზერით შევსწვდე სამყაროს...
გამოილია ცრემლიც თანდათან,
ვაი, უჩვენო სასაფლაოებს,
სივრცე ზეცამდე ვეღარ განათდა,
სივრცე, რომელიც ასე გვაობლებს...
რა ვქნა, ვერ ვაღწევ კვლავაც შინამდე,
ბოროტებისგან დაჭრილ-ვნებული,
უძალოობა, გვედრი, შემინდე,
ვერ მოვალ ასე დამარცხებული!...

2017 წ.

გიორგი სიჭინავა

მურმან ზაქარაიას

(დაბადების დღისადმი მიძღვნილი ლექსი)

ვებრძვით დღეებს უმართავს,
ვიკრიბებით მურმანთან,
კარებსა და ღიმილით
მოყვარული სტუმართა.
მისი სახლი სოხუმში
გვახსოვს როგორც ტაძარი,
სად დევნილი მთავრობის
იყო თავშესაფარი.
უამშა უბოროტესმა
ვერ გატეხა ვერაფრით,
დარჩა მარად ერთგული
ზვიადის და მერაბის.
ბევრმა მათი სახელით
ოქრო-ვერცხლი აგროვა,
მან კი თავი მიუძღვნა
ქვეყნის მკვდრეთით აღდგომას.

მავანი და მავანი
პარლამენტში თარეშობს...
ის სამშობლოს მსახურობს
ჩინ-მედლების გარეშე,
დღეს მურმანის ასაკი
შვიდი ათეულია,
კვლავაც ივლის ამაყად,
როგორც დღემდე უვლია.

2015 წ.

მურმან ზაქარაიას

კაცს აღარ გიყვარს კაცის კაცები,
რეინად გაქცია სამშობლოს ურვამ,
ვიცი, ომში არ დაგვიმარცხდები –
სიმართლემ შიში არ იცის, მურმან!
მრავალთა სისხლი დრომ დაამდოვრა,
ბევრი შეიპყრო უაზრო ჭმუნვამ,
მაგრამ ანათებს შენი აღდგომა
ჩვენი შუადლის იმედად, მურმან!
კვლავაც იქნება ომში გამძლები,
ტკივილი კვლავაც ითმინოს გულმან,
ვიცი, სამშობლოს გაუმარჯვდები,
ბოლომდე კაცად დარჩები, მურმან!

ცერილები

მრავალშამიერ, პატონო მურმან!

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა ბათალიებმა დაგვანახვა, თუ ვინ არის ვინ!

ვნახეთ ეროვნული მოძრაობის მამოძრავებელი ძალა – ქართველი ერი!

ვნახეთ მოღალატენი!

ვნახეთ ეროვნულ მოძრაობაში ჩანერგილი აგენტები!

ვნახეთ მედროვენი, ერთ დროს ზვიადისტები, შემდგომ – შევარდნაძისტები და ა.შ.

საბედნიეროდ, ვნახეთ აგრეთვე ჭეშმარიტი მამულიშვილები, რომლებიც ერთგული დარჩნენ ეროვნული მოძრაობის იდეალებისა და სახელმწიფოებრივად აზროვნებენ!

ამგვარი ადამიანია ბატონი მურმან ზაქარაია!

იგი ათეული წლების მანძილზე რედაქტორობს მის მიერვე დაარსებულ უურნალ-გაზეთებს, წერს წიგნებს, სადაც ამხელს საქართველოს მტრებს, ეპრძების მათ, დიდ პატივს მიაგებს სამშობლოსთვის თავდადებულ რაინდებს, გლობალიზაციის ეპოქაში

ბეჭდავს საკუთარ წიგნებს, სადაც აღწერილია კოლხ-იბერიული მოდგმის დამსახურება ცივილიზაციის, საკაცობრიო კულტურის განვითარების წინაშე, მოგვიწოდებს, რომ არ დავივიწყოთ, თუ ვისი გორისანი ვართ!

დაგილოცავ კალამს, ბატონო მურმან!

თქვენი დამსახურებაა ის, რომ ტაშკენტის 25 გადაიქცა ეროვნული მოძრაობის შტაბ-ბინად, სადაც იკრიბებოდნენ და იკრიბებიან მამულიშვილები, განიხილავენ სამშობლოს საშირბოროფო პრობლემებს!

დღეს აღვნიშნავთ თქვენი დაბადების დღეს! გილოცავთ! იცოცხელეთ დიდხანს თქვენი ოჯახის ნევრებთან და ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად!

მრავალუამიერ!

მალე გვენახოს, გვიმასპინძლდებოდე მშობლიურ სოხუმში!

თენაზ კუპლაშვილი,

დევნილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი

დამცხრალიყოს თქვენი სულისტკივილი

მურმან !

ჩემო ძმაო და მეგობარო!

რაც უფრო გვემატება ასაკი, მით უფრო ხშირად ვფიქრობ თქვენს ღვაწლსა და ამაგზე, მით უფრო ვგრძნობ თქვენს გულისტკივილს, უფრო ზუსტად – სულისტკივილს...

სტკივა თქვენს სულს ოკუპირებული აფხაზეთი, სამაჩაბლო... სტკივა ჯიხაშკარ-ხიბულის გზაზე ვერაგულად მოკლული სულმნათი ზვიად გამსახურდია... უწყის უფალმა, რომ თქვენ თქვენი შესაძლოების მაქსიმუმი, თითქმის შეუძლებელიც გააკეთეთ იმისთვის, რომ არ დაკარგულიყო აფხაზეთი, უფსკრულში არ გადაჩეხილიყო ჩვენი მართლაც ბედკრული სამშობლო...

თქვენ ერთი დღითაც არ ჩაგიგიათ ქარქაშში კალამი-ხმალი! უშიშრად ამხელდით და ეპრძოდით მტერთ და გარენართ. არ ინდობდით იმ

მედროვეებსაც, ვინც ერთი დღით შემოიარეს ეროვნულ მოძრაობაში და შემდგომ შევარდნაძის სისხლიანი რეჟიმის სამსახურში ჩადგნენ.

თქვენ დღესაც იბრძვით, იღვწით საქართველოსთვის. თქვენ მაგალითი ხართ შეუვალობისა და დაუმორჩილებლობისა.

შევთხოვ უფალს, არ მოგაკლოთ ჯანმრთელობა და სულიერი სიმხნევე.

რა უნდა ვუსურვოთ ჩვენ ერთმანეთს? მოვსწრებოდეთ ერისა და ქვეყნის გამთლიანებას. უფალმა შეგვაძლებინოს თქვენს მშობლიურ აფხაზეთში თქვენი ძვირფასი მშობლების, უახლოესი ადამიანების, აფხაზეთის ომს შენირულთა საფლავ-სალოცავზე წმინდა სანთლების ანთება... დამცხრალიყოს „მარად თანამდევი“ თქვენი სულისტკივილი!..

პატივისცემითა და სიყვარულით
კლემ კვირტია



მურმან ზაქარაიას ფენომენი

უდავოდ ბედნიერია ის ადამიანი, რომლის შეგნებული მოღვაწეობა ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე საკუთარი ხალხის უანგარო სამსახურს ეძღვნება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი ერი მძიმე სენითაა დაავადებული და მას ხსნა სჭირდება. ასეთ ადამიანად მესახება მე ბატონი მურმან შალვას ძე ზაქარაია. მას ამჟამად დაბადებიდან 75 წელი უსრულდება. ბატონი მურმან, გილოცავთ ამ ღირსებით აღსავსე იუბილეს, შენს სადარდებელ და საფიცარ ერთან ერთად.

საქართველოს თავისი არსებობის მანძილზე ხშირად პქონია მძიმე პერიოდები, მაგრამ მას ერთგული მამულიშვილები თავგანწირვით იცავდნენ და გასაოცარი გმირობის ფასად ინარჩუნებდნენ ერთიანობას და საამაყო ტრადიციებს. ხშირად ველური თუ ცივილური მტერი დასხმია თავს ჩვენს წალკოტ მხარეს და უმოწყალოდ აუოხრებია იგი, რაც, საუბედუროდ, ზოგჯერ „შინაური“ მოღალატეების ხელშეწყობითაც ხდებოდა. თუმცა ჩვენი ერი ღვთის წყალობით და შეწევნით ისევ აღმდგარა და გაბრწყინებულა.

ისტორიიდან კარგად გვახსოვს, როცა დავით აღმაშენებელმა 60-ათასიანი ჯარით 300-ათასიანი სელჩუკთა გაერთიანებული, ველური, კაციჭამია ურდო როგორ გაანადგურა, მაგრამ მრავალჭრილობამიღებული მეფე რამდენიმე დღე გაუნძრევლად იწვა ლოგინში პირალმა. მიუხედავად რჩეული ექიმების ძალის-ხმევისა, უკეთესობა არ ეტყობოდა. და... როცა ავადმყოფი ზურგით ზემოთ შემოაბრუნეს, ექიმები გაოცებული შესცეკროდნენ, ზურგის არეში რამდენიმე ჭრილობა აღენიშნებოდა, რაც, რა თქმა უნდა, მისი „თანამებრძოლ“ მოღალატეთა ნახელავი იყო.

მსგავს ღალატს პქონდა ადგილი გიორგი სააკაძის ბრძოლების დროსაც. მაშინ როცა გიორგი სააკაძე სამშობლოს ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად თავგანწირვით ებრძოდა მრისხანე მტერს, შადიმან ბარათაშვილი და მისი „თანამოაზრენი“ ურიცხვოქროს, ვერცხლსა და რჩეულ ქალ-ვაჟებს უკავნიდნენ საჩუქრად ავადსახსენებელ შაპ-აბასს გულის გასახარად.

კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელი ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში მე-20 საუკუნის

90-იან წლებში. ჯერ იყო და ჩვენს სამშობლოს ლმერთმა მოუვლინა უერთგულესი, ერის ნანატრი შვილები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებიც მრავალ სიკეთეს ჰპირდებოდნენ ერის მომავალს. მაგრამ ერის ამ ოცნებასაც აღსრულება არ ეწერა. ძალიან სწრაფად ამოქმედდა ანტიეროვნული, რეაქციული ძალები, რომლებსაც მასონთა ლოჟის აქტიური წარმომადგენელი ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა. ამ სატანურმა მოღალატეებმა კანონიერი ეროვნული მთავრობა დაამხეს, ხოლო მოგვიანებით მათ მიერ ლიკვიდირებულ იქნენ ზვად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

მაშინდელმა პუტჩის აღზევებამ განუსაზღვრელი ზარალი მიაყენა ქართველ ერს და ერთეულთა საამებელი გახდა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური დარგები. მინასთანაა გასწორებული ქვეყნის დემოგრაფიული პორტრეტი, დაირღვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, რაც მთავარია, ერს საიმედო მომავალი ჯერ არსაიდან უჩანს.

ეს მაგალითები აქ იმიტომ ჩავრთე, ბატონი და ძმაო მურმან, რომ, როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნე, მთელი თქვენი ცხოვრება ახალგაზრდული წლებიდან დღემდე ერთგულად იპრძვით და ოცნებობთ დავით აღმაშენებლის გულმკერდივით დაჩეხილი ერის საკურნებლად და ჭრილობების მოსაშუალებლად.

თქვენ, ბატონი მურმან, 75 წელი შეგისრულდათ და ამ ღირსეული იუბილეს მოღალოვა თქვენს ძვირფას ოჯახთან ერთად, რა თქმა უნდა, სასიამოვნო და საპატიოა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, შენი ეროვნული მიზნები საით მიიჩქარიან, ჰოდა, სურვილის დაკმაყოფილებას გისურვებთ თქვენს საყვარელ ერთან ერთად.

კანონიერი, ეროვნული მთავრობის დამარცხების შემდეგ ეროვნული მოძრაობის ბევრმა ლიდერმა თითქმის დაივიწყა თავისი წმიდათაწმიდა მოვალეობა და დღეს ისინი სხვადასხვა საქმით არიან დაკავებული. მაგრამ ასე არ მოქცეულა ბატონი მურმანი, ის დღესაც ჭეშმარიტი რწმენითა და ერთგულებით მიუყვება იმ ვიწრო ბილიკს, რომლითაც ის, უდავოდ, იხილავს თავის საყვარელ გაბრწყინებულ ქართველ ერს.

დასასრულ, თქვენს იმ მრავალ ნაშრომს შორის, რომლებიდანაც ფიზიკურად და სულიერად

დაჭრილი ერის კვნესა ისმისა, გვირგვინად ესა-დაგება თქვენი ბოლოდროინდელი წიგნი „სიმ-ბოლო ქართული იდეისა“, რომელიც, როგორც მისი რედაქტორი, მწერალი ბატონი ჯემალ შონია წერს, განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ბატონი და ძმაო მურმან, ქართველი, სა-ამაყო ერის გადასარჩენად და მომავალში მის გასაპრეზიდენტო თავგანწირული თქვენეული

ბრძოლა ერთეულთა ხვედრია და ღვთის განგე-ბითაა ნაკარნახევი.

ღმერთი იყოს თქვენი წმინდათა წმინდა ეროვნული სულისკვეთებით განსმტვალული იდეების მფარველი და წარმმართველი! ამინ.

სიმონ ზაქარაია,
საქართველოს მწერალთა და
ურნალისტთა
შემოქმედებითი კავშირის წევრი,
ხობისა და იყალთოს საპატიო მოქალაქე.

ვულოცავი!

ბატონი მურმან ზაქარაია პირადად ექ-ვსიოდე თვის წინ გავიცანი, თუმცა მანამდე მასზე ბევრი მსმენია. თვალსაჩინო და უაღ-რესად დასაფასებელია ბატონი მურმანის პე-დაგოგიური, შემოქმედებითი, მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა. ამ ბოლო დროს ბატონი მურმანის რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალ „მიჯნის“ ფურ-ცლებზე გამოქვეყნებულმა მისმა წერილებმა, რომლებიც გიორგი სიჭინავას რომანის „უტუ მიქას“ განხილვას დაეთმო, ჩემი და მრავალი სხვა მკითხველის ყურადღება მიიპყრო. ბა-ტონი მურმანის წერილები, მისი წიგნები წარ-მოაჩენს მას, უპირველეს ყოვლისა, როგორც პატრიოტს, თავისი მრნამსით და სამშობლო-სადმი სიყვარულით, მათში მოცემულია ღრმა ისტორიული, ლიტერატურულ-ფილოსოფიუ-რი, თეოსოფიური და თეოლოგიური ანალიზი სხვადასხვა ნაწარმოებისა თუ მოვლენებისა.

ბატონი მურმან, თბილისში მოღვაწე რუსულენოვან პოეტთა ერთი ჯგუფის სახე-ლით მე წილად მხვდა პატივი, მოგიღლოცოთ ღირსშესანიშნავი თარიღი, 75 წლის იუბილე. იყავით დღეგრძელი. შეუძლებელია ჩვენში მადლიერების გრძნობა არ აღეძრა თქვენს ბრძნულ და არასტერეოტიპულ გადაწყვეტი-ლებას და მიდგომას საქართველოში მოღვაწე რუსულენოვან პოეტთა თუნდაც არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ჯგუფის შემოქმედების წარმოსაჩენად. ჩვენ ჩვენს თავს „პარნასელე-ბად“ მოვიხენიებთ. ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით (ამ ჩემს მილოცვას უპირველესად და გულმხურვალედ უერთდება პოეტი რაისა მუზიჩენკო) კიდევ ერთხელ გულითადად გი-ლოცავთ თქვენ და ვულოცავთ მთელ თქვენს ოჯახს და სრულიად საქართველოს სასიქადუ-ლო მამულიშვილის ამ იუბილეს.

ეთერ აგარონოვა,
პოეტი



გამორჩეული მოღვაწე

კარგა ხანს ვფიქრობდი, თუ როგორ და-მეწყო ეს მისალოცი წერილი. ცხადია, როცა კაცს დაბადების დღეს ულოცავენ, მოსალოცი სიტყვები თბილი და მოფერებითი უნდა იყოს, მაგრამ დღეს მურმან ზაქარაიას მხოლოდ რი-გითი დაბადების დღე კი არა აქვს, არამედ მას 75 წელი შეუსრულდა და ეს მრგვალი თარიღი სხვა მხრივადაც ჩაგვახედებს იუბილარის ცხოვ-რებაში, რამეთუ გრძნობა, მას უკვე დასდგომია ერთგვარი შეჯამების დრო, განვლილი გზის განსჯის უამი. იუბილარს ჯერ კიდევ რთული გზა უდევს წინ, ცხოვრების ბევრი უცნაური გამოცანის ამოხსნა მოუწევს, მაგრამ ეს უკვე მომავლის საქმეა, ახლა კი ის უნდა ვთქვათ, ვინ არის 75 წლის მურმან ზაქარაია და როგორ მოსულა იგი აქამდე.

ყველა ადამიანი უმყოფობიდან ევლინება ამ სამყაროს. უმყოფობიდან მოსულა კი ღვთის მადლია და მადლობა უფალს, რომ არაფრისგან შექმნა თავისი ხატი და მსგავსება. იშვიათად გასჩენია ადამიანს კითხვა, საიდან მოვედიო. ის ვერ იპოვის საწყისს ბიოლოგიური მოვლენის იქით, უბრალოდ, ეგუება, რომ არის ადამიანი და ისე მოკვედება, არც კი ეცოდინება საკუთარ თავ-ზე არაფერი, გარდა სახელისა და გვარისა. ასეთ ყოფას არსებობა ჰქვია. ყოველდღიურ საზრუ-ნავში ჩაფლულს, ინსტინქტური და მექანიკური ქმედებების გარდა სხვა არაფრის გამოვლენის უნარი არ გააჩნია, რის შედეგადაც განზე რჩება ის წმიდათაწმიდა ადამიანური მოვალეობები, რისთვისაც იგი შეიქმნა. სიცოცხლე მატერი-ალურ სამყაროში არის ღვთის იდეა. ღვთის ხატება უნდა გამოვლინდეს კაცთა ერთგულე-ბაში, ერთმანეთის სიყვარულში, ბოროტებასთან ბრძოლაში, საცდურის შეცნობასა და უარყოფა-ში და, რაც მთავარია, თავმდაბლობაში...

აი, აქედან მსურს მივუბრუნდე იუბილარს. თავმდაბლობა საკუთარ თავზე გამარჯვებაა, ეს კი ყველაზე მძიმე ჯვარია ამ წუთისოფელში, რომელსაც მხოლოდ ერთეულებმა გაუძლეს.

გერმანულმა ხასიათმა თუ ფილოსოფიამ გარკვეულ პერიოდში ზეკაცობის იდეით კვება საკუთარი სული.

რუსებმა ღმერთი უარყვეს და მიუღწევე-ლი იდეების ქადაგებით სცადეს კაცობრიობის გაერთიანება (უფრო სწორად – შემოერთება).

მატერიალური კეთილდღეობის ხიბლით

ბევრმა ქვეყანამ გაიმრუდა გზა, მაგრამ სიმშვი-დე ვერსად დამყარდა. იქ, სადაც არ იყო ღმერთი, დემონმა დაიდგა ტახტი. ასე მოხდა ცალკეულ ადამიანთა სულშიც.

საქართველო ამპარტავანთა საასპარეზო გახდა. საუბედუროდ, ჩვენი ჰიმნია „მე ვარ და ჩემი ნაბადი“... ყელით სხვას ვმლერით და გულში კი სხვაგვარად გვემდერება. წამდაუ-წუმ ვიძახით: „ჩვენთან არს ღმერთი“ და ჩვენ ეშმაკთან ვართ. ვამბობთ ერთს და ვაკეთებთ მეორეს. სიკეთით ვიწონებთ თავს და ბოროტე-ბას ჩავდივართ. მშერთან ორიოდე ცელოფა-ნის პარკით სურსათი თუ მივიტანეთ, უკან ათი ოპერატორი მოგვყვება, რომ გადაიღოს და მერე ჩვენს კეთილმოსილებას ტაში დაუკრან. ეკლე-სიაში სანთელს ვანთებთ, ალსარებას ვაძლევთ და იქიდან გამოსული იმავე ცოდვას ჩავიდენთ, რაც მოვინანიეთ...

სამშობლოს სიყვარულში ერთმანეთს ვე-ჯიბრებით, ხალხის სიღატაკე გვაწუხებს და გვტანჯავს, მაგრამ თუ რამე „სარგებელი“ გა-მოჩნდა, მზად ვართ, ხალხიც გავწიროთ და პი-რადულ კეთილდღეობას ვანაცვალოთ ქვეყნის მომავალი. ასე დავკარგეთ აფხაზეთი, სამაჩაბ-ლო... მრავალგზის გავძარცვეთ და ავაოხრეთ სამეგრელო... დავერიეთ ერთმანეთს და ცეც-ხლი დავუშინეთ... პარლამენტში გარბის დიდი და პატარა, ქალი და კაცი, განათლებული და გაუნათლებელი. იქ უნდა ყველას, რათა საკუ-თარი საქმები მოიწყონ, სხვა საფიქრალი და მიზანი არავის გააჩნია. ყველა თუ არა, ბევრი, ძალიან ბევრი ცხოვრობს დევიზით: ჩემს მერე ქვა უთოვიაო.

მკაცრია ჩემი დასკვნები? რაც დავინახეთ, იმას გიყვებით. ასეთია ჩვენი დამოუკიდებლო-ბის 30 წელი. ვისაც ერი და სამშობლო უყვარდა, „მოყვასის“ ხელით განგმირული მინაში წევს (ყველა თუ არა, დიდი უმრავლესობა მაინც). ვისაც თავისი თავი უყვარდა ეროვნულ მოძ-რაობაში, დღემდე საკუთარ თავს ეძებს და ვერ უპოვია. ქვეყნისა და ერის სიყვარულს ერთეუ-ლები შემორჩენე. ამ ადამიანებს არ მოუხვეჭიათ ქონება, არ გაუყიდიათ რწმენა, სული, მოყვასი. დაკარგეს სახლი, მთელი ცხოვრების მონაგარი, დაკარგეს ძმა, ნათესავები, მეზობლები, მაგრამ არ დაუკარგავთ ღირსება. არ გადაჰებიან სა-შოვარს და ასე გამდიდრდნენ – სიღარიბით.

ქვეყნის უანგარო სიყვარულში გაცვითეს გული, გადაირჩინეს სული და კაცობის მაგალითი მის-ცეს ახალ თაობას. აი, ასეთია ჩვენი იუბილარის ცხოვრების გზა!

ცალკე საუბრის თემაა მურმან ზაქარაიას შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვა-წეობა. ჩვენ ამ პატარა წერილში მხოლოდ მისი მრნამსისა და სულიერი სინათლის ხილვა ვცა-დეთ. მურმანი იყო და არის სანთელი, რომელიც ბერელ ლამეში აინთო და არ ჩაქრება არასოდეს, არც გამონათების მერეც, ვინაიდან სულის ნა-თელი მუდამ კაშკაშებს დღლისითაც და ლამითაც.

მიდიან და მოდიან ადამიანები თავიანთი ცხოვრების გზაზე. არავინ იცის, ვის რა მიაქვს და მოაქვს ამ გზაზე, რა მიზნები ამოძრავებთ და ვისთან მიდიან.

თამამად ვიტყვი: მურმან ზაქარაიამ იპოვა თავისი ჯვარი და ქედმოქუხრელად მიდის. მსუ-ბუქია მისთვის ეს ჯვარი, ვინაიდან მან ისწავლა ტანჯვით ტკბობა.

რა გერგო სიყვარულისთვის, ძმაო მურმან?.. არაფერი! შენ მთელი ცხოვრება „გარეთ“ დარჩი. ისინი კი „შიგნით“ არიან, დაკეტილ კარებს მიღმა. აკაცუნებდე და განგელებაო, – გვეუბნება მაცხოვარი. შენთვის სხვა კარები გაიღო. დე, დიდხანს, დიდხანს გევლოს იმ გზაზე, რომელიც ბედმა გარგუნა.

მოვა დრო და დიდი ინტერესით წაიკითხავენ შენს მართალ წიგნებს, მოვა დრო და შეგიქებენ კაცობას, ნებისყოფას, უბრალოებასა და უან-გარობას. ვიცი, მაქებრებს ემალებოდი მუდამ და მოფერების ჟამმა შეიძლება დაიგვიანოს კიდეც, მაგრამ შენთვის არანაირი მნიშვნელო-ბა არ ჰქონდა, ვინ რას იტყოდა შენზე. შენს საკეთებელს ყოველთვის ჩუმად და უანგაროდ აკეთებდი.

განვლე ძალიან რთული საუკუნის 75 წელი. ასე რომ ვთქვათ, მეოცე საუკუნე და ოცდამე-ერთე საუკუნის პირველი პერიოდი დემონის ჟამი იყო. ძალიან ძნელი გახლდათ ამ პერიოდ-ში კეთილი საქმების კეთება და ადამიანური ღირსების შენარჩუნება. შენ, როგორც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას იდეების ერ-თგულ კაცს, არასოდეს გადაგიხვევია დასახული მიზნებისაგან. აკეთებდი და დღემდე აკეთებ იმ საქმებს, რაც აუცილებელია ეროვნული სული-სა და ქვეყნის გადასარჩენად, თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. იბერია გაბრწყინდებაო, – გესმის შორეული წინაპრის ძახილი და გჯერა საქართველოს მომავლისა.

კიდევ დიდხანს იცოცხელე. გფარავდეს ღმერთი!

გიორგი სიზინავა,
მწერალი

„ერის ცყლული გაჩნდეს ცყლულად“

„ერის ცყლული მაჩნდეს ცყლულად, მეწვოდეს მის ტანჯვით სული“ – წმინდა ილია მართალის ეს სიტყვები მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ეროვ-ნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალ-საჩინო წარმომადგენლებმა ლოზუნგად აქციეს, მამულის განთავისუფლებისათვის აღმართულ დროშაზე დააწერეს, თავგანწირულ ბრძოლებში ღირსეულად გამოატარეს და მომავალ თაობებს გადააბარეს.

იქიდან მოყოლებული დღემდე ამ სიტყვებს თავისი მნიშვნელობა და ძალა არ დაუკარგავთ, რადგან ჭეშმარიტ დამოუკიდებლობამდე ჯერ კიდევ შორი გზაა გასასვლელი და ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

ჯერ კიდევ არაა დამარცხებული აპოკალიფ-სურ მხეცად წოდებული რუსეთის ბოროტების იმპერია. წინაა ახალი დიდგორი, რომელიც გა-დამწყვეტი იქნება იბერიის გასაბრწყინებლად. ეს გზა უნდა გაიაროს ღვთისმშობლის წილხვედრმა ქვეყნამ, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღ-

დგომისა!..

მამულის სამსახურში არავის ეპიტაზებიან, ვინაიდან ქვეყანა თუ ტყვეობაშია, ბორკილები მამულიშვილთა სატარებელი ხდება. არავინ უბ-რძოლველად ოქროს გასაღებს ბორკილებისაგან თავის დასახსნელად არ მოგართმევს. ეს უფლება ბრძოლითა მოსაპოვებელი.

საქართველოს ყველა დროში საკმაოდ ჰყავდა კოლაბორაციონისტები, რომლებიც აშკარად თუ შეფარვით მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს. შედეგი მათი „ნალვანისა“ გასული საუკუნის 90-იანი წლებში ვინვნიერ, რასაც მერე რუსეთთან ინსპირირებული ომი, აფხაზეთში ქართველთა გენოციდი და ძირქველი, აბორიგენი მოსახლეობის დეპორტაცია მოჰყვა.

სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა ყოველთვის იყო და არის ჭეშმარიტ მამულიშ-ვილთა საზრუნავი, რომლებსაც გულში აქვთ ამოგვირისტებული დიდი ილიას სიტყვები: „რომ ერის მოძმედ ვიყო ქმუნჯასა და სიხარულში“. ორას

წელზე მეტია, ეს ბრძოლა არ შეწყვეტილა და გრძელდება მტერზე საბოლოო გამარჯვებამდე.

ურჩეულის ტყვეობიდან ლვთისმშობლის წილზევედრი ქვეყნის დასახსნელად მებრძოლი ქრისტეს მხედრობა არც ისე ცოტაა. მათ კოპორტას მიეკუთვნება სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაუდევარი, მუხლჩაუხერელი მებრძოლი, ეროვნული მოღვაწე ბატონი მურმან ზაქარაია.

ბატონ მურმან ზაქარაიას, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, დღემდე სამშობლოს გასათავსუფლებლად შემართული მახვილი ქარქაში არ ჩაუგია.

სპეციალობით ისტორიკოსის მოღვაწეობის სფერო მრავალმხრივია და მრავალფეროვანი, როგორც მკლევრისა, პუბლიცისტისა და ჟურნალისტისა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ტრაგედიის შემდეგ, საქართველოში სამხედრო საბჭოს მიერ განხორციელებული შავი რეაქციის პერიოდშიაც, რეპრესიების შიშით ნირი არ შეუცვლია და, როგორც გაზი „აღდგომის“ ერთ-ერთი აქტიური დამფუძნებელი, აღნიშნული გაზეთის გვერდებზე ამხელდა სამხედრო საბჭოს ანტიეროვნულ ქმედებებს, რაც გვასოვს, თავგანწირვის ტოლფასი იყო.

ბატონი მურმანი ცოცხალი მემატიანე გახლავთ იმ უბედურებებისა, რომელიც სამშობლოს თავს დაატეხს მედროვეებმა და კოლაბორაციონალისტებმა. ზოგიერთებივით ჩირგვებში არ

დამალულა და თბილი ადგილი არ უქებნია, არამედ სამშობლოს ცხოვრებით ცხოვრობს დღემდე, მამულთან ერთად ეზიდება იმ მძიმე ჯვარს, რომელიც მან სამშობლოს გადასარჩენად იტვირთა.

იგი ავტორია მრავალი ნარკვევისა, სტატიისა და პუბლიცისტური შრომისა, ეს იქნება საქართველოს უახლესი ისტორიიდან თუ მისი წარსულიდან. მათ შორის აღსანიშნავია: „სიმბოლო ქართული იდეისა“, „სახელმწიფოსა და დემოკრატიის საკითხისადმი დისპარატულ მიღვომაზე“, „დათრგუნული ლირსება“ და მრავალი სხვა.

ბატონი მურმან ზაქარაიას მოღვაწეობას ცალკე ნაშრომის უნდა მიეძღვნას. ვგონებ, ამ მხრივ ჩემი აზრი გადაჭარბებული არ იქნება. ამას მომავალში აუცილებლად მისი ბიოგრაფიები შეეცდებან. მე კი აյ შევჩერდები.

გულრითშის საზოგადოებრიობის სახელით ბატონ მურმან ზაქარაიას, როგორც ეროვნული მოღვაწეს, აფხაზეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელს აფხაზეთის უმშვენიერესი კუთხიდან, რომელსაც სამურზაყანო ჰქვია, ვულოცავ ლირსშესანიშნავ თარიღს – დაბადებიდან 75 წლის იუბილეს!

ვუსურვებ მნიშვნელობასა და ჯანმრთელობას დიდი ილიას სიტყვების ხორციელების მაშინ:

„მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსა ტანჯვის ცრემლსა“.

ვალერიან ვეკუა,
პოეტი

ჩემო უფროსო მეგობარო!

მოგონებებს არა აქვს დასასრული, ისინი მუდამ არსებობენ ჩვენს ცხოვრებაში...

დრო უცებ გადის, კინოკადრებივით იცვლება დღეები. არ იცვლებიან ადამიანები, რომლებიც ჩვენ გარშემო არიან და, მადლობა უფალს, რომ არც მე შემეცვალა ხედვა მათ მიმართ.

ჩემო უფროსო მეგობარო მურმან! ჩვენ ბევრი ეკლიანი გზა გავიარეთ ჩვენს მეგობრებთან ერთად. ჩვენი ყოველდღიურობა იყო დიდი ბრძოლა, შრომა, რწმენა უკეთესი მომავლისათვის. ერთად ვიდექით 9 აპრილს მოპოვებული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ჩვენ არასოდეს არ დავლლილვართ, არ დავმარცხებულვართ, უკან არ დაგვიხვია, ზურგი არ მოგვიქცევია იმ იდეებისათვის, რაც ჩვენს გულებში ენთო და გვწამდა.

ბატონი მურმან! ტყვიის ქარბორბალაგამოვლილო, მამაცო, მარად ახალგაზრდული შემართებით მებრძოლო ადამიანო, თქვენ

სიტყვით, კალმით, სიყვარულით დაუღალავად იღვწოდით თქვენი ქვეყნისათვის.

შეურვეია თქვენი რწმენა მშობლიური აფხაზეთის დედასაქართველოში დაბრუნებისა და დევნილობის დასასრულისა. დღემდე ვერ შეჰვებიხართ უსაყვარლესი მშობლიური გარემოს მოწყვეტას. უფალმა აგისრულოთ ეგდიდი ნატვრა!

თქვენი კალმით ნაღვანის თვალის შევლება საკმარისია, რომ ჩავწედეთ თქვენს შინაგან სამყაროს, თქვენს ადამიანურ ბუნებას, სამართლიანობისათვის ბრძოლაში გაუტეხელობასა და შეუდრეველობას, მშობლიური ქვეყნის სიყვარულში დამაშვრალობას. თქვენ მიერ ლირსეულად განვლილი ცხოვრების გზა საუკეთესო მაგალითია ახალგაზრდა თაობებისათვის.

იმზეგრძელეთ და იბედნიერეთ მრავალნელინადს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ახალგაზრდა თაობების მომავლისათვის!

გადონა გარაცარი

ბატონი მურმან!

გილოცავთ წელთა სიმრავლეს!..

გიყურებთ და მეამაყება, 30 წელზე მეტია, რომ გიცნობთ, ამ წლების მანძილზე მაოცებდა თქვენი ერთგულება და თავდადება ქვეყნისა და ერის წინაშე. თქვენ ხომ ცოცხალი მემატიანე ხართ აებედითი წლებისა, როდესაც მტერმა ჩვენი ქვეყანა და ხალხი გახლოჩა, დააჭუცმაცა.

დიახ, თქვენ ხართ ამ უბედურების უამთალმწერი. თქვენი წიგნებიდან გადმოცემული ჩვენი ქვეყნის ისტორია ისეა გადმოცემული, რომ გულისგულში გადის და სანამ ბოლომდე

არ წაიკითხავ, ხელიდან არ უშვებ.

თქვენი მებრძოლი სული ამ წლების განმავლობაში ზრუნავდა გათიშული საქართველოს შვილების გაერთიანებაზე, საქართველოს საკეთილდღეოდ.

დღეგრძელობასა და წლების სიმრავლეს გისურვებთ, ბატონო მურმან, ჩვენი ქვეყნის და თქვენი ოჯახის ბედნიერებისათვის!

დიდი პატივისცემით,
ნათება გეთია



ძაღლაფიცობის ერთგული

ადამიანურ ლირებულებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მადლიერების გრძნობაა, რომელიც წელთა სიმრავლით, განვლილი ეკლიანი გზით და ყოფითი პრობლემების მიუხედავად არ უნდა დუნდებოდეს, არ იყარგებოდეს და არ უნდა იქნეს დავიწყებული. სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეც ხდება. მაშ, რანი ვართ, თუ ვერ ვიხსენებთ და არ ვათასებთ ჩვენი დროის გმირთა სახელებს, საქმეებს, ლვანლს და არ შემოვუნახავთ შთმომავლობას.

ამიტომაც საიუბილეო თარიღის მილოცვაზე ოდნავ წინ გამოვხატავ ჩემს უდიდეს, უღრმეს, უანგარო და მრავალმხრივ მადლიერებას ჩვენი დროის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვანის, სამაგალითო, უკეთილშობილესი და უანგარო პიროვნების, უამრავი იდეის ავტორისა და განმხორციელებლის, ჩვენი ქვეყნისა და ერის კეთილდღეობისათვის მრავალნალიანი ბრძოლის ერთ-ერთი სამაგალითო ხელმძღვანელის, სამშობლოს დიდი პატრიოტის, თავდაუზოგავი მეგობრისა და ძმადნაფიცობის ერთგულის ბატონი მურმან ზაქარაიას მიმართ.

1992 წლის გარიურაუზე პუტჩისტების, „მხედრიონისა“ და სხვა მოთარეშე ბანდების

ზუგდიდში შემოსევის გამო ჩვენი ძალები იძულებული გახდა სოხუმისთვის შეეფარებინა თავი და გაეგრძელებინა ბრძოლა სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის. ჩვენთვის დაუკინებარია აფხაზეთის ქართველობის ერთსულოვნება, თანადგომა, დახმარება თუ მასპინძლობა. ცნობიერებიდან არ ამოვარდება სოხუმის შემოგარენში ორსართულიანი სახლი, სადაც დღე-ლამების განმავლობაში მასპინძლობდა ჩამოსულ ათეულობით სტუმარს მთელი ოჯახი და მისი დიასახლისი ქალბატონი ლალი, მოზარდები თეანა და დათო; ოჯახის ხელმძღვანელი ბატონი მურმანი თვეების განმავლობაში მასპინძლობდა წინააღმდეგობის ფრონტს. ე.შევარდნაძის მესვეურებმა არ აპატიეს სამშობლოს სიყვარული და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვა ბატონი მურმანის ოჯახსაც: მოღალატეობრივმა პოლიტიკამ გამოიწვია აფხაზეთის ოკუპაცია, პატრიოტული ძალების განადგურება, ასეულათასობით დევნილი; მათ შორის ბატონი მურმან ზაქარაიას ლამაზი, კოხტა, ინტელიგენტური, იმ დროისათვის შეძლებული ოჯახის გამოსახლება და დევნილობაში ყოვნა. იმ დღიდან უამრავი პრობლემის გადაღახვა მოუნია ამ ოჯახს, მაგრამ ძლიერმა და შეუდრეველმა

სულმა, უდიდესმა და დაუღალავმა შრომამ, მიზანსწრაფვამ და ბრძოლამ ნათელი მომავლისათვის ყველაფერი შეაძლებინა ამ ოჯახს და ბატონ მურმანს, რომელიც დღეს იუბილარია.

გილოცავთ, ჩვენი კეთილშობილო და საყვარელო მეგობარო! იხარე და იბედნიერე შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად, იყავ ჯანმრთელი და დღეგრძელი! გისურვებ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში!

ჩვენ კი, თანამებრძოლები, ძმადნაფიცობის

ერთგულნი, ფიცის არგამტებნი, სამართლიანობის აღდგენისათვის მებრძოლი პატრიოტული ძალები გამოვხატავთ მადლიერებას, კიდევ და მრავალჯერ მადლობა თქვენ სიმამაცისთვის, თავდადებისთვის, ერთგულებისთვის, კაცურკაცობისთვის, ჩვენ მიმართ განეული თანადგომისთვის – ყველაფრისათვის და იმისთვისაც, რომ ასეთი მამულიშვილი ხართ!

სოსო ლაგვილავა

გილოცავ პახური გულითადობით!

ჩემს კოლხ ძმასა და მეგობარს, 75 წლის მურმან ზაქარაიას გულითადად ვულოცავ დაბადების ამ ლამაზ თარიღს! ეს წლები მისი მამულიშვილური საქმეებითაა დამშვენებული და მიხარია, რომ მიუხედავად დიდი ტკივილებისა, აფხაზეთიდან გამოდევნის უმძიმესი ტრაგედიისა, მას ფარ-ხმალი არ დაუყრია და კვლავაც ახალგაზრდული შემართებით იბრძვის უკეთესი სამშობლოსთვის.

ბატონი მურმანი ამ ბრძოლაში გავიცანი; ერთმა მიზანმა, ერთმა გასაჭირომა დაგვაკავშირა ერთმანეთთან მის თანამებრძოლებთან ერთად და მას შემდეგ მურმან ზაქარაიასა და ლუარა გამყრელიძის „ტაშკენტის ოცდახუთი“ არც ჩემთვის არის უცხო და შორეული. აქ ჩაუქრობლად გიზგიზებს ეროვნული სული, აქ ბჭობენ და

ფიქრობენ ქვეყნის ბედზე, საერო სატკივარზე, გამოსცემენ გაზიერებს, უურნალებს, წიგნებს, რომლებიც ეროვნულ საქმეს ემსახურებიან.

ახლა კახეთში ქარვისფერი შემოდგომა დგას; ყურძენივით იწურება ოქტომბრის დღეები და ჩვენი იუბილარის დაბადების დღე, 6 ნოემბერი რომ დადგება, აუცილებლად კახური ლვინით ვადლეგრძელებ ჩვენს მურმანს – ეროვნული მოძრაობის დაუცხრომელ მოღვაწეს! ვადლეგრძელებ და პირველ რიგში ჯანის სიმრთელეს-თან ერთად ჩვენი სამშობლოს სიმრთელეს, ერთიანობასა და თავის კერაზე, აფხაზეთში დაბრუნებას ვუსურვებ!

იქაც გვეთქვას ბედნიერებისა და გამარჯვების სადლეგრძელოები, ჩემო ძმაო!

თემურ გულითადობით

75 წლის მურმან ზაქარაიას

სიცოცხლე თავისუფლების გარეშე არარაობაა“.
/ლათინური სენტენცია/
„მამაცებს ბედი შველის“.
/ტერენციუსი/

თქვენ ხართ მაგალითი იმისა, როგორი ურყევი ადამიანი უნდა იყოს ამ ვაეპით სავსე სამყაროში დამცირებული ერის შვილი. ისე ჩანს, თქვენთვის უპირველესი გახდა ინტელექტი, ვიდრე საკუთარ სულზე ზრუნვა (ჯანსაღი ინტელექტი; არსებობს „პესიმისტური ინტელექტიც“).

თქვენი მტკიცებით, ისტორია წინასარმეტყველებს: არ არსებობს დაურღვეველი კედელი, რომ შეუძლებელია ბოლომდე უძლეველი იყოს ჩრდილოეთის რომი. შეუძლებელია, კატაკლიზმური ვარსკვლავთცვენის ნახევარი-დუმალებამ არ შელახოს (არ გაამინდვროს) გამაოგნებელი ძალის ლევიათანი, ჯოჯოხეთური სტომაქის მატარებელი ჰეგემონი. ზედამეტებით თუ ზედაკანონებით, დრო – დაღმართზე დაგო-

რებული ბორბალი ვერ ამკვიდრებს მარადიულ არარაობას, რადგან ზღვარდადების ფორმულას ექვემდებარება.

ჩვენი ბედუკულმართი დროის საზოგადოებას სჭირდება „ძლიერი“, ისიც, როგორიც თქვენ ხართ, – გონით ძლიერი.

ვინაიდან ფონს ტრადიციულად მამაცები გადიან, ამიტომ მე მინდა, პირადად გისურვოთ თქვენ წინსვლა: დიდი „სულიერი ჭვრეტის“ გზაზე გასვლის ჭეშმარიტი მომავალი.

მინდა გისურვოთ თქვენი მედგარი და შეუპოვარი ხასიათის ბოლომდე შენარჩუნება.

მინდა გისურვოთ დიდი ხნის სიცოცხლე!

პატივისცემით,

თორნიკე გავშპაია,

პოეტი

დღესაც – პრძოლის ავანგარდში

ადამიანები თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით არა მარტო საკუთარ ბიოგრაფიას ქმნიან, არამედ სხვებზეც ზემოქმედებენ და რაც უფრო მეტია ამა თუ იმ პიროვნებიდან მომდინარე დადებითი აურა, მით უფრო მყარად იკავებს იგი ადგილს ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობაში, როგორც მეგობარი, როგორც თანამეპრძოლი და საიმედო პიროვნება. სწორედ ასეთად გვესახება წალენჯიხელებს ბატონი მურმან ზაქარაია, რომელსაც ამ დღეებში დაბადების 75 წელი შეუსრულდება. ჩვენ მასთან ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დაგვაკავშირა. მოგხესენებათ, ეს მოვლენა საქართველოში წყალუხვ მდინარესავით ერთბაშად არ დაბადებულა. თავისი იდეალებით, პატრიოტიზმით, ინტელექტუალური გაქანებით და ადამიანური სიდარბასისლით სწორედ ბატონი მურმანის მსგავსი პიროვნებები ქმნიდნენ მისთვის სასიცოცხლო ენერგიას, ამიტომაც, მიუხედავად უზარმაზარი წინამდევგობებისა, ჩვენმა პრძოლამ მაინც მიაღწია მიზანს და ზეოდე გამსახურდიას ხელისუფლებამ ისტორიული

მნიშვნელობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს ხელი მოაწერა.

სამწუხაროდ, ქვეყნის გეპოლიტიკური, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის სირთულეებიდან გამომდინარე, მონაპოვარის დაცვისა და თვითრეალიზაციისათვის პრძოლა ისევ გრძელდება. მიუხედავად სიჭარმაგისა, ბატონი მურმანი ამ პრძოლის ავანგარდშია დღესაც, ამაზე მეტყველებს მისი აქტუალური საზოგადოებრივი პოზიცია და უშესანიშნავესი სამეცნიერო გამოცემები, რომლებიც ძალიან ძვირფასი შენაძენია ჩვენი საზოგადოებისათვის.

წალენჯიხელების მხრიდან თაყვანი და მოწინება ბატონ მურმანს არასოდეს არ დაპკლებია, ამჯერადაც მთელი გულით გვინდა მას ჯანმრთელი, ბედნიერი და გამარჯვებული ცხოვრება ვუსურვოთ და, რაც მთავარია, მომავალი იუბილეები მისთვის სანატრელ სოხუმში ყველას ერთად გადაგვეხადოს.

წალენჯიხის ეროვნული
მოძრაობის სახელით:
ელგუჯა გესხია

გადლობა თანადგომისთვის!

1991-1992 წლებში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის შემდეგ პრეზიდენტ ზ.გამისახურდიას მომხრევებზე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა და დაპატიმრებები. ასეულობით ადამიანი იძულებული გახდა, გადახვეწილიყო ქვეყნიდან, ხოლო უმრავლესობა დაპატიმრებულ იქნა და შეთითხნილი ბრალდებებით მოვხვდით სხვადასხვა ვადით ციხეებში. მთელი გარკვეული წლების განმავლობაში ვცდილობდით სხვადასხვა საპროტესტო აქციით ხმა მიგვეწვდინა საერთაშორისო საზოგადოებისათვის, მაგრამ უკანონო ხელისუფლება არანაირ დათმობაზე არ მიდიოდა.

2000 წლის 2-4 თებერვალს ციხის საავადმყოფოში პოლიტპატიმართა 4-კაცინმა ჯგუფმა: კახა ჯიჭონაიამ, ბიძინა გუჯაბიძემ, გოჩა ბიჭაშვილმა და მე, მურთაზ ჯალალონიამ

გამოვაცხადეთ სასიკვდილო შიმშილობა. ჩვენი მთავარი მოთხოვნები იყო: 1. 1991-92 წლების მოვლენების პოლიტიკური შეფასება; 2. საყველთაო ამნისტია; 3. პოლიტიკური მანიფესტი.

იმდროინდელმა უკანონო ხელისუფლებამ ე. შევარდნაძის ხელმძღვანელობით არ ისურვა პოლიტპატიმართა მოთხოვნების შესრულება, სრული იგნორირებით, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაგვნირეს. ხელისუფლებას არაფრად უღირდა იდეური მოწინააღმდეგებების – პოლიტპატიმრების ბედი. ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად აქციის მონაწილეებს მხარი აგვიძეს ავჭალის, რუსთავის, ხონისა და ქსნის კოლონიებში მყოფმა პოლიტპატიმრებმა, კანონიერი ხელისუფლების ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა გურამ აბსანძემ და ამასთან ერთად 10-მა განსასჯელმა, დევნილი უზენაესი საბჭოს წევრებმა, პოლიტმიგრანტებმა. აქციამ ფართო

მასშტაბი მიიღო, რასაც არ ელოდა უკანონო ხელისუფლება.

საქართველოში შეიქმნა საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრი, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები ბატონები მურმან ზაქარაია, მანგული ხუბუა და სხვები. აღნიშნული ცენტრის ძალისხმევით ჩვენი მოთხოვნები გადაეგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციებს და მოუწოდეს მათ, გვერდში დასდგომოდნენ მოშიმშილე პოლიტპატიმრებს.

ამ უთანასწორო ბრძოლაში, რომელიც პოლიტპატიმართა განთავისუფლებით დამთავრდა, განსაკუთრებული როლი ითამაშა ბატონმა მურმან ზაქარაიამ. მან შექმნა გაზეთი „გზა ხსნისა“ და თანამებრძოლებთან ერთად გაბეჭულად უწევდა პროპაგანდას პოლიტპატიმართა მოთხოვნებს და ამხელდა უკანონო ხელისუფლებას.

ბატონო მურმან! ჩვენ, მაშინ შევარდნაძის რეჟიმის მიერ სასიკვდილოდ განწირულები, დღეს ცოცხლები რომ ვართ, ეს თქვენი და თქვენისთანა პატრიოტი, უშიშარი ადამიანების დამსახურება; თქვენ ყოველდღიური ბრძოლითა და შრომით ცდილობდით კანონიერი ხელისუფლების აღდგენას და მისი წარმომადგენლების სიცოცხლის გადარჩენას.

გილოცავთ იუბილეს! თქვენისთანა კეთილ ადამიანებზე დგას ეს ქვეყანა, თქვენ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და გამთლიანებისათვის და ყოველივე ამის გამო კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას.

ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი!

მურმან ზაქარაია,
ყოფილი პოლიტპატიმარი
აბაშა



ნაცვეტები ახალი შრომებიდან

„ფიქრის კაცთა“ ცნობიერი სამყარო რომანში „უტუ მიქა“

(გაგრძელება)



მიუხედავად იმისა, რომ დღესამომდე ლვთიურ განგებულობაში (იდეებში) წვდომა და პრაქტიკაში განხორციელება, მათი ზუსტი ეგზეტიკა (განმარტება) და ცხოვრების საზრისად გაცხადება პრობლემატურადაა გადაქცეული „ამ მარად მშფოთვარე და დაუდგრომელ წუთისოფელში“. რომანში „ფიქრის კაცთა“ ნააზრევები მიმართულია სწორედ ამ მარადიული იდეებისკენ, რომელთა განჭვრეტასაც მიეძღვნა ადამიანური ინტელექტის – გონის გამოვლინების უდიდესი ენერგია და ტემპერამენტი. ამიტომაც ისტორიული რომანის საზრისმატარებელ ღირებულებად და ავტორისეულ მიზანდასახულობად არა იმდენად საკუთრივ ამ ისტორიული ანალების წარმოჩენა და მისი პერსონაჟების გაცოცხლება (უკვდავყოფა, თუმცა არც უმისობა) გვეჩვენება, რამდენადაც კოლხ-იბერული გენოკულტურული სამყაროს გახსნა, მისი ნიჭის (ბუნების) გონებისმიერი შემეცნება.

ავტორი თვითონვე ასახელებს თავისი შემოქმედების გმირთა საზრისმანარმოებელ ფსიქომორალურ წყაროს, როცა წერს: „ათასწლეულების მიღმა რაც უკეთებია ადამიანს, ამას აკეთებდა დღესაც“ (გვ.132) ესაა გენეტიკასთან დრმად შერწყმული სულიერი

და ყოფიერი სამყაროდან მომდინარე ზნეთ-სწავლების შედეგი, რომლითაც საზრდოობს მოდგმის გენოკულტურა და წარმართავს ბოროტისა და კეთილის მარადიულ ბრძოლას. აქ ეკლესიის ქადაგება სიკეთესა და სიყვარულზე ვერაფერს შეცვლის, თუ მისი ქადაგების ეს საგანი თვითონაც არ შეერწყა ამ მითაუამდელ ზნეთსწავლებით სიბრძნეს და ერთხორც და ერთსულ არ შეიკრნენ ისინი.

როცა ერის შიგნით ხდება განცალკევება, მაშინაა, რომ „სოფელი ყრუვდება“ და მას ვერაფერს გააგებინება. მაგრამ საკმარისია მოდგმის გენეტიკიდან მომდინარე ჭეშმარიტი სიყვარულის, მართალი საქმის ძალა აჩვენო, მასში მთელი პოტენციით გაიღვიძებს ღირსების თანდაყოლილი გრძნობა. ე. ი. მას სჭირდება მისი ბუნების (ხასიათის) შესაფერისი **მიზნის დასახვა**. სწორედ აქეთკენაა მიმართული, „ფიქრის კაცთა“ გონება. მთელ შინაგან წინააღმდეგობათა მიუხედავად ისინი მაინც გამოკვეთავენ ასეთ კეთილ მიზანს: შეეპრძოლონ ყოველგვარ უმსგავსობას. როგორც ავტორი გვიხსნის: „ეს უკვე მიზანია და მიზნის მიღწევა მოქმედებას მოითხოვს“ (133). ასეთი გონიერი მოქმედების კაცია მოფიქრალთა ჯგუფის მესამე წევრი – მართალია თოდუა.

* * *

უტუს შინაგანი განცდის წინააღმდეგობრიობის მიუხედავად უყალიბდებოდა მყარი შეხედულება სამართლიან ცხოვრებაზე. ის ეძებდა თანამოაზრებს, რათა დაძლიოს ეჭვები და დაარწმუნოს თავი საკუთარ განააზრთა სიმართლეში. ამ ფონზე მწერალი მაქსიმის სახით გვიხატავს მართალი კაცის სახეს: „მართალია ის კაცია, რომელიც სიმართლისთვის იბრძვის“; მაგრამ იქვე აღნერს მედლის მეორე – საპირისპირო მხარეს: „მართალი ის არის, ვინც უსამართლობას იფანს. ღმერთს მიანდობს თავს და ამქვეყნიერ კეთილდღეობას უარყოფს“ (133), როგორც ამტკიცებენ ზოგიერთებით.

მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაშიც საკითხი დაყენებულია დილემურად, მკვეთ-

რად გამიჯნულად: ან მთელი არსით ვიბრძვი სამართლისა და სამართლიანობისთვის, ან კიდევ, სულაც ყოველივეს დავითმენ მისთვის და ღვთის სამართალს დაველოდები. მოცემულ ვარიანტში დილემურობის მიზეზი იმაშია, რომ ვერ გაგვირკვევია, რა არის თვით ეს სამართალიანობა, რისთვისაც ვიბრძვი ან რისთვისაც ვითმენ.

უტუ ცდილობს, დააჯეროს საკუთარი თავი, რომ ის მართალია თავის აზრებსა და საქმეში. სამართლიანობა მისთვის სიკეთის კეთებაა, უმსგავსობის წინააღმდეგ ბრძოლაა, კეთილგონიერების მოხმობა და მოვალეობის გრძნობის შესაბამისი ქმედება.

მაშასადამე, მისთვის და ყველა „ფიქრის კაცთათვის“ სამართლიანობას და მართალკაცობას ალტერნატივა არა აქვს. მაგრამ ვისთვის რაა სიკეთე და ვისთვის რაა უკეთურობა, ვისთვის რაა ღირსებობა და ვისთვის – უღირსობა, ამის გარკვევაა საჭირო, ვინაიდან მდაბიონიც ჩივიან და მდიდრებიც, – ფიქრობს უტუ. ამ მარადიულ დილემას შესჭიდებია მისი გონება. ის მას მიიყვანს სამართლიანობისთვის ბრძოლის აუცილებლობის იდეამდე. სწორედ მას შესწირავს ის სიცოცხლეს.

კატორდაგამოვლილი უტუ საბოლოოდ რჩმუნდება, რომ **სამართლიანობა და თავისუფლება განუყოფელი არიან**. მათთვის მარადიული ზრუნვა და ბრძოლაა საჭირო. ერთი კონკრეტული აქტით თუ ღონისძიებით, რაგინდ მასშტაბურიც უნდა იყოს ის, ეს პრობლემა არ გადაიჭრება. **სამართლიანობის საფუძველთ-საფუძველი ნების თავისუფლებაა**. ეს საკითხი ბრწყინვალედ გადაჭრა ავტორმა, როცა უტუს სიკეთების წინ, თავისი ერთგული მერანი, ბატონის ტვირთშეუდები, თავისუფლებაზე მიაშვებინა მთავარ გმირს და უკანასკნელი მზერაც ამ თავისუფლების სულის ქროლას მიადევნა.

სამართლიანობის ძიების მარადიული თემის საკითხის გახსნას რეალური ისტორიული პიროვნების – მართალია თოდუას მაღალმხატვრული სახის შექმნით ცდილობს ავტორი.

* * *

რომანში „ფიქრის კაცთა“ მესამე წევრი, სალხინოელი ხელოსანი, მართალია თოდუა, ავტორს გამოყვანილი ჰყავს აკვინისა და საწნახლის მექოებელ დიდოსტატად: „ხისგან აკეთებდა და საოჯახო ნივთებს: მაგიდას, სკამს, **აკვანს, საწნახელს** და ჭურჭელს. თავად-აზნაურებიც

ხშირად სარგებლობდნენ მისი ნახელავით...“ (150) ის გამოირჩეოდა თავისი პატიოსნებით, პრინციპულობითა და მიუკერძოებლობით, ამიტომაც დაიმსახურა სოფელში ნდობა და პატივისცემა. თუ რაიმე სადაცო საკითხი წამოიჭრებოდა, უეჭველად მართალიასთან მიდიოდნენ და გადაწყვეტილებასაც უპირობოდ ასრულებდნენ. მართალი კაცი იყო და სოფელმა მართალია შეარქვა. მისი ადრინდელი სახელი ან უკვე აღარავის ახსოვდა (150). მაშასადამე, სამართლიანობის ძიების, მართალი კაცის სახის დახატვისთვის, გ. სიჭინავას თითქოსდა მზა მასალა ჰქონდა რეალური პიროვნების – უტუ თოდუას სახით, მაგრამ მან, როგორც ეს შეეფერება მაღალ შემოქმედებით ნიჭს, შეძლო ამ სოფლელი რიგითი ხელოსნისთვის ზოგადეროვნული სულის შთაბერვა, მისი ნამდვილი საქმიანობის, მეჭურჭლეობის (მ.კოლხიდელი წერს: „ხელობით მეჭურჭლეო“) ნაცვლად აკვნისა და საწნახლის ოსტატად გამოიყვანა. ამით ავტორმა მისი ბუნებით თანდაყოლილ თვისებებს შესაბამისი ეთნოსოციალური საფუძვლები გაუმყარა. აკვანი და საწნახელი ხომ ჩევრი გენოკულტურის მაფორმირებელ თავურსაწყისთა სიმბოლოა.

ავტორი ზედმინებით ზუსტად გვიხატავს მის მოზომილ, ფრთხილ ბუნებას: „პატარა, უწყინარ სიმართლეს ამბობდა და თავად-აზნაურებიც ამიტომ არ ერეოდნენ მის საქმეში“, მაგრამ ეს „პატარა სიმართლეებიც“ საკმარისი იყო თანასოფლელთა თვალში მართალ და პირშიმთქმელ (უშიშარ) კაცად წარმოჩენილიყო. სინამდვილეში, „მართალია ფრთხილი და წინდახედული კაცი იყო და ამიტომაც ცდილობდა, თავად-აზნაურთა გულისწყრომა არ დაემსახურებინა, სულის სიღრმეში მაღალვდა მათდამი ბოლმას და სიძულვილს“. მან კარგად იცოდა, რომ მთელი უბედურება, რაც ხალხს სჭირდა, მათგან მოდიოდა, მაგრამ მთავარი და დიდი სიმართლის თქმისგან თავს იკავებდა“ (159), ვინაიდან მას მიაჩნდა, რომ უდროოდ ნათქვამი სიტყვა ვერც მას და ვერც ხალხს სიკეთეს ვერ მოუტანდა. ის თვლიდა, რომ ცხოვრებით უკმაყოფილების ზერელედ გამოხატვა (როყიოდ წამოძახება) ქარის გაწევებლვას დაემგვანებოდა, როგორც ამას აკეთებდა სოფლის გიჟი. მაგრამ არც მთლად გაჩუმება და გლეხებს შორის წამოჭრილი სადაცო საკითხების მეტ-ნაკლებად მოგვარებით დაკმაყოფილება შეეძლო მის მართალკაცურ ბუნებას. ამიტომაც

მიმართავდა ეზოპურ-მოიადურ ხერხს, ზღაპრებითა და იგავებით ელაპარაკებოდა ხალხს. ის „გრძნობდა, – წერს ავტორი, – დიდი სიმართლის მოსასმენად მზად არ იყო... ხალხი. ცდას მაინც არ აკლებდა. თხზავდა ზღაპრებსა და იგავებს, ნელ-ნელა აღვივებდა სიმართლისკენ ლტოლვის სურვილს და თანაც ფრთხილობდა... მეტი წამალი სანამლავიაო“, იტყვიდა ხოლმე (159/160). მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ წინ არის ხალხის ცხოვრებაზე ჩაფიქრებული გონიერი ადამიანის ტიპი, რომელიც ცდილობს ასჯერ განსაჯოს, ვიდრე რამეს გადაჭრიდეს. მის ამ ხასიათს ზედმინევნით ზუსტად აგვინერს ავტორი: „გუმანით გრძნობდა მართალია ხალხის სულიერ მდგომარეობას, მათ უმწეობას და იცოდა, ჩანაცრებული კერიდან ერთბაშად ცეცხლს ვერ დაანთებდა, ნელ-ნელა უნდა ეპერა სული, რათა ნაცარში ღრმად ჩაფლული ნალვერდლები როგორმე გაელვივებინა“ (160). ამით ავტორმა დაგვიხატა არა მარტო ორი საუკუნის წინანდელი გონიერი და ფრთხილი გლეხის სახე, არამედ ზოგადი ტიპი იმ ეპოქის ინტელექტუალისა, რომელიც უფრო მეტ დროს ნაცრის სულის ბერვაში კარგავს, ვიდრე ნალვერდლის გაღვივებასა და ცეცხლის დანთებაში...

ავტორის აზრები ამ შემთხვევაშიც, როგორც უტუსა და ვალურიას დიალოგებში, მართალიას ფიქრებს დასტრიალებს. ის ეუბნება ალანიას: „თავდახრილი კაცის ფიქრები მძიმეა... თუ ზოგჯერ მაღლა არ აიხედე, დაგავიწყდება ღმერთი, ყველაფერი ბუნდოვანი და შიშისმომგვრელი გახდება“. ხოლო, თედო ალანიას შეპასუხებაზე, რომ ზევით თუ აიხედავ და თავაწეული ივლი, ჯოხს დაგარტყაშს ბატონი და გეტყვის: „თავი რად აგინევია, რამ გაგათამამაო“, ამაზე მართალია პასუხობს: „მე სხვას გეუბნები, თედო, ფიქრებით უნდა მოსწყდე ხანდახან მინას. მოკლეა კაცის ცხოვრება. ივსება და იცლება იგი“. (162) ამით ავტორი გვახედებს თავის გმირთა ფიქრთა არსში, გვიჩვენებს მათ მიერ ჭეშმარიტი ზეობრივი ღირებულებების ჭვრეტაში აღქმას.

მაშასადამე, ფიქრის კაცთა აზრთა გამა მიმართულია ზეობრივი ღირებულებებისკენ, რომელიც მომდინარეობს ნების პრინციპებიდან. ამ ნების გაღვიძებას ცდილობს მართალია ალანიაში, როცა ეუბნება, ნუ მიიჩნევ შენს პატონს პატრონადო, ისიც ისეთივე მოკვდავია, როგორიც ყმები, მას არ შეუძლია უშენოდ

ცხოვრება, შენ კი მის უიმისოდ თავს უკეთესად გაიტანო. მაგრამ უმთავრესი მაინც მართალიას ბოლო სიტყვებია: „შეშინებულ კაცს ერთს ეტყვიან მხოლოდ: კაცი იყავიო!“ ეს არის არაადამიანური ჩაგვრისგან დახშული ნების კარის გასაღები.

ამდენად, კაცობის ძიებაში არიან ეს „მოფიქრალი“ გმირები, განსაკუთრებით უტუ, რომელიც თვითონ მიდის ყველა იმათთან, ვისაც კაცური კაცის სახელი დავარდნია ამ სოფლად. მან თავის ფიქრებში მშვენივრად გაარკვია, რომ „გრძნობების და განცდების საპირისპიროდ გონების გარდა სხვა წინაღმდგომი ჯებირი არ არსებობს“. ვნებათა ტალღა ამ ჯებირს უნდა მიემსხვრეს და უკუიქცეს. ასე, კანტისეული ზნეობის მეტაფიზიკის ღონეზე გაიაზრებს ავტორი თავის ხალხზე მოფიქრალ გმირთა სულიერ სამყაროს. ისინი, კანტის თქმისა არ იყოს, საკუთარ სინდისთანაც კი იწყებენ კინკლაობას. მაგალითად: უტუ ედავება საკუთარ თავს, რომ ვერაფერს უშველის მართალია თოდუა, მაგრამ გონივრული ხმის მოსმენამ იქნება ოდნავ შვება აგრძნობინოს.

ამდენად, ეს გმირები ეძებენ იმ სიბრძნეს, რომელიც „...საერთოდ მოქმედებაში უფრო მდგომარეობს, ვიდრე ცოდნაში“ (კანტი, 406). შესაბამისად არკვევენ, „თუ რას უნდა ერქვას მართებული“. მათ არავითარი ფილოსოფია არ სჭირდებათ იმის ცოდნისთვის, თუ რა უნდა ქნან, რომ იყვნენ პატიოსანი და კეთილი, უფრო მეტიც, მართალი და სათნოებით აღვსილი. უტუც და მართალიაც იმის ძიებაში არიან, „თუ რისი გაკეთება და რისი ცოდნა მართებს ადამიანს“. უტუ ინსტინქტით ხვდება კანტისეულ ამ მაქსიმას და იმას, რომ ეს „ყოველი ადამიანის საქმეა, მათ შორის, თვით ყველაზე ჩვეულებრივისაც“ (კანტი, 405). ამიტომაც მოითხოვს ის ჩვეულებრივი ადამიანისგან – ფაცურიასგან ღირსეულად მოქცევას, რაზედაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა. ამჯერად უტუს სახელგანთქმული მართალიას სახით ხელში შერჩა ჩვეულებრივი გლეხი. ის არაფრით იყო იმათზე მეტი, ვისაც იგი რჩევა-დარიგებას აძლევდა, ოლონდ სხვაზე გაბედული ჩანდა და ხმამაღლა ამბობდა იმ სიმართლეს, რასაც სხვები შიშის გამო ვერ ამხელდნენ. ამას თოდუაც გრძნობდა, ამიტომ იტყვის: „უხარიათ ის, რომ მე იმას ვლაპარაკობ, რასაც ისინი ფიქრობენ, ამიტომ ამბობენ ჩემზე, მართალი კაციაო“.

ამ მსჯელობებში ეს ორი ხელოსანი კაცი,

ერთი – აკვნისა და საწნახლის ოსტატი, მეორე – მჭედელი, რკინის მომთვინიერებელი, თავიანთი შეგნებით, ავტორს აჰყავს ზნეობის ფილოსოფიის გაგებამდე. „უტუ ამბობს: „პირადი ღირსება თვითონ უნდა მოიხვეჭო თავისი ცხოვრებით“ (359). კანტი კი წერს: რისი ცოდნა და გაკეთება მართებს კაცს, ყოველი ადამიანის საქმეა. მგონი, უტუს მსჯელობა არანაკლებ მკვეთრია, ვიდრე კანტისა.

უტუ ეუბნება მართალიას: „შენ მიერ დარიგებული იმედები ისეთია, უდაბნოში მიმავალ კაცს წვეთი წყალი ჩაუწვეთო გამომშრალ ხახაშიო“ და ამით იმედის მომცემი სიტყვების ნაცვლად პრაქტიკული ქმედებისკენ მოუწოდებს. მართალია პასუხობს: ვიცი, რასაც მეუბნები, მაგრამ შემოდგომაზე დასაკრეფ ხილს გაზაფხულზე არ კრეფენ. საქმეს დრო მოიტანსო და პრინციპში ეთანხმება უტუს მოთხოვნას პრაქტიკულ მოქმედებაზე გადასვლის აუცილებლობაზე. მაგრამ ამასთან ის თავისი სიფრთხილით რაღაცით ენათესავება ვალურიას ცნობიერი სამყაროს პოზიტიურ მხარეს. მართალია შუა რგოლია ვალურიასა და უტუს შორის. მათ ერთ ჯაჭვად კრავს ავტორი....

რამდენადაც ვიცით, „დროის მიერ მოტანილ საქმეს“ სწორედ მართალია წამოიწყებს. თითქოს ამ ორი გლეხის მსჯელობას აფასებსო, კანტი ამბობს: „... შეუძლებელია გაოცება და აღტაცება არ გამოიწვიოს იმან, თუ ჩვეულებრივ ადამიანურ განსჯაში რა დიდი უპირატესობა აქვს პრაქტიკული შეფასების უნარს თეორიულთან შედარებით“ (404) სწორედაც. ამ პრაქტიკული საქმიანობის კონტექსტში მიმღინარეობს „ფიქრის კაცთა“ სააზროვნო-ცნობიერი სამყაროს ფიქრთა დინება. ავტორი საკუთარი და „ფიქრის კაცთა“ გონების ამ დინებაში სრულად ასახავს და წყვეტს ზნეობის მეტაფიზიკის და მორალის ფსიქოლოგიის ურთულეს საკითხებს კოლხ-იბერული გენოკულტურიდან მომდინარე ზნეთასწავლების ფონზე.

ეს ხელოსანი გლეხები თავიანთი გენური ნიჭის წყალობით, ყოველგვარი მეცნიერული თუ ფილოსოფიური ცოდნის გარეშე, სწვდებიან კანტიანური მაქსიმით დაყენებულ საკითხს, რომ „არავითარ მეცნიერებასა და ფილოსოფიას არ საჭიროებს იმისი ცოდნა, რა უნდა ვქნა იმისთვის, რომ ვიყო პატიოსანი და ეტილი ან – უფრო მეტიც – ბრძენი და სათნოებით აღვსილი“... (კანტი, 86). ავტორი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ნაგურუს გამოქვაბუ-

ლში, უტუს სამჭედლოში, სალხინოს ხის ძირას გამართულ დიალოგებში წყვეტს კანტის მიერ დაყენებულ საკითხს: „თუ რას უნდა ერქვას მართებული“. ეს ზნეობრივი პრობლემაა რომანის ცენტრალური საკითხი. ამიტომაც სცილდება „უტუ მიქას“ იდეა კონკრეტული ისტორიული ეპოქის ფარგლებს და იმოსება ღვთიური განგებულობის ნათლით.

გ. სიჭინავამ შეძლო თავისი გმირთა „ქმედებათა ღირებულების გულწრფელი განსაზღვრა“ და მორალისა და ზნეობის საკითხების კანტის გარეშე კანტიანურად გადაწყვეტა: „მორალის საქმებში დასჯერებოდა ჩვეულებრივი გონების მსჯელობას“. მაგრამ კიდევ უფრო დიადურია ის, რომ ავტორმა შეძლო ჩვეულებრივი ადამიანური განსჯა მის პრაქტიკულ განხორციელებაში (მოხმარებაში) არ მოეწყვიტა სიკეთის (ბედნიერების) „მაძიებელი გულუბრყვილობისაგან“; „ფიქრის კაცთა“ განააზრებებით ეჩვენებინა ზნეობის ფილოსოფიის აქსიომატური მოცემულობა, რომ სიკეთე დიდებული რამ არის, ერთი მხრივ, თუმცა, მეორე მხრივ, ძალიან ცუდია, რომ მისი შენარჩუნება ძნელი საქმეა, ცოტუნება კი – იოლი.

* * *

სიკეთის „მაძიებელ გულუბრყვილობას“ ემყარება მართალიას მართებულება. მან იცის თავისი შესაძლებლობა, ამიტომ იტყვის: „რა ვქნა, ჩემი უტუ, ვაკეთებ იმას, რაც შემიძლია... ვიცი, ამით ხალხის ცხოვრებას ვერ შევცვლი“ (359), სამაგიეროდ, მყარადაა დარწმუნებული იმაში, რომ სიბრძლეში სადღაც უნდა ბუუტავდეს პატარა ჭრაქი. უტუს ეს „პატარა ჭრაქის სინათლე“ თავის მოტყუებად მიაჩნია. მას დიდი იმედის ჩამსახავი ენერგია სჭირდება დაბეჩავებულ ხალხში სითამამის გასაღვიძებლად. „სცადე, მართალია ბატონო, თავმოყვარების გრძნობა გაუღვიძო ხალხს“, ამბობს ის და ისევ ფსიქომორალური კონტექსტიდან უდგება საკითხს. მისი აზრით, საერთო ტკივილს საერთო მკურნალობა სჭირდება. ის მართალიას არწმუნებს: „ერთად უნდა ვეძებოთ გამოსავადი, მაგრამ ყველაფერს შეგუებული, მშიშარა კაცი ვერასდროს იპოვის მას“. ამით ავტორი, უტყუარად მეც მარწმუნებს და აღბათ დაკვირვებულ მკითხველსაც, რომ ეს იმედის ჩამსახავი მძლავრი ენერგია ჩვენს ღირსებადათრგუნულ თანამედროვეობას არანაკლებ სჭირდება, ვიდრე უტუს ეპოქის კრიზისში მყოფ ბატონყმურ საზოგადოებას.

მაშასადამე, ავტორი წარმოაჩენს ადამიანური მოვალეობის მკაცრ მოთხოვნათა გამოცოცხლების აუცილებლობას, რათა ღირსების გრძნობა გაუღვიძოს ხალხს, რომ მან ნაბიჯი გადადგას პრაქტიკულ ქმედებათა მიმართულებით, არა მარტო სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით, არამედ ჭეშმარიტი ზნეობრივი პრინციპების განახლებისა და ამოქმედების მიზნითაც. ის მოვალეობის შესაბამისი ქმედების მორალურ საფუძვლებს და წარმოდგენას როდი სჯერდება, რომელსაც საკმარისი ენერგია გააჩნია, რომ გვიპიგოს კეთილი საქციელისა და „ეგზომ დიდი თავგანწირვისკენ“, არამედ ცდილობს მთელი სისრულით წარმოაჩინოს ის მამოძრავებელი ფარული ძალები, რომლებიც ჩვენს ქმედებათა შინაგან უხილავ პრინციპებს განაგებენ. უტუ ეუბნება მართალიას: „როცა დარდი მოგაწვება, ჭკვიანად იყავი, ჩემო ტკივილო-მეთქი, – ასე დავარიგე საკუთარი თავი, ... ვხვდები, რომ ტკივილს არა აქვს ჭკუა“. ეს არაჭკუისმიერი ტკივილია, რომ ჩვენ ქმედებათა უხილავი ნერვებიდან გვიტევს. ამ უხილავ მამოძრავებელ ენერგიას ბედისწერად წარმოაჩენს მწერალი. ის მიხვედრილობასა და გონიერებას ამოუყენა გვერდით და არა პირიქით, ბედისწერას არ დაუმორჩილა ჩვენი არსების (ცხოვრების) საზრისმომცველობა. ამიტომ ეუბნება თოდუას: „საქმეს მიხვედრა უნდა და ცოტა ბედიც უნდა გწყალობდეს ადამიანს“ (360). მაშასადამე, თვითონ ადამიანის გონება და მიხვედრილობაა მთავარი და შემდეგ ცოტა ბედი. ეს „ბედი“ არაა „მოირად“ წოდებული, ადამიანის არსების განმკარგავი „ბედისწერა“. ის იმ უხილავი ენერგიის წყაროა, რომელიც ჩვენს ქმედებათა შინაგან პრინციპებს ასაზრდოებს. ასე რომ, „ფიქრის კაცთა“ იდები შორსაა ფატალობისგან.

ავტორმა შეძლო არა მარტო თვალით ხილულ ქმედებებში გამომუშავებული მორალური ღირებულებების წარმოჩენა, არამედ მთელი სილრმით შეეხო „იმ შინაგან პრინციპებს, რომელიც ჩვენთვის უხილავია“ (კანტი). ხოლო ვალურიას სახეში დადასტურებით გვიჩვენა, რომ ემპირიული კანონებით აპელირება ზნეობის პრინციპებთან მიმართებაში არა მარტო მიუღებელია, არამედ მავნებელიც.

„ფიქრის კაცთა“ სახით ავტორმა წარმოადგინა ცხოვრების მკაცრ რეალობას დაჯახებული, არარეალიზებული მისწრაფებების მატარებელი, ადამიანებზე მოფიქრალი პიროვ-

ნებანი, რომელნიც ცდილობენ ცხოვრებიდან განდევნილი და ქვეცნობიერში დალექილი ამ სურვილების მიერ ადამიანის ფსიქიკაში ფორმირებული პარალელური სამყაროს ამოძრავებას. ამ პარალელური სამყაროს გამოძახილია უტუს დაწუნუნებასავით ნათქვამი: „ბედიც უნდა გწყალობდეს ადამიანს“, „ბედისწერის მჯერა“, „ადამიანი თავის შეცდომის გამო ისჯება“, „პირად ცხოვრებაში არ მიმართლებს“, „ბედნიერება კი მაინც შორს არის ჩვენგან“ და „იმ პატარა კმაყოფილებისთვის დავისაჯე მე. სწორია განვების განაჩენი“. მაგრამ ეს არ განსაზღვრავს უტუს პიროვნულ თავისებურებას, ის სულ სხვა ხასიათის ადამიანია, მისთვის ადამიანი ჯერ საკუთარ თავს უნდა ეკუთვნოდეს, ღირსება ჰქონდეს და ღირსეული კაცის სახელი დაიმკიდროს საზოგადოებაში. „პირადი ღირსება თვითონ უნდა მოიხვეჭოს თავის ცხოვრებით“ (359), მაგრამ აჯანყების ცეცხლის დანთებისთვის აპედ-კვესის მიმწოდებელი გახდა არა უტუ, არამედ მართალია თოდუა.

რომანის ისტორიული არსის გარკვევისთვის



ტრილოგიაში ისტორიზმის საკითხის გა-აზრება მოითხოვს მისი յանრული არსის ზე-დაპირულ წარმოსახვას მაინც. რა თქმა უნდა, ავტორმა თვითონ მოგვცა მისი განსაზღვრა, როგორც ისტორიული რომანისა, მაგრამ, როგორც წინა წერილში ვნახეთ, მოცემულ შემთხვევაში ირღვევა რომანის უმთავრესი საკითხი „კერძო ცხოვრების“ დასურათხატე-

ბისა. წინა პლანზე წამოწეულია არა კერძო ცხოვრების თუ ისტორიულ მოვლენათა რომანტიზაცია, არამედ ცხოვრებაზე მოფიქრალ კაცთა ფსიქომორალურ და ფილოსოფიურ განაზრებთა რეალიზმების საკითხი. ამ თვალსაზრისით რომანის უანრობრივი თვალსაწირი განვრცყობადია. ის მოითხოვს ჩვეულებრივი ისტორიული რომანისთვის დამახასიათებელი ჩარჩოებიდან გასვლას; რომანში კონკრეტული სოციალური ისტორიული მოვლენის - სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ფონზე, მთლიანობაში დანახულია კოლხ-იბერული მოდგმის ერთიანი გენოფსიქოლოგიური სახე, ხალხის სოციალურ-კულტურული მისწრაფებანი და გულისთქმანი.

რომანში „ფიქრის კაცთა“ გონიერებისმიერ წარმოსახვათა შეჯახება-შეპირისპირების კვალდაკვალ წარმოჩნდება „კერძო ცხოვრების“ სურათები, ისტორიის „უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვანი ეპიზოდები და მთლიანობაში აისახება „ხალხის ისტორია“, მისი მატერიალური თუ სულიერი სამყარო. ამიტომ ის (რომანი) ვერ ეტევა ჩვეულებრივი ისტორიული რომანის ფარგლებში. ის რაღაც დოზით მიმსწრაფია ფილოსოფიურ-ზნეობრივი რომანის ტიპისკენ. თუ რომანის ლიტერატურულ ტერმინოლოგიას მოვიმარჯვებთ, ალბათ „რომან-ეპოპეის“ უანრულ არსები თავისუფლად ექცევა. ჩვენ ამაზე ასე დაჯერებით იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ რომანის იდეა მიემართება არა იმდენად კერძო ცხოვრებას, „მარტოკაცის“ არაფრობას ან „განწყვეტილი კავშირების“ შედეგად თავისთავში ჩაყურებულ ინდივიდუალიზმს; ეს და სხვა თემები მთელი რომანისა მისთვის წარმოადგენს ცალკეულ დეტალებს „უტუში“ მრავალმინაურად აღნერილი ხალხის ცხოვრებისა.

რომან-ეპოპეის კიდევ ერთი აუცილებელი მოთხოვნათაგანი: თავდაცვითი ომი, ხალხის კონსოლიდირება ერთიანი მიზნის – სამშობლოს დაცვის ირგვლივ, მოვლენათა დანახვა და აღქმა, ფართო პორიზონტით მთელი ხალხის ბედის ასახვა „ფიქრებში“, ე. ი. გარსმოჯარულ მტერთან თითქოს უპერსპექტივო თავგანწირულ ბრძოლაში ჩაბმული ეთნოსის მთელი ისტორიაა გააზრებული.

ეს ისტორიული რომანი ითავსებს არა მარტო ავტორის პირველსაწყის ჩანაფიქრთა თვითთავადობას, არამედ პირველულობის თვალსაწირიდან დანახულია საზოგადოებრივი (ეთნიკური) და საკაცობრიო პრობლემები.

პიროვნული გამოიკვეთება საზოგადოებრივის ფონზე; საზოგადოებრივის (ეთნიკური, ეროვნული) ფონზე კიდევ – საკაცობრიო.

პრინციპულად მნიშვნელოვანია გ.სიჭინავას ამ ტრილოგიისთვის გამოკვეთილად შესამჩნევი პოეტიკა. რომან-ეპოპეას კიდევ ამ პოეზურობას აუცილებლობადაც კი უყვილებდნენ ხოლმე. ეს პოეზიის სულის შთაბერვაა, ამ ისტორიულ-გარდასულ ცხოვრებას რომ გვიცოცხლებს. ეს გაცოცხლებული ადამიანები კიდევ ჩვენი თანამედროვენი ხდებიან, ერთვებიან ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში და ეპრძვიან „ანტიგონებას“ (იასპერსი).

ამ ისტორიული ტრილოგიის დღევანდებულობასთან სულიერ-მეტაფიზიკური თუ ღირებულებითი კავშირების წარმოჩენის თაობაზე მსჯელობა „ველოსიპედის გამოგონებად“ რომ არ გამომივიდეს, აქ გამოვიყენებდი გ.ნატროშვილის მიერ კონსტანტინე გამსახურდიას „დავით ალმაშენებლის“ მიმართ ისტორიზმის კონტექსტში თქმულს. ის წერს: „... ნათლად ჩანს ახლებური გეგმა ისტორიზმისა და საერთოდ ამ ისტორიულ რომანებში წარსულის ადამიანები – იმავე დროს ჩვენი თანამედროვენი ხდებიან, ისინი აქტიურად არიან ჩაბმული კაცობრიობის დღევანდელ ბრძოლაში...“ (გ.ნატროშვილი, „გაცოცხლებული ისტორია“, „ლიტერატურული საქართველოს“ ბიბლიოთეკა, 311, თბ. 1966 წ.). ზუსტად ასევე გ.სიჭინავამ შეძლო, თავისი მოფიქრალი გმირების ნააზრევებში მოეცა ის ისტორიზმი, რომლის მეოხებითაც მოქმედებაშია ჩვენი გენო-ფსიქოლოგია და უმკლავდება თანამედროვეობის გონიერივ კრიზისს. მან ისტორიულ მოვლენათა მიმდინარეობა დაგვიხატა, როგორც გონითი პროცესი. წარმოაჩინა არა მარტო ადამიანთა ყოფიერების ისტორია, არამედ მეობის საზრისი, შინაგანი თავისუფლება, თვითყოფიერება, გვიჩვენა თვითგანხორციელების გზა, ამიტომ ამ ტრილოგიის რომან-ეპოპეად გააზრება თითქმის ყველა ასპექტით დასტურდება.

ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ შესახებ ერთ კრიტიკულ მსჯელობაში ნათევამის მსგავსად, გ.სიჭინავას ამ რომანშიც „... სწორედ მთელ ხალხის ბედია“ ... დანახული და არა კერძო ცხოვრება ან თუნდაც ლოკალური ისტორიული პროცესები. როგორც ვთქვით, აქ პირველული გამოიკვეთება საზოგადოებრივ ფონზე და პირიქით. ამის მოწმობად თუნდაც მართალიას წინაშე უტუს „ალსარება“ გამოგ-

ვადგებოდა, სხვა მრავალზე რომ არაფერი ვთქვათ. ის ეუბნება მართალიას: „თუ პირად ცხოვრებაში არ მიმართლებს, ეს ღვთისგან არ იქნება, ყოველი ადამიანი თავის შეცდომის გამო ისჯება. მე ჩემი საქმე მაქვს, შენ კი დურგლობით და სამართლიანობით, ჭკუა-გონებით გაითქვი სახელი. ბედნიერება კი მაინც შორსაა ჩვენგანო. მაშასადამე, ბედნიერება მათთვის ამ „კერძო ცხოვრებაში“ კი არაა, არამედ ის შემადგენელი ნაწილია ხალხის ცხოვრებისა, მათი ბედისწერისა, ე.ი. მათი (ამ პერსონაჟთა) ბედი დაკავშირებულია ხალხის ბედთან.

შემოქმედებითი კრიტიკის თვალსაზრისით ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს ავტორი ერთი კალმის მოსმით წყვეტს, როცა უტუს დანანებით ათქმევინებს: „მქონდა საჭმელი, სასმელი, ცოტა ფულსაც მოყუყარე თავი და ერთგვარი კმაყოფილების გრძნობა დამეუფლა. ჩემი ჯიშისა და ჯილაგის ხალხს რომ გავემიჯნე, ოჯახის შექმნაში მომეცარა ხელი. იმ პატარა კმაყოფილებისთვის დავისაჯე მე. სწორია განგების განაჩენი“ (361). მაშასადამე, რომანში დაყენებულია ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხი ისტორიულობის კონტექსტში. საზოგადოებასთან – „საკუთარი ჯიშისა და ჯილაგის ხალხთან“ კავშირის გაწყვიტა დიდ ტრაგიზმად არის აღქმული, რომელიც განგების განაჩენად დაატყდება თავს პიროვნებას. მაშასადამე, ხალხი და პიროვნება, „კერძო ცხოვრება“ და „საზოგადოებრივი ურთიერთობა“ მხოლოდ პარმონიული თანაარსებობით აღწევენ თვითრეალიზებას. ასეთი მიდგომით მწერალმა შეძლო პროეცირება მოქედინა „ნამდვილ ისტორიაზე“, როგორც თავდაცვით ომზე, ასევე სოციალურ (სამოქალაქო) დაპირისპირებაზე, რომელშიც აისახება ხალხის ბედისწერა. ყოველივე ეს ამ ისტორიულ რომანს აყენებს რომან-ეპოპეათა რიგში.

* * *

რამდენადაც რომან-ეპოპეა აღიარებულია რომანის უმთავრეს სახეობად (შ. ჩიჩუა), შეიძლება ითქვას, რომ „უტუ მიქას“ მთელი შინაარსი, მისი ისტორიულობით თუ გამონაგონით, გატარებულია“ მწერლის შემოქმედებით სულში“. რომანში დაყენებულია ადამიანთა ურთიერთმიმართების სილრმისეული პროცესების საკითხი, ისტორიულობის თვალსაზრისით. მათი მხატვრულად გააზრება და განზოგადოება ხდება დროის სამივე განზომილებით.

„უტუ მიქას“ პერსონაჟთა ყოფიერება ივ-სება მათივე საზრის-მომცველობით, ამ ფონზე წარმოიშობა პიროვნული თუ საზოგადოებრივი კონცლიქტები. ყველა ისინი ეძებენ თვითთავადობისა და თვითრეალიზების საშუალებას, როგორც ეს ჩანს უტუს ზემოთ მოხმობილ მონოლოგში მართალიასთან სტუმრობისას. „ფიქრის კაცთა“ იდეები კიდევ მომდინარეობს მათი შინაგანი ბუნებიდან – შინაგანი თავისუფლებიდან. ამ გზით მწერალი აღწევს უდიდეს სულიერ აღმაფრენას. ისტორიულ მოვლენათა და პროცესთა მშრალი ქრონიკების ფონზე, ავტორი ახერხებს ინდივიდუალურ ხასიათთა სრულფასოვნად დახატვას, სოციალური მარად განახლებადი პროცესების მხატვრული შემოქმედების კანონზომიერებათა კონტექსტში მოქცევას; ერთი მხრივ, ისტორიული სინამდვილისადმი პროეცირებას და, მეორეც, გონებისმიერი სუბიექტურ-ზნეობრივი (მორალისტური) პრინციპებისადმი მისადაგებას. ამ გზით ავტორი აღწევს არა მარტო ისტორიზმის პრინციპების დაცვას, არამედ ის აკმაყოფილებს კლასიკური ეპოპეისთვის დამახასიათებელ ყველა ფსიქოეთნიკურ მოთხოვნას.

ამდენად, კონკრეტული ისტორიული მოვლენა რომანში გადმოცემულია არა მხოლოდ, როგორც სოციალური ანტაგონიზმის საფუძველზე წარმომობილი საზოგადოების შიგნით მიმდინარე სხვადასხვა ჯგუფთა ურთიერთგაუცხოებისა და დაპირისპირების შედეგი, არამედ ის ასევე გააზრებულია, როგორც გონითი პროცესი. „ფიქრის კაცთა“ აზრთა დინება სწვდება კოლხ-იბერული გენოკულტურის მთელ სივრცეს სილრმისეულად და, შესაბამისად, ამ ფიქრებსა და ნააზრევებში აისახება ერის (მოდგმის) მთელი ბუნება, ხასიათი, მათი ისტორიული საზრისი. ამიტომაც მივაკუთვნეთ ამ ტრილოგიას ქართველური მოდგმის გენოკულტურის – მითოლოგიის, ისტორიისა და თანამედროვეობის შემოქმედებითად ამ-სახველ ბრნყინვალე რომანებს შორის თავისი კუთვნილი ადგილი, როგორც ისტორიულობის ამსახველი ეპოპეას.

ავტორის უდავო გამარჯვებად მიგვაჩნია ის, რომ მკითხველს, ამ თითქოსდა ლოკალური ისტორიული მოვლენებიდან (როგორიცაა ყირიმის ომიდან მომდინარე, საქართველოში (აფხაზეთ-სამეგრელოში) თურქთა ლაშქრობა და სახალხო თავდაცვით ბრძოლა სამეგრელოში; მისი უშუალო გაგრძელება გლეხთა საყოველ-

თაო აჯანყება) გონების თვალით პირდაპირ ახედებს იმ უძველეს ისტორიულ-გენოკულტურულ შრეებში, სადაც ფორმირდებოდა ჩვენი ბუნება და მებრძოლი ხასიათი.

რომანს რეალური ფაქტების ისტორიზმის პრინციპით აღწერის კვალდაკვალ, მთელ სიგრძე-სიგანეზე გასდევს წმინდა გონისმიერი, სუბიექტივისტური განააზრებები, რომელშიც მთლიანობაში აისახება ერის ისტორიული წარსული. ამ გზით მწერალი ახერხებს, მოვცეს სილრმისეული მთელი ისტორიული პროცესების მხატვრულ განზოგადოება. დავა-კამათი საკითხებზე, დაიღალა თუ არა კოლხ-იბერული მოდგმა საკაცობრიო ისტორიის ორმოტრიალში; შესაძლებელია თუ არა ადამის დროინდელ ამ თიხისგან გამოძერნილ ჭურჭლებში ახალი ოჯალების ჩასხმა, ბოლოს და ბოლოს, ილიასებურად წყდება: რომ ადამიანის გონებას ყველგან მსგავსი გზებით უვლიათ, ერთნაირ (მსგავს. მ.ზ.) შიშასა და საფრთხეში, წარმატებასა თუ წარუმატებლობაში; ერთნაირ (მსგავს) მიზეზებს ერთნაირად გაუტაცნია გონება. ის გვშველის, აღვადგინოთ ახლა დავინუებული აზრი ჩვეულებისა, რომელიც ასულდგმულებდა თვითონ ჩვეულებას (გენოკულტურას, მ.ზ.). ეს კი ხელს უწყობს გაგებას და ახსნას ახლანდელისას (ილია ტ.IV, გვ.88). ილიასავე თქმისა არ იყოს, ავტორმა შეძლო, მითოლოგიის, მეცნიერების, პოლიტიკის ფილოსოფიის საკითხების კონტექსტში გაერკვია ის ყოველივე, „რომელიც ერთად შველიან ისტორიას მის ქვემდებარე საძიებელში“ და ამ ეპოქები მაღალმხატვრულ დონეზე დაადასტურა, „ისტორია სხვა რაა, თუ არა გამორკვევა, თუ არა ახსნა აწმყოსი წარსულისაგან“ (იქვე, გვ.29).

ასე მოვცეა ავტორმა ისტორიზმის ახლებური ჭვრეტა, ძველი ფაქტების გონისმიერი გააზრებებით. თავიანთი ფიქრებით, ეს ისტორიული პიროვნებები თანამედროვენი ხდებიან და ებმებიან დღევანდელ ბრძოლაში „ანტიგონებასთან“. ამის მიღწევა კი შესაძლებელია საკუთარი (მშობლიური) ისტორიის ძლიერი განცდით. აქ ხალხი წარმოდგენილია მთელი მისი „ბედითა“ და „უბედობით, თავისუფლების მოყვარეობით, სიმამაცით, პატრიოტიზმით, მაგრამ ამასთან, მოცემულია ბედუკულმართი ცხოვრების სივაგლახეც. მაშასადამე, რომანებობეა, როგორც მას შეესაბამება, სრულად აკმაყოფილებს მაღალი ჰუმანიზმის მოთხოვნებს და სრულფასოვნად გადმოგვცემს

„ადამიანისადმი იმ ულრმეს და უნაზეს სიყვარულს, რომლითაც მუდამ სავსეა ხალხის გული“ (გ.ნატროშვილი). მაშასადამე, ავტორმა შეძლო ეთნოსის სულიერი კულტურის მთელი მითო-ისტორიული დანაშრევების გამოხმობა, მათი გადამუშავება და შედუღაბება, რომანის ჰუმანურ მუხტში აკუმულირება და ფსიქოზნეობრივი თუ ესთეტიკური გარსის შეკვრა.

რამდენადაც ისტორიზმისა და ჰუმანიზმის საკითხს მივადექით, ისიც უნდა ითქვას, რომ ისტორიის ფილოსოფიის თვალსაზრისით, ჰუმანიზმი ვერ გადაჭრა ისტორიული ველის პრობლემა მხატვრულ შემოქმედებაში (ზოგადადაც), რადგან მან მსოფლიო ისტორიის ცენტრად ადამიანი გამოაცხადა და ის ბუნებას დაუკავშირა, შესაბამისად, უარყო ყოველივე ღვთიური, შემოქმედი ძალა ძირს დასცა, ამით თვით შემოქმედებას გამოაცალა სულიერი ენერგია. გ.სიჭინავა კი შეეცადა ამ ულმერთო ჰუმანიზმისთვის სული – ღვთის შემოქმედებითი ენერგია დაებრუნებინა, როგორც რესპექტაბელური ძალა. ამით მან შეძლო გაეცოცხლებინა ისტორიის სული, რომელიც ჩვენს დღევანდელ ქმედებათა უხილავ პრინციპებს განკარგავს.

ავტორმა შეძლო ადამიანთა (პერსონაჟთა) მიერ საკუთარი ძალების მობილიზებასთან ერთად, ამ წინააღმდეგობით აღსავსე ბედუკულმართ ცხოვრებასთან ჭიდილში მოეხმო სულიერი ნებელობის გამაძლიერებელი, ღვთიური (იმუნური) ძალისთვის, სუბსტანციური სულის ანუ ბედისწერისთვის. ეს საჭიროა, ჯერ ერთი, რომანის შინაგანი დინამიკის, შინაგანი არსის გამოკვეთილად წარმოჩენისთვის; მეორეც – მარადიულად არსებული და გადაუჭრელი პრობლემის – დაპირისპირებულთა ბრძოლის ფონზე, საზოგადოებრივი ერთიანობის აუცილებლობის ღვთიური განსაზღვრულობის წარმოსაჩენად. ეს პრობლემები წარმართავენ ვალურიისა და უტუს დისპუტებს. ადამიანთა საზოგადოებაში არსებული მარადიული წინააღმდეგობების დაძლევისკენაა მიმართული უტუს გულისყური. ის თავისი ფიქრებითა და ძიებებით მიღის ურყევ დასკვნამდე, რომ ინდივიდი თავისთავად ვერასდროს მოიპოვებს რეალურ (პრაქტიკულ) თავისუფლებას – „... მხატვრული ლიტერატურა, ისე როგორც ფილოსოფია, სოციოლოგია, – წერს შ. ჩიჩუა, – თანდათანობით მიღის იმ დასკვნამდე, რომ „მარტო კაცი არაფერია“ (ჰემინგუეი), რომ

ინდივიდი საკუთარ ძალებზე დაყრდნობით ვერასდროს მოიპოვებს ჭეშმარიტ თავისუფლებას” (დასახ. ნაშრომი, გვ.138). უტუ ყოველგვარი ფილოსოფიისა და სოციოლოგიის მოხმობის გარეშე, ხალხურ სიბრძნეთა და ზნეთსწავლებათა გააზრებით მიდის ამ ჰემენგუეისეულ აქსიომამდე, რომ მარტო კაცი არაფრის მაქნისია. ამიტომაც ვერ გამონახა მან საერთო ენა ვალურიასთან. ეს შეუძლებელი იყო: ვალურიას სხვა ცხოვრება ჰქონდა სოფლისგან და ხალხისგან მოწყვეტილს, როგორც მას ახასიათებს ავტორი. უტუ კი ამ პრაქტიკულმა გააზრებებმა მიიყვანა „უტუს ჯარის“ შექმნამდე.

აჯანყების ცეცხლის დანთება კი თანასოფლელების მიერ მართალ კაცად აღიარებულ მართალია თოდუას არგუნა ბედმა. მისი გლეხური ჭუა კიდევ ცხოვრებისეული რეალობებით სულდგმულობდა. ის ეუბნება ჭყონდიდელს, „ჩვენ ყოველთვის ვიხდით ლვთოსას და ბატონისას, სული შეგვრჩა მარტო და ამას ვერავის მივცემთ. ის მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის“ (515). მაშასადამე, მართალია ჭყონდიდელს მიმართავს სახარებისეული შეგონებების სიბრძნით, „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთისა ღმერთს“ და ზედმინევნით გადმოვცემს მაშინდელი სამეგრელოს მშრომელი ხალხის დუხჭირ ცხოვრებას. ამასთან ახერხებს სოციალური უსამართლობით ფიზიკურად წელში განცვეტილი ხალხის ფსიქოზნეობრივი განწყობის გადმოცემას, რომ „სულს ვერავის მივცემთ. ის ღმერთს ეკუთვნისონ“. ამ და სხვა მრავალი მაგალითით დასტურდება, რომ ეს ნამდვილი რეალისტური რომანია, ჰუმანისტური ტილოს უნივერსალური მომწესრიგებლის ინტენსიური მოხმობით. ავტორი გვიხატავს ჰუმანიზმის პანორამულ სურათს, სადაც ინდივიდის სულისა და ხორცის ერთობა წარმართავს ხალხის ნებელობას.

ავტორი ამ გზით ახერხებს, ისტორიის ხანგრძლივი დინების პროცესში დაგროვილი გამოცდილებიდან მომდინარე ცოდნის საშუალებით თავის პერსონაჟებს წარმოაჩინებინოს კოლხური გენოკულტურის გამომსახველობითი ძალა: „მარტო კაცი“ ვალურიას განააზრებებშიც კი შევიგრძნოთ „გრძელი საუკუნეების და ათასწლეულების“ სურნელება, ადამიანთა ფსიქოზნეობრივი და გონიოსაწვდომი სამყარო, რომელშიც დანალექის სახით მოცემულია ძველთაძველი ცივილიზაციის, წარმართობის

თუ ქრისტიანობის დანაშევრები, რომლებიც რწმენისა თუ ტრადიციის სახით ადამიანთა ინტელექტისთვის მიუწვდენია მეხსიერებას.

* * *

„უტუ მიქაში“ ისტორიზმისა და ჰუმანიზმის ასახვის თავისებურებებში მეტ-ნაკლებად გარკვევის შემდეგ, ორიოდე სიტყვით შევეხოთ საკუთრივ ისტორიული მოვლენების მართებულად (რეალისტურად) ასახვის საკითხს, რამეთუ მისადმი მავანთა „კრიტიკულ“, მე ვიტყოდი, მატერიალისტურ-ტენდენციურ დამოკიდებულებაზე წინა ნერილებში უკვე გვქონდა მსჯელობა.

რომანში აღწერილი ისტორიული მოვლენების მიმდინარეობის სივრცობრივი შეზღუდულობის (მხოლოდ სამეგრელოს სამთავრო) მიუხედავად, ისტორიული თვალსაზრისით, ის წარმოადგენდა მაშინდელი რუსეთ-ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის გლობალური პოლიტიკური პროცესების ნაწილს. კონკრეტულად, ასახულია ე. წ. ყირიმის ომი და მისი შედეგი რუსეთის იმპერიისთვის, ამიტომ ავტორი ამ წინააღმდეგობით აღსავს ისტორიას გამადიდებელი შუმით უყურებს სამეგრელოს სანახებიდან.

ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისითაც აღიარებულია, რომ სამეგრელოს ომი და მისი შემდგომი „სამეგრელოს გლეხთა აჯანყება“ წარმოადგენდა XIX საუკუნის შუა ხანების გლობალური პოლიტიკური პროცესების ნაწილს. ერთ-ერთი გამოკვლევის დასკვნაში ნათქვამია: „გარეშე მიზეზად კი (აჯანყების, მ.ზ.) ყირიმის ომის გავლენა სამეგრელოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე და მასთან დაკავშირებით დასავლელობის შუქის შემოქრა სამეგრელოში“ (მ.კოლხიდელი, სახალხო აჯანყება სამეგრელოში..., გვ.87, თბ. 1926).

ამდენად, ავტორმა არა მარტო შეძლო ისტორიული მასალისა და პროცესების გაცოცხლება, ფაქტების კეთილსინდისიერად ასახვა, არამედ მათ შესძინა ახლებური, ზოგადსაკაცობრიო-ჰუმანური ულერადობა. უმტკივნეულოდ მოახერხა სრულიად უკრძალი რიგით გლეხთა სახეების, მათი ცხოვრებისეული მდინარების ერთიანობაში მოქცევა და თვითკმარი იდეის მქონე მხატვრული ტიპაჟების ჩამოყალიბება საკუთარი კონცეფციითა და მიზანსწრაფულობით.

* * *

ამდენად, რომანში მისი ცენტრალური საკითხი „გლეხთა აჯანყება“ წარმოსახულია იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობათა ასპექტში. ავტორი სწორედ ამ ფონზე ხატავს სამეგრელოს (ზოგადად, საქართველოს) მოსახლეობის პატრიოტულ სულისკვეთებას; მიუხედავად გაბატონებული კლასის მხრიდან ზღვარდაუდებელი ჩაგვრისა, როცა სამშობლოს მტერი შემოესევა, ეს გლეხები იარაღით ხელში იბრძვიან თავიანთ მჩაგვრელთა გვერდში. ამ ფონზე ქმნის ავტორი საზოგადოებრივისტორიულ ხასიათთა მთელ გამას, არა მარტო ლიტერატურული ცხოვრების თვალსაზრისით, არამედ მთელი კულტურულ-ისტორიული (გენოკულტურული) თვალთახედვით. მრავალფეროვანი ისტორიული მასალის გამოყენებით მწერალმა შეძლო რეალისტური ისტორიული სურათის დახატვა, მოქმედების ესოდენ ვრცელი სივრცისა, რომელსაც მოიცავდა ეს ე.ნ. ყირიმის ომი, რომლის ერთ-ერთ თეატრს წარმოადგენდა „სამეგრელოს ომი“ – ომერ ფაშას ლაშქრობა აფხაზეთ-სამეგრელოში.

მწერალი შთამბეჭდავად გვიხატავს იმ წინააღმდეგობრივ სიტუაციას, რომელშიც მოექცა ომის გარდაუვლობის წინაშე მდგარი სამეგრელოს მოსახლეობა. ავტორი ასე გვიხატავს იმ ურთულეს წინააღმდეგობრივ სურათს, რომელშიც აღმოჩნდა ბატონთა მიერ უკიდურესად დაჩაგრული ხალხი.

„მეგრულ ლაშქარში ჩოჩქოლი ატყდა. ჯარ ჯაგუფურად დაიყო“ – ეს არაა საპრძოლო ჯაგუფებად დაყოფა, ისინი ამჯერად თავიანთი უბედური ცხოვრების კიდევ უფრო, მოსალოდნელი, გამწარების მოლოდინმა დააჯაგუფა. ყოველივე ამას გარედან შეჰქიცებს უტუ, მაგრამ როცა მას შეკითხვით მიმართავენ: „ჩვენ რა უნდა ვქნათ?“ ის უყოყმანოდ პასუხობს: „– უნდა ვიომოთ. აბა, რისთვის მოგვიყვანეს აქ, თუ იცი? – მე რატომ უნდა ვიბრძოლო, ვერ გავიგე, უტუ პატენი!“ გვალისა ამ სოციალური შეუთავსებლობის სამრეკლოდან დარისხებულ ზარს უტუ სულის შინაგანი ძახილით, უკომპრომისოდ პასუხობს: „სამშობლო უნდა დაიცვა... შენი მიწა-წყალი უნდა დაიცვა... ეს ხომ შენი ქვეყანაა, შენი ოდაბადეა, ძველისძველი მეგრელები შურიბუმუს რომ ეძახდნენ, ისაა. ჩვენს ოდაბადეს ვინ დაიცავს, თუ არა ჩვენ“ (408/9). ასე წყვეტს ავტორი ამ დიდ პრობლემას, ლექსისა რომ არ იყოს, „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“.

ამ თავდაცვითი ომის ასეთი აღნერით მწერალმა შეძლო მთელი შემოქმედების პატრიოტული გრძნობით დამუხტვა. ასე რომ, წარმოაჩინა მშრომელი კაცის (გლეხობის) ორმაგი ჩაგვრის – სოციალური და ეროვნულის სურათი. ავტორმა ზედმეტი დაძაბულობის გარეშე მოახერხა დაეხატა ისეთი სურათი, სადაც თავდაცვითი ომი წარმოადგენს იმ ასპარეზს, სადაც ეროვნული ინტერესი ერთი მიზნის ირგვლივ (სამშობლოს დაცვა) აერთიანებს ქვეყანას. უკან იხევს შეურიგებელი დაპირისპირებულობა. „კერძო ცხოვრება“, პირადი ინტერესები სრულიად შეერწყმიან ხალხის ისტორიას და იქცევიან მის ნაწილად. მთლიანობაში, აისახება მთელი ხალხის ბედი.

ამ დიდი სოციალური კონფლიქტის ფონზე მიმდინარე თავდაცვითი ომის მოქმედებითი აღნერით ხდება ისტორიული სიმართლის მხატვრულ სიმართლედ გარდაქმნა. რომანი ილებს ეპოპეის სახეს.

ავტორის მიდგომა სოციალური საკითხებისადმი კიდევ უფრო სრულყოფილია სწორედ კლასობრივი ურთიერთობის საკითხში. როგორც ზემოთაც ითქვა, ავტორს ზედმეტ სიმკაცრეში სდებენ ბრალს, ამიტომ მოგვიწევს, კიდევ ერთხელ მოვუმოთ „ჯიუტ ფაქტებს“ ისტორიიდან. ზემოთ ციტირებულ მონოგრაფიაში დავითის 11-წლიანი მმართველობა აჯანყების გამომწვევი მიზეზთა-მიზეზთად სახელდება, რომლის გაგრძელებაც ეკატერინეს უანდერძა. ავტორი წერს: „ამდენად, 11 წლის მართვა-გამგეობით (1842-1853) დავითმა ვერ შესძლო დაემსახურებინა სიმპატია და ავტორიტეტი ვერც ერთი წოდებისა, მას ყველა ემდუროდა, მის წინააღმდეგ ფეოდალური წრეები აშკარად თუ ფარულად მოქმედებენ, განსაკუთრებით ქონებრივად გამდიდრების ტენდენციის გამო“ (იქვე, გვ.14). ეს ისტორიულად დადასტურებული დახასიათება სამეგრელოს მმართველისა თითქმის იუველირული სიზუსტით აისახა რომანში. ის ასევე ინარჩუნებს წონასწორობას ყველა სხვა ისტორიული პიროვნების სახის დახატვისას. ავტორი ასევე სკუპულოზულად უდგება დიდ თუ პატარა ისტორიულ ფაქტებსაც. მათი მხატვრულად გარდაქმნისას სრულად სწვდება ცხოვრების საუკუნოვანი წესრიგის რღვევის შინაგან არსს. ამ პიროვნებათა თუ ისტორიულ მოვლენათა მაღალმხატვრულ დონეზე გამოხატვით ის ახერხებს მათ სულიერ სამყაროში წვდომას, მოვლენათა არა მარტო სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით გა-

აზრებას, არამედ მათ ზნეობრივ პრინციპებიდან შეფასებას. ასეთი მიდგომით ავტორმა შეძლო გლეხთა ეს აჯანყება წარმოეჩინა, როგორც იმპერიისთვის ეპოქალური ცვლილების – ბატონუმობის გაუქმების პრელუდია.

ამდენად, ისტორიული საკითხებისადმი ავტორის მიდგომა იმდენად სრულყოფილი და კეთილსინდისიერია, რომ მთელ რიგ შემთხვევაში მხატვრულად დამუშავებული ამ მოვლენების (ფაქტების) წყაროებად გამოყენებაც კი შეიძლება, ის კი არა, შეიძლება უფრო მომგებიანიც იყოს, ვინაიდან ეს მშრალი ფაქტები (მოვლენები) ავტორს დახატული აქვს ამ ქმედებათა ჩვენთვის უხილავი შინაგანი პრინციპების დანაწესით, ნაჩვენებია მათი გონებით საწვდომი სამყარო.

ავტორი სპეციალურად კი არ ამძაფრებს სამეგრელოს სამთავროში არსებულ ვითარებას განუკითხაობისას, არამედ ის მიჰყება ისტორიულად დადასტურებული ფაქტების ლოგიკას, ცდილობს ამ შეუზღუდავი ბოროტების მიზეზთა გახსნას.

უტუს მიერ გენერალ კულუბიაკინისთვის ხალხის ტანჯვის მიზეზთა მუხლობრივად წარდგენის გაცნობაც საკმარისია, დავრწმუნდეთ ამაში. ის მოახსენებდა გენერალს: 1. გადასახადი განუსაზღვრელია; 2. ოჯახები ნაწილდებიან; 3. საკუთრება დამოკიდებულია ბატონთა თვითნებობაზე; 4. საჩივრები იძლევიან მხოლოდ საბაბს ახალი შეურაცხყოფისთვის მომჩივანთა საზიანოდ; 5. გლეხები სამეგრელოში ადამიანები არ არიან (მ.კოლხიდელი, დას.ნაშრ. გვ.44). ამ ისტორიული რეალობის გაცოცხლება დაისახა ავტორმა მიზნად და მან ეს შეძლო.

* * *

მისი შემოქმედებითი გამარჯვებაა ის, რომ მან მოახერხა იმ გლეხების სულიერი სამყაროს წარმოჩენა, რომელთაც ყოველგვარი სოციალური თუ პოლიტიკური უფლებები წართმეული ჰქონდათ. მათგან ჩამოაყალიბა მოფიქრალ და მოაზროვნე ადამიანთა მთელი დასი და გვიჩვენა, რომ ძველთაძველი კოლხური გენოკულტურის შემნახველი და მანარმოებელი სწორედ ხალხია და არა გადაგვარებული, კოლაბორაციონალისტი ზედაფენა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. ამას ადასტურებს უტუს მჭევრმეტყველური სიტყვა, წარმოთქმული გენერალ კოლუბიაკინის „უტუს ლაშქართან“ შევედრის დროს. ის ამბობს: „ომერ ფაშას

ჯარის გასვლის შემდეგ ბატონებმა დაიწყეს ბავშვების მოტაცება და ოსმალეთში გაყიდვა. ჩვენი ბატონები თვით ოსმალებზე უფრო სასტიკი გახდნენ, პირუტყვი უფრო მეტად ფასდება, ვიდრე ჩვენ“ (იქვე, გვ.45). ამ საშინელებას აღწერს მწერალი და ამის გამო მას ბრალი დასდო სამეგრელოს თავად-აზნაურების ზედმეტად გაკრიტიკებაში, ეს უვიცობაა.

შეიძლება ითქვას, რომ მან არათუ გადააჭარბა მაშინდელი სამეგრელოს თავადაზნაურთა კლასობრივი (სოციალური) სახის დახატვაში, არამედ ზედმეტად ფაქტოლოგიურადაც კი აღწერა ის. ზედმიწევნით რეალურად გვიჩვენა მათი ადგილი და როლი აჯანყების გაჩაღებასა და ამ ცხელ კვალზე სამეგრელოს სამთავროს გაუქმების დაჩქარებაში.

ავტორის სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ მან შეძლო მაღალმხატვრულ დონეზე გადაეწყვიტა ჩვენი ისტორიის და ისტორიული რომანებისთვის ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, – ხალხის როლის და ადგილის წარმოჩენა ისტორიის განვითარებაში. რომანის მთავარი საზრისის მატარებელი პერსონაჟები სწორედ რომ ხალხის წიაღიდანაა წამოსული.

ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ მათი უმრავლესობა რეალური პიროვნებები არიან და მათი ცხოვრების შესახებ თითქმის ყველაფერი დეტალურად ახსოვდა ხალხს, არაფერი რომ არ ვთქვათ სასამართლო ოქმებზე, სხვადასხვა წარდგინებაზე („დანოსებზე“), მაღალი წოდების პირთა ახსნა-განმარტებებზე და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ძალზე რთული ვითარების წინაშე დგება ავტორი, ის ან უნდა დაჰყენეს ამ მშრალი ისტორიული ფაქტების მიმდინარეობას და მაშინ უცილობლად დაზარალდება შემოქმედების მხატვრულ-შემეცნებითი მხარე, ან საერთოდ უარი თქვას ამ ისტორიულ რეალობებზე და სრულად ყველაფერი დაუმორჩილოს საკუთარ შემოქმედებით სურვილებს და მაშინ აუცილებლად დაზარალდებს არა მარტო ისტორიულობას, არამედ თვით რეალიზმს, როგორც შემოქმედებითობის მთავარ საზრისის. მაგრამ ეს თითქმის დილემური სიტუაცია მშვენივრად გადაჭრა ავტორმა ისე, რომ შეძლო ისტორიული სახის შენარჩუნება როგორც თვითონ მოვლენისთვის, ასევე საკუთრივ ამ მოვლენათა წარმმართველთუ მონაწილე ყველა პიროვნებისთვის. ამასთან, არც მხატვრულ-შემოქმედებითი მხარე დაუზარალებია და არც რეალიზმს მისდგომია

რაიმე ჩრდილი. მაგალითისთვის, მკითხველის ყურადღებას კიდევ ერთხელ (ჩვენ ზემოთ, „ფიქრის კაცთა“ სახის დახასიათებისას, საკმაოდ შევეხეთ მთავარ გმირთა პიროვნულ ხასიათს) მივაქცევთ მთავარი გმირის – უტუ მიქას პიროვნების ფორმირების ერთი შტრიხის – მჭევრმეტყველების ნიჭის ავტორის მიერ მხატვრულად გააზრებას.

უტუ მიქას, როგორც სახალხო ტრიბუნის, ფორმირებაზე ზემოთ დამონმებული მონოგრაფიის ავტორი წერს: სამჭედლო შეიქმნა უტუსთვის საუკეთესო შეკოლა სალხის ფართე მასის გასაცნობად, მათი რეალური მდგომარეობის აღსაქმელად. თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ მჭედელს პატივს სცემდნენ და სცემენ სამღვდელოების თანასწორად, როგორც საღვთო პირებს, წმ. სოლომონის თანამიმდევრებს (ი. ქობალია), ჩვენთვის ცხადი შეიქმნებაო უტუს პიროვნების ფართო პოპულიზება. ყოველი უბრალო გასაჭირისთვის ხალხი მიმართავდა მჭედელს თავისი პრობლემის ახსნისთვის. მჭედელი ძალაუნებურად უნდა გამხდარიყო გულთმისანი. ამგვარმა ისტორიულმა ტრადიციამ „უტუს მზამზარეულად მისცა მართებული საშუალება, ნათლად წარმოედგინა ხალხის საშინელი სინამდვილე, მისი ჭირი და ვარამი“. ასე ყალიბდება უტუს ცხოვრების ობიექტური, რაციონალისტური მხარე. მაგრამ, როგორც მონოგრაფიის ავტორი გვიხასიათებს, არა-ნაკლებ საინტერესო იყო მისი სუბიექტური, ინდივიდუალური თვისებები. წერა-კითხვის მცოდნე და მჭევრმეტყველი, ის მთელი არ-სებით ემტერებოდა თავგასულ ბატონებს, რომლებიც, როგორც თვითონ ამბობდა თავის სიტყვაში, ბავშვებს იტაცებდნენ და ყიდდნენ, ხოლო ხალხს უფრო უარესად ექცეოდნენ, ვიდრე ომერ ფაშას ოკუპანტი ჯარისკაცები. ამიტომ „ყოველგვარი საშუალებით შურს იძიებდა მათზე თავის თანამოძმეთა საუკუნეებით შეურაცხყოფის გამო“ (იქვე, გვ. 71). მისივე თქმით, რუსის მოხელის მიერ ასეთი დახასიათება აჯანყების ლიდერისა ბევრად არ სცოდავს, უტუს სახელის ხსენება მთელ სამეგრელოში დღესაც პოპულარულია (XX საუკუნის ოცანი წლები), ყოველ მოხუცს შეუძლია მასზე რამდენიმე მაგალითის აღნუსხვა, სადაც ნაჩვენები იქნება თავადაზნაურობასთან შეურიგებელი განწყობის დასადასტურებლად. მათდამი ასეთი მისაბაძი და საანდაზო ნიმუშად ქცეული გმირი დიდი მხატვრულობით, პოე-

ტურად (მოიადურად) გააცოცხლა მწერალმა. მას ახლებური სული შთაბერა, რაც მთავარია, ხალხის წიაღიდან წამოწეული გმირებით არცთუ განებივრებულ მწერლობას შესძინა ნამდვილი სახალხო ლიდერისა და ტრიბუნის ჭეშმარიტი სახე.

უტუსთვის სახალხო ტრიბუნის წოდების „მინიჭებაში“ არც ისტორიოგრაფია და არც მწერლობა რომ არ აჭარბებს, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ზუგდიდის ოლქის მმართველ, სახალხო პოეტს, რაფიელ ერისთავს დედოფალი ეკატერინე მოსთხოვს: „მომიყვანეთ სამეგრელოს რევოლუციის დანტონიო“ (იქვე, გვ. 71). ეს ფაქტი ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ „თამამ“ მოსაზრებასაც ადასტურებს, რომ სამეგრელოს გლეხთა ეს აჯანყება რაღაც შეზღუდული, ღრმად ბატონყმურ ჩარჩოებში ჩაკეტილი მოვლენა კი არ ყოფილა, არამედ ის წარმოადგენდა პოსტბონაპარტისტული ევროპული სახალხო მოძრაობებისა და რევოლუციების ლოგიკურ გამოძახილს. ამიტომ, რაგინდ ირონიულად არ ეთქვა მას ეს ფრაზა, მთემელიც და გამგონიც კარგად გრძნობდა, რომ ამ სახალხო მოძრაობას ასულდგმულებდა ის ზოგადი იდეალები, რომელიც აბობოქრებდა ევროპის კონტინენტს. ხოლო რაც შეეხება ბელადობას – აჯანყების ლიდერობას, საკუთრივ მხედართმთავრულ ნიჭს, უტუ ამ საკითხშიც შესაბამის სიმაღლეზე დგას.

უტუს განკარგულებაში იყო 14000-იანი ლაშქარი. მან შეძლო, ამ სამხედრო საქმეში განუსწავლელი უბირი გლეხებისგან შეექმნა ისეთი ანგარიშგასაწევი ძალა, რომელიც, როცა ჯერი დადგება, შეძლებს, შეებრძოლოს რუსის რეგულარული ჯარის დანაყოფებს. მონოგრაფიის ავტორი აღნიშნავს: უტუ თამამად მიუძღვის წინ ამ ლაშქარს, რაც ნათელს ყოფს მოსაზრებას, რომ ის არ იყო დაშორებული სარდლობის მთავარ მოთხოვნილებებს, რომ მას შეეძლო თანამიმდევრულად დაეცვა წესრიგი და სიმტკიცე ამ „ზღვა ხალხში“. ეს არ გამორჩენია კოლუბიაკინს, რომელიც მეტად გაკვირვებული რჩებოდა უტუს ლაშქრის ამ თვისებებით და მიაწერდა მას დასავლელობის გავლენას (იქვე გვ. 73). მაშასადამე, დასტურდება იგივე მოსაზრება, რომ ამ აჯანყებაზე იდეური გავლენა აქვს დასავლეთს და არა რუსეთს. რათქმა უნდა, აჯანყებას ამ მსოფლმხედველობით წარმართავს მხედარმთავარი, ამიტომაა, რომ ხალხმა მას ადგილობრივი „დადიობა“ არ

აკმარა, არამედ „კეისრობა“ უბოძა და ისევ და-სავლეთს დაუკავშირა. უტუს ჯარის დანახვაზე გაიძახოდნენ, „კეისრის ჯარს გაუმარჯოსო“, მას უზენაესი მმართველის სახელი მიანიჭეს (იქვე, გვ.73, შენიშვნა 1).

ასეთ სიმაღლემდე აიყვანა ის ხალხმა, მისი მაღალნიჭიერებისა და მხედრული თვი-სების გამო, ამიტომ იყო, რომ მიუხედავად მთავარმართებლის – ბარიატინსკის ბრძანებისა, ვერც კილუბიაკინმა და ვერც დიკრუსიმ გაბედეს მისი დაჭრა, სანამ მყარად არ მოიკიდეს ფეხი სამეგრელოში. ისინი ატყობინებდნენ მეფისნაცვალს: „უტუს დაკავება ხელახლა დაბადებს გლეხებში ახალ აღლვვებას“ (74).

ამ ისტორიული ფაქტებისა და მოფიქრალ კაცთა „ტრიოს“ სუპიექტური თუ ობიექტური თვისებების მაღალმხატვრულად აღწერით ავტორმა შეძლო ხალხის სულისკვეთების ჭეშმარიტად გადმოცემა, მის სააზროვნო სიღრმეებში ჩახედვა, მათი გენოკულტურული და ფსიქომორალური საზრისმომცველობის, გონებით საწვდომი სამყაროს წარმოჩენა.

ამდენად, რომანში ეპოქის სულის, სუბიექტური თუ ობიექტური სამყაროს მამოძრავებელი ძალების, საზრისის გამსაზღვრელი ხალხია. ამიტომ ეს ისტორიული რომანი ხალხის სულისკვეთების და მისგან მომდინარე სიმართლისა და სამართლიანობის ათვისების და განვრცობადობის მასშტაბურობით აღბათ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი უნდა იყოს ახალი დროის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ნანარმოების საზრისმანარმოებელი უმთავრესი პერსონაჟები, ისტორიული თუ გამონაგონი, სწორედ რომ ხალხის წიაღიდან არიან გამოსულნი.

ჩვენი შეხედულებით, ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანია ის, რომ ყოველი მათგანი: მთავარი გმირი უტუ, მუდამ მართლის მთემელი – მართალია თუ მითაუმადელი კოლხური სიბრძნის მატარებელი ვალურია, ყველა ისინი, მიუხედავად მათი გლეხური წარმომავლობისა, სრულყოფილი პიროვნებები არიან. მათი „მე“ არ არის შეზღუდული ოდენ თავისი სოციალური შიდა არსით, არა-მედ მათი სააზროვნო ენერგიის პოტენციალი შორს სცილდება კლასობრივი სტრუქტურის მიერ შემოთავაზებულ ურთიერთგანმტიდავ დაპირისპირებულობის ველს, ღრმად იჭრება როგორც საერთო-ნაციონალურ, ასევე ზოგადსაკაცობრიო სივრცეებში. ამის დასტურად

ავტორის მიერ უტუს მიმართ სიტყვაკაზმულად თქმულიც კმარა. ის უტუზე იტყვის: „რკინის მომთვინიერებული ადამიანი სხეულსაც ადვილად ათვინიერებსო, ასე იტყოდა ხალხიონ“.

ამ მოკლე წინადადებაში ავტორმა მოგვცა არა მარტო მთავარი გმირის, – კონკრეტული „მე“-ს ბუნებრივი სახე, არამედ დაკვირვებულ ქართველ მკითხველს აუცილებლად თვალწინ წარმოუდგება მეცნიერულად ყველა საფეხურზე დადასტურებული და საყოველთაოდ აღიარებული მეტალურგის მამამთავარი ხალიბჭანების ტომი; ან კიდევ, მის მენამლეობაზე მსჯელობისას შეუძლებელია არ გაახსენდეს ადამიანთა სხეულის მკურნალი, მედიცინის ეპონიმი მედეა და კიდევ უფრო შორეული, მისი ბუნების წიაღითან შერწყმული, ბალახეულობით წამლობის დიდი მანიპულატორი მამიდა – კირკე, რომელმაც ოდისევსის ამაღა ღორებად აქცია მათი ღორული საქციელის, უფრო უსაქციელობის გამო (ტყუილად არ უწოდა მას ვლ. ალფენიძემ „ღვთისმშობელი“). ამდენად, ავტორმა ერთ წინადადებაში ჩაატია მრავალათასწლიანი ისტორია მეტალურგ-მენამლე ხალიბ-ჭანებისა (ზანების) და მჭედელ-მენამლე ჯვარელი უტუ მიქას ბუნებრივ ნიჭიერებაში გააცნობიერა ის. ამაშია მისი შემოქმედებითი ნიჭის ძალა.

მაშასადამე, მოცემული კონტექსტით ხდება ლიტერატურით ისტორიისა და ისტორიზმის ასახვა. საკუთრივ ლიტერატურისთვის კი (ამ რომან-ეპოპეისთვის) ისტორია (კონკრეტული ფაქტები) მოდელირებას ახდენს მთელი ჩვენი გენოკულტურისას: რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი უნდა ვიყოთ.

მწერალს შეეძლო მზამზარეულად გადმოეტანა ისტორიული ფაქტები და დოკუმენტები, ზეპირსიტყვიერი მოცემულობები, მაგრამ ამას ის ხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში აკეთებს – კონკრეტული ისტორიის მხატვრულად ასახვის პროცესში ახდენს ეროვნული საზრისმომცველობის, გენოკულტურული მოცემულობების წარმოჩენას, მითოლოგიზმებში კი ერის სულიერი სამყაროს აღმასა და სინამდვილის (ჭეშმარიტების) მეტაფორულად გააზრებას... ამასთან, ეპოქის სიტყუაციური ანალიზის მეშვეობით, ამყარებს მსოფლმხედველობრივ (იდეურ) კავშირს ევროპულ რევოლუციურ თუ პოლიტიკურ პროცესებთან და წარმოაჩენს ამ შიდარეგიონალური სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების სახეს. ის მთლიანობაში ასახავს

მოდგმის (ერის) სახის მაიდუნტირებელ სულიერ სამყაროს თანამედროვეობის თვალსაწიერიდან.

რომანში და ისტორიულადაც უტუ გამარჯვებული გმირია. მისი სოციალური ბრძოლის ნაყოფი ჩანს... ბატონებულია გაუქმებულია... ზღვარდაუდებელ ჩაგვრასა და თავგასულობას თავადაზნაურობისას, მართალია, უსამართლო, მაგრამ მაინც დაკანონებული ზღვარი დაედო... ის მოესწრო ყველაზე მთავარს: ხალხის მისადმი უსაზღვრო ნდობის ალდეგენას... სწორედ ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნითა და რუსული რეჟიმისადმი ზეწოლით მოხდა მისი მშობლიური წენდიხის თემის პირველ მამასახლისად არჩევა.

ამდენად, უტუ ნამდვილი სახალხო გმირია, ხოლო ტრილოგია „უტუ მიქა“ – სრულყოფილი

შინ როცა წოდებრივი ზედაფენის ლირსებად ამ ეთნიკური სულიერების შემოქმედი ხალხის მორჩილებაში ყოფნა მიაჩნდათ. სწორად მიუთითებს ავტორი, მათ ამ „ლირსების“ უღირსობის შეგრძნების უნარი არ გააჩნდათო (121). ასე შეძლო ავტორმა მოდგმის ეპოქალური სურათის დახატვა და იმის დადასტურება, რომ ყოველგვარი შემოქმედება მიუთითებს შემოქმედზე... ქართული რომან-ეპოპეის უკანასკნელი მოპიკანი ხომ არ იქნება ეს კლასიკური სტილის ტრილოგია, ამას მომავალი გვიჩვენებს ალბათ.

* * *

ნინა წერილებში (ჟ. „მიჯნა“ N1,2,3; 2020წ.) მეტ-ნაკლებად ვიმსჯელეთ, თუ რამდენად იყო მეთოდოლოგიურად გამართლებული, სხვა-დასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროსა და



რომან-ეპოპეა. თავისი მხრივ, როგორც ლიტერატურული თეორიის თუ კრიტიკის თვალსაზრისით მიღებულია, ეს უკანასკნელი, „რომანი – ეპოპეა ეპოსის მწვერვალია და რეალიზმის უმაღლესი გამოხატულება“ (ა.ჩიჩერინი) მაშა-სადამე, ტრილოგია „უტუ მიქა“ მხატვრული შემოქმედების თვალსაზრისით შეიძლება და-ვახასიათოთ, როგორც ერთ-ერთი „უმაღლესი მიღწევა“, რადგან მასში სრულყოფილადაა აღნიერილი როგორც სათანადო ეპოქის ცხოვრების პანორამა, ასევე ხალხის სულიერი სამყაროს შემოქმედი ძალა, რომელსაც, როგორც ავტორი განმარტავს: რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩევნოთ, ეთნოსის ამ სულიერ ლირებულებებს მაინც ის ბოგანო მასა ქმნი-და... ხალხური გენი ყოველგვარ ვითარებაში მუშაობდა და იღვნოდა; ეს ცხოვრებისეული საზრისის შემოქმედი ადამიანები ქმნიდნენ ეპოქალურ შედევრებს – ეპოსებს, ზღაპრებს, ცეკვა-თამაშებს და ამით ცხოვრებას უფრო საინტერესოს და მომხიბვლელს ხდიდნენ, მა-

სიტუაციაში შექმნილ (დაწერილ) რომანთა საზრისმომცველობის ერთიანობაში – „ტრიადაში“ გააზრების მცდელობა, მათში შემოქმედებითად ასახული, მოდგმის ფიზიგნომიკური ერთობის, ე.ი. ეროვნული ხასიათის, კულტურის სულის, ეპოქათა თავისებურებების სრულფასოვნად გააზრების თვალსაზრისით წარმოჩენა.

გიორგი სიჭინავას ისტორიული რომანის მიმართ ზემოთ თქმული კი შესაძლებლობას გვაძლევს, მთელი სისრულით „შევიგრძნოთ არა მარტო კაცთა სიყვარული, არამედ ღვთიური სიყვარულიც“. ე.ი. უხსოვარი დროიდან მომდინარე, ჩვენში გენეტიკურად მოცემული სიყვარული „მინისა და ცისა“.

ამ რომანებში მხატვრულად გადმოცემული მითის, ისტორიის და სინამდვილის ერთობლიობაში გააზრება მკითხველს მისცემს შესაძლებლობას, არა მარტო შეიგრძნოს მოდგმის სულიერი სამყარო, მისი გულისცემა, არამედ გაერკვეს ამ თვითთავადი გენოკულტურის თანამედროვე კულტურებთან მიმართების

საკითხში. ვინაიდან ეს რომანები, ერთად და ცალ-ცალკე, მათში მოცემული მითო-ისტორიული, ფსიქო-კულტურული თუ ფილოსოფიური გააზრებებით, ღრმად გვახედებენ იმ წინაისტორიულ და ისტორიულ შრეებში, საიდანაც გამოკვეთილად მოჩანს ჩვენი ეროვნული იდენტობის მაფორმირებელი გენოკულტურის თავურსაწყისები, მათ წიაღში „დანალექის“ სახით მოცემული მრავალგვაროვან კულტურათა ანარეკლები.

ამდენად, ამ რომანთა სამერთიანი გააზრებით, მათ წინაშე ვსახავთ განუზომლად დიდ ამოცანას, რომ მთელი სისავსით წარმოჩნდეს ჩვენი ნაციონალური იდენტობის მაფორმირებელი ცნობიერი სამყარო, წინაპართა დიდი საქმეები, ასევე ის ნაკლოვანებანი თუ შეცოდებანი, რომელიც თან სდევდა მათ და აბრკოლებდა განვითარების პროცესს. მაშასადამე, ჩვენ შევძლებთ გავაცნობიეროთ ეროვნული „სულის სიმდიდრე“, – საუკუნეებითა და ათასწლეულებით ფორმირებული ფსიქოზნეობივი და კულტურულ-ცივილიზატორულ მოცემულობათა ნიშნები, რომლებიც უხსოვარი დროიდან დღევანდელობამდე მოუტანია ტრადიციებს და წმინდად ინტელექტუალურ მონაპოვართა (გონით-შემეცნებითი) სახით ჩამოქნილა ისტორიულ-კულტურული პროცესების მიმდინარეობისას.

ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად ამ რომანების ერთიანობაში გააზრება მკითხველს შესაძლებლობას აძლევს, თითოეული ავტორის მიერ თავისი ნაწარმოებისთვის „დაწესებული“ – განსაზღვრული დროის (ეპოქის), სივრცის (მოქმედების შემოსაზღვრული არეალი), კონ-

კრეტული მიზანდასახულობის (თემის, ჟანრის, ფაბულის ჩარჩოებში ჩაკეტილის), თვით ავტორისეული „იდეის“ მიღმა „გაიხედოს“, შეიგრძნოს კონკრეტული ხალხის (გვარის, ტომის, მოდგმის) ყოფიერების არსი, ხასიათი, ასაკი, ტრადიციული თუ სახელმწიფოებრივი (კანონმდებლობითი) წესი და რიგი, რაც მეტნაკლებად გემოვნებით დაწერილი რომანის მიზანს წარმოადგენს, არამედ მასში მოიხელოს „ადამიანის სულის დამოკიდებულება ზოგადი იდეებთან“ (ვ. ვულფი), გახსნას ის „საიდუმლო“, რომელიც ცალკე აღებულ ყოველ მათგანში თავისებურადა მოცემული და ხშირად შეუმჩნეველი რჩება ხოლმე, პოლ ვალერის თქმით: აზრადაც რომ არ მოუვა მკითხველს.

მაშასადამე, ამ რომანების ერთიანობაში გააზრებით, მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა, ჩვენი დღევანდელი ფსიქოკულტურული წყობის მოთხოვნათა კვალობაზე ამოხსნას ის „უფრო ფასეული რამ, ვიდრე ორიგინალობა“ (ვალერი).

ამდენად, ამ რომანების მაღალმხატვრულ ტექსტებში რაციონალიზებული და „განზავებული“ დაფარული არსის ამოხსნისთვის აუცილებელია მათი მითო-ისტორიული და ფილოსოფიური საზრისმომცველობის სიღრმისეულად გაცნობიერება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, გავხსნათ მხატვრულად გადამუშავებულ ურიცხვა ფაქტორთა და მოვლენათა პოტენციური შემოქმედებითი ენერგია, რომლის მეოხებითაც სრულფასოვნად წარმოჩნდება და „გაიზომება“ კოლხ-იბერული მოდგმის „სულის სიმდიდრე“, მთელი მისი გონითსაწვდომი სამყარო.




ეროვნული იდენტობის საკითხი როი ანტიკოლური შეხედულების ფონზე

(წიგნიდან „დავით კლდიაშვილის ახლებურად წაკითხვისათვის“)

26. „მე – შენის“ მიმოქცევის დარღვევა

ვოლტერის თქმით, უნდა მოვერიდოთ იმას, რაც თითქოსდა ძალზე იოლი გასაგებია, ისევე, როგორც იმას, რისი გაგებაც ადამიანებს არ აქვთ (უჭირთ). ამიტომ, ნუ გვგონია, რომ რაც მარტივია (მყითხველისთვის ადვილად აღსაქ-მელი, უფრო ფაპულის თვალსაზრისით), მით უფრო სრულყოფილია შემოქმედება. თითქოსდა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ყურადღების დამძაბავი, გულდასმით წასაკითხი, ტვინის შემფურცხუნებელი ტექსტებით ნაწარმო-ების დატვირთვა. არადა, ამ გადაცემაში სწორედ ასეთი პოზიციებიდან გველაპარაკებოდნენ კლდიაშვილის შემოქმედებაზე.

მგონი, ჩვენ ზემოთ საკმაოდ დამაჯერებლად გავარკვიეთ, რომ დ. კლდიაშვილის სტილისტურად მარტივად (ხალხურთან მიახლოებული) დაწერილი ტექსტები შინაარსობრივად ძალიან დატვირთულია ქვეტექსტებით და სტრიქონებს შორის გასააზრებელი მოცემულობებით.



საერთოდ, მთელი ეს შემოქმედებითი საქ-მიანობა, ზოგადად ინტელექტუალური შრომა,

იმისთვის გვჭირდება, რომ ადამიანები თვითონაც იზრდებოდნენ და სხვებსაც ზრდიდნენ გონიერად. აქ დაშვებული შეცდომები ძვირად უჯდება საზოგადოებას. ამიტომ არის ფასეული კამათი და კრიტიკა ხელოვნებაში.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, მსმენელთა აუდიტორია XXI საუკუნის თაობისგან შედგებოდა, რომელთა ცნობიერებაც ჭეშმარიტების, ზოგადადამიანურ ლირებულებათა, ძიების თვალსაზრისით ახლა ფორმირდება. ამ როტულ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფსიქო-კულტურულ მოცემულობათა ფორმირების თვალსაზრისით წინასწარი განწყობის შექმნას. ამ შემთხვევაში ყოველდღიური სწავლა-განათლებით ყალიბდება არა მარტო ზოგადი ინტელექტი, არამედ „მე“-ს ხასიათიც, რომელიც საბოლოო ჯამში ქმნის სოციუმის სახეს. ამიტომ არის აგრერიგად მოსაფრთხილებელი ეს აუდიტორიები. ასეთ შემთხვევაში უნდა ვუფროთხილდეთ არა მარტო საეჭვო, მით უმეტეს, ცრუ იდეოლოგიურობაზე დამყარებულ მოსაზრებებს, არამედ მათ წინაშე ყოველი ახალი „რაობის“ გახსნაც დოზირებულად უნდა მოხდეს, რათა უმტკიცნეულოდ შეძლონ მიმდინარე როტული პროცესების გაცნობიერება.

რამდენადაც შევხეთ „მე“-სა და „სოციუმის“ ხასიათის ურთიერთმიმართების საკითხს, რამდენიმე სიტყვით ისევ მივუბრუნდეთ გრ. რობაქიძის ზემოთ დამოწმებულ ტექსტს ქართულ ხასიათზე. კონკრეტულად იმაზე გვმართებს დაკვირვება, თუ როგორ და რატომ ირღვევა სასურველი ურთიერთმიმოქცევა „მე-შენისა“; რომელთა დარღვევასაც საბედისწეროს უწოდებს ავტორი. ახსნა ასეთია: „შენის“ დაუდევრობა და „მე“-ს სიფიცხე ბადებს საყოველთაო თავნებობას. ასეთი სიტუაციური ურთიერთმიმართება დიდი ხანია ანადგურებს ერის უდიდესი ძალის-ხმევით მოპოვებულ თავისუფლებას, უბედურება ის არის, რომ მოცემულ შემთხვევაში „შენიც“ და „მეც“ ისევ ჩვენვე ვართ. გარეშე „ის“ ისე მართავს ამ ჩვენებურ „შენ“-ს, რომ მას ავიწყდება თავისი „მეობა“. ამიტომ, რობაქიძის მიერ ზედმინევნით გახსნილი ქართული ხასიათის მთავარი წიშნის „გაახარე-გაიხარეს“ ნაცვლად წინა პლანზე წამოინა „თავნებობამ“ – ჩვენი ხასიათის უკიდურესმა ნეგატიურმა მხარემ.

ასეთ მდგომარეობაში აღმოჩენის შემდეგ მთლიანად მოვექეცით გარეშე „შენი“-ს გავლენის ქვეშ. გაგვისხლტა ხელიდან ქართული ხასიათის სიავეარგე. მის ნაცვლად შემოგვაჩეჩეს, ინტელიგიბელური (გონებით საწვდომი) აღრეული ცნებები, საზოგადოებრივი თეორიათა გაუკულმართებული მინაგვანები.

დამოუკიდებლობისა და თავისუფლების კონკრეტული იდეების პრაქტიკული განხორციელების ნაცვლად, ხელში შეგვრჩა რაღაც აპსტრაქტული ჭეშმარიტების ნაგლეჯი, რომელსაც დემოკრატია ენოდა. ეს იყო „კრიზისული ჭკუის“ ნაყოფი. მათ დემოკრატია ჭეშმარიტებას გაუტოლეს, ხოლო ჭეშმარიტი ლირებულებანი: თავისუფლება, ეროვნული იდენტობა, პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი) დამოუკიდებლობა, სამშობლო და პატრიოტობა პროვინციულობად გამოცხადეს.

თავისუფლებისთვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის პროცესში, ამ უმთავრეს ჭეშმარიტ ლირებულებათა „კანონგარეშე“ გამოცხადება ანადგურებს რობაქიძის მიერ შემოთავაზებულ უმთავრეს ნიშანს ქართული ხასიათისა: „გაახარე-გაიხარე“-ს და ამკიდრებს მის ანტიპოდს: „გავიხარო-გავახარო!“

ამ ხელოვნურად გამოყვანილ სარეველას თვით სახალხო რევოლუციამაც ვერაფერი უყო. „ზრდა“ განაგრძო ოდნავი ევოლუციური ფორმით – ლოზუნგით: „ყველაფერი ჩემგან იწყება“ და ბოლოს მეტამორფოზირდა ყველაფერი „ჩემია-ჩემია“-თი, რომლის განხორციელების „მშვენიერ დღეებს“ განვიცდით.

აი, ასეთი „თეორიისა“ და „პრაქტიკის“ გავლენით იწყებს თავისი ცხოვრების გზას XXI საუკუნის ჩვენი ახალი თაობა. თუკი „პრაქტიკას“ ერთურთის ჩანაცვლების მიზნით კიდევ ერინა-ალმდეგებიან, „თეორია“ სრული გაფურჩქვნის ეტაპზეა და სწორედ ესაა უფრო საშიში, ვიდრე ის „პრაქტიკა“, რომელსაც ახორციელებენ.

ქართული გენოფსიქოლოგიური წყობის (ხასიათის) რობაქიძისეულ ამ უტყუარ ნიშანს „გაახარე-გაიხარეს!“ სანაცვლოდ ქართველის ბუნებაზე ქმნიან თავისებურ ლეგენდებს. მაგალითისთვის მივმართავთ ამ საკითხზე მ. მამარდაშვილის მიერ შემოთავაზებულ გენეტიკური და კულტურულ-ისტორიულ-გააზრებებს.

27. ორი შეხედულება ქართველთა ბუნებაზე

გენიალური მწერლისა და მოაზროვნის მიერ ქართველთა ბუნებაზე შემოთავაზებული ფორმულირებები, რომ „ქართველი თავმომზონეა, აქვს კიდევ უფლება თავმომზონეობისთვის. მას

ფესვი გადგმული აქვს „გაახარე-გაიხარეს“ გენეტიკურ თვისებაში, რაც არის „მთავარი: „ხრტილი ქართული ბუნებისა“; არსი მისი კი ის არის, რომ „შეუწყო ხელი სხვის „ზრდას“ რათა ამით თვითონაც იზრდებოდე“. ამასთან მისი დაჯერებული თქმით, „არც ერთს შვილს... სხვა ერისას არ ძალუძს... იყვეს „ერთგული“, თავდადებული მეორისთვის, სხვისთვის როგორც ქართული ხასიათისა გვთავაზობს ფილოსოფოსი.

მ. მამარდაშვილი წერს: „შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ პირადად მე, რამდენადაც თავს ყოველთვის ქართველად ვგრძნობდი, იმდენადვე ვგრძნობდი თავს არქაულად და უადგილოდ თანამედროვე სამყაროში“ (მერაბ მამარდაშვილი, გვ. 84, თბ., 2007 წ. შემდგ. თ. თიბელაშვილი). მაშასადამე, რობაქიძისთვის, თავმომზონეობის უფლების მქონებელი ქართველი, რომელიც ცდილობს სხვასთან ერთად იზრდებოდეს, მამარდაშვილისთვის **არქაულია და თანამედროვე სამყაროსთვის შეუსაბამო.** დღეს ამ კონცეფციას გვახვევენ თავზე. ამ პრინციპით ზრდან თაობებს. „არქაული“ მოდგრა გამოუსადეგარია თანამედროვეობისთვის.

ასეთ თეორიულ საფუძველზეა აღმოცენებული ჩვენი წამყვანების ცნობიერება, მათი გააზრება კლდიაშვილის შემოქმედების მიმართ. ამიტომაც გავიხადეთ ეს ერთი შეხედვით „უნივინარი“ გადაცემა ფონად ამ პატარა შრომისა. ახლა კი, ისევ მოვუბრუნდეთ მავანთაგან XX ს-ის მეორე ნახევრის საბჭოური ფილოსოფიის ერთ-ერთ მეტრად აღიარებულ მამარდაშვილს.

ის იქვე აგრძელებს: „ქართველობა – ეს არის მშვენიერი, ამაღლებული ლეგენდა ან ლეგენდარული ხატი, რომელიც ჩემთვის ჭეშმარიტიც და რეალურიცაა, – უფრო რეალური, ვიდრე ყოველდღიური რეალობა. ეს, ძირითადად, ფეოდალური რაინდული ხატია“ (XXI ს. მიჯნაზე, მ. ზ.).

მაშასადამე, ავტორმა გაგვიხსნა ჩვენი „არქაულობის“ მთელი ფიზიონომია. ეს არქაული ქართველი ლეგენდაა, – მშვენიერი და ამაღლებული ექსპონატი; არსებული სულიერი რელიგიის სახით, როგორც მრავალი სხვა ლეგენდა გადაშენებულ დიდ თუ პატარა მოდგმებზე. მისი ადგილი არაა ყოველდღიურობასა და რაციონალურ საქმიანობაში. ის არსებობს, როგორც „ფეოდალური ... ხატი“.

სოციალური არსებობის ეს ფეოდალური ფორმა (ხატი) შესაბამება მის არქაულობას. შესაბამისად, ამ საინფორმაციო რევოლუციის ხანაში, მას არა აქვს უნარი ვინმეს გახარებისა.

ამდენად, ეს ორი მიდგომა არის სრულიად ანტიპოდური. სათანადოდ, მათი მიზნებიც ანტიპოდურია. ე. ი. იგნორირებულია რობაქიძისეული იდეა – ქართველის მიერ სხვისი გახსარებისთვის ზრუნვისა, შესაბამისად, თავისი თავისაც; სხვისი გაზრდით საკუთარი თავის „გაზრდისა“. ამის ნაცვლად არქაულობის კონცეფციის შესაბამისი სოციუმი ყალიბდება ფსევდოდემოკრატიული ანტურაჟით. ამაშია სათავე დღევანდელ უკულმართობისა.

რამდენადაც ამ ქართველისთვის ადგილი არ იყო თანამედროვე მოწინავე საზოგადოებაში, მას სამყოფლად და „სანავარდო“ აუშენეს ანტიკვარული სუპერმარკეტი და მიდის გაცხოველებული „შოპინგობა“.

მაგრამ, ამ ფილოსოფიური კონცეფციის ერთგულ მიმდევრებს უნდა შევახსენოთ, რომ უნიჭო გამონაგონი ქართველი ერის „არქაულობის“, „დაბერების“ შესახებ არახალია, ის „მოპარულია“ XIX საუკუნის რუსულ-ევროპულად კარგად განსწავლული „ქართველისგან“, რომელსაც მაშინ ბდლვინი ადინა დიდმა ილიამ.

28. ასი წლის შემდეგ „გაცოცხლებული“ იდეა

ნაროდნიკული ფილოსოფიის (იდეის, მსოფლმხედველობის) მიმართულების მოღვაწე ივანე ჯაბადარი, უურნალ „Северный Вестник“-ის №№9, 10, 1889 წ. თებერვალ-მარტი; თავის წერილში „Письма о Грузии“ წერდა: „საქართველოს ერი მართლა დაბერდა, დაიცალა თავისი ღონისაგან... დღეს აქამდე არ დაუწყია სრული



ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალონე მერმისისთვისო, ...“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 12, თბ., 1987 წ.). ქართული ერის ამ შეფასებაში ორი საკვანძო საკითხია წინ წამოწეული: გერონტოლოგიურ-ქრონოსული და სოციალურ-რაციონალური.

პირველი – გერონტოლოგიური თვალსაზრისით, საქართველოს ერი დაბერებულია, დაცლილია ღონისაგან; ქრონოსის თვალსაზრისით ის **არქაულია**;

მეორე – სოციალურად ვერ ცხოვრობს ინტენსიურად, მისი რაციონულობისთვის; თუმცა ავტორი უშვებს, რომ ერს შეიძლება მერმისისთვის შემონახული ჰქონდეს ენერგია. ამ საკვანძო საკითხების გამო დაატეხა მას ილიამ და მაშინდელმა ინტელექტუალურმა საზოგადოებამ (ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი და სხვები) რისხვა. ის ერთხმად შეფასდა საეჭვო „მეცნიერულ“ დებულებად, შესაბამისად, ეროვნული ნიპილიზმის გამოხატულებად. ასეთია ერის დაბერების – არქაულობის ისტორია. როგორც ვნახეთ, ის დაიბადა იმპერიის დედაქალაქში – პეტერბურგში.

ახლა შევეცადოთ **ნაროდნიკ-ფილოსოფოსის** ამ მოძღვრებას შევადაროთ სსრკ-ს დედაქალაქში რუსულ-ევროპულად ღრმად განათლებულ ფილოსოფოს-ლიბერალის ზემოთ განხილული მოსაზრება ქართველი ერის არსებაზე. ამ შემთხვევაშიც ორი საზრისია წინ წამოწეული.

პირველი – ქართველი არქაულია („თავს... ქართველად ვგრძნობდი... იმდენადვე არქაულად“), ე. ი. დაბერებული ერია; ჯაბადარს იმეორებს.

მეორე – „უადგილოა თანამედროვე სამყაროში“, ეს კი იგივეა, რაც ჯაბადართან გვაქვს: „ვერ ცხოვრობს ინტენსიური ცხოვრებით“, ე. ი. ამ თანამედროვე ცხოვრებაში მისი ადგილი არაა.

ამდენად, ისინი ზედმიწევნით იმეორებენ ერთიმეორეს, უფრო – პირველს მეორე. შესაბამისად, პირველის მიმართ მყარად დამკვიდრებული შეფასება, რომ „ეს დებულება ეროვნული ნიპილიზმის გამოხატულება“, ერთი შესწორებით, „უკიდურესის“ ჩამატებით, სრულად მიესადაგება მეორეს.

კიდევ უფრო საყურადღებოა ის პერსპექტივა, რასაც ისინი სახავენ – ჯაბადარი უშვებს, იქნებ ერს „შეუნახავს თავისი ძალონე მერმისისთვის“; ე. ი. ის თვითონ ერის არსებაში ეძებს „შენახულ“ ძალას. მამარდაშვილი კი დაბეჯითებით იმეორებს, **არქაული და უადგილონი ვართ ამ სამყაროშიო**, ამიტომ მერმისისთვის სახავს მიზანს, თანამედროვენი გავხდეთო. ის წერს: „....ამაში იმასაც ვგულისხმობ, რომ ჩვენ წინაშე დგას ამოცანა, თანამედროვენი გავხდეთ“. მაშასადამე, ამოცანად სახავენ უარყოფას ყოველივესი, რაც ჩვენს გენოკულტურას უწარმოებია, გაუცია და მიუღია.

თანამედროვედ გახდომა აქ გულისხმობს სხვის დამსგავსებას, სხვაში შერწყმას, ამიტომაც მოიქნია მაშინ მათრახი ილიამ, რომლის შეუილ

დღესაც უნდა ესმოდეთ მათ, ვინც ამ უკიდურეს ნიპილიზმს ეროვნულობისას შეუპყრია.

მაგრამ ეს სხვა დიდი თემაა... ამჯერად ამ საკითხზე მსჯელობა იმით გვინდა დავასრულოთ, რომ ქართველი ერის დაბერების ეს ნიპილისტური „დებულება“ ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ გააცოცხლეს და დაუპირისპირეს, მათ მიერვე, რადიკალურ ნაციონალიზმად მონათლულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას 1989 წლის 9 აპრილის შემდგომ კრიზისულ ხანაში.

მამარდაშვილი, ხალხოსნის ამ „გერონტოლოგიური ნიპილიზმით“ აღჭურვილი, ტრიალებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „ხალხოსნურ“ ფრონტში.

მგრი არავითარი რკვევა არ უნდა იმას, რომ ისინი ზუსტად იმეორებენ ერთმანეთს. მათი წყაროც იგივურია – ეროვნული ნიპილიზმი და იმპერიის გარდაქმნაზე ზრუნვა. ამიტომ ილიას განჩინება ვიკმაროთ მამარდაშვილისული „გენიალობის“ შეფასებად, ის სვამს კითხვებს: „ან რა აზრი აქვს ერის სიბერეეს. რას გვიქვიან ერის სიბერე?“ და რიგი მსჯელობების შემდეგ: „აქ სიბერე არაფერს შუაში იქნება, იმიტომ უფრო, რომ სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც კი ყოვლად შეუძლებელია“ (იქვე, გვ.14). ეს მოსაზრება ილიასი მგრი „არქაულ ქართველს“ და მის ადეპტებს უფრო განეკუთვნება, ვიდრე დროურისტ ჯაბადარს, რომელიც, როგორც ილია ბრძანებდა, ხავსს მაინც ეჭიდებოდა. ჩვენ „არქაისტებს“ კიდევ ეს ხავსიც არა აქვთ ხელმოსაჭიდებლად. ესენი, თუ ისევ ილიას დავესესხებით: „...ორიოდე კაცის ნათქვამს უანგარიშოდ, ბრმად გაპყოლიან“, და ყველას და ყველაფერს წუნბენ, გმობენ, თვით თავისუფლების სულის არხახული აფეთქებისა და ერის კონსოლიდაციის შედეგად მოპოვებული დამოუკიდებლობის ჩათვლით. ეს არა მარტო პოლიტიკური უვიცობაა, არამედ მიზანმიმართული ქმედება ეროვნული თვითიდენტობის საკითხში გარკვევის წინააღმდეგ მიმართული.

სამწუხაროდ, „Северный Вестник“-იდან მოპარული ეს ნიპილისტური იდეა, რევანშისტული პუტჩის შემდეგ ძალზე ნოყიერ ნიადაგში მოხვდა. ის, სხვადასხვაგვარად მეტამორფოზირებული, ანგრევს ეროვნული თვითიდენტობის გენოკულტურულ საფუძველს, მთელ კულტუროკაბელობას. ის შობს აბსურდულობით აღსავს ისეთ წმინდად ანარქისტულ „შედევრებს“, როგორსაც გვთავაზობდა მამარდაშვილი, რომ „ყოველი ქართველი ... თავისთავად ცალკე სახელმწიფოა“. რა თქმა უნდა, როცა საზოგა-

დოების ყოველ წევრს თავისთავი სახელმწიფო ჰგონია, ცივილიზაციულ სამყაროში მისი ადგილი არ იქნება. ამის დასადასტურებლად დასჭირდა მას ქართველ კაცზე ამ ლეგენდის შეხებზა.

მან ეს თეზისი „გადმოისროლა“ 1990 წლის სექტემბერში მოსკოვიდან, ხოლო ერთი თვის შემდეგ მას მოაყოლა ზემოთ განხილული გაცოცხლებული თეორია ერის „არქაულობასა და უადგილობაზე“. იქვე ამ ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავალიც დასახა: „ჩვენ წინაშე დგას ამოცანა, თანამედროვენი გავხდეთო“.

მაგრამ რამდენი ხანი დასჭირდება „დაბერებულ“, კულტურულ საზოგადოებაში ადგილის არმქონე „ბარბაროსას“ თანამედროვე ერად გახდომისთვის?

ეს შემოთავაზება ხდება სსრკ იმპერიისთვის გაუგონარი მრავალპარტიული, დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნების ჩატარების კვირაძალზე.

საოცრება მოახდინა საქართველოს მოსახლეობამ და დაადასტურა, რომ მისი ადგილი იმთავითვე იყო ცივილიზაციულ სამყაროში. მაგრამ ფილოსოფოსი აგრძელებდა თავის გზას. კონსოლიდირებული ერის მიერ ერთპარტიული დიქტატის მოშლის შემდეგ, ის მოსკოვიდან გვწერს, „ამჟამინდელი მოთხოვნილება კერპის ყოლისა საბჭოთა სისტემის მსახვრალი გავლენის შედეგია“. მაგრამ ერში, რომლის ყველა სუბიექტი „თვითონ არის სახელმწიფო“, ორ-სამ თვეში როგორ გაჩნდა მოთხოვნილება, „იდოლზე“ – ერთმმართველ დიქტატორზე? განა ერის გენეტიკა შეიცვალა საბჭოური ერთპარტიულობის უარყოფის შემდეგ? აქ საბჭოთა სისტემის აუგად მოხსენიება ფარისევლობა და ცულლუტობა, ის მიმართულია „გარდაქმნილი საბჭოების“ დაცვისაკენ.

ალბათ, მსგავს აბსურდულობებზე უთქვამს, თუ არ ვცდები, აინშტაინს: უსასრულობა და ადამიანის სიბრიყვე არ იზომებაო. საუბედუროდ, მაშინ, გარდამტეს პერიოდში, იმარჯვა „გაუზომელმა სიბრიყვემ“. შეიქმნა მისი შესაბამისი ბრიყული სოციუმი. კი არ ვცხოვრობთ, არამედ ვართ, ვარსებობთ ამ სიბრიყვეში. ვიძირებით სიცრუის ჭაობში და ვძირავთ მომავალ თაობებს. ისინი იზრდებიან ამ უკულმართი „გალამატების“ გავლენით.

უარყოფილ იქნა ქართული ხასიათის წმინდად ეროვნული და გამორჩეულად ჰუმანური ფორმულირება რობაქიძისა: „გაახარე-გამახარე“, როგორც ითქვა, ის ჩაანაცვლეს ჯერ ამპარტავნული – „ყველაფერი ჩემით იწყებათი“, შემდეგ კიდევ ყველაზე უფრო არაადამიანური – ყველაფერი „ჩემია-ჩემიათი“.

* * *

მაშასადამე, დავივინწყეთ ის „რა(ც) უნდა აგონდებოდეს ქართველს“ – როგორც ეს დაგვიბარა ერთ-ერთმა უდიდესმა „ევროპისტმა“ გენიალურმა ქართველმა – გრიგოლ რობაქიძემ. საპირნონედ მივიღეთ საუკუნის წინანდელი დებულება „ერის დაბერებისა“, მოქრილი ფილოსოფოსის თარგზე და განყობილი რუსული „გარდაქმნისეული“ დემოკრატიის ზიზილ-პიპილებით.

მამარდაშვილის მიერ დახატული სახე ქართველისა (მისი საკუთარი) იყო **საპირისპირო პოლუსი ქართველობისა**. საუბედუროდ, მავანნი დღემდე იმყოფებიან ამ საპირისპირო მხარეს ქართული იდენტობისა. სწორედ ამ პოლუსიდან მსჯელობდნენ იმ გადაცემაში ლექტორ-წამყვანები. საერთოდაც, ამ გაუკულმართებული „იდეით“ შეიარაღებული შეჰქერებენ ისინი ცხოვრებას და ასრულებენ ფილოსოფიურ ანდერძს.

მამარდაშვილს აღნერილი აქვს ასეთი ქართველის სახე: „თითოეული ჩვენგანი ცალ-ცალკე ცდილობს თავის გატანას,... რას ნიშნავს „ცალკეობა“, რისგან გამოცალკევებას. Respublica-სგან, ე.ი. საზოგადოებრივი სივრცისგან, საზოგადოებრივი საქმისგან,... ქართველები, „ყველა თავისთვის“, საზოგადოებრივი ინტერესებისთვის ზურგშექცეულნი... ებრძვიან დინებას“ (დასახ. წიგნი, გვ. 95). მაშასადამე, „გავჩდეთ თანამედროვენი“ მამარდაშვილისთვის ნიშნავს: სსრკ-ს მოწყვეტილი, მისგან ზურგშექცეული საზოგადოება ისევ დაუბრუნდეს „გარდაქმნილ რუსეთს“. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ იქ, სადაც „ყველა თავისთვისაა“. „სოციუმი კი არა, წინასაზოგადოებრივი ადამიანი! – ნალდი არქაული ტიპი. ალბათ, ის მითოსური ქართველიც არ იქნებოდნენ ასეთნი, ქეიფს რომ შეყვნენ და ღმერთის მიერ მიწების განაწილებაზე რომ დააგვიანდათ. თორემ ცალ-ცალკე შეიძლებადნენ ძმურად ქეიფს?

ამას წერს ფილოსოფოსი, რომელიც, თუ არ ვცდები, სადღაც ამბობდა, მისთვის ნალდი ფილოსოფოსი პლატონია. ის კი გვასწავლიდა: **ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველიაო.** მამარდაშვილმა, როგორც „პლატონოსოფმა“, ეს ჩვენზე უკეთესად იცის. მაშასადამე, სავსებით შეგნებულად ამოუგდო ქართველებს ამ ფორმულიდან „საზოგადოებრივი“, დავრჩით იმად, რაც ცნება „საზოგადოებრივის“ გარეშე დარჩა. ასეთებისთვის კი თანამედროვე საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, ადგილი არაა.

მაშასადამე, ფილოსოფოსი თანამიმდევრულად ავითარებს ქართველების „ცალცალკეობისა“ და ანტისაზოგადოებრიობის იდეას, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ქართველს

არ აქვს უნარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს (საზოგადოების) ფორმირებისა. შესაბამისად, თანამედროვე თავისუფალ საზოგადოებაში მისი მიღება დაუშვებელია. ამას შეესაბამება მისი მეორე, გაცოცხლებული თუ „მოპარული“ „თეორია“ „არქაული და უადგილო“ ერისა, და ა. შ. სხვა ყბადაღებული თეორიები, რომლებიც ამ „დებულებების“ ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენენ. ასეთია საპირისპირო პოლუსში ყოფნის ფილოსოფია და პრაქტიკა, რომელშიც აღმოჩნდა თანამედროვე სოციუმის ცნობიერი ნაკადი.

ასეთია საპირისპირო პოლუსი ნალდი ქართველობისა, რომლის ცხოვრების საზრისია „გაახარე – გაიხარე“ რობაქიძისეული კონცეპტი.

მაინც როგორ ხდება, რომ ვივინწყებთ ასეთ მაცოცხლებელ სიბრძნეებს, რომელშიც მოდგმის – ერის გულის-გული ფეთქავს? რატომ ავეკიდებით ხოლმე ზემოთ მოყვანილის მსგავს, შეურაცხმყოფელ გალამატიებს, რომელნიც არა მარტო ჩვენი გენეტიკური არსობისთვისაა ყოვლად შეუსაბამო, არამედ თვით ყოველდღიური ცხოვრებისთვისაც მიუღებელია?! რატომ მოხდა, რომ ილიას და ნალდი ერისშვილების მიერ ერთი საუკუნის წინ გამათრახებული და დაგმობილი სულელური დებულება კიდევ უფრო უარეს ვარიანტში გავაცოცხლებინეთ? ის კი არადა, ეს სიბრძისეული მსოფლგანცდის დონემდე ავიყვანეთ და ვანადგურებთ ჩვენ იდენტობას. ეს სიბრძისეულის აპოგეა – თავებდობისა და განუსჯელობის შედეგი. აბა, რა უნდა ეწოდოს იმას, რაც შემოგვთავაზეს ჩვენი ეროვნულ ბუნების დასახასიათებლად?! დღეს ეს აბსურდი სახელმძღვანელო ნორმად უქცევია დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრივ აზრს, „მედასავლურს“ თუ პრორუსულ კოლაბორაციონალურს. ჩვენ ამ დახასიათებაზე ნაწილობრივ კი ვიმსჯელეთ, მაგრამ უპრიანი იქნება, კონცენტრირებული სახით კიდევ ერთხელ მივადევნოთ მას თვალი.

ჩვენ ამ შემთხვევაში თვალსაჩინოებისთვის მოგვყავს მაგალითი მ. მამარდაშვილისგან, როგორც ამ საუკუნოვანი ცრუიდეის გამცოცხლებლის მოსაზრებებიდან, თორემ, სამწუხაროდ, ამ იდეის „მემარჯვენულ“ თუ „მემარცხენული“ სიბრძისეულით გაულენთილია მთელი პუტჩისშემდგომი სოციუმი.

29. აბსურდულობათა მთელი გამა

ფილოსოფოს-პოლიტიკოსი ქადაგებს: „... რამდენადაც თავს ქართველად ვგრძნობ, იმდენად არქაულად და უადგილოდ თანამედროვე სამყაროში“-ი. მაშასადამე, იმ ქართველებისთვის, რომლებიც მამარდაშვილზე „დიდ“ ქართველებად

წარმოგვიდგენია (თუ დაუუშებთ ასეთ პირობი-თობას) მათთვის, საერთოდ, არ ყოფილა ადგილი ამ თანამედროვე სამყაროში. ამასთან უკუპრო-ცესი: რამდენადაც ნაკლებად შეიგრძნობ თავს ქართველად, თურმე მით უფრო მყარად იქნება შენი ადგილი „კულტუროსან“ ხალხთა გვერდით.

კიდევ უფრო „მძლავრ დახასიათებას“ აძლევს ის ჩვენი არსობის თავისებუ-რებას, რომ ამ გონიერ სამყაროში ქართველი „სულ არ საჭიროებს გონებრივ აქტს“. ე. ი. ის ინტუი-ციით ცხოვრობს?! მაშასადამე, შესაბამისად არის აგებული მთელი მის ცხოვრება. „კი არ ცხოვრობდა, არამედ ძლივძლივობით არსებობდა“, წერს ის. იგივურია, რა თქმა უნდა, ერის სულიერ-შემეცნებითი სამყარო. თურმე ჩვენ არ გვყავს (ან ცოტა) „ნამდვილ გონებრივ სიმწიფემდე მიღწეული ადამიანი“, გონებრივ სიმწიფეს მიუღწეული ადამიანი, ე. ი. რაღაც ნეანდერტა-ლელი არსება. ასეთ შემთხვევაში მისი ცხოვრებაც შეესაბამება ნეანდერტალელი ადამიანისას, რასაც იქვე ადასტურებს: „მთელი ჩვენი ენერგია ერის ფიზიკურ თვითშენარჩუ-ნებას ხმარდებოდაო“. საკუთარ ხალხზე ასეთი რამე დაწერო, ან გიურ უნდა იყო, ან მართლაც მოუმწიფებელი.

მგონი, ამ ფორმულაში „ერი“ უადგილოდაა ნახმარი, მხოლოდ ფიზიკური არსებობისთვის მოფიქრალი ალბათ შორს დგას ეროვნულობისა-გან. ამას იქვე ადასტურებს ავტორი. მისი აზრით, ერი, როგორც საზოგადო სოციალური რაობა, არც არსებობს, ვინაიდან საზოგადოებრივი ინ-ტერესებისათვის ზურგშექცეულნი –„არიან და ...განთითოებით ებრძევიან დინებას“.

მათი სიხარულიც არამართლზომიერია, „უკანონო სიხარულია“-თ მათი სიხარული. მან ქართველებს, რომლებიც ყველაფერში უკანონონი არიან, სიხარულში მოსთხოვა კანონი. ჩვე-ნი სიხარული იმიტომა უკანონო, რომ, საბაბი გვაქს თუ არა გვაქს, „ჩვენ მაინც ვიღხენთ და ვქეიფობთ – ისე, უმიზეზოდ“.

მაშასადამე, ჩვენი სიხარულიც უკანონოა – არა ადამიანური. ე. ი. ქართველს მადლი არ დაპ-ყოლია მხიარულებისა. ის უსაბაბოდ იღებენს.

ეს ყველაფერი უდიდესი უმეცრებაა, რო-გორც ყველა სხვა ზემოთ მოხმობილი. თუ მათ შე-ვადარებთ გრიგოლ რობაქიძის იდეას ქართველთა ბუნებაზე, რაზედაც ზემოთ ვიმსჯელეთ, აშკარაა „გახარე-გაიხარეს“ იდეის სრულ ანტიპოდთან გვაქს საქმე.

აი თუნდაც:

ის წერს: უსიხარულო „რეალური ვითარე-ბით გაუმართლებელი და ამდენად, არაკანონი-ერი სიხარულია ქლერა იმ სივრცის, რომელშიც გავჩნდი“. მაშასადამე, მშობლიური სივრცის შეგრძნება და მისით გახარებაც კი აგვიყრძალეს.

ეროვნული ხასიათისადმი ასეთი მიდგომის შემდეგ, როგორიც ასახა თავის ამ ფსევდო-ფილოსოფიურ ოპუსებში ავტორმა, სხვა რა დარჩენია მას თვინიერ მიმბაძველობისა „გან-დიდებულ ხალხთა წინ ქედმალ-ლის ევროპისა“ (ვ. ბარნოვი) და „გარდაქმნილი“ სარკას (რუსეთის) წინაშე ქედმოდრეკისა.

ჩვენდა სამწუხაროდ, პოს-ტპუტჩისტური ფსევდოსოციუმი აჟყოლია ამ ცუდმიმბაძველობას და, გრ. რობაქიძის თქმისა არ იყოს, „ქართული გენია თავის თავს ჭამს, დაიფერფლება, თუ მას, როგორც „თვისებას მოვლა მოაკლდა“ და ზემოთ მოხმობილი სიბრიიყვით ჩავანაცვლეთ თუნდაც ისეთით, რაც ითქვა უმი-ზეზოდ და უსიხარულოდ ლხენაზე.

* * *

გრ. რობაქიძისთვის ის ლხინი, რომელიც მამარდაშვილისთვის უსაბაბოა, წარმოადგენს „ცდა(ს)... საფრთხის აცდენისა“ მისთვის „ქარ-თული ნადიმი,...“ „ქეიფი“ კი არაა უბრალო, ანუ „დროსტარება“. იგი კულტია ნამდვილი, საცა, შეხვედრა კრებულში პოლიტონიური იმართება. ამ „პოლიტონიურობით“ იცდენს ქართველი თავის საფრთხეს: განკერძოებას, განაპირებას, გათიშვას, განდგომას. საკვირველი არაა, თუ რატომ აფასებენ ქართველნი ასე დიდად ნადიმის ხელმძღვანელს: თამადას. „პოლიტონის“ გამ-ყვანელი იგია და როგორც ნამდვილი ხელოვანი. ხელოვანი ყოფის მოგვარებისა, გამჭრიახი გონი, ცოდნა ფსიქოლოგიური ნიუანსებისა ხასიათთა მოზომვა „სმურის“, სიდინჯე, შემარიგებელი ტონი შეხლაშემოხლისას, ტაქტი, ეს უწინარეს ყოვლისა – აი დამახასიათებელი თვისებანი ნამ-დვილი თამიდისა.

ეს სუფრაზე. სახალხო ასპარეზზე? აქაც მმართველი იგივე „თამადაა“, ...იმ განსხვავებით, რომ მას ... საქმე აქვს მთელ ერთან, ... იგი ... მარ-თებულად განთვენს თავის „თავმოსანონ“ ნიჭს, ბუნებისაგან ბოძებულს... ერის ბედის წარმართვაში“ (გრ. რობაქიძე, დასახ. წიგნი, გვ. 26-27). მაშასადამე: ქართული ნადიმი უსაბაბო ქეიფი კი არ ყოფილა (ასეთი რამ მის განმსნავლელ



რუსეთში მოიკითხოს), არამედ ხელოვნება. ქართველები გონებრივ სიმწიფემდე მიუღწეველნი კი არ ყოფილან, არამედ „გამჭრიახი გონი, ცოდნა ფსიქოლოგიური, სიდინჯე, ტაქტი და მასასიათებელი თეოსება ყოფილა ყოველი თამადისა“. ასეთი თამადები ყოველდღიურად ათასობით გამოდიან „ასპარეზზე“. ისინი, სწორედ რომ „გონებრივი აქტის“ მეშვეობით, განაგებენ მთელ ამ „პოლიფონიას“, იცდენენ საფრთხეს. დიდ განზომილებაში, სახალხო ასპარეზზე კიდევ მართებულად განვიხს თავის ნიჭს და წარმართავს ერის ბედს.

ამ გონივრული გააზრებობიდან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ მამარდაშვილისეული „ევანგელიე ქართული“, რომ თითქოსდა ყველა ქართველი ცალკე სახელმწიფოა, ყველა მტრანებელი; არავის აქვს „მომწიფებული“ შეგნება იმ დონემდე, რომ სხვას დაემორჩილოს, გ. რობაქიძის ნადლი ევროპული (დასავლური) აზროვნების წინაშე გაქარწყლდა.

მიუხედავად ამისა, დღევანდელი ფსევდოსოციური აპეიდებია ამ „უნაყოფო, ფუტე მოსაზრებას, შთაბეჭდილების მოსახდენად ტრაგიკულობას ფატუმად რომ უხდის მთელ მოდგმას. მისი თქმით, ის (ერი) მუდამ თავის გადასარჩენად იბრძვის, ამიტომ „ასეთი ერი ტრაგიკულია“; „ტრაგიკულია მისი კულტურაც“. ხოლო ყოველივე ამას „მხიარულ ტრაგიკულობას დავარქმევდი“-ო, და გვიმტკიცებს იმას, რომ ჩვენ ტრაგიკულობის „ალექსი უნარი არ გვაქვს, რადგან გვაკლია „გონებრივი სიმწიფე“, „არ ვსაჭიროებთ გონებრივ აქტს“, „საზოგადოებისადმი ზურგშექცეულნი“ ვართ და ა. შ. რადგან ტრაგიკულობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მით უმეტეს, რაღაც გიურუ, „მხიარულ ტრაგედიაზე“, შევეცადოთ, გავერკვეთ იმაში, თუ რამდენად შესაძლებელია, ტრაგედია იყოს მხიარული.

* * *

ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოთ თქმული ქართველთა ბუნებრივ ტრაგიკულობაზე შორს არის სალი აზრისგან. ერთი ძველი ინგლისელი პოეტის მიერ ადამიანზე თქმულის პერიფრაზით თუ ვიტვით, ჩვენმა ფილოსოფოსმა ქართველი ერის ბედსა და ხასიათზე ისეთი ლაპირინთი შექმნა, რომელშიც თვითონვე გაიძლანდა და აერია გზა-კვალი. აბა, რა უნდა ეწოდოს მის მიერ შემოთავაზებულ ამ აბსურდულ ფორმულირებებს, თუნდაც „მხიარულ ტრაგიკულობას“. ანდა მის მიმბაძველობას ჯაბადარისტულ ნიჰილისტურ „თეორიასთან“, რომელიც გადმოტანილი იყო დრეპერის უსიცოცხლო კონცეფციიდან.

მაშინ, მიუხედავად ილიას მათრახის შხეილისა, ამისთანა ნიჰილიზმია ხელი შეუწყო უსაგნო კოსმოპოლიტიზმის მომძლავრებას, რამაც თვით დიდი ილიაც კი შეინირა.

ამჯერად, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის პროცესში, ფილოსოფოსის მიერ გაცოცხლებულმა ჯაბადარისტულმა „თეორიამ“ ბიძგი მისცა ჯაბაურ ანარქიასა და „პრაქტიკას“. დღემდე ვართ ამ სულიერ ანარქიაში; არც გონებრივი აქტივობა, არც საზოგადოებრივი აზროვნება, არც რაიმე კულტურული ძვრები და ა. შ. სრულად აღსრულებულია იდეა მამარდაშვილისა ერის დაჩაჩანაკებასა და უადგილობაზე „კულტუროსას“ ერებს შორის; მხოლოდ მიმბაძველობის გზა დაგვრჩენია თურმე. მაგრამ ყოველგვარი მიმბაძველობა განწირულია, შედეგად ხელში შეგვრჩება დიდი სისულელეები, რომელთაგან ზოგს მიიღებს ხალხი და ზოგს აუცილებლად გამოუტანს წირვას.

მიღება-არმილების საკითხზე, ლიტერატურულ ტექსტებთან მიმართებაში, ვოლტერს ერთი სახასიათო მაგალითი მოჰყავს: ტრაგიკოს ოტურნის პიესიდან სალ აზრს მოწყვეტილი, ზედმეტად თავაშვებული სცენები ამოილეს, მაგრამ შექსპირის, „იულიუს კეისარში“ ბუფონიადები მეჩემეებისა და ხარაზების ცხოვრებიდან ხელუხლებელი დატოვეს და მიიღო მაყურებელმა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა, მაყურებლის (საზოგადოების) ანტიპოდური დამოკიდებულება ორი, არსით ერთგვაროვანი მოვლენისადმი. ვოლტერი ამ თითქოსდა ალოგიკურ მიმართებას ასე ხსნის: „ეს იმიტომ ხდება, რომ ოტურნის სისულელეები ახალია, ხოლო შექსპირის უგუნიურობანი – ძველი“ (Волтер, Философские сочинения, стр. 161, М. 1988 г.). მაშასადამე, მამარდაშვილის მიერ გაცოცხლებულ ამ ძველი სიბრიყვისადმი ჩვენი ასოციალური საზოგადოების აყოლა და მისი რეანიმირება უარესი ფორმით რაღაცნაირად ახსნადია, მისთვის ყურადღების მიქცევა კი – აუცილებელი.

ამიტომაც დაინტერა ეს სპეციალური თავი, რათა გამოვარკვიოთ დღევანდელი სახე ჩვენი ყოფიერებისა, სულიერი არსობისა, ვნახოთ დღევანდელი მოცემულობა ნამდვილი კულტუროგენობისა.

ამ თვალსაზრისით შევადარეთ ერთმანეთს ორი განსხვავებული შეხედულება გრ. რობაქიძისა და მ. მამარდაშვილისა, – ქართველთა ბუნებაზე, მის ხასიათზე, ცხოვრებისეული წესის მარად მყოფადობასთან კავშირზე. ვინაიდან, როგორც ვოლტერი იტყვის – „მე არ მეგულება უკეთესი საშუალება გემოვნების (რეალობის გაგების, სწორი გააზრების – მ. ზ.) სრულყოფილებისთვის, ვიდრე ერთმანეთს შორის შედარება დიდი ტალანტებისა, რომელებიც ერთსა და იმავე სიუჟეტზე მუშაობენ“ (ვოლტერი, გვ. 170).

ამ შეპირისპირების საზრისი ის არის, რომ როგორც თეატრალურ პიესებშია (ზოგადად

შემოქმედებაში), „გაიმარჯვოს სიმართლეტ და ბოლო მოელოს მანკიერებას (ბინიერებას)“, რო- მელიც ასახიჩრებს ჩვენს იდენტობას.

უდავოდ გვიჩანს, რომ ცხოვრების ის წესი, რომელიც დაინერგა ჩვენში, პოსტუმუტჩჩისტურ ხანაში, აგებულია ისეთ პოსტულატებზე, როგორიც შემოგვთავაზა მამარდაშვილმა: რომ ჩვენ არქაული ჩამონერილი ვართ, შესაბამისად, „უადგილონი“ (ულირსნი) განვითარებულ სამყაროში ყოფნისთვის; რაც მთავარია, როგორც ზემოთ ავხსენით, ასეთივე ბრიყვული თქმით: არ გვყავს ნამდვილი, გონიეროვ სიმწიფემდე მიღწეული ადამიანები. ამიტომაც, გვისახავდა „დიდ ამოცანას“, გარდავქმნილიყავით „გარდაქმნის“ შუქზე და დავლოდებოდით რუსეთის გადემოკრატებას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ფიქრი თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე, სახელმწიფოებრიობაზე და ა. შ.

მაშასადამე, სრულებით უარყოფილია „გაა-ხარე-გაიხარე“-ს რობაქიძისეული ახსნა ქართული ხასიათისა, რაზედაც საკმაოდ ვიმსჯელთ. მხოლოდ იმას დავამატებდით, რომ რობაქიძის მიერ გახსნილმა თვისებამ ჩვენი ხასიათისა და გვანახა, რომ სხვისი ზრდის პროცესში შეგვიძლია თვითონაც ვიზრდებოდეთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციაში. ეს ასეც იყო მუდამ, ამიტომაცაა, რომ იმდენად არ ჩამოვრჩებით თანამედროვეობას, რომ მისი ასავალ-დასავალი დაგვეარგოდა, როგორც ამაში გვარწმუნებდნენ მამარდაშვილები.

ჩვენი არსების უშრეტი წყარო მუდამ იყო „თავის რწმენა“.¹ თუ ეს რწმენა არა გაქვს, ვერ გამოდგები ვერარადო, – იტყვის რობაქიძე.

რომენადაკარგულთა გამონაგონია ზემოთ
განხილული ბრიყვული „თეორიები“ და მათზეა
აგებული ჩვენი დღევანდელი ცხოვრების იდეოგე-
მა. ისინი იცნობენ მხოლოდ ზედაპირს „ქართული
არსებისას“. გრ. რობაქიძის თქმისა არ იყოს: „ეს
„ანამნეზისია“ ნამდვილი – ეს არსება მათვის
„უცხო ხილია“. ის იქვე გვთავაზობს ერთ საინ-
ტერესო შემთხვევას. პეტერბურგში, 1913 წელს,
ილიას ხსოვნის სალამოზე, რობაქიძის მოხსენების
მოსმენის შემდეგ პეტერბურგელი რუსი სტუდენ-
ტი თავის ხარკოველ მეგობარ სტუდენტს უგ-
ზავნის ტელეგრამას, „გ. რ.-ს სიტყვის შემდგომ,
საქართველო თავისუფალი მხარე იყვეს, მე მისი
ქვეშევრდომი გაცხდებოდიო“. ამ რუსის მიერაც
აღიარებული ნიჭიერების ხალხს, თავისუფლების
მოპოვების „კვირაძალს“, ეს ბრიყვული იდიოგემე-
ბის ავტორები ცხოვრების საზრისს უკარგავდნენ
ადამიანებს და არწმუნებდნენ, ნამდვილ გონებრივ
სიმწიფემდე მიუღწეველნი ვართო.

¹ პრ. რობაქიძის (კინგაბა).

დო-კულტურულ გამონაგონებთან, ის კი, რო-
გორც რობაქიძე იტყოდა, „ხრწნის შინაგან ხალხს
და ამყარებს ფსევდოკულტურას, ქართველთა
კულტურა, ასე ინდივიდუალური და ეგზომ უნი-
ვერსალური, ქართული ენის წიაღიდან უნდა აგ-
რძელებდეს თავის ვითარებას. წვდით ცოცხალ
ფესვებს საქართველოსა: მის გენიალურ ენას, მის
უნივერსალურ მითოსს, მის პერიოდულ თავგადა-
საცალს, მის ხალას სტილს სიცოცხლისა, წვდით ამ
ფესვებს და ფესვები არწივის ფრთხებად აგესხმით
და ამ გზით მოიპოვებთ თავისუფლებას. თავისუ-
ფალი, გესმით, რა გულისხმიერი სიტყვაა?! მარჯვი
საქართველოს, თავის თავის უფალს“! მზეგრძელი
იყავ, საქართველო!“

ეს არის ამონარიდი გრ. რობაქიძის მიმართვიდან ერთველი ხალხისადმი. თავისუფლებისათვის ბრძოლის პირობად ფსევდოკულტურის ხრენად გავლენასთან ბრძოლაა გამოცხადებული. მაშინდელმა ახალმა თაობამ შეძლო ამ მიმართვის არსის სწორად აღქმა, შეძლო სწვდომოდა „ცოცხალ ფუსვებს საქართველოისას“, შეენარჩულებონა მისი „გენიალური ენა“, ხალასი ნიჭი ცხოვრებისა, ინდივიდუალობა და ჰეროიკულობა კულტურისა. შედეგად, აღსრულდა წინასწარმეტყველური რჩევა გენიალური მწერლისა: მთელი განვითარებული სამყაროს გასაოცრად საქართველო გახდა — თავის თავის უფალი!

სამწუხაროდ, სულ მაღლე ხრნნადი ფსევდო-კულტურის ამ ჭეუათმყოფელებმა, რომელთაც ზედმინევნით ზუსტად უწოდეს „ნითელი ინტელიგენცია“, რომაქიძისეული თავის თავის უფლობის იდეის ნაცვლად ხალხს თავზე მოახვიეს ზემოთ განხილული სიბრიყეები. დღემდე ვიმყოფებით ამ უკულმართობაში.

* * *

სარტყელის გმირის ფრანც პერელიხის მომავალი საუკუნებისადმი მიმართვის პერიფრაზით თუ ვისარგებლებთ, სასწაულებრივ მოპოვებული „თავის თავის უფლების“ დასამარება მოახდინეს; თავს ლაფი დაისხეს. ჩვენი დღევანდელი ცხოვრება არ იქნებოდა ასე გამოუსწორებლად ცუდი, რომ ამ ადამიანებს არ გაეხრმნათ იგი.

ეს გახდა სოციალური უკუსვლის მიზეზი.

ევრო-პოლულიზმისა და ევრო-სკეპტიციზმის ურთიერთდაპირისპირება ჩვენი ფსევდო-სოციუმის ყალბისქმნადობის ნიშად იქცა! ინტება კულტურის მამოძრავებელი მექანიზმის მოშლა; შესაბამისად, ხდება ქართველთა ფსიქოლოგიური „თავურმდევნის“ ამონირკვა. ისინი აყენებენ რასის გადაგვარების (არქაულობის) საკითხს – საპირნონედ რობაქიძისა, რომ ქართველი (კარდუ) მეტი სიღრმით აცნაურებს მარად მყოფადს. მისი ოქმით: „ზედაში“ ყოფილა: ევროპაც და ქართუ-

ლი მიწაც; თვითონ „ზედაშში“ ქართული ელემენტები უფრო მეტია, ვიდრე ევროპული“ (გრ. რობაქიძე, დასახ, ნაშრ., გვ. 17). ამ ქართულის მეტობას გაუმართეს ბრძოლა. ის „არქაულად“ – გამოუსადეგრად გამოაცხადეს, შესაბამისად, არც ადგილი არგუნეს ამ „განვითარებულ სამყაროში“, რაზედაც საკმაოდ ვიმსჯელეთ.

ამდენად, ეს ჩხრეკა დაპირისპირებულობაზე ქართული ბუნების და ხასიათის გააზრების საკითხში, რომელიც ისედაც გავიჭიანურდა, მინდა დავამთავრო ქართველი მწერლებისადმი რობაქიძის მიმართვიდან ამონარიდის მიმოხილვით, ის წერს: „საქართველო დადგინდება თავის თავად და ეტყვის მსოფლიოს თავის ნამდვილ სიტყვას...“

ჩვენმა სულმა იცის წამება, მაგრამ ჩვენს მხრებს არ მოსხმიათ მელანქოლიის წამოსახსამი, ჩვენმა გულმა იცის ცეცხლი, – მაგრამ ჩვენი ფიქრები ფერფლით არ დამტვერებულან, წამება ჩვენი დიონისეს ვნებაა და ცეცხლი ჩვენი სიცოცხლის გენია...“

30 წლის შემდეგ კი ის ქართველ მწერალთა დიდ ჯგუფს კიდევ ერთხელ აცნობებს თავის გულისნადებს: „ქართული ენის ავტორი კარდჟა არის, ქართველთა მითიური „თაურმდგენი“ – არა ცალკეული, რომელიმე ქართველი. ახლა მოგმართავთ მწერლებო: ხომ გიგრძვნიათ დაძაბულობა კარდჟუსა და თქვენ შორის უამსა ქართული სიტყვის ქმედითი განვენის?! მოიპოვებთ კონტაქტს ამ დაძაბულობის მოშილდვაში, იგემებთ „მარჯს“ – არადა, მაშინ იწვევთ „მარცხს“?... და ასე ყოველ ფენაში ყოფისა“ (გრ. რობაქიძე, იქვე, გვ. 213).

მამასადამე, უნდა გვწამდეს, რომ საქართველო შეძლებს მსოფლიოს უთხრას თავისი ნამდვილი სიტყვა; ამისთვის კი აუცილებელია ახლოს არ გავიკაროთ ბრიყვული გამონაგონი: „არქაული და უადგილო თანამედროვე სამყაროში“. არ გამოვეკიდოთ „მხიარული ტრაგიკულობის“ მსგავს სტილისტურ სიყეუჩებებს და ჩვენი კაცობრიობის ტოლ-სწორი კულტურა ტრაგიკულად არ წარმოვიდგინოთ. შესაბამისად, მის წინაშე დავსახოთ სხვა, უფრო დიდი მიზანი; ავიცდინოთ კულტურის პათოლოგია, რომელიც ემყარება იმ ყალბ ცნობიერებას, რომლითაც ჯაბადარის დროიდან მოყოლებული გვიტევენ ნიჰილისტები.

ეს ყალბი ცნობიერება ამტკიცებს, რომ კულტურა არის მეცნიერებისა და ტექნიკის, ნაწილობრივ მხატვრული სფეროს ნაყოფი (პროდუქტი), უარყოფილია „გონიერი ეთიკური იდეალები“ (შვეიცერი), გენოკულტურის მთელი საზრისმომცველობა. ეს ყალბი ცნობიერება ანგრევს ჩვენს არსობას. ამიტომ გვახსოვდეს ნალი „ევროპელი“ ქართველის გენიალური შეხსენება, რომ ჩვენმა სულმა იცის წამება, გულმა ცეცხლის გზნება;

სულმა მელანქოლია ვერდაიურვებს, ხოლო გულის ნადებს (ფიქრებს) ფერფლი არ მოედება. შესაბამისად, არ უნდა გავიკაროთ იდიოტური მოსაზრება, ისიც „მოპარული“ ჯაბადარისგან, რომ მთელი ჩვენი ენერგია მხოლოდ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას ხმარდებოდა და უნდა ხმარდებოდეს.

მამარდაშვილისეული „მთელი ჩვენ ენერგია“ ფიზიკურ არსებობას რომ მოვახმარეთ, ეს არის ჯაბადარის „ძალ-ღონე“, რომელიც არ გამოუყენებია ერს ინტენსიურად ცხოვრებისათვის და მერმისისთვის შეუნახავს. მაშისადამე, ორივეთაგან ერთი და იგივე აზრია გატარებული. ჯაბადარი იმას მაინც უშევებდა, რომ ეს ენერგია მერმისში იჩენდა თავს; მერაბ ბატონის აზრით კი, მთელი ეს ენერგია ფიზიკური არსებობისთვის შეგვილევია. ვართ ასე, „არქაულნი და უადგილონი“, „გონებრივ სიმწიფემდე მიუღწეველნი“ „არა კომპეტენტურნი“, საბოლოო ჯამში, შესაბამისი დასკვნა: ტრაგიკული ერი ტრაგიკული კულტურით. კიდევ უარესი: მისი თეზისებიდან გამომდინარე, ერიც არა ვართ.

გამოდის, ყოველგვარი იმედი გადაწურულია; ისლა დაგვრჩენია, სხვებს მივებაროთ „გასაკულტურებლად“. სწორედ ეს ამოცანა დაგვისახს ფილოსოფოსმა, – „თანამედროვენი გავხდეთო“, ე. ი. „ველურობა“ დაცემითოთ (კავკასიელთა მიმართ ამ ტერმინის დამკვიდრების ავტორობა ვის ეკუთვნის, ამის შეხსენება, ალბათ, არაა აუცილებელი). თუმცა, ის არც ამ საკითხშია ორიგინალური: თვით სიტყვა „თანამედროვენის“ ჩათვლით. ეს მოსაზრება წამოღებულია ჯაბადარისგან, რომელიც ამბობდა, – „ეს ყოვლად – შემძლებელი ეხლანდებობაო...“ და ამოცანად სახავდა, ქართული ინტელიგენცია შერწყმოდა „კაცობრიობის აზრთა ყოვლად–შემძლებელ წყაროს!“

მაშინ ილიამ ამ „პროგრესიული“ აზრის წყარზე აშკარად მიუთითა, რომ ეს იყო შენილბული სლავიანოფილობის ნაყოფი. „მარტო იგი ნანილი ამ მოძღვრებისა (სლავიანოფილების), რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულია“ (ილია ჭავჭავაძე, იქვე, გვ. 18). აი, ამ თავის დროს ყველას გან სასაცილოდ აგდებულ და საბჭოური „გარდაქმნის“ კვალობაზე პერიფრაზირებულ ფსევდოიდეას უსახავდა მამარდაშვილი სამიზნედ ეროვნული თავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხს. ასეთი სიყალბის მიზანს მაშინ ილია ასე ხსნიდა: „ავტორს სურს, ქართული ენა არიულის, სემიტურის და თურანულის ნაბიჭვრად გაპხადოს ჩამომავლობით, და ღირსებით ხომ თითქმის მინასთან გაასწოროს, როგორც ყველაფერი, რასაც კი ქართული სახელი ჰქვიან“ (იქვე, გვ. 66). მამარდაშვილის მიერ გაცოცხლებულმა ამ იდეოლოგიზებულმა „არქაულისა და უადგილობის“ პასკვილმა მხოლოდ ზიანი მიაყნა ყოველივე

იმას, რაც დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის სახელით კეთდებოდა.

ამიტომ გინებითა და წიოკით კი არ ავიკლოთ წარსული, რომელზეც უარის თქმა, როგორც ილია აბბობს: „მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისასაც“ (ილია ჭავჭავაძე, იქვე, გვ. 165), არამედ გვახსოვდეს „თავურმდგენი“ ჩვენი კოლხიძერული მოდგმისა, მისი ერისა, კულტურისა, რწმენისა. ვესწრაფოთ მის „ქმედით განვენას“ ჭეშმარიტად კულტურისან სამყაროში. ამით მოვიპოვებთ, უფრო სწორად, აღვადგენთ იმ კონტაქტს, რომელიც როგორც მატერიალური კულტურის, ასევე სულიერ-შემეცნებითი თვალსაზრისით აკავშირებს ჩვენი მოდგმის გენოკულტურას, მონინავე ცივილიზაციებთან. მაშინ აშკარად გამოჩენდება, რომ არც ერია ოდენ ტრაგიკული და არც მისი კულტურა.

ქართული მოდგმის პერიოდული ისტორიული ტრაგიზმი მაღალკულტურულობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია. საერთოდაც, ის თავისთავადობისთვის, თავისუფლებისთვის, ლირსულად ცხოვრებისთვის ბრძოლის ხასიათში მოცემულობის გამოხატულებაა. მაგრამ, მთლიანობაში, არ შეიძლება ერის არსებობის საზრისი ტრაგიკულობა იყოს, მაშინ ისიც უნდა დაგვეშვა, რომ ერი კომიკურია, თუმცა მგონი ამასაც უშვებს ის, როცა შემოგვთავაზა აბსულული – „მხიარული ტრაგიკულობა“, როგორც ერის ხასიათის განმსაზღვრელი ცნება.

მაგრამ თუ მაინც დავუშვებთ ასეთ მიმართებას გენოკულტურასთან დაკავშირებით, ტრაგიკულისა და კომედიურისა გააზრებას ერის არსობაში, მაშინ ის უნდა განვსაჯოთ მათი ლიტერატურულ-შემოქმედებითი წარმოდგენების კონტექსტში, რათა დავრწმუნდეთ, რომ ქართველი თავისი პერიოდული ტრაგიკულობით „უადგილოდ“ კი არ უნდა იყოს „თანამედროვე სამყაროში“, არამედ ის ერთ-ერთი უნივერსალური ფენომენთაგანია თავისი ამ ტრაგიკული ბედით.

ვოლტერი ასე ხსნის ტრაგიკულისა და კომიკურის საზრისმომცველობას: ტრაგედიაში საქმე გვაქვს მაღალ ვნებებთან, საგმირო გზნებებთან, მითებიდან თუ ისტორიიდან მომდინარე დასაშვებ შესაბამისობებთან თუ შეუსაბამობებთან. ამიტომ ოდიპოსი, ელექტრა ისევე მიეკუთვნება ესპანელებს, ინგლისელებს, ჩვენ (ფრანგებს, მ. ზ.), როგორც ბერძნებს. და იქვე აგრძელებს: მაგრამ კარგი კომედია – ეს ცოცხალი სურათია ნაციის სასაცილო მხარისა (თვისებებისა – მ. ზ.). ამიტომ, თუ ზედმიწევნით სილრმისეულად არ იცნობთ ამ ერს, თქვენ ვერ შეძლებთ იმსჯე-

ლოთ ამ სურათებზე, ვინაიდან ვერ აღიქვამთ მის დახვეწილობას, სიმახვილეს აზრისას, ქარაგმას – გადაკვრით ლაპარაკს, თვით გადაკრულ სიტყვას თუ საკითხთა სიმწვავესა და საჭირბოროტობას.

მაშასადამე, ტრაგედია უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო ფენომენია როგორც ლიტერატურაში, ასევე ისტორიასა თუ რეალურ ცხოვრებაში. ამიტომ რაღა ამ ჩვენ ტრაგიკულობას ვერ გაუგო რამე ამ მაღალინტელექტუალურმა თანამედროვეობამ და დაგვტოვეს „უადგილოდ“?!

სხვა სიბრტყეზე დგას კომედიურობა, ის წმინდად ეროვნული თავისებურებების გამოხატულებადა მიჩნეული; შესაბამისად, მისი სრულფასოვანი გაგება გარეშეთაგან მოითხოვს ამ ერის ხასიათის, მისი ფსიქო-კულტურული წყობის სილრმისეულ ცოდნას. ამიტომ ჩვენი წამყვანების (ლექტორების) წუხილი, რომ გერმანულ მთარგმენებს დიდი წვალებით აღიძრეს ინტერესი „სამანიშვილის დეფინაცილისადმი“, ამ კანონზომიერებით არის განპირობებული, ის გარემოება, რომ მას ასე ძნელად სწვდებიან „გარეშენ“, იმის მაჩვენებლად უნდა აღვიტვათ, რომ დ. კლდიაშვილის ეს ნაწარმოები „კარგი კომედია“ ყოფილა, ე. ი. ეროვნული დახვეწილობის, გონის სიმახვილის, ცხოვრებისეულ სიმწვავეთა დამტევი.

ამდენად, როგორც ყოველი „კლასიკური“ მოდგმისთვის, ქართველი ეთნოსისთვისაც „ტრაგიკულისა“ და „კომიკურის“ განცდა წარმოადგენს მისი ნაციონალური არსებობის ერთ-ერთ ნიშანთაგანს და არა მისი არსებობის წეს-ბუნებას. ამიტომ მამარდაშვილის მიერ აქსიომად განსაზღვრული „ტრაგიკული ერი“ „ტრაგიკული კულტურით“, თუნდაც რებუსული „მხიარული ტრაგედიით“, ეროვნული ნიჭის დევალვირებულობის მინიშნებას. ეს სრული უარყოფაა ეროვნული „გენისა ვითარც თვისებისა“ (გრ. რობაქიძე), რაც იმის ნიშანია, რომ, როგორც რობაქიძე გვაფრთხილებდა, ჩვენს ეროვნულ გენისა დაფერფვლის საფრთხე კარს მოსდგომია, ვინაიდან მას მოვლა მოჰკლებია. მიზეზი ამისა ისაა, რომ უარი ეთქვა ხრტილს ქართული ბუნებისას „გაახარე-გაიხარე“. დაგმობილ იქნა თემა: „შეუწყე ხელი სხვის „ზრდას“, რათა ამით თვითონ იზრდებოდე“.

მამარდაშვილისტთა მიერ მიზანში იქნა ამოღებული ქართული ხასიათის ერთი უმთავრესი ნიშანი: რომ „არცერთს ერს... არ ძალუს ისეთი სისრულით იყვეს „ერთგული“, თავდადებული მეორისთვის, სხვისთვის, როგორც ქართველს; უკანასკნელი მსახურია მოყვასისა, „მსახური“, ამ სიტყვის უკეთილშობილესი მნიშვნელობით“ (გრ. რობაქიძე, იქვე, გვ. 23).

სწორედ რომ ამ თვისებების ამოქმედებით გახდა შესაძლებელი ქართველი ხალხის დიდი ნაწილის კონსოლიდირება ბოროტების იმპერი-

ასთან პრძოლაში, მიღწეულ იქნა სასწაულებრივი გამარჯვება. მთელი სამყაროს გასაოცრად, კომუნისტურმა ერთპარტიულმა სისტემამ, რომელიც მაშინ შეიშის ზარს სცემდა მსოფლიო დემოკრატიას, აქ იწვნია პირველი, როგორც აღმოჩნდა, მთელი სისტემისთვის გამანადგურებელი დარტყმა.

რობაქიძის პერიფრაზით თუ ვიტვით, ქართველის „მე“ გასხივოსნდა, „შენ“-ში, მოქმედებაში მოვიდა ხრტილი ქართული ბუნებისა, მან ამ გამარჯვებით „გაახარა“ და იმედი ჩაუსახა ყველა იმათ, ვინც იძრძოდა ერთპარტიული დიქტატის წინააღმდეგ. ამით მოქმედებაში მოვიდა უკეთოლ-შობილესი მეორე ნიშანიც: შეუწყე ხელი სხვის ზრდას... მაგრამ უმთავრესი მაინც ის იყო, რომ თავისუფალ ერთა მაგალითზე თვითონ ესწავლა და განეგრძო „ზრდა“, რათა დაეკავებინა თავისი კუთვნილი ადგილი თანამედროვე სამყაროში. მაგრამ ვინ გაცალა, ფილოსოფოსმა დიდის რიხით გამოგვიცხადა, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ: „თავს ქართველად ვგრძნობ, მაშასადამე, არქაული და უადგილო ვარო თანამედროვე სამყაროში“. ასე „აგრძელი უმეცრებით“ შემოგვიტიეს.

უბედურება ის არის, რომ, როგორც ილია ბრძანებდა: „გონიაობა, თუ სადაც მივუშვით, უფრო შორსაც წავა ხოლმე“ და ასეც მოხდა. ამ ფანტასტიკური კონსოლიდირებისა და დიდი გამარჯვების შემდეგ, როცა მოხდა „მე“-ს გასხივოსნება, „შენ“-ში, ამუშავდა „გაახარე-გაიხარეს“ წმინდად ეროვნული იდეა, მაშინ ამ „ქართველმა და ფილოსოფოსმა“, როგორც თვითონ უწოდებდა თავის თავს, ყოველივე ეს კერპის ყოლის მოთხოვნილებად შერაცხა, შესაბამისად, იმ წარმატებაზე, რასაც ხალხმა მიაღწია – კომპარტიის დიქტატის დამარცხებაზე თქვა, „ერის გადაგვარებას მოასწავეს“. ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვების დაახლოებით ერთი კვირის თავზე ის ამ წარმატებას ასე აფასებდა: „გაპყეფო კომპარტიისა რა ბედნაა“; ამ დიდი გამარჯვების მომპოვებელ ხალზე კი წერდა: ის აყოლილია მავნე ჩვევებს, ყალბ პატრიოტიზმს. უკიდურესობამდე ჩამორჩენილი, საკუთარ თავზე შევარებული, ამპარტავანი; მათი რწმენით: ყველაზე კარგები, ჭკვიანები, ლამაზები არიან და სხვა კიდევ უფრო უარესი „რამებით... ქართველმა ერმა ჯერ უნდა ყურადღებით შეხედოს საკუთარ თავს სარკეში, შერცხვეს ტრაბახის და უსაქმურობის, თავისი მონური რეაქციებისა და სტეროტიპების, შერცხვეს საკუთარი მკვდრების“ და ა. შ. (მ. მამარდაშვილი, კრებ., გვ. 101), ე. ი. 170 წლის განმავლობაში რაც სისაძაგლე გამოუგონია ქართველი მოდგმის წინააღმდეგ რუსის შოვინისტურ გონს, ყველაფერს ერთად მოუყარა თავი ამ „კრიზისში მყოფმა ჭკუამ“ და ერს რისხვად დაატყდა თავზე. ასე მოულოცა ერთპარტიული დიქტატის

დამარცხება მან ხალხს.

საყურადღებოა ის, რომ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული პასკვილის ეს უპრეცედენტო ნიმუში, 1991 წლის 22-23 დეკემბერს, რუსულ-ქართული რევანშისტული პუტჩის დაწყების დღეს, დაწერიდან ერთი წლის შემდეგ, გამოაქვეყნეს გაზეთ „მამულში“ და სინამდვილეში ის გახდა პუტჩისტური აღიანსის სამოქმედო პროგრამა. ამიტომაც პუტჩისტურმა „მთავრობამ“ მას ძეგლი აუგო იმელის კარებთან.

უფრო ადრე, პრეზიდენტის არჩევნებამდე, ის წერდა: „სოციალური გამოკვლევების მიხედვით, ქართველი ხალხის უმრავლესობას პრეზიდენტად ზვიად გამსახურდისა არჩევა სურს. თუ ეს მოხდება, მე იძულებული ვიქები ჩემი ხალხის წინააღმდეგ წავიდე. არ მინდა დავიჯერო, რომ ეს შეიძლება მოხდეს“ (იქვე, გვ. 100). ასეთი იყო ერის „ინფექციური ნაწილის“ იდეოლოგია, რომელიც სახელმძღვანელო პროგრამად იქცა პოსტურტჩისტურ ეპოქაში და დღემდე ხრავს ჩვენს აწმყოს, რომელმაც უნდა მოჰყონოს ნათელი იმ დიად ბრძოლას, რომელმაც შეეგვაძლებინა აღვევდინა საუკუნეობით დაკარგული თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ გეგმაზომიერად ანადგურებენ ერის არსებობის გენეტიკურ კოდს: „გაახარე-გაიხარეს“. სოციუმი, უფრო ფსევდო-სოციუმი მოიცვა სიცარიელემ; მის „კრიზისულ გონს“ არაფერი უკვირს. მისთვის არარაობად გადაქცევა ბუნებრივ მოვლენად იქცა; იგი ამ შეურაცხმყოფელი ყოფის მიმართ გულგრილი გახდა. შემით შეჰქურებს აწმყოს და ა. შ. აი, ეს მოუტანა ხალხს ამ ფილოსოფიამ.

ამ ფსევდონტელეგტულურმა ფილოსოფია ამ მთლიანად გამოშიგნა გრიგოლ რობაქიძის ეული პუტანური იდეა ქართველის შინაგანი არსისა, რომელსაც გამარჯვების პროგრამად სახავდა ზვიად გამსახურდია: ის 9 აპრილისადმი მიძღვნილ სიტყვაში ამბობდა: „ასეთი იყო საქართველოს ისტორია, ეს იყო ეკლიანი გზით სვლა ჭეშმარიტებისკენ, საღმრთო სიყვარულისკენ, საქართველოს გზა ეკლიანი გზაზა ქრისტეს ჯვარცმისა, დაფლვისა და გარდაუვალი აღდგომისა. ამ დღეს დიდი დაფიქრება გვმართებს, დიდი ურთიერთისიყვარული, დიდი პატიება, მიტვება, რამე თუ არ არის კაცი, რომელიც ცხონდეს და არ სცოდოს. გავხედოთ ამ მძიმე გზას, რომელიც გველოდება და მოითხოვს ჩვენგან დიდ დარაზმულობას, შრომას, ურთიერთგატანას ამ უდიადეს ჟამს“ (ზვიად გამსახურდია, ტ. III, გვ. 16, თბ. 2013 წ.). ასეთი იყო თავისუფლებისთვის მებრძოლი ერის გულისწადილი საპირისპიროდ მამარდაშვილისა და „წითელი ინტელიგენციისა“.

თუ მათ ისტორიის თუორიის თვალსაზრისით

შევაფასებთ, მაშინ საკითხი დგება „ისტორიული პესიმიზმისა“ და „ისტორიული ოპტიმიზმის“ თვალსაზრისით, მესამე გზა ანგუს ისტორიული გაზრებისა, უპრალიდ, არ არსებობს.

რობაქიძისეულმა გენოულტურული ოპტიმიზმის მობილიზებამ მიგვიყვანა დიდ გამარჯვებამდე. მამარდაშვილისეულმა „დაცემული გონის“ პესიმიზმა კი გააცამტვერა ეს წარმატება და დღემდე ასამარებს გამარჯვებულების ოპტიმიზმს. თუ პაიდიგერის მოსაზრებას მივუსადაგებთ ჩვეში ჩნერგილ ამ პესიმისტურ სასონარვეთას, დავინახვთ, რომ ხალხს ემუქრება უკანასკნელ გონით ძალთა დაკარგვა, მაშასადამე, ძნელი ხდება „ანგუს ლაბირინთებში ორიენტირება“.

* * *

ვოლტერს, პასკალის მაქსიმათა კრიტიკისას, ერთი ასეთი მაგალითი მოჰყავს: თუ რომელიმე მოძღვარი კათედრიდან ფრანგებს ეტყვის: „თქვენ ბინიერნი ხართ; უნდესონი და უგულონი; თქვენ განადგურდით გოხტედთან და რამილთან, იმიტომ რომ ვერ შეძელით თავის დაცვა – მას ქვეპით ჩაქოლავენ“ (ვოლტერი, გვ. 198). თუნდაც ზედაპირული შედარებაც კი ნათელს ხდის, რომ მამარდაშვილის მიერ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ხალხის პირველი ბრწყინვალე გამარჯვებების პროცესში ნაქადაგები ათასჯერ უფრო მკაცრი და აუტანელია. მასზე რეაცეცია კი ეფემერული იყო. დღეს კი მის „ინფექციური ტვინის“ ნაყოფი ევროპასოფობის წყაროდაა გამოცხადებული.

ამდენად, „კრიზისული ცნობიერების“ ამ საძაგელმა განააზრებებმა, რომლის მსგავსი რამებისთვის ევროპის დიდ ერებშიც კი თურმე ჩაქოლვას ვერ აიცდენდი, ჩვენში ნოყიერი ნიადაგი პოვა; კომპარტიული და „წითელი ინტელიგენციის“ რევანშისტული ნარჩენების სახით, მათ შეუერთდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლთა ჯერაც მოუმწიფებელი მერყევი ნანილი, გასამხედროებული კრიმინალური ჯგუფების თანხლებით, რომლებიც საბჭოური ნომენკლატურის ხელოვნურ თანამგზავრებს წარმოადგენენ. ეს პუტჩისტური ალაზნის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ანგრევს ეროვნულ იდეოლოგიაზე გამართულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, აგებულს რობაქიძის მაქსიმაზე: შეუწყვე ხელი სხვის „ზრდას“, რათა ამით თვითონ „იზრდებოდე“. ის ჩანაცვლეს მამარდაშვილის ავადმყოფური განაზრებებით, რომ ბუნებრივად ქართველები საზოგადოებრივი სივრცისგან გამოცალკევებულები, ხალხის ინტერესებისადმი ზურგშექცეულნი, „ყველა თავთავისთვის“ არის. თურმე მისი სიხარული გამოწვეული ბრძოლითა და სისხლით მოპოვებული გამარჯვებისა არაკა-

ნონიერი იყო. ჯერაც ფეხმოუკიდებელი დამოუკიდებლობის ფონზე მოაწყვეს კრიმინალური პუტჩი და დაამყარეს მამარდაშვილისეული თეორიის შესაბამისი საზოგადოებრივი წესი „ყველა თავისთვის“. გამეფდა სრული უკანონობა; ანარქია და ქაოსი; ზედმიწევნით აღსრულდა მამარდაშვილის კრიზისული გონის გააზრებანი.

დემოკრატიისა და „მედასავლეთობის“ ნიღბით შექმნეს ისეთი პლატფორმა, რომელიც სახალხო რევოლუციამაც ვერ დაანგრია. ეს ცრუიდეოლოგიური „სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა“ მთლიანად აგებულია მამარდაშვილისტურ-იანუსურ ორსახოვანებაზე, წმინდად რუსულ „ობშჩიაკურ“, გარდაქმნისეულ „დემოკრატიზმზე“ – ერთი მხრივ; მეორე მხრივ კი – ყალბი პროდასავლურობით შენიღბულ ფსევ-დოლიბერალიზმზე.

ამ პროცესში სრულიად განხორციელდა „თანაარსებობის დიალექტიკა“. ისინი ფეხაწყობით უტევენ ჩვენი ხასიათიდან მომდინარე ჭეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს. ამ ე. წ. ფილოსოფიურმა განაზრებებმა მთლიანად წაბილნეს ეროვნული ხასიათის ზნეობრივი ნაწილი, გენოკულტურაზე აგებული ეროვნული ნიადაგი გამოაცალა ეს იდეას.

მთელი ჩვენი ცხოვრება ერთ დიდ ტყუილად იქცა.

მხოლოდ: ტყუილი... ტყუილი და კიდევ ტყუილი!

ამდენად, უარყოფილ იქნა რობაქიძისეული სიბრძნე, რომელიც ფორმულაში „გაახარე-გაიხარე“, „სიყვარულსა და წრფელ გულს გულისხმობდა“. ქართული მოდგმის ხასიათის ეს მთავარი არსი წარმოადგენდა თავისუფლებისა და ჭეშმარიტი დემოკრატიისთვის ბრძოლაში გამარჯვების გარანტიას. სწორედ მას შეუტიეს ფილოსოფობრივი და მისმა დასმა (თანამზრახველებმა). ასე აღმოჩნდა ხალხი სიბრივებისა და სიბრძნის სხვადასხვა სივრცეში. სიბრივეთ შეპყრობილი, ორივე ხელით უარყოფინ ქართული არსების ხორცებს მასში დაუშრეტელი ნაციონალური ენერგიის მოცემულობას და გამოშვახველობას. ისინი ცდილობენ, ახლებურად ააღორძინონ მამარდაშვილის „ჩაქოლვის ლირსი“ ნაქადაგარი. მისი გავლენა იგრძნობოდა ამ ლექციაშიც.

* * *

დღეს სიცრუისა და ორპირობის დაღი ასვია მთელ ჩვენს ცხოვრებას. მასში გარკვევა ძალზე ძნელია ახალი თაობისთვის; ამიტომ სჭირდება ღრმა დაკვირვება ყოველ სიტყვას, მიმართულს ახალგაზრდული (საგანმანათლებლო) აუდიტორიისადმი, რაგინდ არაკეთილი მიზნით იყოს ის თემული. ერთია პიროვნული პატიოსნება და ბუნებრივი გულწრფელობა და მეორე

– რა სოციალურ-კულტურულ გარემოში მოხდა ამ ბუნებრივი პატიოსანი „მე“-ს ხელოვნური (კულტურულ-საგანმანათლებლო) პროცესების გავლენით განსწავლულობა. თუ ის არასწორად, არამართებულად წარიმართა, ბუნებრივად ჩამოქნილი ეს „პატიოსნება“ უფრო დამანგრეველი ხდება, ვიდრე უსინდისოთა აშკარა და ღია ცრუპებით გამომდინარე, ის შეიძლება უსიმპტომო კორონავირუსს შევადაროთ, რომელიც თუ არ აღმოაჩინე და არ უმკურნალე, აუცილებლად პანდემიად გადაიცევა. ამ „აპოკალიფსური გონების“ ნაყოფის პანდემიად ქცევისა და მთელი ჩვენი ჯანსაღი სააზროვნო სივრცის ხანგრძლივად დაავადების საშიშროების წინაშე ვდგავართ.

ისე გამოდის, როგორც ერთ დასავლელ მწერალს უთქვამს: სიგიუჟ არ არსებობს, ან ყველანი გიუები ვართ. კაცობრიობას რა დიაგნოზს დაუსვამენ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ის, რაც ჩვენში მოხდა და ხდება, ამას სიგიუჟ უნდა ეწოდოს – ეს ფაქტია. ამ ეს-პამფლეტის დაწერის მოთხოვნილება სწორედ ამ დაინფიცირებული გონების მიერ მთელი ჩვენი ეროვნული სააზროვნო სივრცის ხანგრძლივად მონამვლის საშიშროებამ განაპირობა, როგორმე უნდა გამოვიდეთ ამ ჩიხიდან, რათა ყველა ერთად არ გავგიყდეთ...

P.S.

პოლ ვალერი წერდა: ყოველთვის შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თუ ქმნილება არ იძირება, მაშინ ის ძალიან ცოტათი ჰგავს იმას, რაც ავტორმა მისი აზრით დაუტოვა შთამომავლობას (პოლ. ვალერი, გვ. 48). ავტორისა და მისი შემოქმედების ურთიერთმიმართების შესახებ კ. გამსახურდია კი ამბობდა: „ყოველმა შემოქმედმა უნდა შეიგნოს, რომ ავტორის ქმნილება, უკანასკნელი კორექტურის შემდეგ მას აღარ ეკუთვნის (კ. გამსახურდია, გვ. VI, გვ. 606, თბ., 1963წ.). ერთიც და მეორეც არის მითითება იმაზე, რომ ნანარმოების ნამდვილი სიცოცხლე, შეიძლება უკვდავებაც კი, მაშინ იწყება, როცა მყითხველი (თაობები) მასში (მათში) დაიწყებენ იმ საიდუმლოთა ამოხსნას (შევრდნებას), რაც ავტორთა პირველგაზრებისა და პირველმიზნის მიღმა მუდამ მოიძიება მაღალ-შემოქმედებით ნანარმოებში. ამიტომაცა, რომ ეს ქმნილებები უკანასკნელი კორექტურის შემდეგ ავტორებს არ ეკუთვნიან; ან კიდევ ცოტათი ჰგვანან იმას, რაც ავტორმა დაგვიტოვა. ისინი ხალხის

გულში იდებენ ბინას; განსაკუთრებულად ამაღლებული ერწყმიან მათ გენოკულტურულ არსებას; გარდატყდებიან ფსიქოზნეობრივ პრიზმაში და ერის ნიჭით გასხივოსნებული გადაეცემან შთამომავლობას. ამ პერმანენტულ „გადაცემას“ „მე“-დან „შენ“-ში, – ვალერი შემოქმედების დღეგრძელობას უწოდებს. მისი თქმით: „ნანარმოები ცოცხლობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეუძლია სულ სხვა რამედ ჩანდეს და არა იმად, რადაც ის შექმნა ავტორმა“ (იქვე).


ამდენად, კლასიკურ ნანარმოებთა ახლებურად წაკითხვა და გააზრება უნდა ხდებოდეს არა ძველის „რევიზიონების“ მიზნით (იმ ძველში მოცემულმა გასაკრიტიკებულმა თავისი დრო მოჭამა), არამედ იმ დაფარულის ძიებისთვის, რომელსაც ეს შედევრები ინახავენ თავიანთ წიაღში და რომელთა არსებობა „ძალიან დიდხანს აზრადაც არ მიუვა ვინმეს“. აი, სად არის ას-პარეზი კლასიკოსთა დიადი შემოქმედების თანამედროვეობის მოთხოვნათა თვალთახედვით წაკითხვისა და გააზრებისთვის, „იმ სულ სხვა რამის აღმოჩენის-თვის“, რაც თქვენამდე აზრადაც არ მოსვლია ვინმეს.

ძველ ნარმოდგენებსა და „ამოხსნილ“ საიდუმლოებებს იმისთვის ვეხებით, რომ მათი მეოხებით მივიღოთ ახალი „ამონახსნები“. მაგრამ თუ ამ უცნობის ამოხსნის პროცესში ძველ ფორმულებსა და თეორიებს არასწორად გამოვიყენებთ, ვერასდროს მივიღებთ სწორ პასუხს, როგორც ამ ტელელექ-

ციის დროს მოუვიდათ ლექტორ-წამყვანებს. მით უმეტეს, ამას წუ გადავაბრალებთ ძველ განსაზღვრებებსა და აქსიომებს, რომლის არსშიც ვერ ვწვდებით; კიდევ უფრო უარესი, თუკი არც არასოდეს გვიცდია მათი შესწავლა და სიღრმი-სეულად გაგება.

ამდენად, დავით კლდიაშვილის შემოქმედებისთვის „ხელის შემვეღება“, მისი რაღაც ეფემერული მტრებისგან დაცვა, ქართულ კულტურულ სივრცეში მისი ღვანლის დაუფასებლობის მტკიცებულება ამ „ძველი ფორმულების“ არასწორად გამოყენების შემდეგია.

კონსტანტინე გამსახურდია თავისი შემოქმედების ზოგიერთ გზაბინეულ კრიტიკოსთა მიმართავდა: „თუ ჩემ ცხენს შემვეღება დასჭირდა, დე, იგი წურც მისულა ჰელემდისო“ (იქვე), ასევე, ახალი თაობის მკითხველ თუ ძველი თაობის „გამოსწორებულ“ გადამკითხველ „რევიზიონისტთ“, რომელთაც მიზნად დაუსახავთ კლასიკოსთა



შემოქმედების „თანამედროვე“ კონტექსტით გააზრება, უნდა შევახსენოთ ეს მითითება, რომ ამ კლასიკოსთ არ სჭირდებათ ხელის შეშველება. ისინი არ არიან ფერდებჩაცვინულ ჯაგლაგ ცხენებზე ამხედრებული, როგორც თანამედროვე კრიზისული ცნობიერების მატარებელ „ინტელექტუალთა“ უმრავლესობა. მათი „მერნები“ მუდამ აჩენენ ნათელ კვალს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებასა და ბედისწერაში. ამ თვალსაზრისით, ქართული ლიტერატურის ისტორიაში იშვიათად მოიძებნება დავით კლიტიშვილზე „განებივრებული“ ავტორი. მას ხალხის სიყვარული არც სიცოცხლეში დაჰკლებია და არც შემდეგ, ამიტომ მისთვის ხელის შეშველება, მისი დასავლური დემოკრატიის სიმბოლოდ გამოყვანა; მის დაუფასებლობაზე წუნუნი ისეთივე კრიზისული ცნობიერების შედეგია, როგორიც მამარდაშვილის პოლიტ-ფილოსოფიის „შედევრები“.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ამ ესეს მიზანს არ შეადგენდა კონკრეტული შემოქმედებითი აქტის კრიტიკა. მოცემულ შემთხვევაში „არტარეას“ ამ ლექციაში, უარყოფით-ცნობიერ პლანს იქით, იმდენი პრაქტიკული სიკეთე ჩანდა, რომ არა ზოგადად დამღუპველად საშიში ფსევდოიდეური განააზრების გავლენის ანარეკლები. ჩვენ მას ალბათ არც გავიხდიდთ ფონად, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი „შეხლა-შემოხლით“ კ. გამსახურდია უნდა იარსებოს ეროვნულმა შემოქმედებითმა კულტურამ, ზოგადად, სულიერმა სამყარომ, სხვანაირად ცნობიერების ეს კრიზისი სამარეში ჩაგვიტანს.

კონსტანტინე გამსახურდია თავის „ავტორისეულ რეპლიკებში“ წერს: „დავა აცხოველებს ლიტერატურას საერთოდ, აღრმავებს შემოქმედებისადმი ინტერესს, „ის ქმნილებანი, რომელიც მძაფრ რეაგირებას არ იწვევენ, რომელთაც ერთობლივი მოწონებით მიიღებენ, ერთობლივ დავიწყებას მიეცემიან ხშირად“ (იქვე, გვ. 606). ავტორი ამ „მძაფრი რეაგირების“ და განევ-გამოწევის მაგალითებს გვახსენებს გენიალური შემოქმედთა ცხოვრებიდან, რომლებიც ზოგჯერ საუკუნეებსაც გადასწვდებოდა ხოლმე (ფლობერი, სტენდალი, ლევ ტოლსტოი, ბაირონი და ა. შ.) თავის საყვარელ გენიაზე კი იტყვის: „გოეთეს „პოეზია და სინამდვილე“ არის ... კრიტიკასთან ფარიკაობათ“ (იქვე). ყოველივე ეს გარდაუვლად თანმდევი პროცესია შემოქმედებითი ღვაწებისა. შილერი მოუწოდებდა მწერალს: წიგნს დაწერ თუ

არა, მდუმარედ გადაისროლე შენთვის უცნობი სამყაროს ოკეანეშიო.

სამწუხაროდ, დღევანდელი კრიზისული ცნობიერებისთვის დამახასიათებელია ის, რომ ყოველი „დაინტერესებული“ სუბიექტი, ამ დიად კლასიკაში თუ ზოგადად ისტორიაში, ექცეს იმას, რაც მას სურს. ეს სურვილი კიდევ წარმოშვა „კაცობრიობის ითექქციური ნაწილის“ ავადმყოფურმა მისწრაფებებმა. ეს უვიცობით გათანგული ჭეუა შეპყრობილა აპოკალიფსური შიშით საკუთარ რაციონალისტურ ქმედებათა ნაყოფისადმი. „ეს შიში იმდენად ძლიერია, რომ ადამიანი მოწინებით იხდის ქუდას არარაობის წინაშე“ (ე. ტრიოლე).

არარაობის წინაშე ქუდის მოხდად გვეჩვენება რობაქიძისული ქართული ხასიათის უდიდეს მგზებარებაზე – „გაახარე-გაიხარე“ – უარის თქმა და იმპერიისული კრიზისული ცნობიერების გამონაგონთა მისადაგება ქართველი ერის ბუნებისადმი, რომელიც, რობაქიძისვე თქმით, „თავმომწონეა და აქვს კიდევ უფლება თავმომწონებისა“, როგორც ეს გააკეთა ფილოსოფოსმა და რასაც მოჰყავა ყოველგვარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსისგან დაცლილი კულტურის „სიცოცხლის მრუდის“ სასიკვდილოდ დაქანება, რასის მარადუამული კულტუროგენურ მოცემულობათა დაქვეითება.

* * *

რაც შეეხება დავით კლდიაშვილის შემოქმედების „არტარეას“ ლექციის ფონზე გააზრებას, მათში მყარად დანერგილი სოციალური და მორალური მოტივების იქით ახალი, ნაციონალური იდენტურობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის საკითხების გამოყოფა გახდა შესაძლებელი.

რაციონალური კრიტიკის მოცემულობათა გვერდით ირაციონალურ-ფილოსოფიური გააზრებების წინ ნამოწევით ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის თვალში საცემი შტრიხები გამოიკვეთა. ე. ი. მისი მოძიება გახდა შესაძლებელი, რაც „მალიან ცოტათი ჰეგეს იმას, რაც ავტორმა დაუტოვა შთამომავლობას“.

„ესე – უპირველესად ცდას ნიშნავს“ – წერდა კ. გამსახურდია. ჩვენი პატარა ნარკვევიც ცდა იმისა, რომ დ. კლდიაშვილის ნაწარმოების თანამედროვე „ზეპოსტმოდერნისტული კრიტიკის“ გააზრების ფონზე აგვესახა ჩვენი თანამედროვეობის (დამოუკიდებელი ქვეყნის) კრიზისული ცნობიერებისთვის დამახასიათებლი სუბიექტური ავი და კარგი ორ, ე. წ. პროდასავლურ ანტიპოდურ შეხედულებათა ფონზე.



ხსოვნა ნათელი

დაუვიწყარი თანამებრძოლები

კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის მრავალწლიან ბრძოლაში მურმან ზაქარაიამ ჩვენი სამშობლოს მრავალი სახელოვანი შვილი გაიცნო, რომლებთანაც იგი საერთო დიადმა მიზანმა, საერთო რწმენამ და თავდადებამ დააკავშირა. ბატონი მურმანის გამომცემლობა „ზანი“, მისი პერიოდული გამოცემები, ჩვენი სასიქადულო ქალბატონის, ეროვნული მოძრაობის დაუცხომელი ნარმომადგენლის ლურა (დოდო) გამყრელიდის ბინა თბილისში, ტაშკენტის 25-ში იყო ყველა მათგანის სულის მოთქმის ადგილი, სულიერი თავშესაფარი, სადაც შეიძლებოდა მართალი სიტყვის თქმა, წერა და დაბეჭდვა მთელი საქართველოს გასაგონად.

მურმან ზაქარაიას ამ სახელოვან სამეცნიეროს, ტაშკენტის ოცდახუთში შემოკრებილ მამულიშვილთა საძმოს ბევრი ცნობილი მოღვაწე, მწერალი, უურნალისტი, ჰუბლიცისტი თუ სხვა პროფესიის ადამიანი წარმოადგენდა. ულმობელმა უმთასვლამ ბევრი მათგანი ჩამოაშორა სამზეოს, მაგრამ მათი ხსოვნა ცხოვლად და წარუშლელად ცოცხლობს ტაშკენტის ოცდახუთშიც და თითოეული ჩვენგანის გულშიც. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ჩამოვთვლით იმათგან, ვისაც თავისი საქმიანობით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ეროვნულ მოღვაწეთა ამ დღემდე მებრძოლ კერასთან: ანტონ არნანია, ედიშერ გიორგაძე, ირაკლი გოცირიძე, მუხრან მაჭავარიანი, ლია ანდლულაძე, ვლადიმერ ჯოლოგუა, ზაურ ქობალია, ვალტერ შურლაია, გელა ნიკურაძე, იოსებ პატარაშვილი, გოჩა ბიჭაშვილი, გივი კვირიკაძე, ინდიკო ქობალია, მიხეილ ჩაჩუა, აპოლონ უორდანია, რეზო ურუშაძე, ანზორ გვარამია, ნოდარ ჯალალონია, ჯემალ პერტაია და სხვები. მათი ხსოვნის სადლეგრძელოები მუდამ ითქმება ტაშკენტის ოცდახუთის აუშლელ სუფრაზე.

ჩვენ წინაშეა 2005 წელს გამოცემული გაზეთი „მადლი“, რომელიც მურმან ზაქარაიას დაბადების 60 წლისთავისადმია მიძლვნილი. ბევრმა დღეს უკვე ჩვენგან წასულმა თანამებრძოლმა გამოთქვა კეთილი სურვილები იუბილარის მიმართ... და რადგანაც უკვდავია მათი ხსოვნა, რადგანაც კვლავ ჩვენში ტრიალებს მათი სული, კვლავ ჩვენს საქმებში ცოცხლობენ ისინი, გადავწყვიტეთ, ჩვენს ამ საიუბილეო გამოცემაშიც გადმოვიტანოთ ზოგიერთი მათგანის გულითადი სიტყვები.

მიხეილ ჩაჩუა,

პოეტი, ჰუბლიცისტი:

* * *

ზოგადად მაინც უნდა ვთქვა რაღაცა მურმან ზაქარაიას დამსახურებაზე. თუნდაც ეს: ისტორიკოსიც გახლავთ, უურნალისტიც, ჰუბლიცისტიც, მრავალი გაზეთის, უურნალის, წიგნის რედაქტორ-გამომცემელი, ეროვნული მოძრაობის გამორჩეული წარმომადგენლიც და, რაც მთავრია, ავტორი სამაგიდო წიგნებისა, როგორიცაა „ტერორი თუ რეაქცია ტირანიაზე“, „დათროგუნული ლირსება“, „ნარკვევი რუსულ იდეაზე“... მართალია, ჯერ პირადად არ გავცნობივარ ამ უკანასკნელს, მაგრამ დიდად პატივსაცემი იოსებ პატარაშვილის გაზეთ „ჟალეთში“ (ბუალეთი) გამოქვეყნებულმა მრავლისმთქმელმა წერილმა – „მურმან ზაქარაია – ჰუბლიცისტური ბრძოლით გავლილი მესამოცე წელი“ – გარკვეულნილად გამაცნო და მაგრძნობინა კიდეც რუსულ იდეაზე (დიდი რუსეთისათვის ამ აქილევსის ქუსლზე) შექმნილი ნარკვევის დიდი მნიშვნელობა. თქვენს მონა-მორჩილს მხოლოდ ერთი რამ შეუძლია თქვას ამჯერად: გაბედო წიგნის შექმნა რუსულ იდეაზე, რომელიც

პირწმინდა წყარო თუ საფუძველი გამხდარი ტრაგიზმისა არაერთი დიდი რუსი მოაზროვნე მოღვაწისათვის (მარტო გოგოლის მაგალითიც იკვარებდა), – ეს თავისებური გმირობაა და – მარტო ჰუბლიცისტობით ვერას ვახდები – მეცნიერ-მკვლევარის მადლით ცხებულს, გონებრივად მრავალმხრივ განათლებულ ადამიანს ანუ ჭემარიტ ინტელექტუალს ხელენიფება მხოლოდ და კიდევ – ლირსებით სავსე ადამიანს, იმას, ვინც შექმნა ზემოთ ხსენებული, პირადად ჩემთვის ძვირფასი, შენგან მოძღვნილი წიგნები, ჩემო მურმან!

ძვირფასო მურმან! მე რომ ისე შავად არ წამსვლოდა საქმე, როგორც წამივიდა, მაშინ უცილობლად მოვიქაჩებდი თავს და ვრცლადაც ვიტყოდი და უკეთესადაც შენ მიერ გაკეთებულ საქმეებსა და შენს კაიკაცობაზე. ახლა კი ისლა დამრჩენია, – მოგეფერო, მოსაფერებელო კაცო, შენს ძვირფას ოჯახთან ერთად მინდა მოვეფერო ყველა შენს მომფერებელ ახლობელს, ნათესავსა და მეგობარს, ყველას, ყველას – ხმის მომწვდენსაც და ვერმომწვდენსაც, ვისაც შენი სიკეთე ახარებს.

* * *

ნაცული ნეპიერიძე:

ბატონო მურმან!

მუდამ ასე იყო: როცა საქართველოს ანდა მის რომელიმე კუთხეს განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობა ექმნებოდა, უზენაესის ნება უეჭველად მოუვლენდა ისეთ ჭეშმარიტად ნალდ გძირებს, რომელთა არსებობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის როგორც ტკივილზარევი წარსულის, ასევე იმედით ალსავსე ნათელი მომავლის სრულყოფილად გათავისება.

პირუთვნელად შეიძლება ვალიაროთ, რომ თქვენ, ბატონო მურმან, ზუსტად ასეთი გმირის მანტიის მორგება მოგინიათ, რომელსაც უკვე რამდენიმე წელიწადია გამორჩეული თავდაპლობით ასე ლირსეულად ატარებთ დღესაც.

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ თქვენს კეთილშობილებით ალსავსე, დიდებულ ოჯახთან ერთად!.. იბედნიერეთ და იყავით ისე, როგორც თქვენს დიდბუნებოვან გულს გაეხარდებოდეს აფხაზეთში, საქართველოს ამ უძველეს კუთხეში მალე დაბრუნებამდე, ბატონო მურმან! ყველა იძულებით გადაადგილებულთან გვერდიგვერდ გევლოთ თქვენს ძირძველ მიწა-წყალზე, მისი უკიდეგანო სიყვარულით გულანთებულო პატრიოტო და უპირველესად ლირსეულო ადამიანო.

* * *

ნოდარ ჯალალონია:

ბატონ მურმან ზაქარიას 60 წელი შესრულებია. ეს ის წლებია, რომელიც მან თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის სამსახურში გალია. ვერც სიდუხ-ჭირემ, ვერც რეპრესიებმა ვერ შეაცვლევინეს თავისი მართალი ცხოვრების გზზი. ბატონი მურმანი უშიშრად, შეუპოვრად მიჰყვებოდა და მიჰყვება თავის არჩეულ გზას, რომელსაც ხალხისა და ქვეყნის სამსახური ჰქვია. ლტოლვილის

მძიმე ტვირთთან ერთად ლირსეულად ზიდა და ახლაც ქედმოუხრელად მიაქვს მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის სახელი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, – იმ მძიმე უამს მის მიერ და-არსებული გამომცემლობა და გაზეთი იყო ის მაცოცხლებელი ჰაერი, რომელიც ასულდგმულებდა და იმედით ავსებდა ეროვნულ მოძრაობას შეწირულ ადამიანებს.

მის გულს არ ასვენებს ის ჭრილობა და ტკივილი, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, როგორც ყველა ჭეშმარიტ ქართველს, მასაც სჯერა და სწამს, რომ საქართველო ამ ჭრილობას მალე მომუშებს.

სადაც უნდა იყოს ბატონი მურმანი, თბილისში, ზუგდიდსა თუ სოხუმში, მისი საზრუნავი და საფიქრალი ყოველთვის იყო და იქნება ერთიანი საქართველო, ერთიანი სამშობლოს ბედი.

ღმერთმა დიდხანს ამყოფოს თავისი სამშობლოს, თავისი ლამაზი ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების საკეთილდღეოდ! მრავალუამიერ!

* * *

რევაზ ურუშავაძე,

უურნალისტი, გაზეთ „თვალთაის“ რედაქტორი:

გულწრფელი სადლეგრძელო იმ პიროვნების მიმართ, რომელსაც ალალად სცემ პატივს, ძნელი სათქმელია.

ქებაში, როგორსაც იგი იმსახურებს, შედარებით მომჭირნე ხარ, რადგან დარწმუნებულად გრძნობ თავს, – ისედაც გამიგებსო.

ასეთი გრძნობა დამეუფლება, როცა ბატონი მურმან ზაქარიასადმი ორიოდე სიტყვის სათქმელად განვემზადე.

ეს სტრიქონები სვეტიცხოვლობა დღეს ინერება. სიმბოლურია, – არის მურმანში ღვთიური მადლი, რომელიც მას ალბათ ილორის ან ბედის მონასტერში სცხეს.

კაცურკაცობას ოჯახში აზიარეს თაგილონელი მამულიშვილი.

აქედან ინვრთნებოდა მისი სული.

როცა მე თექვსმეტი წლის გახლდით, მურმანი მაშინ მოევლინა ამ ქვეყანას, ასაკოვანი სხვაობა ხელს არ გვიშლის ურთიერთობაში.

საქართველოს იგი, რითაც ძალუძს, იმით ემსახურება, ძირითადი მისი იარაღი კალამია. ქმა და ბევრი ახლობელი შეწირა სეპარატისტთა სახელით რუსეთთან გაჩაღებულ ომს. ქმისწული ამჟამადაც პოლიტპატიმარი გახლავთ (შევარდნაძის დროიდან). ეროვნული მოძრაობის მეწინავე რაზმში იყო მისი მებრძოლი გაზეთი



„აღდგომა“... სხვა გაზეთებიდან რომელი ერთი ჩამოვთვალოთ – „ჭყონდიდელი“, „ეროვნული თანხმობა“ და სხვები.

მურმან სათავეში უდგას გამომცემლობა „ზანს“. უამრავ სასარგებლო საქმეს აკეთებს, როგორც გამომცემელი. ამის შესახებ ალბათ ავტორები იტყვიან.

ერთი მადლიერთაგანი მე თავად გახლავართ.

არაერთ სასარგებლო და საჭირო ნაშრომის ავტორია მურმანი, რომლებიც გამოირჩევიან ღრმა აზროვნებით და უტყუარობით.

ასეთია მისი მონოგრაფია – „ნარკვევი რუსულ იდეაზე“ (შეძლებისდაგვარად მიმოვისილე გაზ. „განთავისუფლების“ ფურცლებზე). ამ თემაზე ასე სრულყოფილად და მართებულად არვის განუხილავს ჩვენთვის ეს მეტად სავალ-დებულო საკითხი.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ბატონ მურმანს საზოგადოება „ჭყონდიდელის“ საქმიანობაში. მისი დაარსებიდანვე, „ჭყონდიდელის“ ჭყონ-დიდლობამდე ავტორიტეტულ სიტყვას ამბობს ეროვნულ მოძრაობაში.

ბატონ მურმანს გვერდით უდგას შესანიშნავი ოჯახი, ქალბატონი ლალი, წინ ორი ქორწილი გველოდება – თეასი და დავითის.

რაც უფრო იაქტიურებს მურმანი, მით უფრო მაღე აღსრულდება უფლის ნება, თორემ ჯვარ-საწერები თავად აგვიანებენ!

60 წელი ღვთის განგებით ადამიანისათვის შუადღე უნდა იყოს.

ვისურვებ, ასე ინებოს მან ბატონი მურმანისათვის.

დანარჩენს ფსოუს ნაპირზე მოვახსენებ იუ-ბილარს.

მრავალუამიერ!

* * *

ზაურ კვარაცხელია,

პროფესორი:

ბატონო მურმან!

გილოცავ ამ დღეს!

შენ ისევ ახალგაზრდა ხარ.

ჩვენ დაკავნესების უფლებაც არ გვაქვს, – უნდა ვიბრძოლოთ... და ბარქალა შენს შემართებას, მტერს მტრულად რომ ხვდები და მოყვარეს მოყვრულად!

შენ შენი კალმით რაინდული ბრძოლა გაუმართე შარახვეტია ცილისმნამებლებსა და ვაი-პოლიტიკოსებს.

დღესაც მრავლად არიან მოშურნენი და ერის მოლალატენი. შენ მათ მხილებაში გალიე ენგურ-სგამოლმა გატარებული წლები.

ახლა ალბათ ენგურსგალმა გასატარებელ წლებზე ფიქრობ.

ჩვენ უნდა დავუპრუნდეთ იმ კერას, სადაც ფეხი ავიდგით. იმ მიწას, რომელსაც ჯერაც არ შეშრობია პირტიტველა ბიჭების დაღვრილი სისხლი, ჩვენთვის არც აფხაზთა სისხლია უცხოტომელთა.

აფსუს, რომ ეს ასეა და მაინც გვიჭირს, ხელი ხელს მივცეთ და ერთმანეთს თვალებში ჩავხედოთ.

ეს ჩვენ უნდა შევაძლებინოთ მტერ-მოყვარეს. ეს იყო შენი სიტყვის პათოსი და, დარწმუნებული ვარ, ამ ზით ივლი მომავალშიც.

დღეგრძელი და გზაგრძელი იყოს მგზავრობა შენი!

კეთილი სურვილებით,

* * *

მარებ გადიგვილი,

უურნალისტი:

სიყვარულსა და პატივისცემას ადამიანი პიროვნულად იმსახურებს. ასე იყო ოდითგან, ასე იქნება მუდამ. ეს ისეთი ჯილდოა, რომელზეც ყველას ვერ მიუწვდება ხელი. თქვენ გერგოთ ეს ჯილდო. კიდევ ერთი რამ:

კაცობა უცილობლად ვაჟკაცობას არ ნიშნავს. ყველას ვერც მოვსთხოვთ მას, რადგანაც ესეც რჩეულთა ხვედრია. რა თქმა უნდა, XXI საუკუნეში ვაჟკაცობა მხოლოდ ხანჯლის ტრიალით ან ტანკ-ავტომატით ვერ იქნება აღქმული; ის მრავალი სახით წარმოჩნდება და ასე მგონია, ყველაზე მაღლა მაინც სულით ვაჟკაცობა დგას. სწორედ ასეთად მეგულებით, ბატონო მურმან!



თქვენ ვერ გაგტეხათ მშობლიური აფხაზეთის ტრაგედიამ... თქვენ ვერ დაგიმორჩილათ საქართველოში 12 წლის მანძილზე მძვინვარე დიქტატურამ... ვერ დაგასუსტათ სისხლ-ხორცთა და უახლოეს ადამიანთა დაკარგვამ. თქვენ ფარ-ხმალი ვერ დაგაყრევინათ ერის უდიდესი შვილის, თქვენი უსაყვარლესი პირველი პრეზიდენტის ვერაგულად გაწირვამ, – მხოლოდ ყოველივე ამან უსაზღვროდ გატკინათ გული, მაგრამ მთავარი სწორედ ისაა, რომ ამ ნატკენი, დაჩეხილი გულით და დაუმარცხებელი რაინდული სულით იბრძვით დაუღალავად – იბრძვით მუხლჩაუხერელად, შეუსვენებლად, უკანდაუხევლად. მამაპაპურად.

თქვენი „ალდგომა“ თავისუფლების, თვითმყოფადობის, ალდგომისაკენ მიისწრაფოდა, „გზა ხსნისა“ დაუოკებელი, ფაფარაყრილი მერანივით კვალავდა გზას, ორივე კი ერთ, ამჟეყუნიერ საღმრთო საქმეს – სამშობლოს გადარჩენას ემსახურება. კაცური კაცობის ეტალონია ასეთი სიცოცხლე, რომელიც წლის ამ ულამაზეს დროს, გიორგობისთვეს – 60 ოქროსფერ, შრომის ნაყოფით ისევე დახუნდულ წელს მოგაგებებთ, როგორიც თვით ეს ზღაპრული შემოდგომაა.

მალე და მრავალ წელს ჩვენს ტანჯულ აფხაზეთში გვეზეიმოს ეს ლამაზი დღე!

გფარავდეთ მაღალი ღმერთი, ამინ!

* * *

იოსეგ პატარაშვილი,

გაზეთ „უალეთის“ რედაქტორი:

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეროვნულ-განმართავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უძმლავრესი ინტელექტუალური წარმომადგენელი ბატონი მურმან ზაქარაიაც არის. ვისაც შეხება ჰქონდა ბატონი მურმანის ინტელექტუალურ სამყაროსთან, შეუძლებელია არ აღიაროს მისი დამსახურება მშობელი ერისა და ქვეყნის წინაშე. ჩვენთვის, ეროვნული მოძრაობის რიგითი ჯარისკაცებისთვის, რომლებიც ნაკლებად ვერ კვეოდით როგორც მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ ინტელექტუალური კრიზისის ქვემოდინებების არსში, ბატონი მურმანი იყო ის ყინულმჭრელი ფლაგმანი, რომელიც მოვლენათა არსზე მართალი სიტყვით ამსხვრევდა ჩვენს მცდარ წარმოდგენებს, ჩვენს ხედვას აფართოებდა საკაცობრიო საზრი-

სამდე და ყინულეთიდან თავდალწევის იმედს გვიასკეცებდა.

ბატონი მურმანის იჯახი აფხაზეთში იქცა ეროვნულ ძალთა კონცენტრაციის ეპიცენტრად. არათუ მარტო საკუთარი, მთელი მოდგმის მთელი არსებობის მანძილზე მოპოვებული მატერიალური სახსრებით ესაძირკვლა, ეთაოსნა, სული და გული ჩაალია ეროვნულ საქმეს, დანარჩენი საქართველოდან აფხაზეთში ლტოლვილ ქართველობას, თანამოაზრებთან ერთად ორგანიზებული გაზეთ „ალდგომის“ გამოცემას, ფარული არხებით მის მთელ საქართველოში გავრცელებას, აფხაზეთის დაცემის შემდეგ ქვეყნის დამაქცევარი შევარდნაძის ბუნაგად ქცეულ თბილისში დევნილი, მაგრამ დაუმორჩილებელი მოძრაობის ჩამოყალიბებას, სხვადასხვა გაზეთების, უურნალების, წიგნების გამოცემას; უფასოდ და უსაყიდლოდ ემსახურება მშობელ ხალხს. ამასთან, თავისი იჯახით მუდამ მატერიალურად შეჭირვებული, დევნილებისა და პატრიოტებისათვის ყოველთვის პოულობდა რაღაც სახსარს, რომ ისინი დაეპურებინა, დაემშვიდებინა, დაეძინებინა, ჯოჯოხეთურ პირობებში ქმნიდა უურნალისტურ შედევრებს ამათუ იმ თემაზე, ამა თუ იმ პრობლემაზე.

ბატონმა მურმანმა თავისი დაბადების მესამოცე წელს კვლავ ახალი პუბლიცისტური შედევრებით გაგვახარა. მას „ნარკვევი რუსულ იდეაზე“ ჰქვია. მიუხედავად იმ როლისა, რომელიც რუსეთმა შეასრულა საქართველოს დაკანონებასა და სრულ აღმოფხვრაში, აქ ვერ ნახავთ რუსი ხალხის სიძულვილს. აქ რუსი ხალხის ტრაგედია დანახულია თვით რუსეთის საამაყო შვილების თვალით, რომელთა ნააზრევის დამალვას და ჩაკვლას ისევე გააფრთხებით ცდილობდა ველიკორუსული შოვინიზმი, როგორც სხვა ხალხთა დემოკრატიულად მოაზროვნე შვილებისას.



ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე

კომპიუტერული მოშსახურება: თეანა ზაქარაია, ემა ჩიბიროვი

დამკაბადონებელი: ნანა ყანდაშვილი

დიზაინი: ირაკლი უშვერიძე

ავტორებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ მასალების ელექტრონული ვერსია

აინტ და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“

მ. ტაშკენტის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2-38-03-11

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ სტამბაში

მ. პოლიტკოვსკაიას, №4, ტელ. 5-99-33-52-02



აქ შევიგრძენი თქმებოდა უკულისვანმყარებავი უხუცევი ძალის,
ჩემში თამოქმედია ის შემოქმედებით პოვენციალი,
რომელსაც უნდა მივეყვანე საუკისრო თავის შემეცნებამდე



თუ თქვენ დაგაინტერესათ ჩვენმა უურნალმა,
მაშინ შეგიძლიათ მისი ელექტრონული ვერსია
მოიძიოთ:

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



ციფრული ბიბლიოთეკა

dspace.nplg.gov.ge

